

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ

წიგნი VII

მკვლელობის ცნობები საქართველოსა და კავკასიის  
შესახებ



АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

КОМИССИЯ ПО ПУБЛИКАЦИИ ИНОСТРАННЫХ ИСТОЧНИКОВ  
О ГРУЗИИ

FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

СВЕДЕНИЯ ЙАҚУТА О ГРУЗИИ  
И КАВКАЗЕ

ВЫП. 1

Арабский текст с грузинским переводом  
и введением издала

*Э. Т. СИХАРУЛИДZE*

EXCERPTA HISTORIAE JĀKŪT AR-RŪMĪ AD  
GEORGIAM ET CAUCASUM PERTINENTIA

Textum arabicum cum versione georgica edidit,  
introductione instruxit

*E. SICHARULIDZE*

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია


საქართველოს უმსახურესი არსებულნი უცხოური წყაროების კომისია

ს. ქ. თ. ს. ა. მ.  
ს. ქ. თ. ს. ა. მ.  
ს. ქ. თ. ს. ა. მ.  
ს. ქ. თ. ს. ა. მ.

# დაკუთხის ცნობები საქართველოსა და კავკასიის უმსახურეს

ნაკვ. 1

არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავალით გამოსცა  
ეთერ სიხარულიძემ



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი — 1964

9 (C 41)

9 (47. 922) (001) + 9 (47. 9) (001) + 90 (394)

o 19

წიგნში წარმოდგენილია XIII ს. არაბულენოვანი ავტორის ანკუთის გეოგრაფიული ლექსიკონიდან ამოკრეფილი ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. აღნიშნულ ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და საერთოდ კავკასიის ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის შესწავლისათვის.

მთავარი რედაქტორი: ი. აბულაძე, ვლ. ფუთუჩიძე, ს. ჰაუხჩიშვილი,  
გ. წიკმიელი (მთ. რედაქტორი), ს. ჯიქია.

არაბული წყაროების სერიის რედაქტორი

გ. წერეთელი

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

აჯკუთის დიდი გეოგრაფიული ლექსიკონი „მუჯამ ალ-ბულ-დანი“ მეტად საინტერესო მასალას შეიცავს VIII—XIII სს. საქართველოსა და საერთოდ კავკასიის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ისტორიისათვის. მას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ისტორიული გეოგრაფიის შესწავლისათვისაც.

ლექსიკონის მნიშვნელობა იმითაც იზრდება, რომ მასში გამოყენებულია აჯკუთის წინამორბედი მრავალი მნიშვნელოვანი არაბული ისტორიული და გეოგრაფიული თხზულება, რომელთა გარკვეულ ნაწილს ჩვენამდე არ მოუღწევია.

საქართველო ლექსიკონში შედარებით ღარიბადაა წარმოდგენილი, ვიდრე მისი მეზობელი ქვეყნები, რაც იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ აჯკუთს საქართველოში არ უმოგზაურია და ამ შემთხვევაში მისი მასალა დამყარებულია ზეპირ გადმოცემებსა და წინარე ხანის არაბ ავტორთა ცნობებზე, რომლებიც ვრცლად და მეტად ზუსტადაა გადმოცემული. ამ მასალის გათვალისწინება ხელს შეუწყობს საქართველოს ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხის შესწავლას, მით უმეტეს, რომ აჯკუთის ცნობები საქართველოს შესახებ დღემდე არ ყოფილა სპეციალური შესწავლის საგანი.

აჯკუთ იბნ აბდ ალლჰა ალ-ჰამაფი არ-რუმის<sup>1</sup> დაიბადა 574 ან 575/1178-79 წწ. მისი სახელიდან აჯკუთი (იაგუნდი) ჩანს, რომ წარმოშობით იგი მონა იყო, რადგანაც არაბები ჩვეულებრივ მონებს არქმევდნენ არა მუსლიმთა შორის გავრცელებულ სახელებს.

<sup>1</sup> აჯკუთის ბიოგრაფიისათვის იხ.: Ibn Khallikan's Biographical Dictionary, transl. from the Arabic by Mac Guckin de Slane, I-IV, Paris, 1842—1871, II, გვ. 210—214. (შემდეგ, იბნ ხალლიკის ნი.) C. Brockelmann, GAL, I, გვ. 479—481; SB, I, გვ. 880; R. Blachère, EI, IV, გვ. 1247—1248; И. Ю. Крачковский, Избранные сочинения, IV, М.-Л., 1957, გვ. 330—337.

არამედ აძლევენ ძვირფასი ქვების ან სურნელოვან საგანთა სახელწოდებებს. მისი ნისბა არ-რუმში მიუთითებს, რომ იგი მცირე აზიიდან უნდა ყოფილიყო (შესაძლოა იგი ბერძენი იყო). რადგანაც მისი მამა არ იყო ცნობილი, ამიტომ იგი ჩვეულებისამებრ იბნაბდ ალლჰად იხსენიებოდა<sup>1</sup>.

იგი მცირეწლოვანი უყიდა მდიდარ ვაჭარს, რომელიც წარმოშობით ქ. ჰამადან იყო, მაგრამ სავაჭრო საქმეების გამო უმეტესად ბაღდადში ცხოვრობდა. მისი პატრონისაგან მიიღო აჯკუთმა მეორე ნისბა ალ-ჰამავი.

პატრონის, გაუნათლებელი, მაგრამ მდიდარი ვაჭრის შემწეობით, რომელსაც უნდოდა მოენზადებინა თავისთვის განათლებული ნოქარი, აჯკუთმა ბაღდადში მიიღო მისი დროისათვის კარგი განათლება. თავის მასწავლებლებს შორის იგი ასახელებს ისეთ ცნობილ ფილოლოგებს როგორც არიან ალ-ჟუბარნი (გარდ. 616/1219 წ.) და იბნ ან-რუმი (გარდ. 643/1245 წ.)<sup>2</sup>.

პატრონის გარდაცვალებამ აჯკუთს თავისუფლება მისცა. იგი დასახლდა ბაღდადში და ხელი მიჰყო წიგნების გადაწერასა და გაყიდვას, რასაც ადრეც ეწეოდა. ამ საქმიანობამ მას საშუალება მისცა კარგად გასცნობოდა არაბულ მწერლობას.

აჯკუთის ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა მოგზაურობებმა, რამაც დიდად შეუწყო ხელი მისი ცოდნის გაფართოებას. აჯკუთი ბევრს მოგზაურობდა. ჯერ კიდევ პატრონის სიცოცხლეში სავაჭრო საქმეებთან დაკავშირებით იგი არაერთხელ ყოფილა სახალიფოს სავაჭრო ცენტრებში; სადაც იკრიბებოდნენ სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების წარმომადგენლები.

610/1213 წლიდან სიკვდილამდე, ე. ი. 16 წლის განმავლობაში იგი სისტემატურად მოგზაურობს. ამ მოგზაურობათა შესახებ ცნობები დაცულია მისსავე შრომებში. იგი ყოფილა სირიაში, ეგვიპტეში, სპარსეთში, შუა აზიასა და აზერბაიჯანში. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე მერვის ბიბლიოთეკების სიმდიდრეს, რის გამოც იგი მერვში სამუდამოდ დარჩენა-

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ყველა ეს სახელი ძალიან გავრცელებული იყო და აჯკუთ იბნ აბდ ალლჰა არ-რუმის სახელით რამდენიმე პირია ცნობილი. იხ.: И. Ю. Крачковский, IV, გვ. 334.

<sup>2</sup> The Irshād al-arib ilā ma'rifat al-adib or Dictionary of Learned Men of Jāqūt. Ed. D S. Margoliouth. I—VII. Leyden-London. 1907—1926. (GMS, VI), III, 77, 9. (შემდეგ. აჯკუთი, ირშადი); И. Ю. Крачковский IV, გვ. 335.

საც კი აპირებდა. აქვე გასჩენია მას დიდი გეოგრაფიული ლექსიკონის შექმნის აზრი, მაგრამ მონღოლთა შემოსევის შედეგად იძულებული განხდარა ხორასანში გაქცეულიყო და შეკრებილი მასალის ნაწილი მერვში დაეტოვებინა.

სრულიად გაღატაკებული ანკუთი 617/1220 წ. ჩადის მოსულში. ცნობილი ფილოსოფოსი ვეზირის, იბნ ალ-კიჭტინს<sup>4</sup> (გარდ. 646/1248 წ.) წყალობით იქ მას შესაძლებლობა მიეცა რამდენიმე წლის განმავლობაში ემუშავა ლექსიკონზე, რომელიც მან 621/1224 წ. დაამთავრა და პირველი ხელნაწერი მიუძღვნა იბნ ალ-კიჭტინს<sup>5</sup>.

625/1228 წელს ანკუთი შეუდგა ლექსიკონის გადამუშავებას, მაგრამ ვეღარ დაამთავრა. იგი გარდაიცვალა 626/1229 წ. რამადანის (აგვისტოს) ოცს, ალუპოს კარებთან მდებარე ხანეში, 50 წლის ასაკში. მთელი თავისი წიგნები ბაღდადის ერთ-ერთ მაშჰადს უანდერძა და ანდერძის შესრულება დაავალა ცნობილ ისტორიკოს იბნ ალ-ასირს, რომელსაც ახლოს იცნობდა<sup>6</sup>.

ანკუთი მეტად პოპულარული იყო სამეცნიერო სამყაროში. მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ ალუპოში ჩავიდა ცნობილი ბიოგრაფი იბნ ხალლიქანი. იგი აღნიშნავს, რომ მეცნიერთა წრეებში ჯერ კიდევ ცოცხლად იყო შემორჩენილი გადმოცემები ანკუთის შესახებ<sup>7</sup>.

ანკუთის სახელთან მრავალი თხზულებაა დაკავშირებული, რომელთაგან ჩვენამდე მხოლოდ სამმა მოაღწია. ესენია: დიდი გეოგრაფიული ლექსიკონი „ქითაზ მუჯამ ალ-ბულდანი“, პატარა გეოგრაფიული ლექსიკონი „ქითაზ ალ-მუშთარიქ ვადან ვა-ლ-მუჭთარიქ სუჯან“ და ბიოგრაფიული ლექსიკონი „ქითაზ ირშად ალ-არბი ილ მარჩიფათ ალ-ადნიბ“<sup>8</sup>.

ბიოგრაფიული ლექსიკონი, რომელსაც ანკუთის თანამედროვენი მის თხზულებათა შორის ყველაზე მეტად აფასებდნენ ნაკლებადაა ცნობილი, რადგან დიდი ხანი არ არის რაც აღმოაჩინეს<sup>9</sup>. ლექსიკონის აღმოჩენისა და გამოცემის საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვის დ. მარგოლიუსს<sup>9</sup>. 1936-8 წწ. კაიროში ლექსიკონი მეორედ გამოსცა აჰმად ჭარბდ რაჰანმ 20 ტომად სრული სახით.

<sup>4</sup> მის შესახებ იხ. ანკუთი, ირშადი, V, გვ. 477—494; Mittwoch, El, II, გვ. 423; В. В. Бартольд, Восток, IV, М.-Л., 1924, გვ. 126—138.

<sup>5</sup> ანკუთი, მუჯამი (F. Wüstenfeld-ის გამოცემა), I, გვ. 12, 1—21.

<sup>6</sup> იბნ ხალლიქანი, IV, გვ. 22.

<sup>7</sup> იქვე. И. Ю. Крачковский, IV, გვ. 336.

<sup>8</sup> იხ.: С. Brockelmann, GAL, I, გვ. 481.

<sup>9</sup> X. A. Гибб, Арабская литература, М., 1960, გვ. 89.

ბიოგრაფიული ლექსიკონი რამდენიმე სახელითაა ცნობილი. გარდა ზემომოტანილი სახელწოდებისა მას აღნიშნავენ აგრეთვე „მუჯამ ალ-უდაბას“ ან „ტაბაკათ ალ-უდაბას“ სახელით. მასში შესულია ბიოგრაფიები ყველა პირისა, რომლებიც კი აღმზის კატეგორიას განეკუთვნებიან: გრამატიკოსების, ფილოლოგების, ლიტერატორების; კალიგრაფებისა და სხვა. თითოეულ ბიოგრაფიას მოსდევს შრომების სია და ხშირად ვრცელი ამონაწერები მათგან.

ლექსიკონში ბევრი საინტერესო ცნობა გვხვდება ყოფა-ცხოვრების, განათლების, წიგნის ბაზრებისა, სკოლებისა და სხვ. შესახებ. იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება წიგნში ნათლად და მდიდრადაა ასახული.

ბიოგრაფიულ ლექსიკონს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება არაბული ლიტერატურის ისტორიისათვის. დიდი მნიშვნელობა აქვს მას აგრეთვე სახალიფოს სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ისტორიისათვისაც.

აჯკუთის ნაწარმოებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია დიდ გეოგრაფიულ ლექსიკონს „მუჯამ ალ-ბულდანს“, რომელიც შედგება წინასიტყვაობის, ხუთი შესავალი თავისა და საკუთრივ ლექსიკონისაგან.

წინასიტყვაობაში ავტორი მოგვითხრობს ნაწარმოების შედგენის მიზეზის შესახებ: ერთხელ, როცა აჯკუთი იმამ ას-სამანნისთან შეკრებაზე ყოფილა, საუბარი ჩამოვარდნილა ჰადისებში მოხსენიებული არაბეთის ერთი ადგილის, ჰუბაშის შესახებ. სიტყვის ეტიმოლოგიის საფუძველზე აჯკუთი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ უნდა წარმოთქმულიყო ჰუბაში და არა ჰაბაში, როგორც ერთ-ერთი იქ წყოფთაგანი იჩემებდა. ვერავითარი ავტორიტეტით აჯკუთმა ვერ შესძლო დაესაბუთებინა თავისი აზრი. ვერც მერვის მდიდარ ბიბლიოთეკებში იპოვა რამ მისი შეხედულების დამამტკიცებელი. მაშინ მან გადაწყვიტა შეედგინა სრული გეოგრაფიული ლექსიკონი, რომელშიც მოცემული იქნებოდა არა მარტო განმარტება სახელწოდებებისა, არამედ მათი ზუსტი წარმოთქმაც<sup>10</sup>. წინასიტყვაობაშივე აჯკუთი მიუთითებს, რომ „ეს არის წიგნი ქვეყნების, მთების, ხეობების, ველ-დაბლობების; სოფლების, ადგილსამყოფლებისა და საცხოვრებლების; ზღვების, მდინარეების, ტბების; კერპების, საკერპეებისა და ქანდაკებების სახელთა შესახებ“<sup>11</sup>.

<sup>10</sup> აჯკუთი, მუჯამი. I, გვ. 6, 4-10; შდრ. Н. Ю. Крачковский, IV, გვ. 336-7.

<sup>11</sup> აჯკუთი, მუჯამი I, გვ. 1, 13-14.



ამასთან დაკავშირებით უწოდებს კიდევ მას „ქითაბ მუჯამ ალ-ბულდანს“ — «ქვეყნების ანბანზე გაწყობილი ლექსიკონი».

იქვე, ავტორი ჩამოთვლის იმ კონკრეტულ ფაქტორებს, რომელთაც განაპირობებს ლექსიკონის შედგენა და რაც ხელს უწყობდა არაბული გეოგრაფიული ლიტერატურის წარმოქმნასა და განვითარებას საერთოდ. დასასრულ, იგი ჩამოთვლის თავის წინამორბედებს, რომელთა შრომებსაც იყენებდა: პლატონს, პითაგორას, პტოლემეს, იბნ ხურდაზმეჰს, აჰმად იბნ ვაღდისს, ალ-ჯაჰჰანისს, იბნ ალ-ჰაკიმს, აბუ ზადდ ალ-ბალხისს, აბუ ისჰაკ ალ-ისტახარისს, იბნ ჰაუკალს, აბუ აბდ ალლჰა ალ-ბაშშარისს, ალ-ჰასან იბნ მუჰამმად ალ-მუჰალლაბისს, აბუ აენ ალ-ბაღდადისს, აბუ უბაიდ ალ-ბაქრისს, აბუ საიდ ალ-ასბაჰისს, იბნ დურაიდს, აბდ არ-რაჰმანისს, აბუ უბაიდ ას-საქუნისს, ალ-ჰასან იბნ აჰმად ალ-ჰამადანისს, აბუ-ლ-აშასს ალ-ქინდისს, აბუ საიდ ას-სირამისს, აბუ მუჰამმად ალ-ასვად ალ-ლუნდიჯანისს, აბუ ზიად ალ-ქილბისს, მუჰამმად იბნ იდრისს იბნ აბუ ჰაჰსასს, ჰიშამ იბნ მუჰამმად ალ-ქალბისს, აბუ-ლ-ჰუსეიმ აზ-ზამახშარისს, აბუ-ლ-ჰასან ალ-ნიმრანისს, აბუ უბაიდ ალ-ბაქრ ალ-ანდალუსისს, აბუ ბაქრ მუჰამმად იბნ მუსა ალ-ჰაზიმისს, აბუ აბდ ალლჰა მუჰამმად იბნ მაჰმუდ იბნ ან-ნაჯჯარს, აბუ მუსა მუჰამმად იბნ უმარ ალ-ისჰაჰანისს, აბუ-ლ-ჰათჰ ნასრ იბნ აბდ არ-რაჰმან ალ-ისქანდარისს<sup>12</sup>. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი არ ასახელებს ყველა წყაროს რომლითაც სარგებლობს<sup>13</sup>. წინასიტყვაობა მთავრდება იმის აღწერით, თუ როგორ უდგება ავტორი დამოწმებულ მასალას და როგორ იყენებს მას<sup>14</sup>.

წინასიტყვაობას მოსდევს საკმაოდ ვრცელი, ხუთი თავისაგან შემდგარი შესავალი. პირველ თავში<sup>15</sup>, რომელიც ეხება დედამიწისა და მასზე მდებარე მთების, ზღვებისა და სხვათა აღწერას, მოცემულია სხვადასხვა თეორიები დედამიწის ფორმის შესახებ, დედუძნებული მათემატიკური გეოგრაფიის მონაცემებზე. თვით ავტორის აზრით, დედამიწა მრგვალია და ყოველი მხრიდან ერთნაირად მიიზიდება ზეცის, როგორც მაგნიტის მიერ. აქვე ავტორი დაწვრილებით ჩამოთვლის მთებს, ზღვებს და მათთან მდებარე ქვეყნებსა და ხალხებს.

<sup>12</sup> ანკუთი, მუჯამი, I. გვ. 7—8.

<sup>13</sup> ანკუთის წყაროების შესახებ იხ. შემდეგ

<sup>14</sup> ანკუთი, მუჯამი, I. გვ. 8—11.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 13—25 *الارض وما فيها من الجبال و البحار* (في صفة الارض وما فيها من الجبال و البحار) (وغير ذلك)

მეორე თავი<sup>16</sup> ეძღვნება ქვეყნების იკლნშეზად დაყოფას. ავტორი მსჯელობს შვიდი იკლნშის შესახებ. განიხილავს სხვადასხვა მოსაზრებებს იკლნშის რაობასთან დაკავშირებით და არკვევს ამ ტერმინის ეტიმოლოგიას. შემდეგ ჩამოთვლის თითოეულ იკლნშში შემავალ ქვეყნებსა და ქალაქებს, მათ შორის: მეოთხე იკლნშში— აზერბაიჯანს, კალნკალას, არდაბილს, მარნდას<sup>17</sup>; მეხუთეში— ხაზართა ზღვას, არმინიას, ბარზაას, ზაბ ალ-აბეზებს, ხლათს, დაბილს, სუმაასატს და აღნიშნავს, რომ ამ იკლნშის შუა ნაწილი მდებარეობს თბილისის მახლობლად<sup>18</sup>; მეექვსეში— ალ-ლანს და სარნრს<sup>19</sup>. ამვე თავში მოცემულია ზოდიაქოს ნიშნები: ჭამალი (ვერძი), საერი (კურო), ჯავზაი (მარჩბივი), სარატანი (კირჩხიბი), ასადი (ლომი), სუნბული (ქალწული), მინანი (სასწორი), აკრაბი (ღრიანკალი), კავსი (მშვილდოსანი), ჯადი (თხის რქა), დალვი (მერწყული), ჰუთი (თევზი) და ჩამოთვლილია ის ქვეყნები, რომლებიც მათი გველენის ქვეშ იმყოფებიან: ჭამალთან-- აზერბაიჯანი და ალ-ლანი, ჯავზაისთან-- არმინია და მშუკანი, სარატანთან-- მცირე არმინია და აზერბაიჯანის ნაწილი, კავსთან-- ზაბ ალ-აბეზები და არმინიის ზღვის ნაპირები, ჰუთთან-- კალნკალა<sup>20</sup>. აქვე ავტორი გვაწვდის პრაქტიკულ წესებს ყოველ ადგილას ყიბლას<sup>21</sup> დასადგენად.

მესამე თავში<sup>22</sup> განმარტებულია ძირითადი ტერმინები, რომლებიც გვხვდება ამ წიგნში და საერთოდ, გეოგრაფიულ თხზულებებში: სიგრძის საზომი ერთეულები— ბარბდი, ფარსაბი, მნლი; ოლქების აღმნიშვნელი სხვადასხვა სახელწოდებები— იკლნში, ქურა, მიხლანდი, ისთანი, რუსთაკი, ტასსუჯი, ჯუნდი. აბადი, სიქქა, მისრი; ასტრონომიული გეოგრაფიის ტერმინები— გრძედი, განედი, გრადუსი, მინუტი; ტერმინები დაკავშირებული გადასახადებთან

<sup>16</sup> იქვე, გვ. 25—36 (في ذكر الاقاليم السبعة واشتقاقها والاختلاف في كيفيتها)

<sup>17</sup> იქვე, გვ. 32.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 33.

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 35—36.

<sup>21</sup> მხარე, საითყენაც მიმართული არიან მუსლიმები ლოცვის დროს, მექის ქაბას, ტაძრის მიმართულება.

<sup>22</sup> ავტორი, მეჯამი, I, გვ. 37—48 (في تفسير الالفاظ التي يتكرر ذكرها في هذا الكتاب)

და მიწისმფლობელობასთან — სულჰი, სილმი, ჩანვა, ხარაჯა, ჭაპი; ლანბა, სადნა, ხუმსი, კატინა<sup>23</sup>.

გეოთხე თავში<sup>24</sup> მოცემულია არაბთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიების კლასიფიკაცია საგადასახადო ნიშნის მიხედვით.

მეხუთე თავი<sup>25</sup> შეიცავს მოკლე ისტორიულ ცნობებს ცალკეული ქვეყნების მცხოვრებთა დახასიათებით. აქვე ჩამოთვლილია სახელმწიფოები მათი მნიშვნელობის მიხედვით. შესავლის შემდეგ, რომელიც 41 გვერდს მოიცავს, იწყება საკუთრივ ლექსიკონი.

ლექსიკონში გეოგრაფიული სახელები დალაგებულია ანბანზე, პირველი ას.ის მიხედვით. სახელწოდების შემდეგ საფუძვლიანადაა განმარტებული სიტყვის წარმოშობა, მითითებულია ყველა ცნობილი ვარიანტი, ხშირად ავტორს მოჰყავს ცალკეული სახელწოდების ეტიმოლოგია. ისევე, როგორც ყველა არაბი ფილოლოგი, ავკუთი ამა თუ იმ სახელწოდების წარმოშობის ახსნას ცდილობს არაბული ენის ნიადაგზე. სიტყვია არაარაბული წარმოშობა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაშია დაშვებული. ამ ნაწილში თავისი შეხედულების დასაზუსტებლად ავკუთს ხშირად მოაქვს ციტატები არაბ პოეტთა ლექსებიდან. აღსანიშნავია, რომ შრომის ამ ფილოლოგიურ ნაწილს ავტორი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს.

ამას მოსდევს ასტრონომიული გეოგრაფიის მონაცემები. მითითებულია დასახლებული პუნქტის გრძედები და განედები, აღნიშნულია, თუ ზოდიაქოს რომელ ნიშნებს ექვემდებარებიან ისინი.

შემდეგი ნაწილი შეიცავს ისტორიულ ცნობებს. მოთხრობილია ქალაქების დაარსებისა და დამაარსებელთა შესახებ, მითითებულია ამ ქალაქების როლი ისტორიაში, მოყვანილია ლეგენდები და გადმოცემები, დაკავშირებული ამ ადგილთან. თუ ეს ადგილი მოხსენიებულია ყურანში და ჰადისებში, მაშინ მოტანილია შესაბამისი ციტატები. როცა ქალაქი ან ქვეყანა დაპყრობილია მუსლიმების მიერ, გადმოცემულია დაპყრობის იტორია.

ხშირადაა მოცემული ცნობები ნაგებობების, ციხე-სიმაგრეების, ნავსადგურების, წარსულის ძეგლების შესახებ. აღწერილია სხვადასხვა ხალხთა ზნე-ჩვეულებანი, ენა, დამახასიათებელი თავისებურებანი. მითითებულია მარშრუტები და მანძილები პუნქტებს შორის, დახასიათებულია სავაჭრო ურთიერთობანი ცალკეულ

<sup>23</sup> ამ ტერმინების შესახებ დაწვრილებით იხ. კომენტარები.

<sup>24</sup> ავკუთი, მეჯამი, I, გვ. 48-52. (في اقوال الفقهاء في احكام اراضي الفئى والغنيمه وكيف قسمه ذلك)

<sup>25</sup> იქვე. გვ. 52-54. (في جمل من اخبار البلدان)

ოლქებსა და ქვეყნებს შორის, ჩამოთვლილია საბაზრო ცენტრები და სავაჭრო საქონელი, ხელოსნური ნაწარმი და მეურნეობის პროდუქტები, ამა თუ იმ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები და საკვირველებანი. ლექსიკონში მდიდარი მასალა მოიპოვება მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებასთან დაკავშირებით.

თითქმის სისტემატურადაა დასახელებული ცნობილი მეცნიერები, უმეტესად კანონმდებლები და პადისის მკოდნენი, წარმოშობილნი ან დაკავშირებულნი აღწერილ ადგილთან, აგრეთვე, მათი მასწავლებლები და მოწაფეები.

განსაკუთრებით დაწვრილებითაა აღწერილი ის ადგილები ან ქალაქები, სადაც აკუთნი თვითონ ყოფილა. თბრობა გახალისებულა გადმოცემებითა და ლექსებით, სხვა ავტორთა ვრცელი ჩანაწერებითა და წერილებით. ყოველივე ამის გამო ზიჯიერთი პუნქტის აღწერას რამდენიმე გვერდი უჭირავს.

მაგრამ ყველა აღწერილობა არაა მდიდარი შინაარსით. ფილოლოგიური ნაწილი თითქმის ყველგან უკლებლივ არის, დანარჩენი კი-არა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება უმნიშვნელო პუნქტებს. ასეთ შემთხვევაში ხშირად მდებარეობაც კი მხოლოდ მიახლოებითაა მითითებული და განმარტება ერთ სტრიქონზე თავსდება.

აკუთის მასალა მეტად მრავალფეროვანია. იგი არ იფარგლება მხოლოდ მუსლიმური სამყაროთი. მას ერთნაირად აინტერესებს სახალიფოს ქვეყნები და მის გარეთ მდებარე სახელმწიფოები. მართალია, აღმოსავლეთს იგი უკეთ იცნობს, ვიდრე დასავლეთს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ხშირად ვხვდებით ისეთ ცნობებს, რაც მის დიდ ცოდნაზე მიუთითებს. მაგალითად, როგორც მ. ამარიმ გამოარკვია აკუთმა შემოინახა ნაწყვეტები ჩვენამდე მოუღწეველი ორი სიცილიელი ავტორის, აბუ ალ-ჰასანის (1050 წ. ახ.) და იბნ. ალ-კატტაის (გარდ. 515/1121 წ.) თხზულებებისა, საიდანაც აქვს მას ამოკრეფილი თითქმის ყველა ცნობა სიცილიის შესახებ<sup>26</sup>.

გეოგრაფიული ლექსიკონი კომპილაციური ნაშრომია, შევსებული აკუთის მიერ პირადად შეკრებილი ცნობებით, მისი დაკვირვებებითა და შთაბეჭდილებებით. წიგნში გამოყენებულია ავტორის წინადროინდელი თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ისტორიული და გეოგრაფიული თხუხულება. ლექსიკონი წარმოადგენს

<sup>26</sup> F. J. Heer. Die historischen und geographischen Quellen in Jāqūt's Geographischem Wörterbuch. Strassburg, 1898, გვ. 43—44: II. IO. Крачковский, IV, გვ. 340.

ერთგვარ შეჯამებას არაბული გეოგრაფიული და ისტორიული ლიტერატურის მიღწევებისას XIII საუკუნემდე. ამდენად, როგორც ვ. რ. როზენი აღნიშნავდა, ლექსიკონის მნიშვნელობა მთლიანადაა დამოკიდებული მისი წყაროების ხასიათსა და იმ ხერხებზე, რომლებსაც აწკუთიამ წყაროებით სარგებლობისას მიმართავდა<sup>27</sup>. ამის შესახებ უპირველეს ყოვლისა პასუხს იძლევა თვით ავტორი, რომელიც თავისი შრომის შესავალში დაწვრილებით ჩამოთვლის ლექსიკონში გამოყენებულ თითქმის ყველა თხზულებას, ასახელებს იმ შრომებსაც, რომლებიც მისთვის ცნობილი იყო, მაგრამ ხელმწიფვდომელი აღმოჩნდა და აღწერს, თუ როგორ ექცევა იგი თავის წყაროებს, როგორ სარგებლობს მით<sup>28</sup>.

„მე ვეცადე—წერს იგი—ამომეკრიბა შენთვის სასარგებლო ცნობები, მათი უმეტესი ნაწილი ან ყველა, და მოგეცი შენ უფლება ნებით, წმინდა გულით, შეაერთო ისინი და გახსნა. მე ვახსენებ მრავალ რასმე, რომელთაც უარჰყოფს გონება და რომელსაც გაურბის ბუნება ცოტად თუ ბევრად განათლებული ხალხისა, რადგანაც ისინი შორს არიან ყოველგვარი ჩვეულებრივისა და ბუნებრივისაგან და არ ეთანხმებიან ყველაფერს, რაც ოდესმე ნახულია და გაგონილი, თუმცა არაფერია შეუძლებელი შემქმნელის ყოვლისმემძლეობისა და შექმნილის მოხერხებულობის გამო. მე თვით მეექვსემა მათი, გაურბივარ მათ, პასუხისმგებლობას ვიხსნი მკითხველის წინაშე მათ სიმართლებზე. მაგრამ შევიტანე ისინი სურვილით, რათა შემენახა ცნობები და მისწრაფებით, შემეძინა როგორც მთლიანი ყელსაბამი, ასევე მისი ცალკეული მარგალიტები, რადგანაც თუ იგი აღმოჩნდება მართალი, ჩვენ მივიღებთ მათთვის წილს მართლისმთქმელისა, თუ აღმოჩნდება ტყუილი, მათში მაინც იქნება სიმართლის ნაწილი, რადგანაც მე ვაღმოვცემ ამას ისე, როგორც ვბოვე. ამგვარად მე მართალი ვიქნები, ვათავსებ რა მათ ისე, როგორც მომაქვს, იმ მიზნით, რათა შენ იცოდე რაც ამ საგნის შესახებ არის ნათქვამი, სულ ერთია—სიმართლე თუ ტყუილი, რადგანაც, მაგალითად, თუ ვინმე იტყვის—მე გავიგე ზეიდი ტყუოდა,—შენ მაშინვე მოინდომებ გაიგო, რას ტყუოდა იგი<sup>29</sup>.

წინააღმდეგია რა ყოველგვარი შემოკლებებისა და გამოკრების, იგი განაგრძობს: „იცოდე, რომ შემოკლებელი რომელიმე

<sup>27</sup> В. Р. Розен, Прологомена к новому изданию Ибн-Фазлана. ЗВО. XV, 1902, гл. 42.

<sup>28</sup> ამის შესახებ იხ.: В. Р. Розен, დასახ. ნაშრომი.

<sup>29</sup> აწკუთი, მუჯამი, I, 910—918.

წიგნისა, უტოლდება მას, ვინც დაესხმის ლამაზ, სრულყოფილ ადამიანს. აჭრის მას ნაწილებს და შემდეგ აგდება უხელოდ, უფეხოდ, უთვალოდ, უყუროდ. ანდა იმას, ვინც ჩამოგლეჯს ქალს ყველა მის სამკაულს და დატოვებს მას უტანსაცმოლოდ. ან იმას, ვინც ართმევს მეოპარს იარაღს და ტოვებს მას უმწეოდ, ქვეითად. ალ-ჯაჰიზზე ჰყვებიან, რომ მან შეთხზა ჩიგნი, რომელიც გულმოდგინედ დაანაწილა თავებად. ერთმა მისმა თანამედროვემ აიღო იგი, გამოაკლო მას მრავალი რამ და აქცია იგი გადაგდებული ლეშის ნაწილად. მაშინ იხმო იგი ალ-ჯაჰიზმა და უთხრა: წიგნის ავტორი უტოლდება შემოქმედს. მე ჩემს წიგნში თითქოს გამოკვეთე ფიგურა, რომელსაც ჰქონდა ორი თვალი—შენ იგი ამოთხარე! ალლანიმც წაგართმევს შენ თვალებს! ჰქონდა მას ორი ყური—შენ მოსჭერი ისინი! ალლანიმც მოგჭრის ორივე ყურს! ჰქონდა მას ორი ხელი—შენ მოკვეთე ისინი! ალლანიმც მოგკვეთს შენ ხელებს! და ასე ჩამოთვალა ყველა ნაწილები. მაშინ მან ბოდიში მოიხადა მის წინაშე, რომ მას თავისი უფიცობის გამო არ ესმოდა ეს და დაჰპირდა, რომ არაფერს ამის მსგავსს აღარ ჩაიდენდა<sup>30</sup>.

მართლაც, როგორც ანკუთის მიერ დამოწმებული ცნობების ორიგინალებთან შეჯერებისას ირკვევა, იგი დიდ კეთილსინდისიერებას იჩენს თავისი წყაროებისადმი. თითქმის ყოველთვის ასახელებს ავტორს და ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცემს მათ, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ამა თუ იმ ცნობას არ ახლავს სათანადო წყაროს მითითება, ანდა როდესაც ერთი ავტორის ცნობები შეცდომით მეორეს მიეწერება. მაგ. ქ. ბაქოს, აღწერისას ანკუთი სიტყვისიტყვით იმეორებს აბუ დულაჰას ცნობას ამ ქალაქის შესახებ, მაგრამ არ მიუთითებს წყაროს<sup>31</sup>. ანდა ერთგან, ხაზარებთან დაკავშირებით იგი იმეორებს იბნ ჭადლანს მაშინ, როდესაც სათანადო ადგილი მოტანილია ისტახრის მიხედვით<sup>32</sup>.

ანკუთი ჩვეულებრივ კრიტიკულად უდგება თავის წყაროებს. როცა სხვადასხვა ავტორთა ცნობები ეწინააღმდეგება ერთმანეთს, იგი არა მარტო უდარებს მათ, არამედ ცდილობს გამოარკვიოს თუ ვის მხარეზეა სიმართლე. ხშირად, როდესაც ვერ მოუხერხებია მისთვის საეჭვო ადგილების შეწამება, მაშინ იგი მთლიანად მოჰყავს და აღნიშნავს, რომ არ შეუძლია პასუხისმგებელი იყოს მისი

<sup>30</sup> იქვე, გვ. 11.

<sup>31</sup> ანკუთი, მუჯამი, I, 427.

<sup>32</sup> იქვე, II, გვ. 436-437. დაწერილებით იხ. კომენტარები.

სიმართლისათვის, რადგანაც თვით არ მოუვლია ეს მხარეები და არც საშუალება ჰქონია შეემოწმებინა იმ ხალხთან, რომლებიც იქ ყოფილან. მიუხედავად ამისა, იგი მაინც იწერს იმ ადგილებს, რომლებიც მას საექვოდ მიაჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ იგი სრულიად შეგნებულად სარგებლობს ისეთი წყაროებით, რომელთა სიმართლეს შიც ეჭვი ეპარება. ამას იგი იმით ასაბუთებს, რომ ხშირად შეიძლება ცდებოდეს და მის მიერ საექვოდ მიჩნეული ადგილების გამოკრებით დააკლოს მკითხველს მეტად სასარგებლო ცნობები. ამავე დროს, ხალხისათვის საინტერესო შეიძლება იყოს ის, თუ რას ამბობენ სხვები. ამიტომ იგი სიტყვასიტყვით, ყოველგვარი ცვლილებების გარეშე გადმოსცემს იმას, რაც უწერიათ სხვებს—დაე, თვით ავტორმა აგოს პასუხი თავისი სიტყვების სიმართლისათვის. წიგნში არაერთხელ ვხვდებით ასეთსა და მსგავს გამოთქმებს: „ესა და ამის მსგავსი ის არის, რომლის სიმართლისაგან, როგორც ადრე ვთქვი, თავი დამიზღვევია, პასუხისმგებელი არ ვარ მის სისწორეზე“<sup>32</sup>; ანდა, „ეს ყველაფერი მისწარ იბნ მუჰალჰილის, პოეტისაგან, მოდის და მე თავისუფალი ვარ პასუხისმგებლობისაგან მის სიმართლესზე“<sup>33</sup>. ზოგჯერ მისი დამოკიდებულება ლაკონიურად, მაგრამ გარკვეული აქცენტით გამოიხატება: „ასე ამბობს მისწარ იბნ მუჰალჰილი“<sup>34</sup> ან „ასე ამბობს იბნ ალ-ჰაკიმი“<sup>35</sup>, „ალლაჰმა უკეთ უწყის სიმართლეს“<sup>37</sup>, „იგი ასე ამბობს“<sup>38</sup> და სხვა.

აქვითი არ იმეორებს სხვა ავტორთა შეცდომებს, არ აღრევს ძველსა და ახალ ცნობებს. როცა იგი ახასიათებს ამა თუ იმ პუნქტს ადრინდელი წყაროების მიხედვით, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მის დროინდელ ვითარებასაც და ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს იმ ცვლილებებს, რაც დროთა განმავლობაში მომხდარა. მაგ. მოჰყავს რა ისტახრის ვრცელი აღწერილობა ქალაქ ბარდავის აყვავებული მდგომარეობის შესახებ, დასძენს: „ვამბობ: ეს აღწერილობა ძველია. ახლა კი ყოველივე ამისაგან არაფერი არ დარჩა. მე შევხვდი ბარზაას ერთ მცხოვრებს აზერბაიჯანში, რომელსაც შევეკითხე მისი ქვეყნის შესახებ. მიპასუხა, რომ მას ძალიან ეტყობა განადგურების კვალი. ახლა ის მხოლოდ

<sup>32</sup> იქვე, I, გვ. 113

<sup>33</sup> იქვე, III, გვ. 356.

<sup>34</sup> იქვე, II, გვ. 740.

<sup>35</sup> იქვე, I, გვ. 350.

<sup>36</sup> იქვე, II, გვ. 923.

<sup>37</sup> იქვე, IV, გვ. 121

სოფელსდა ჰგავს. ხალხი მცირერიცხოვანია და მდგომარეობა ამაღლეზელი. სიღარიბე და გაჭირვება თვალში საცემია. სახლ-კარი მთლიანად დანგრეულია და გაპარტახებული. დიდება მას ვინც ცვლის და თვით არ იცვლება, ვინც წარბოცს და თვით არ წარიხოცება. იგი განაგებს თავის ქმნილებას და არ გამოუმეღავნდება არავის საიდუმლოება მისი განგებვისა“<sup>39</sup>.

აჯკუთის წყაროები კარგა ხანია იქცევს მკვლევართა ყურადღებას. მას მიეძღვნა მრავალი სპეციალური ნაშრომი თუ გამოკვლევა. მიუხედავად ამისა, მის მიერ გამოყენებული წყაროების ნაწილი ჯერ კიდევ დასადგენია და საძიებელი. ამიტომ საესებით გასაგებია, რომ ამ მიზნით დღესაც წარმოებს შეუწყვლელი კვლევადობა.

ქვემოთ ჩვენ ჩამოვთვლით აჯკუთის მიერ გამოყენებულ ძირითად წყაროებს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს არის მხოლოდ ნაწილი იმ მრავალრიცხოვანი თხზულებებისა, რომლებიც საფუძვლად დაედო ლექსიკონს.

უძველესი ხანის ისტორიული ფაქტების გადმოცემისას აჯკუთი ძირითადად სპარსულ და ბერძნულ ცნობებს ეყრდნობა, შემდგომი ხანისათვის კი მთლიანად არაბული წყაროებით სარგებლობს. ისინი თავისი შინაარსით რამდენიმე ნაწილად შეიძლება დავყოთ: წმინდა გეოგრაფიული, ისტორიული, ბიოგრაფიული, გრამატიკული და ფილოლოგიური ხასიათის წყაროები, პოეტური ნაწარმოებები და ამა თუ იმ მხარის მცხოვრებთა და მოგზაურთა ზეპირი გადმოცემები. მთელი მასალა შეგსებულია თვით აჯკუთის პირადი შთაბეჭდილებებითა და დაკვირვებებით.

ლექსიკონში გარკვეული ადგილი ეთმობა მათემატიკურ გეოგრაფიას. ამ ნაწილში აჯკუთის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს „ქითაბ ალ-მალჰამა“ („წიგნი წინასწარმეტყველებისა“), რომელიც შეცდომით პტოლემეს სახელთან იყო დაკავშირებული და „ბრძოლის წიგნის“ სახელით ითარგმნებოდა. ძირითადად „ქითაბ ალ-მალჰამას“ მიხედვით განსაზღვრავს აჯკუთი ქალაქების გრძედებს და განედებს და იხლევა ასტროლოგიურ მონაცემებს<sup>40</sup>.

გარდა ზემოდასახელებული „ქითაბ ალ-მალჰამასი“ ნშირადია მოხსენიებული აგრეთვე აბუ აუნ ისჰაკ იბნ ალნისა და მუჰამად იბნ ჯაბირ ალ-ბატტანის (852—929 წწ.) ზეჯები (ასტრონომიული ტაბუ-

<sup>39</sup> აჯკუთი, მუჯამი, I, გვ. 559.

<sup>40</sup> E. Honigmann. Die sieben Klimata und die *πολις ἐπισημοι*. Heidelberg, 1929, გვ. 125, 126—133; И. Ю. Крачковский, IV, გვ. 81.



ლები)<sup>41</sup>. წიგნში გამოყენებულია აგრეთვე ალ-ბირუნის (973 — 1018 წწ.) თხზულებანი: „ალ-კანუნ ალ-მასუნდინ ჭინ-ლ-ხაჰა ვა-ნ-ნუ-ჯუმ“-ი („მასუნდინ ტახულები ასტრონომიისა და ვარსკვლავების შესახებ“), „თაკანსიმ ალ-აკალიმ“-ი („კლიმატებად დაყოფა“) და „ათ-თაჰჰიმ ლი-აფაჰილ სინნათ ათ-თანჯიმ“-ი („ვარსკვლავთმრიცხველობის ხელოვნების საწყისების შეგონება“), დიდი ენციკლოპედია, რომელშიც თანმიმდევრობითაა განმარტებული გეომეტრიის, არითმეტიკის, ასტრონომიის (გეოგრაფიით, ქრონოლოგიით, ასტრონომიული ინსტრუმენტების აღწერით) და ასტროლოგიის ტექნიკური საკითხები და ტერმინები<sup>42</sup>.

ლექსიკონში ფართოდაა გამოყენებული „ქითაბ ალ-მასალიქ ვა-ლ-მამალიქ“-ის („წიგნი გზებისა და სამეფოების შესახებ“) ტიპის თხზულებები, მათ შორის: აბუ-ლ-აბბას ჯაფარ იბნ აჰმად ალ მარვანის (გარდ. 887 წ. ახ.) შრომა, რომელსაც აჯკუთი ამ ტიპის პირველ ნაწარმოებს უწოდებს<sup>43</sup>, იბნ ხორდღბეჰის (დაახ. 820 — 912/3 წწ.), ას-სარახსნის (გარდ. 899 წ.), ალ-მუჰალაბის (X ს. II ნახ.), ალ-ჯაჰჰანის (X ს. I ნახ.) ამავე სახელწოდების თხზულებანი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალ-ჯაჰჰანის იგი დიდი სიფრთხილით ეკიდება მიუხედავად იმისა, რომ ასახელებს თავის წინამორბედთა შორის<sup>44</sup>.

განსაკუთრებით ხშირადაა დამოწმებული ალ-ისტახრის (დაახ. 849/50 — 934 წწ.) „ქითაბ მასალიქ ალ-მამალიქ“-ი (ჩვენთვის საინტერესო ნაწილში იგი აჯკუთის ერთ-ერთ ყველაზე ძირითად წყაროს წარმოადგენს) და იბნ ჰაუკალის (X ს.) ამავე სახელწოდების ნაშრომი, რომელიც ისტახრის მასალას ხშირად აზუსტებს და ავსებს.

თავის წყაროებს შორის აჯკუთი ასახელებს აბუ ზეად ალ-ბალხნს თხზულებასაც<sup>45</sup> თუმცა, ყოველთვის იმოწმებს ალ-ისტახრის როგორც ფიქრობენ, მას ხელთ უნდა ჰქონოდა მხოლოდ ერთი რედაქცია, რომლის ცალკეულ ნაწილებსაც იგი ალ-ბალხნსეულად მიიჩნევდა<sup>46</sup>.

<sup>41</sup> Heer, გვ. 24—25.


<sup>42</sup> И. Ю. Крачковский, IV, გვ. 248—250, 251, 257.

<sup>43</sup> აჯკუთი, მუჯამი, II, გვ. 400.

<sup>44</sup> იქვე, I, გვ. 7; И. Ю. Крачковский, IV, გვ. 222.

<sup>45</sup> აჯკუთი, მუჯამი, I, გვ. 7.

<sup>46</sup> M. J. de Goeje, Die Istakhrī—Balkhī Frage. ZDMG, 25, 1871, გვ. 46; И. Ю. Крачковский, IV, გვ. 196.



ხშირად გვხვდება ციტირებული აგრეთვე, ალ-ბაქრის (გარდ. 1094 წ.) „ქითაბ ალ-მასალიქ ვა-ლ-მამალიქ“-ი, რომელიც აგრძელებს მარშრუტების აღწერის ძველ ტრადიციას. რაც შეეხება ალ-ბაქრის მეორე თხზულებას „მუჯამ მა სთაჯამა“-ს („ჟუნქტუაცია იმისა, რაც არაა ნათელი“). იგი, როგორც აჯკუთი აღნიშნავს, მიუხედავად დიდი ძებნისა, მიუწვდომელი დარჩენილა მისთვის<sup>47</sup>.

მრავალჯერაა მითითებული ალ-მუკადდასის (946/7—დაახ. 1000 წწ.) თხზულება „აჰსან ათ-თაკასნიმ ჭნ მარჩიჰათ ალ-აკანლნიმ“-ი („საუკეთესო დანაწილება იკლნიმების აღსაქმელად“). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აჯკუთი ჩვეულებრივ ალ-მუკადდასის იმოწმებს ალ-ბაშშარის ანდა იბნ ალ-ბანნაჰის სახელით, ხოლო მუკადდასის სახელით დამოწმებული ჰყავს „ქითაბ ალ-ბად ვა-თ-თა-რნბ“-ის („წიგნი შექმნისა და ისტორიისა“) ავტორი მუტაჰჰარ იბნ ტაჰირ ალ-მუკადდასი (X ს.)

აჯკუთის ლექსიკონის ძირითად წყაროს წარმოადგენს ასევე „ქითაბ ალ-ბულდან“-ის („წიგნი ქვეყნების შესახებ“) ტიპის ნაწარმოებები. მათგან უფრო ხშირადაა დამოწმებული იბნ ალ-ჰაკიჰ ალ-ჰამადანისა და ალ-აჯკუბის (IX ს. ბოლო—X ს. დასაწ.) თხზულებები და აბუ ლუსმან აამრ იბნ ბაჰრ ალ-ჯჰაჰის (გარდ. 869 წ.) შრომები, განსაკუთრებით სირიის, ერაყისა და ეგვიპტის აღწერის დროს<sup>48</sup>.

საგანგებო ადგილი აქვს დათმობილი ლექსიკონში არაბ მოგზაურთა აღწერილობებს. მათ შორის განსაკუთრებითაა აღსანიშნავი იბნ ჰადლანის (X ს.) „რისალა“ („ჩანაწერები“) ეოლგისპირეთის ბულღარებთან მოგზაურობის შესახებ<sup>49</sup> და აბუ დულაჰა მისარ იბნ მუჰალჰილის (X ს.) ორი „რისალა“: პირველი, ჩინეთში მოგზაურობის, ხოლო მეორე, ირანსა და კავკასიაში მოგზაურობის შესახებ<sup>50</sup>. ორივე ზემოდასახელებული ავტორის შრომები თითქმის მთლიანადაა შესული ლექსიკონში. დამოწმებულია აგრეთვე XI ს ქრისტიანი ექიმის, იბნ ბულღანის „რისალა“ შესაბოტამიასა და ჩრდ. სირიაში მოგზაურობის შესახებ<sup>51</sup>.

<sup>47</sup> აჯკუთი, მუჯამი, I, გვ. 7—8.

<sup>48</sup> იკვე, I, 651, II, 593, 794, IV, 552 და სხვა.

<sup>49</sup> Путешествие Ибн Фадлана на Волгу, Перевод и комментарий под редакцией И. Ю. Крачковского, М.-Л., 1939, гв. 3—23.

<sup>50</sup> V. Minor sky. Abū-Dulaf Mis'ar Ibn Muhalhil's Travels in Iran (circa A. D. 950). Arabic Text with an English Translation and Commentary. Cairo University Press, 1955, გვ. 19—20; Вторая записка Абу Дулафа. Изд. текста, пер. введение и комментарии П. Г. Булгакова и А. Б. Халидова, М., 1960, гв. 12—14.

<sup>51</sup> Heug, გვ. 22.

აჯკუთთან შემონახულია ასევე სალღამ იბნ თარჯუმანის მოგზაურობათა აღწერილობა სალღამი ყველაზე ადრინდელი არაბი მოგზაურია არმინიასა და აზერბაიჯანში, რომლის აღწერილობაც ჩვენამდე მოღწეულა, თუმცა არა დამოუკიდებელი სახით, არამედ სხვა წყაროების მეშვეობით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იბნ ჭადღანის, აბუ დულაჰას და იბნ ბუჰღანის აღწერილობანი, უკანასკნელ ხანებამდე მხოლოდ აჯკუთის ლექსიკონის წყალობით იყო ცნობილი და გამოყენებული<sup>52</sup>.

„მუჯამ ალ-ბულღანში“ ხშირად გვხვდება აჯკუთის წინამორბედი გეოგრაფების მიერ შედგენილი ლექსიკონების მასალაც. მაგ. აზ-ზამახ-შარის (1075—1144 წწ.) „ქითაზ ალ-ჯიზალ ვა-ლ-ამქინა ვა-ლ-მიჯაჰ“ („წიგნი მთების, ადგილებისა და წყლების შესახებ“) და აბუ-ლ-ჰათჰ ნასრ იბნ აზდ არ-რაჰმან ალ-ისქანდარის (გარდ. 1165 წ.) „წიგნი ერთნაირი და განსხვავებული სახელწოდებების ადგილების შესახებ“<sup>53</sup>.

ცალკეული ადგილების დახასიათებისას აჯკუთი იყენებდა შრომებს, მიძღვნილს სპეციალურად ამა თუ იმ ქვეყნისადმი. მაგ.: არაბეთის ნახევარკუნძულისათვის საერთოდ—აბუ საინდ ალ-ასმანს (გარდ. 831 წ.) „ქითაზ ჯაზირათ ალ-არაბ“-ს („წიგნი არაბთა ნახევარკუნძულის შესახებ“), ორი სხვა ავტორის, ას-სირაფისა (გარდ. 979 წ.) და ალ-ჰამდანის (გარდ. 945 წ.) ამავე სახელწოდების თხზულებებს<sup>54</sup>; იამანისათვის—უმარა იბნ აბუ-ლ-ჰასან ალბ იბნ ზადან ალ-ჰამანის (XII ს.) და აბუ უზაად ალღამ ას-საქუნის (IX ს.), იამამასათვის—მუჰამმად იბნ იდრის იბნ აბუ ჰაჰჰ ალ-ჰამამი ალ-ჰაჰჰის შრომებს<sup>55</sup>, მექასათვის—მუჰამმად იბნ ისჰაკ ალ-ჰაჰჰის „ქითაზ მაქა“-ს („წიგნი მექას შესახებ“), ალ-ჯანადის „ქითაზ ჭადაილ მაქა“-ს („წიგნი მექას ლირსშესანიშნაობათა შესახებ“) და სხვა<sup>56</sup>; სირიისათვის—იბნ ანაჰირის (გარდ. 1176 წ.) „ქითაზ დიმაშკ“-ს („წიგნი დამასკოს შესახებ“) ან „თაჰრის დიმაშკ“-ს („დამასკოს ისტორია“), და ალ-კასიმ იბნ ანაჰირის (1133—1203 წწ.) „ქითაზ ჭი ჭადაილ ალ-ბაჰთ ალ-მაჰდის“-ს („წიგნი იერუს-

<sup>52</sup> И. Ю. Крачковский, IV, გვ. 333.

<sup>53</sup> აჯკუთი, მუჯამი, I, გვ. 8.

<sup>54</sup> Heer, გვ. 26—27.

<sup>55</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>56</sup> იქვე, გვ. 29—30.

სალიმის ღირსშესანიშნაობათა შესახებ<sup>57</sup>; ერაცისათვის—ან-ნუ-მაჰრის (IX ს.) „ქითაზ ბასრა“-ს (წიგნი ბასრას შესახებ“), ან-ნაჯ-ჯარის (XI ს.) „ქუფას ისტორიას“, ალ-ხატნბის (XI ს.) და ას-საზბის (XII ს.) „ქითაზ ბალდნდ“-ს („წიგნი ბალდნდის შესახებ“)<sup>58</sup>, ეგვიპტისათვის—ას-სადაფნის (XI ს.) „თაზრ-ხ მისრ“-ს („ეგვიპტის ისტორიას“), ალ-კუდნანს (XII ს.) შრომას და სხვა<sup>59</sup>.

მკვლევართან იყენებს არაბი ისტორიკოსების შრომებსაც, როგორც ზოგადი, ისე სპეციალური ხასიათისას. ისტორიული ხასიათის წყაროებიდან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია IX ს. ცნობილი ისტორიკოსის ალ-ბალაზორის „ქითაზ ჭუთუჷ ალ-ბულდნ“-ი („წიგნი ქვეყნების დაპყრობის შესახებ“), რომელიც ყველაზე უფრო ხშირადაა მითითებული<sup>60</sup>, ალ-მასჷდნს (გარდ. 956 წ.) „ქითაზ მურჷჯ აზ-ზაჷაბ ვალ-ლ-მანდინ ალ-ჯავჷჷარ“-ი („წიგნი ოქროს სამრეცხლოებისა და ძვირფასი ქვის საბადოების შესახებ“)<sup>61</sup>, ალ-კუდნანს (გარდ. 1062 წ.) მიერ შედგენილი კრებული „ალ-მუხთარ ჭი ზიქრ ალ-ხიტატ ვალ-ანსარ“-ი („ამონაკრები ამბები ხიტატებისა“<sup>62</sup> და წარსულის ძეგლების შესახებ“)<sup>63</sup> და მოციქულის ცნობილი ბიოგრაფია შედგენილი იბნ ისჷჷკის (გარდ. 786 წ.), მიერ, რომელიც უმეტეს შემთხვევაში დამოწმებულია იბნ ჰიშამის (გარდ. 828—33 წწ.) რედაქციის მიხედვით<sup>64</sup>.

ლექსიკონში გამოყენებულია აგრეთვე ჰიშამ იბნ ალ-ქალბნს (გარდ. 820 წ.). „ქითაზ ალ-ასნამ“-ი („წიგნი კერპების შესახებ“), დიდი გენეალოგიური ლექსიკონი „ჯამჷჷარათ ან-ნასაბ“-ი („სავგარტომო კრებული“) და „ქითაზ ანსაზ ალ-ბულდნ“-ი („წიგნი ქალაქების გენეალოგიის შესახებ“)<sup>65</sup>, რომელიც, როგორც ე. ი. კრანკოვსკი ფიქრობს იდენტური უნდა იყოს ლექსიკონის წინასიტყვაობაში დასახელებული „ითიკაჷკ ალ-ბულდნ“-ისა („ქალაქების ეტი-

<sup>57</sup> იქვე, გვ. 31—32.

<sup>58</sup> იქვე, გვ. 33—34.

<sup>59</sup> იქვე, გვ. 41—42, 43—45; იხ. ასევე შრომები მიძღვნილი სხვადასხვა ქვეყნებისადმი.

<sup>60</sup> ბალაზორის შრომის შესახებ მკვლევართან ლექსიკონში დაწვრილებით იხ. Heer, გვ. 45—87.

<sup>61</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>62</sup> ხიტატი—თლქებისა და უბნების აღწერილობა.

<sup>63</sup> И. Ю. Крачковский II, IV, გვ. 165.

<sup>64</sup> Heer, გვ. 6—9.

<sup>65</sup> იქვე, გვ. 4—5; И. Ю. Крачковский, IV, გვ. 120—121.

მოლოგია<sup>66</sup>, ას-სამწანის (გარდ. 1167 წ.) „მერვის ისტორია“ და „ქითაბ ალ-ანსაბ“-ი („გენეალოგიის წიგნი“), რომელსაც აჯკუთი დიდად აფასებდა<sup>67</sup>.

„მუჯამ ალ-ბულდანიში“ გვხვდება მასალა მუსა იბნ ლუბას (გარდ. 758 წ.), ალ-ვაჰიდის (გარდ. 822 წ.), ალ-მადანის (გარდ. 830—40 წწ.), ატ-ტაბარის (838—923 წწ.), აბუ-ლ-ჰარაჯ ალ-ისჰაჰანის (897—967 წწ.), ალ-ასქარის (გარდ. 992 წ.), იბნ ალ-ასირის (1160—1234 წწ.) და სხვათა თხზულებებიდან. ხსენებული ავტორები შედარებით იშვიათადაა მითითებული, ზოგიერთი მათგანი მხოლოდ ერთხელ ან ორჯერ.

ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით აჯკუთს ხელთ ჰქონია შრომები, მიძღვნილი სპეციალურად ამა თუ იმ საკითხისადმი. ამ შემთხვევაში აჯკუთის მასალა მეტად მრავალფეროვანია. მათ შორის ვხვდებით X ს. ორი ცნობილი ავტორის აბუ-ლ-ჰარაჯ ალ-ისჰაჰანისა და აშ-შაბუშტის ერთნაირი სახელწოდების თხზულებებს—„ქითაბ ად-დიჰარათ“-ს („წიგნი მონასტრების შესახებ“)<sup>68</sup>, ალ-ჯაჰაშინდარის (გარდ. 942 წ.), „ქითაბ ალ-ფუზარა“-ას („წიგნი ვეზირების შესახებ“)<sup>69</sup>, აბუ აჟსუჰისა (გარდ. 798 წ.) და ააჰა იბნ ადამის „ქითაბ ალ-ხარაჯ“-ს („წიგნი ხარაჯის შესახებ“)<sup>70</sup> და სხვა.

ლექსიკონში უხვადაა მოტანილი ჰასან იბნ სუბითის (გარდ. 674 წ.), ალ-აშნისი (აწამეს 702 წ.), აშ-შამშახის (გარდ. 810 წ.), აბუ თამშამას (805—846 წწ.), ალ-ბუჰთურის (819—897 წწ.), ალ-მუთანაბბის (915—965 წწ.) და სხვათა ლექსები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილების გარკვევისას. პოეტური ციტატების საშუალებით ხშირად შესაძლებელი ხდება ამა თუ იმ პუნქტის ადგილმდებარეობის დადგენა და მასთან დაკავშირებული ამბების კომენტირება<sup>72</sup>.

<sup>66</sup> აჯკუთი, მუჯამი, I, 7, 20—21; И. Ю. Крачковский, IV, გვ. 121.

<sup>67</sup> Heer, გვ. 39.

<sup>68</sup> იქვე, გვ. 23. აშ-შაბუშტის შრომის შესახებ აჯკუთის ლექსიკონში დაწვრილებით იხ. იქვე, გვ. 88—98.

<sup>69</sup> იქვე, გვ. 18.

<sup>70</sup> აჯკუთი, მუჯამი, I, გვ. 49—51.

<sup>71</sup> Heer, გვ. 17.

<sup>72</sup> არაბული პოეზიის ძეგლების როლის შესახებ ეპიგრაფიკულ ტექსტებსა, ისტორიული და გეოგრაფიული ხასიათის წყაროებში იხ.: И. Ю. Крачковский, Об одном эпитете в надписи бронзового таза ЛУА. Избр. соч., I, М.-Л., 1955, გვ. 415—419. მიხევე, К вопросу об анализе поэтических цитат в географическом словаре Иракша. იქვე, გვ. 273—279.

აქუთის წყაროთა შორის აღსანიშნავია ზეპირი გადმოცემები. ამ შემთხვევაში მისი ინფორმატორები არიან ან მისთვის საინტერესო ადგილის მცხოვრებლები, ანდა პირები, რომელთაც მოუვლიათ და უნახავთ ეს მხარეები. თავის ინფორმატორებს შორის აქუთი ასახელებს თბილისის ყადის ვაჟიშვილს<sup>73</sup>, მას ვინც მოვლო ალ-ლანის ქვეყანა<sup>74</sup>, ბარზაას ერთ-ერთ მცხოვრებს<sup>75</sup>, თბილისის მცხოვრებლებს<sup>76</sup>, საასაბანის, კაბბანის, ყარსის, ქირანის მცხოვრებლებს<sup>77</sup> და სხვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლექსიკონის ცნობების ერთ ნაწილს აქუთის პირადი დაკვირვებები შეადგენს იმ ქვეყნებთან და ქალაქებთან დაკავშირებით, სადაც იგი ყოფილა. ჩვენთვის საინტერესო მხარეებიდან, როგორც მისივე თხზულებიდან ჩანს, აქუთს მხოლოდ სანჩრეთ აზერბაიჯანი მოუვლია და მისი შთაბეჭდილებებიც მხოლოდ ამ მხარეს ეხება. იგი ყოფილა უჯანში, არდებილში, ურმიაში, უშნუში, უნარში, ბასვაში, თავრიზში, ხალხალში, ნავდიზში, ვარაგში, ჰისნ ქაფაში, გადაუვლია მდ. სეფიდ რუდი, გადაუტურავს ურმის ტბა<sup>78</sup>. ამიტომ, ამ პუნქტებთან დაკავშირებით, სხვა ავტორთა ცნობების გადმოცემასთან ერთად, იგი თავის თანამედროვე ამბებსაც აღწერს, თვისი თვალით ნახულსა და გაგონილს.

აქუთის ლექსიკონმა დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი ხანის არაბულ გეოგრაფიულ ლიტერატურაზე. გამოყენებული აქვს იგი აბუ-ლ-ფიდას (1273—1331 წწ.), ალ-კალკაშანდის (1335—1418 წწ.), იბნ ხალდუნს (1332—1406 წწ.), ას-სუფუტის (1445—1505 წწ.), იბნ მჯიდს, XV ს. II ნახევრის ცნობილ არაბ ლოცმანსა და საზღვაო გეოგრაფიის შესანიშნავ მკოდნეს<sup>79</sup>. დასახელებულია და გამოყენებული „მუჯამ ალ-ბუღდანი“ XVIII ს. ცნობილ არაბულ ლექსიკონში „თაჯ ალ-არუს“-ში<sup>80</sup>.

„მუჯამ ალ-ბუღდანის“ გავლენა ეტყობა აგრეთვე მომდევნო ხანის სპარსულ და თურქულ გეოგრაფიულ მწერლობას. ხშირად

<sup>73</sup> აქუთი, მუჯამი, I, გვ. 350.

<sup>74</sup> იქვე, გვ. 351.

<sup>75</sup> იქვე, II, გვ. 559.

<sup>76</sup> იქვე, II, გვ. 857.

<sup>77</sup> იქვე, III, 216, IV, 26, 57, 338.

<sup>78</sup> აქუთი, მუჯამი, I, 131, 197, 218, 239, 284, 367, 626, 622; II, 277 459, IV, 822, 918.

<sup>79</sup> И. Ю. Крачковский, IV, გვ. 391, 415, 436, 564.

<sup>80</sup> იქვე, გვ. 756.

იმოწმებენ აჯკუთის თხზულებას XVI ს. თურქი გეოგრაფი მუჰამედუ ლაკი, XVII ს. ცნობილი თურქი მეცნიერი, გეოგრაფი და ბიბლიოგრაფი ჰაჯი ხალფა<sup>81</sup> და სხვები.

მიუხედავად აჯკუთის გეოგრაფიული ლექსიკონის დიდი მნიშვნელობისა, ევროპულ მეცნიერებაში იგი შედარებით გვიან შევიდა, თუმცა ზოგი მკვლევარი აღრეც იცნობდა მას. მაგ., იხსენიებს მას 1669 წ. გოლიუსი თავის ალ-ფერგანის გამოცემაში, 1703 წ. გრონოვიუსი თავის სიტყვაში „გეოგრაფიის დასაწყისის, განვითარებისა და სარგებლობის შესახებ“, 1766 წ. კელლერი აბუ-ლ-ფიდას შრომის იმ ნაწილის გამოცემაში, რომელიც სირიისადმი მიძღვნილი<sup>82</sup>.

ლექსიკონის საფუძვლიანი შესწავლა დაიწყო გვიან, კერძოდ XIX ს-ში, რაც აჯკუთის შრომის ხელნაწერების გაცნობასთან იყო დაკავშირებული. ამ მხრივ განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ფრენს<sup>83</sup>, რომელმაც პირველად ამოკრიბა ლექსიკონიდან იბნ ჭადლანის „რისნლას“ ნაწილები და მოგვცა აჯკუთის პირველი საფუძვლიანი დახასიათება<sup>84</sup>.

აჯკუთის შრომის სისტემატური შესწავლა და გამოყენება მხოლოდ XIX ს. II ნახევრიდან გახდა შესაძლებელი, მას შემდეგ, რაც ბერლინის, პარიზისა და პეტერბურგის ხელნაწერების საფუძველზე ვიუსტენფელდმა გამოსცა „მუჯაჰ. ალ-ბულდანი“ სრული ტექსტი 6 ტომად<sup>85</sup>. პირველი ოთხი ტომი შეიცავს ლექსიკონის ტექსტს. მე-5-ე ტომში მოცემულია გეოგრაფიულ სახელთა და ისტორიულ პირთა საძიებლები შრომაში მოხსენიებულ ისტორიულ პირებთან დაკავშირებული მასალის მითითებით. მეხუთე ტომი შეიცავს გამომცემლის წინასიტყვაობასა და შენიშვნებს, შეესებულს ფლაიშერის მოსახრებებითა და შესწორებებით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „მუჯამ ალ-ბულდანი“ კიდევ ორჯერ გამოიცა. 1323/1906 წ. კაიროში გამოვიდა ლექსიკონის მეორე გამოცემა 10 ტომად, სადაც პირველი რვა ტომი შეადგენს ლექსიკონის ძირითად ტექსტს, გადაბეჭდილს აშ-მინკრტის შეთვალ-

<sup>81</sup> იქვე, გვ. 598, 618.

<sup>82</sup> იქვე, გვ. 335—32.

<sup>83</sup> C. M. Fraehn. Ibn-Foszlan's und anderer Araber Berichte über die Russen älterer Zeit. Text und Übersetzung mit kritisch-philologischen Anmerkungen, SPb, 1823.

<sup>84</sup> იბ. B. P. Розен, Прологомена, გვ. 43—45.

<sup>85</sup> Jacot's geographisches Wörterbuch aus den Handschriften zu Berlin. St. Petersburg und Paris, herausgegeben von Ferd. Wüstenfeld. Leipzig, Bd. I—VI, 1866—1873.

ყურეობით<sup>86</sup>, ხოლო ორი უკანასკნელი წარმოადგენს დამატებას შესრულებულს მუჰამად ამნ ალ-ხანჯის მიერ სათაურით „მანჯამ ალ-უმრან ჭი-ლ-მუსთადრაქ ალ-მუჯამ ალ-ბულდან“ („კულტურის განძი ქვეყნების ლექსიკონის დამატებაში“)<sup>87</sup>. ეს დამატება შეიცავს ცნობებს ერთის მხრივ, აკჷთის მიერ უკვე მოხსენიებული პუნქტების, უფრო ხშირად კი მისთვის უცნობი ევროპის, ავსტრალიისა და ამერიკის ქვეყნებისა და ქალაქების შესახებ. როგორც შესავლიდან ჩანს, გამომცემლებს მიზნად ჰქონიათ შეესწორებინათ ევროპული გამოცემის შეცდომები, გამოეცათ ლექსიკონის სრული და ზუსტი ტექსტი<sup>88</sup>, მაგრამ ორივე გამოცემის შედარებისას ირკვევა, რომ კაიროს გამოცემის ტექსტი მთლიანად გადაბეჭდილია ვიუსტენფელდის გამოცემიდან, თუმცა ძალიან იშვიათად გვხვდება სანტერესო შესწორებებიც<sup>89</sup>.

1955--57 წწ. ბერიუთში მესამედ გამოიცა „მუჯამ ალ-ბულდანი“. როგორც თვით გამომცემლები აღნიშნავენ, წინასიტყვაობაში, იგი მთლიანად დამყარებულია ვიუსტენფელდის გამოცემაზე. გარდა მეტად უმნიშვნელო შესწორებებისა, რაც მხოლოდ ტექსტის ენობრივ მხარეს ეხება, ახალს ეს გამოცემა არაფერს არ იძლევა.

ლექსიკონის გამოქვეყნებამ დიდძალი ლიტერატურა გამოიწვია ავტორისა თუ ლექსიკონის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1823 წ. „მუჯამ ალ-ბულდანის“ გამოცემაზე, ფრენზა პირველად დაახასიათა აკჷთი და აღნიშნა მისი დამოკიდებულება წყაროებისადმი, ხოლო ვიუსტენფელდი შეეცადა აკჷთის ბიოგრაფიისა და მოგზაურობების აღწერას<sup>90</sup>. ლექსიკონის გამოცემის

<sup>86</sup> كتاب معجم البلدان تأليف الشيخ الامام شهاب الدين ابي عبد الله ياقوت بن عبد الله الحموي الرومي البغدادي آخ عنى بتصحيد و ترتيب وضعه و كتابة المستدرک عليه محمد امين الخانجى الكتبى بقرائه على الاستاذ الاديب النحوى الراوية (الشيخ احمد بن الامين الشنقيطى)، نزيل فاهرة، 1-VIII, 1323-1324/1906.

<sup>87</sup> كتاب منجم العمران فى المستدرک على معجم البلدان جمعه ورتبه السيد محمد امين الخانجى 1-II, 1325/1907.

<sup>88</sup> იქვე, ტ. VIII, გვ. 536.

<sup>89</sup> შტრ. Нуреместние Ибн Фадлана на Волгу, 1939, გვ. 179.

<sup>90</sup> F. Wilstenfeld. Jäcüt's Reisen, aus seinem geographischen Wörterbuche beschrieben, ZDMG. 1864, XVIII. 397-493; Der Reisende Jäcüt als Schriftsteller und Gelehrter. Nachrichten von der Königl. Gesellschaft der Wissenschaften. Göttingen, 1865, № 9, გვ. 233-243.



მემდეგ კი, შესაძლებელი გახდა მასში დაცული მასალის საფუძვლიანი შესწავლა. გამოცემის წინასიტყვაობაში ვიუსტენფელდი შეეხო რამდენიმე შრომას, რომელიც ლექსიკონშია დამოწმებული<sup>91</sup>, ხოლო 1893 წ. უკვე გაჩნდა სპეციალური მონოგრაფია ჰეერისა „მუჯამ ალ-ბულდნში“ გამოყენებული ისტორიულ-გეოგრაფიული მასალის შესახებ<sup>92</sup>. იგი დღესაც ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომია აჯკუთის წყაროებთან დაკავშირებით. თანდათანობით შესწავლილი იქნა აგრეთვე, ლექსიკონში გამოყენებული ცალკეული წყაროები. მაგ. აბუ დულაფას ორივე „რისალა“ მუჯამ ალ-ბულდნში“ შესწავლილი იქნა ვიუსტენფელდის<sup>93</sup>, შლოცერის<sup>94</sup>, გრიგორიევის<sup>95</sup>, კრაჩკოვსკის<sup>96</sup>, მინორსკის<sup>97</sup> ბულგაკოვისა და ხალიდოვის<sup>98</sup> მიერ; „ქითაბ ალ-მალჰამა“ — ჰონიგმანის მიერ<sup>99</sup>; „ალ-აბ-ჰარავანს“ „ქითაბ ალ-იშვარათ ილ-მარითათ აზ-ზიჯარათ“-ი — ბლოხის მიერ<sup>100</sup>; იბნ ფალდნის „რისალა“ — კოვალევსკის მიერ<sup>101</sup> და სხვა.

ლექსიკონის მასალა მუშავდებოდა ცალკეულ ქვეყნებთან ან პერიოდებთან დაკავშირებით. სიცილიის ისტორიის, გეოგრაფიისა და კულტურისადმი მიძღვნილი ცნობები შეისწავლა მიშელ ამარიმ<sup>92</sup>. ბარბიე დე მენარის მიერ ლექსიკონიდან ამოკრეფილია

<sup>91</sup> Jacut's geographisches Wörterbuch, V, 83, 1—73.

<sup>92</sup> F. J. Heer. დასახ. ნაშრომი.

<sup>93</sup> F. Wüstenfeld. Des Abu Dulaf Mis'ar Ben al-Mohalhel Bericht über die türkischen Horden. Zeitschrift für vergleichende Erdkunde, I Jahrgang, Bd. II, 1842, 83. 205—217.

<sup>94</sup> Abu Dulaf Misaris ben Mohalhal de Itinere suo asiatico commentarius ed. C. Schläzer. Berlin, 1845.

<sup>95</sup> В. В. Григорьев. Об арабском путешественнике X века Абу-Долефе и странствовании его по Средней Азии. СПб., 1872.

<sup>96</sup> Н. Ю. Крачковский. Вторая записка Абу Дулафа в географическом словаре Ибн-Кутайбы, избр. соч. I, 83. 280—292.

<sup>97</sup> V. Minorisky. დასახ. ნაშრომი.

<sup>98</sup> Вторая Записка Абу Дулафа.

<sup>99</sup> E. Honigmann. დასახ. ნაშრომი.

<sup>100</sup> S. E. Bloch. Harawi's Schrift über die muhammedanischen Wallfahrtsorte, eine der Quellen Jāqūt's. Dissertation. Bonn, 1929.

<sup>101</sup> А. П. Ковалевский. Книга Ахмеда Ибн Фадлана о его путешествии на Волгу в 921—922 гг. Харьков, 1956: მისივე, Путешествие Ибн Фадлана на Волгу, 1939.

<sup>102</sup> M. Amari. Biblioteca arabo-sicula ossia raccolta di festi arabi che toccano la geografia, la storia, la biografia e la bibliografia delle Sicula, Lipsia, 1857.

ცნობები სპარსეთის შესახებ<sup>103</sup>. ლუდოლფ კრელმა<sup>104</sup> დაამუშავა მასალა, რომელიც ისლამისწინადროინდელი არაბების წარმართობას ეხებოდა. ტექსტის ეს ნაწილი აჯკუთს ძირითადად ალ-ქალბნს „ქითანბ ალ-ასნამ“-იდან აქვს ამოკრეფილი. ხოლო ველჰაუზენმა აჯკუთის ლექსიკონიდან მთლიანად ამოკრიფა და თარგმნა იბნ ალ-ქალბნს თხზულების ნაწყვეტები<sup>105</sup>. „მუჯამ ალ-ბულდნის“ ცნობებზეა დამყარებული ოტტო ლოტის შრომა არაბეთის ჰარრას შესახებ<sup>106</sup>. ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ მასალა შესწავლილი აქვს დერენბურგს<sup>107</sup>. აჯკუთის შრომაზეა ძირითადად დაფუძნებული ერნსტ დამმანის შრომა შავი აფრიკის შესახებ<sup>108</sup>.

„მუჯამ ალ-ბულდანი“ არაა თარგმნილი არცერთ ენაზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკე ნაწყვეტებს, მიძღვნილს სპეციალურად რომელიმე საკითხისადმი. 1959 წ. გამოვიდა W. Jwa-iden-ის მიერ შესრულებული ლექსიკონის შესავალი ნაწილის ინგლისური თარგმანი წინასიტყვაობითა და საკმაოდ ვრცელი შენიშვნებით<sup>109</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის პირველი ნაშრომი, მიძღვნილი სპეციალურად აჯკუთის შრომის შესავალი ნაწილისადმი.

რუსულ ენაზე თარგმნილია აჯკუთის ლექსიკონის მხოლოდ ცალკეული ნაწილები. 1838 წ. სენკოვსკიმ თარგმნა აჯკუთის ცნობა თბილისის შესახებ და უწოდა ავტორს მწერალი ზუსტი და გულმოდგინე, რომელსაც უნდა ვუმაღლოდეთ შუასაუკუნეების ისტორიისა და გეოგრაფიის სხვადასხვა ძვირფას ძეგლების შემო-

<sup>103</sup> Dictionnaire géographique, historique et littéraire de la Perse et des contrées adjacentes, extrait du Mo'djem el-bouldan de Jaqout et complété à l'aide de documents arabes et persans pour la plupart inédits par C. Barbier de Meynard. Paris, 1861.

<sup>104</sup> Ludolf Krehl, Über die Religion der Vorislamischen Araber. Leipzig, 1863.

<sup>105</sup> J. Wellhausen, Reste arabischen Heidentums. Berlin, 1897.

<sup>106</sup> Otto Loth, Die Vulkanregionen (Harra's) von Arabien nach Jakut. ZDMG. 1867, XXII, 33. 365—382.

<sup>107</sup> H. Derenbourg, Les Croisades d'après le dictionnaire de Jakout. Centenaire de l' Ecole des Langues Orientales Vivantes 1795—1895. Paris, 1895, 33. 71—92.

<sup>108</sup> Ernst Dammann, Beiträge aus arabischen Quellen zur Kenntnis des negrischen Afrika, Kiel, 1929.

<sup>109</sup> Wadie Jwaiden. The Introductory Chapters of Jāqūt's Mu'jam al-Buldān. Leiden, 1959.

ნახვას<sup>110</sup>. 1897 წ. მედნიკოვმა თავის ცნობილ ნაშრომში «Палестина от завоевания ее арабами до крестовых походов» შეიტანა „მუჯამ ალ-ბულდნანის“ ცნობები სირიისა და პალესტინის შესახებ<sup>111</sup>. მასვე ეკუთვნის ლექსიკონის საერთო დახასიათება საცდელ ლექსიაში, რომელიც სამწუხაროდ არ გამოქვეყნებულა<sup>112</sup>. თარგმნილია შუა აზიისადმი მიძღვნილი ნაწილიც<sup>113</sup>, რამდენიმე ნაწყვეტი „მუჯამ ალ-ბულდნანდან“ თარგმნილი აქვს ვ. როზენს<sup>114</sup>. ვრცელი ცნობები აზერბაიჯანისა და ამიერკავკასიის შესახებ გადათარგმნა ეუზეჟ. თარგმანი არ გამოქვეყნებულა, იგი ხელნაწერის სახით დაცულია აზერბაიჯანის მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქივში<sup>115</sup>. თარგმანს რედაქცია გაუკეთა კრანკოვსკიმ, რომელმაც შეავსო და შეაწორა ბევრი ადგილი. თარგმანთან დაკავშირებული კრანკოვსკის შენიშვნები შემდეგში ცალკე სტატიების სახით გამოქვეყნდა<sup>116</sup>.

აჩვენებს ავკუთის ლექსიკონში გამოყენებული ლიტერატურული, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული სიუჟეტების სისტემატური საძიებლები, რომელსაც თან ერთვის მის მიერ ციტირებული შრომების სია<sup>117</sup>.

ავკუთის სახელთანაა აგრეთვე დაკავშირებული ორი სხვა გეოგრაფიული თხზულება, რომლებიც „მუჯამ ალ-ბულდნანზე“ ადრე იყო გამოცემული. მათ მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა და აქვთ დიდი ლექსიკონით სარგებლობისას. პირველი — „ქითაზ ალ-მუშთარიქ ვადან ვა-ლ-მუჰთარიქ სუკან“ („წიგნი სახელების

<sup>110</sup> О. П. Сенковский, Собр. соч. VI, 1859, гл. 192—195. შდრ. Н. Ю. Крачковский IV, гл. 332.

<sup>111</sup> Н. Медников, Палестина, приложения, II; гл. 967—1112.

<sup>112</sup> Н. Медников. Об арабском географическом словаре Якута. сб.: И. Ю. Крачковский, Памяти Н. А. Медникова. Избр. соч. V, 1958, гл. 196, შეფ. 2.

<sup>113</sup> В. Розен. Прологомена, гл. 45—48; 54—58, 61—71.

<sup>114</sup> Материалы по истории Туркмен и Туркменин, I, М.-Л., 1939, гл. 409—437.

<sup>115</sup> Якут Хамави Извлечения из географического словаря. Пер. с арабск. и пред. проф. П. К. Жузе. Научный архив Ин-та Истории АН Азерб. ССР, инв. №№ 504. 505.

<sup>116</sup> сб.: И. Ю. Крачковский. Вторая записка Абū Дулафа в географическом словаре Йākūta; К вопросу об анализе поэтических цитат в географическом словаре Йākūta; Шахразūr в географическом словаре Йākūta и в записке Абū Дулафа. Собр. соч. I, гл. 293—298.

<sup>117</sup> И. Ю. Крачковский, IV, гл. 334.

შესახებ, რომლებიც ფორმით ერთნაირია, ადგილის მიხედვით კი განსხვავებული“<sup>118</sup>, აჯკუთის მიერვე იყო შედგენილი დიდი ლექსიკონის შემდეგ სპეციალური მიზნით. როგორც სათაურიდანაც ჩანს, ესაა გეოგრაფიული ომონიმების ლექსიკონი. აქ თავმოყრილია სახელწოდებები, რომლებიც ერთნაირად გამოითქმის, მაგრამ სხვადასხვა პუნქტს აღნიშნავს და სახელები, რომლებიც ერთნაირად იწერება, მაგრამ სხვადასხვაგვარად გამოითქმის. როგორც აჯკუთი აღნიშნავს წინასიტყვაობაში, მან თვით ამოკრიბა იგი ძირითადი ლექსიკონიდან, რათა უფრო სწრაფად ენახა საჭირო ცნობები. ლექსიკონში მნიშვნელოვანი მასალაა. მოტანილია 1091 სახელწოდება, რომელიც 4261 პუნქტს ასახავს. იგი შედგენილია „მუჯამ ალ-ბულდანზე“ უფრო გვიან და შედარებით ახალ ცნობებს იძლევა.

მეორე ნაშრომი — „მარასიდ ალ-იტტილ“<sup>119</sup> „ალ-ასმ-ალ-ამქინა ვა-ლ-ბიკან“ („სამეთვალყურეო ადგილები ადგილებისა და ველების სახელებზე“)<sup>120</sup>, არ ეკუთვნის თვით აჯკუთს. მასში შევიდა წმინდა გეოგრაფიული მასალა, ამოკრებილი დიდი ლექსიკონიდან. იგი, როგორც ფიქრობენ, შეუდგენია 100 წლის შემდეგ ვინმე საფრ ად-დინ აბდ ად-მუშინ აბდ ალ-ჰაკის (გარდ. 739/1338 წ.)<sup>120</sup>. შრომა გამოცემულია იეინბოლის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქმის მთლიანად „მუჯამ ალ-ბულდანის“ შემოკლებას წარმოადგენს, მასში, მართალია ძალიან იშვიათად; მაგრამ მაინც გვხვდება განსხვავებული ცნობები, რომლებიც გვეხმარება დიდი ლექსიკონის ზოგიერთი საექვო ადგილების განმარტებისას.

\* \* \*

წინამდებარე ნაშრომი პირველი ცდაა საქართველოსა და კავკასიის შესახებ აჯკუთის „მუჯამ ალ-ბულდანის“ ცნობების ქართულ ენაზე თარგმნისა. ლექსიკონიდან ამოკრებილია მთელი მასალა, რასაც აჯკუთი კავკასიას უკავშირებს. ამავე დროს, ეთარგმნეთ

<sup>118</sup> Jacut's Moscharik, das ist: Lexicon geographischer Homonyme. Aus den Handschriften zu Wien und Leyden, hrsg. von F. Wüstenfeld. Cöttingen, 1846.

<sup>119</sup> Lexicon geographicum, cui titulus est, Marâsid al ittîlâ' 'alâ asmâ' al-amkina wa-l-biqâ', ed. T. G. Jynboll. I—VI, Lugduni Batavorum, 1852—1864.

<sup>120</sup> საქითხი სადათა. იხ: И. Ю. Крачковский, IV, გვ. 341.

ის ადგილებიც, სადაც მოხსენებულია ჩვენთვის საინტერესო პუნქტები ანდა მათთან დაკავშირებული ზოგიერთი დეტალი.

ლექსიკონის მასალის ერთი ნაწილი, რომელსაც ავტორი შეცდომით კავკასიას არ უკავშირებს, ანდა სადაც ჩვენთვის საინტერესო პუნქტები მხოლოდ გაკვრითაა ნახსენები, თარგმანში არ შევიდა. ამ ადგილების სრული თარგმანი სათანადო შენიშვნებით წარმოდგენილი იქნება კომენტარებში.

თარგმანში აქვთის ტექსტი მოცემულია სრულად, ყოველგვარი გამოკრების გარეშე. გამოვტოვეთ მხოლოდ პოეტურ ტექსტთა ნაწყვეტები, რომლებიც ძირითადად აბუ თამიმისა და ალ-ბუჰთურის დივანის ნაწილებს შეიცავს. არაბული პოეზიის ძეგლებში დაცულია მდიდარი და საინტერესო მასალა ამიერკავკასიის, განსაკუთრებით კი სომხეთისა და აზერბაიჯანის შესახებ, რომელთა ერთად თავმოყრა და სრულად თარგმნა ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია.

თარგმანი ძირითადად F. Wiistenfeld-ის გამოცემის ტექსტის მიხედვითაა შესრულებული. ამასთანავე, გათვალისწინებულია ორივე შემდგომი გამოცემა (კაიროსი, ბეირუთის) და თითქმის ყველა პირველწყარო, რომელიც აქვთთანაა დამოწმებული. ეს საშუალებას გვაძლევდა დაგვეზუსტებინა ძირითადი ტექსტის ზოგი გაურკვეველი ადგილი.

თარგმნისას ვცდილობდით შეძლებისდაგვარად ზუსტად გადმოგველო დედანი, რამაც გარკვეული გავლენა მოახდინა სტილზე,

გეოგრაფიული პუნქტების, საკუთარ სახელთა და ტერმინთა გადმოცემისას ტექნიკური მიზეზების გამო არ მოხერხდა ზუსტი ტრანსკრიფცია. ამ მხრივ სიზუსტე დაცულია მხოლოდ წინამდებარე შესავალსა და თარგმანის იმ ნაწილში, სადაც განსამარტავი პუნქტებია ჩამოთვლილი. სხვაგან მხოლოდ გრძელი ხმოვნების გადმოცემა მოხერხდა.

კომენტარები თარგმანში აღნიშნული ნუმერაციის მიხედვით გამოვა ცალკე წიგნად მეორე ნაკვეთის სახით. კომენტარებში დაწვრილებით იქნება განმარტებული ტექსტში დამოწმებული ტერმინები, გეოგრაფიული და საკუთარი სახელები; გარჩეული იქნება „მუჯამ ალ-ბულდნის“ ტექსტის ურთიერთობა პირველწყაროებთან.

„მუჯამ ალ-ბულდანი“ ქართული  
თარგმანი

ათლი<sup>1</sup> — ერთ-ერთი ციხე ზავაზნის მხარეში<sup>2</sup>, ზუხთნას 1, 58 ქურთთა ციხეებიდან. ცნობილია ჩიზ ად-დინ აბუ-ლ-ჰასან ალ-ინი აბდ ალ-ქარიმ ალ-ჯაზარის<sup>3</sup> მიხედვით.

ან<sup>4</sup> — ქესრიანი ნუნი<sup>5</sup>.

1, 70

გამაგრებული ციხე და ქალაქი<sup>6</sup> არმინის მიწაზე, ხილტსა და ქანჯას შორის.

აბხაზი<sup>6</sup> — (პირველი თანხმონი) — ჭათჰით, შემდეგი — 1, 78 სუქუნი<sup>7</sup>, ხა წერტილიანი, ალიჰი და ზა.

ერთ-ერთი მხარის სახელი კაბკის მთაზე, რომელიც ესაზღვრება ბაბ ალ-აბეზს. ესაა მთები ძნელად სავალი და ოდრო-ოდრო. არ არის მასში ცხენის გასაჭენებელი ადგილი. ემეზობლება იგი ალ-ლანის ქვეყანას. დასახლებულია ქრისტიანი ხალხით, რომლებსაც ქურჯებს უწოდებენ. აქ შეიკრიბნენ ისინი (ქურჯები), დაეშენნენ თბილისის სანახებისაკენ, განდევნეს იქიდან მუსლიმები, დაეუფლნენ მას 515<sup>7</sup> წელს და არ შეუწყვეტიათ მისი გამგებლობა. აბხაზი მათი (ქურჯების) თავშესაფარი იყო. ისე რომ, როცა 621<sup>8</sup> წელს გაემართა მათკენ ხვარაზმშაჰი ჯალალ ად-დინი<sup>9</sup>, თავს დაესხა მათ და ცდილობდა გაეთავისუფლებინა მათგან თბილისი, მაშინ გაიქცა დედოფალი მათი აბხაზს და არ დარჩენილა სამეფო სახლიდან არავინ მის გარდა<sup>10</sup>.

აბრაშთაფნი<sup>11</sup> — (პირველი თანხმონი) — ჭათჰით, შემდეგი — 1, 80 გი — სუქუნი<sup>12</sup>, რა — ჭათჰით, წერტილებიანი შინი — სუქუნი<sup>13</sup>, თა ზემოთ ორწერტილიანი — ჭათჰით, ვავი — ქესრი<sup>14</sup>, აა — უხმონო და მნი<sup>15</sup>.

მთა ბაზხთან, მუკანის მიწაზე, აზერბაიჯანის ერთ-ერთ ოლქში. მას შეაფარა თავი ბაბაქ ალ-ხურრამი<sup>16</sup>. იხსენიებს მას აბუ თამამი<sup>17</sup> საინდ მუჰამმად იბნ აუსუჰ ას-სალრნადმი<sup>18</sup> მიძღვნილ ქებაში.

იხსენიებს აბუ თამამი მას (აბრაშთაფნს) ასევე სხვა ადგილას. მის ერთ-ერთ ლექსში, აღიღებს რა მას (საინდ მუჰამმად იბნ აუსუჰ ას-სალრნს)<sup>19</sup>.

ითილი<sup>16</sup>—პირველი და მეორე თანხმოვანი—ქესრიტ და ლამი. იბილის ტიპისაა<sup>17</sup>.

დიდი მდინარის სახელი ხაზართა ქვეყანაში, ჰგავს დიჯლას, მიედინება რუსთა და ბულღართა<sup>18</sup> ქვეყანაში. ამბობენ, ითილი ხაზართა ქვეყნის დედაქალაქია და მდინარეს მისი სახელი ეწოდა. სლავების, — ისინი ბულღარის ხალხია, — ქვეყანაში მუქთადირის<sup>19</sup> ელჩის, აჰმად იბნ ჭადლან იბნ აბბას იბნ რაშიდ იბნ ჰამმადის წიგნში<sup>20</sup> წავიკითხე: ჩემამდე მოაღწია, რომ იქ (ითილში) არის უზარმაზარი ტანის კაცი. როდესაც მივედი მათ მეფესთან, ვკითხე მას მის შესახებ. [მეფემ] მიპასუხა: დიახ, იყო ჩვენს ქვეყანაში და მოკვდა. მაგრამ იგი არ იყო ჩვენი ქვეყნის მკვიდრი და არც ჩვეულებრივი ადამიანი. მისი ამბავი ასეთია: ვაჭარი ხალხი ჩვეულებისამებრ გავიდა მდინარე ითილისაკენ. ესაა მდინარე, ჩვენსა და მას შორის ერთი დღის სავალია. მდინარე აღიდდა და წყალი გადმოვიდა ნაპირებიდან. ჯერაც ვერ მომესწრო ამ ამბის გაგება, რომ უკვე მოვიდა ჩემთან ჯამაათი და მითხრა: ო მეფეო, წყალზე მოცურდა კაცი. თუ ის არის [იმ] ხალხთაგან, რომლებიც ჩვენს ახლოს არიან, მაშინ ჩვენ აღარ გვედგომება ამ ადგილებში და არა დაგვრჩენია რა გადასახლების გარდა. მე გავემგზავრე მათთან ერთად, ვიდრე არ მივალწიე მდინარეს და შევჩერდი იქ.

I, 113 და აი ის კაცი! მისი სიმაღლე—12 წყრთაა<sup>21</sup> ჩემი წყრთით. მისი თავი ყველაზე უდიდესი ქვაბის ოდენაა. მისი ცხვირი მტკაველზე<sup>22</sup> მეტია, მისი თვალები უზარმაზარნი არიან. თითები, თვითეული მათგანი—მტკაველია. მე შემადრწუნა მისმა ამბავმა და შემიპყრო შიშმა ისევე, როგორც ის ხალხი. გამოველაპარაკეთ მას. იგი არ ჯველაპარაკებოდა, მხოლოდ გვიყურებდა. მე მივიყვანე იგი ჩემს ბინაზე, მივწერე ვნსუს<sup>23</sup> მცხოვრებლებს, რომლებიც ჩვენგან სამი თვის სავალზე არიან და ვკითხე მის შესახებ. მათ შემატყობინეს, რომ ეს კაცი ძაჯუჯისა და მჯუჯუჯისაგანაა<sup>24</sup>. ისინი ჩვენგან სამი თვის სავალზე არიან და ჩვენ და მათ გვყოფს ზღვა. ესაა ხალხი, ვითარცა თავისუფლად გაშვებული ცხოველები, ტიტვლები, ფეხშიშვლები, შეეუღლებიან ერთმანეთს. გამოჰყავს ალღაჰს, — მიტალიმც არს იგი, — მათთვის ყოველდღე ზღვიდან თითო თევზი, რომელთანაც მიდის თითოეული მათგანი დანით და აჭრის მას იმდენს, რამდენიც საკმარისია მისთვის და მისი ოჯახისათვის. და თუ აიღებს ამაზე მეტს, ასტკივდება მუცელი მასა და მის ოჯახს. შეიძლება მოკვდეს იგი და დაიხოცონ ისინი ყველანი. და როცა აიღებენ მათი საჭიროების მიხედვით, მიბრუნდება [თევზი]



და წავა ზღვაში. და ასე არიან ისინი. ჩვენსა და მათ შორის, ერთის მხრივ; ზღვაა და, მეორეს მხრივ, მთებია გადაჭიმული. და როდესაც ალღაში მოისურვებს მათ გამოყვანას, შეწყდება მათთვის თევზი, მიიქცევა ზღვა და გაიხსნება ზღუდე, რომელიც არის ჩვენსა და მათ შორის. შემდეგ თქვა მეფემ: და დარჩა ეს კაცი ჩემთან ერთხანს. შემდეგ გაუჩნდა მას ყელჭირვება და მოკვდა მით. მე წავედი და ვნახე მისი ძვლები, რომლებიც მეტად შემზარავი იყო<sup>25</sup>.

ამბობს ავტორი,— შეიწყალებს მას ალღაში, მაღალიმც არს იგი, — ესა და ამის მსგავსი ის არის, რომლის სიმართლისაგან, როგორც ადრე ვთქვი, თავი დამიზღვევია, პასუხისმგებელი არ ვარ მის სისწორეზე. მოთხომა იბნ ჭადღანისა და მუკთადირის მიერ ბულღარებთან მისი გავზავნის ამბავი აღწერილია, ცნობილია და გავრცელებული ხალხში. მე ვნახე მისი რამდენიმე ნუსხა.

ამასთან მდინარე ითილი უეჭველად დიდია და გრძელი. იგი გამოდის შორეული სამხრეთიდან, ჩაუვლის ბულღარებს, რუსებს, ხაზარებს და ერთვის ჯურჯანის ტბას<sup>26</sup>. მით მოგზაურობენ ვაჭრები ენსუსაკენ და მოაქვთ დიდძალი ბეწვეული, როგორცაა თახვი, სიასამური და ციყვი. ამბობენ, მისი სათავე ხარხინის მიწაზეა<sup>27</sup>, ალ-ქიმაქმასა და ალ-ლუზნმას შორის<sup>28</sup>. იგი საზღვარია ამ ორს შუა. შემდეგ მიემართება დასავლეთით ბულღარისაკენ, ბრუნდება ბურტანისა<sup>29</sup> და ხაზართა ქვეყნისაკენ, ვიდრე არ ჩაედინება ხაზართა ზღვაში. ამბობენ, მდინარე ითილიდან სამოცდაათზე მეტი მდინარე განტოტდება. მთავარი ტოტი მდინარისა კი კვლავ მიედინება ხაზარისაკენ, ვიდრე არ ჩაერთვის ზღვას. ამბობენ, რომ მისი წყლები, როდესაც შეერთდებიან ერთ ადგილას მის ზემო წელში, მდინარე ჯეიჰუნზე<sup>30</sup> მეტია. ამ წყლების სიმრავლე, სიუხვე და ძლიერი მდინარება იმას აღწევს, რომ, როდესაც შეერთვის ზღვას, I, 114 მიედინება მის სიღრმეში ორი დღის სავალზე, და იგი ერევა ზღვის წყალს ისე, რომ იყინება ზამთრობით სიმტკნარის გამო და გამოირჩევა მისი ფერი ზღვის წყლის ფერისაგან<sup>31</sup>.

უჯანი<sup>32</sup>—ჰა მზა—დამ მით, ჯ რ მი— შემსუბუქებული და I, 131 ბოლოში—ნუნ ი.

პატარა ქალაქი აზერბაიჯანში. მასა და თიბრნის შორის ათი ფარსანია<sup>32a</sup> რეის<sup>33</sup> გზაზე. მე ვნახე იგი. მას აქვს კედელი. არის იქ ბაზარი, მხოლოდ [ამჟამად] მეტწილად დანგრეულია.

აზრანეჯანი<sup>34</sup> — (პირველი თანხმოვანი)—ჰათ ჰით, შემდეგი I, 171 —სუქუნით, რა—ჰათ ჰით, ერთწერტილიანი ბა—ქესრით, აა—უხმოვანო და ჯ რ მი. ასე გვხვდება აშ-შამმახის<sup>35</sup> ლექსში.

ხალხი წარმოთქვამს ზნალს — ძათჰით და რანს — სუქჰნით. სხვები ამასთანავე ჰამზას უსვამენ მადღას. გადმოსცემენ I, 172 მუჰალაბის<sup>36</sup> მიხედვით, — მე არ ვიცნობ ამ მუჰალაბს, — აზრბაჯანს — მადღიანი ჰამზით და სუქჰნიანი ზნალით. რადგანაც ორი სუქჰნი ხედება ერთმანეთს, ამიტომ რან იღებს გრძელი-ს. [შემდეგ] მოდის ერთწერტილიანი ბა — ძათჰით, ჯნმი, ალიჰი და ნუნი.

ამბობს აბუ აენ ისჰაკ იბნ ალნ<sup>37</sup> თავის ზნჯში<sup>38</sup>: აზრბაჯანი [მდებარეობს] მეხუთე იკლმში<sup>39</sup>. მისი გრძელია 73 გრადუსი, განედი — 40 გრადუსი<sup>40</sup>.

გრამატიკოსები ამბობენ: მისი ნისბა<sup>41</sup> განმონებული არის აზარბა. ითქმის [აგრეთვე] აზრბ — ზნალი სუქჰნით, რადგანაც მათთვის იგი არის შედგენილი სიტყვა აზრ და ბნჯანისაგან და ნისბა ნაწარმოებია პირველი ნახევრისაგან. ამბობენ [აგრეთვე] აზარბნ-ს. ესაა და ეს ყველაფერი, რაც გვხვდება. ესაა სახელი, რომელშიც თავმოყრილია სარფის<sup>42</sup> ხელისშემშლელი ხუთი გარემოება: უცხოურობა, განსაზღვრულობა, მდებრობითი სქესი, შედგენილობა და ბოლოში სუფიქსი-ან. ამასთანავე, როდესაც მოსცილდება მას ერთ-ერთი ეს დაბრკოლება, როგორცაა განსაზღვრულობა, მაშინ ის გაიჩენს სარფს, რადგანაც დანარჩენი მიზეზები არაა ხელისშემშლელი სარფისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სიტყვა წარმოადგენს ალამს<sup>43</sup>. თუ იგი ალამი არაა, მაშინ ბათილდება დანარჩენი მიზეზების გავლენა. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ იქნებოდა კანიათუ-ს, ნანიათუ-ს და მუტრათუ-ს მსგავსად ორბრუნვიანი, რადგანაც იგი მდებრობითი სქესისაა და ზედსართავია, ანდა იქნებოდა ალ-ჰირინდისა და ალ-ლიჯამის მსგავსად ორბრუნვიანი, რადგანაც თავს იყრის მასში უცხოურობა და ზედსართაობა. ასევეა ალ-ჰითმანი, რადგანაც მასში არის სუფიქსი ან და ზედსართავია. იცოდე ეს<sup>44</sup>.

ამბობს იბნ ალ-მუჰაჰაჰა<sup>44</sup>: აზარბაჯანი ეწოდა მას აზარბაზ იბნ ირან იბნ ასვად იბნ სამ იბნ ნუჰის<sup>45</sup>, — მშვიდობა მას, — მიხედვით. ნათქვამია [აგრეთვე], რომ აზარბაზ იბნ ბნვარსჰის მიხედვით<sup>46</sup>. [სხვები კი] ამბობენ, არა, აზარ ცეცხლის სახელია ფალაურად, ბაჰჰანი კი ნიშნავს დამცველს, შემნახველს და აღნიშნავს ცეცხლის სახლს ან ცეცხლის მცველს. ეს უფრო ჰგავს სიმართლეს და ყველაზე უფრო შეეფერება მას. რადგანაც ცეცხლის ტანობები ამ მხარეში ძალიან ბევრი იყო.

აზრაბნჯანის საზღვრებია—აღმოსავლეთიდან დასავლეთით—  
ბარზანადან არზანჯანისაკენ. მისი საზღვარი ჩრდილოეთის მხრი-  
დან ეკვრის დაღლამს<sup>47</sup>, ჯნლსა<sup>47a</sup> და ტარმს<sup>47b</sup>.

ესაა ვრცელი იკლნმი. მისი ცნობილი ქალაქთაგანია თობრნ-  
ზი. იგი ახლა მისი დედაქალაქი და მისი უდიდესი ქალაქია.  
წინათ კი მისი დედაქალაქი მარნლა იყო. მის ქალაქთაგანაა: ხუვაძრ,  
სალამნსი, ურმიჯა, არდაბნლი, მარანდი და სხვები. ეს არის ვრცე-  
ლი მხარე და დიდი სამეფო. სჭარბობს მასში მთები. იქ მრავალი  
ციხეა, უხვი დოვლათი და დიდძალი ნაყოფი. მე არ მინახავს სხვა  
მხარე უფრო მდიდარი ბაღებით, უფრო უხვი წყლებითა და წყა-  
როებით. მოგზაური არ საჭიროებს იმ მხარეებში წყლისათვის ჭურ-  
ჭლის წაღებას, რადგანაც წყლები აქ მიედინება მის ფერხთით  
საითყენაც არ გაემართება. ესაა ცივი წყალი, მტკნარი და ჯანსა-  
ლი. მისი მცხოვრებლები ლამაზი სახისანი არიან, წითურნი, ნაზი 1, 173  
კანით. მათ აქვთ ენა, რომელსაც ეწოდება აზარნჯა და რომელიც  
არ ესმის არავის მათ გარდა. მათ ხალხს სათნოება და კარგი  
ურთიერთდამოკიდებულება ახასიათებს, თუმცა სიძუნწე სჭარ-  
ბობს მათ ბუნებაში.

ესაა ქვეყანა განსაცდელისა და ბრძოლებისა, რაც არასოდეს  
არ წყდება. ამის გამო უმეტესი მისი ქალაქებისა დანგრეულია,  
სოფლები—გავერანებული. ამ ჩვენს დროში ეს არის სამეფო ჯალნლ  
ად-დნ მანქუბარნ იბნ ალნ ად-დნ მუჰამმად იბნ თექემ ხეა-  
რაზმ შაჰისა.

დაიპყრეს იგი [არაბებმა] პირველად რომარ იბნ ალ-ხატტაბის<sup>48</sup>,  
—აღლნჰიმც კმაყოფილია მისით,—დროს. გაეზავნა რომარმა მულნრა  
იბნ შუბა ას-საკაჰბ<sup>49</sup>, ქუჰას<sup>50</sup> ვალნ<sup>51</sup> და გაატანა მას სიგელი ჰუზაჰ-  
ჰა იბნ ალ-ჰამანის<sup>52</sup> დანიშვნის შესახებ აზრაბნჯანის ვალნდ. მიუ-  
ვიდა წიგნი ჰუზაჰჰას, როდესაც იგი იყო ნეჰვენდს<sup>53</sup> და გაემარ-  
თა იქიდან აზრაბნჯანისაკენ მრავალრიცხოვანი ლაშქრით, ვიდრე  
არ მიალწია არდაბნლს, რომელიც მაშინ აზრაბნჯანის [მთავარი]  
ქალაქი იყო. მის მარზჰანს<sup>54</sup> უკვე შეეკრიბა მებრძოლები ბნჯარ-  
ვანის, მინაზის, ბაზის, სარვის, შინის, მაჰნიჯისა<sup>55</sup> და სხვათა  
მცხოვრებთაგან და ჰქონდათ მუსლიმებთან სასტიკი ბრძოლა რამ-  
დენიმე დღეს. შემდეგ დაეზავნა მარზჰანი ჰუზაჰჰას მთელს აზრა-  
ბნჯანზე 800 000 ღირჰემის წონაზე იმ პირობით, რომ არ მოკ-  
ლავდა მათგან არავის, არ დაატყვევებდა, არ დაანგრევდა ცეცხ-  
ლის ტაძარს და არ შეუშლიდა ხელს ბალნშაჯანის<sup>56</sup>, საბალანისა  
და მიჰან რუნანის<sup>57</sup> ქურთებს და არ აუკრძალავდა, განსაკუთრე-

ბით შინის მცხოვრებლებს, ეცეკვათ თავიანთ დღესასწაულებზე და საჯაროდ გაეკეთებინათ ის, რასაც აკეთებდნენ წინათ.

შემდეგ მან (ჰუზააქამ) დალაშქრა მუჰანი და ჯრლანი, და-  
ამარცხა ისინი (მცხოვრებლები) და დაეზავა მათ გადასახალზე. შემ-  
დეგ ომარმა, — ალლჰიმც კმაყოფილია მისით, — გადააყენა ჰუზააქა  
და აზრაბნჯანის ვალნდ დანიშნა ლუთბა იბნ ჭარკადი<sup>58</sup>, რომელიც  
მივიდა იქ მავსილიდან<sup>59</sup>. ამბობენ [აგრეთვე], არა, მივიდა იქ შაჰრზუ-  
რიდან<sup>60</sup> შაქქის გზით, რომელიც ცნობილია მუწაგნა ალ-აზრინდ<sup>61</sup>.  
და როდესაც შევიდა არდაბნლში, ნახა, რომ მისი მცხოვრებლები  
ასრულებენ პირობას [მაშინ, როდესაც] სხვა მხარეებს იგი დაერ-  
ღვით. იგი თავს დაესხა მათ, გაიმარჯვა მათზე და წაიღო ნა-  
დავლი. და იყო მასთან ძე მისი ომარ იბნ ლუთბა იბნ ჭარკად აზ-  
ზაჰიდი<sup>62</sup>. ალ-ვაჰიდინს<sup>63</sup> მიხედვით, მულნრა იბნ შუბა თავს დაესხა  
აზრაბნჯანს ქუჩადან 22 წელს<sup>64</sup>, დაიპყრო იგი ბრძოლით და და-  
უწესა ხარაჯა<sup>64ა</sup>.

გადმოსცემს აბუ მუნზირ ჰიშამ იბნ მუჰამმადი<sup>65</sup> აბუ მიხნა-  
ჰისაგან<sup>66</sup>, რომ მულნრა იბნ შუბა თავს დაესხა აზრაბნჯანს 20  
წელს<sup>67</sup> და დაიპყრო იგი. შემდეგ ისინი (აზერბაიჯანის მცხოვრებ-  
ლები) გაურჯულოდნენ. [მაშინ] დალაშქრა ისინი აშას იბნ კაჲს  
ალ-ჰინდინ<sup>68</sup>, დაიპყრო ჯაბრავანის ციხე და დაეზავა მათ მულნ-  
რას სულჰის<sup>69</sup> მიხედვით. აშასის სულჰი ძალაშია დღემდე<sup>69ა</sup>.

თქვა ალ-მადანინ<sup>70</sup>: როდესაც უკუიქცნენ ურწმუნოები  
ნეჰვენდთან, დაუბრუნდა ხალხი თავიანთ ქალაქებს, ხოლო  
ჰუზააქასთან დარჩნენ ქუჩას მცხოვრებლები, რომელთა საშუა-  
ლებითაც (იგი) თავს დაესხა აზრაბნჯანს და დაეზავა 800 000  
I, 174 დირჰემზე. როდესაც ოსმან იბნ აჰჰანმა<sup>71</sup>, — ალლჰიმც კმაყოფილია  
მისით, — ქუჩას მმართველად დანიშნა ვალნდ იბნ ლუბა<sup>72</sup>, მან გა-  
დააყენა ლუთბა იბნ ჭარკადი აზრაბნჯანიდან. მაშინ მათ (აზერბაი-  
ჯანის მცხოვრებლებმა) დაარღვიეს პირობა, რისთვისაც დაესხა მათ  
თავს ვალნდ იბნ ლუბა 25 წელს<sup>73</sup> მის მოწინავე რაზმში იყო  
აბდ ალლჰა იბნ შუბაჲლ ალ-აჰმასინ<sup>73ა</sup>, მან (ვალნდმა) ილაშქრა  
მუჰანის, ათ-თიბრნის და ატ-ტაჲლასანის<sup>74</sup> მცხოვრებთა წინააღ-  
მდეგ, ხელთ იგდო ნადავლი, დაატყვევა [მრავალი] და შემდეგ  
დაეზავა აზრაბნჯანის მცხოვრებლებს ჰუზააქას სულჰის თანახმად<sup>75</sup>.

I, 183 **არანნი**<sup>76</sup> — (პირველი თანხმომი) — ჭა თ ჰ ი თ, რ ა — თ ე შ -  
დ ნ დ ი თ, ა ლ ი ჭ ი და ნ შ ნ ი.

არაარაბული სახელი ვრცელი ვილაიეთისა<sup>76ა</sup> და მრავალი ქალა-  
ქისა. მათ შორისაა: ჯანზა, რომელსაც ხალხი უწოდებს ქანჯას,

ბარზანა, შამქურნი და ბაღლაქანი. აზრადიწუნსა და არრანს შორის მდინარეა, სახელად არ-რასსი. ყველაფერი, რაც ემეზობლება მას დასავლეთითა და ჩრდილოეთით, ეკუთვნის არრანს, ხოლო ის, რაც აღმოსავლეთითაა — აზრადიწუნს. თქვა ნასრმა<sup>77</sup>: არრანი არმინის ერთ-ერთი მხარეა, იხსენიება სწრაფანთან ერთად.

არჯრში<sup>78</sup>—(პირველი თანხმომიანი)—ჭათჰით, შემდეგი—1, 196 სუქუნი; ჯრმი—ქესრით, ან—სუქუნი და წერტილებიანი შინი.

ძველი ქალაქი დიდი არმინის ერთ-ერთ ოლქში, ხილპტის მახლობლად. მის მცხოვრებთა უმეტესობას ქრისტიანი სომხები შეადგენენ. მისი გრძელი 66 გრადუსია, ერთი მესამედი და ერთი მეოთხედი, განედი—40 გრადუსი, ერთი მესამედი და ერთი მეოთხედი.

არჯრში უკავშირდება ჭაკრში<sup>79</sup> სწრაფ აბუ-ლ-ჰასან ალ-იბნ მუჰამმად იბნ მანსურ იბნ დანუდ ალ-არჯრში<sup>80</sup>. მისი დაბადებას ადგილია აბუ ისჰაკის ხანაკა<sup>81</sup>, არჯრშის ერთ-ერთ ოლქში. იგი შაჰის მიმდევარი<sup>82</sup> იყო. დადგა მუნღად<sup>83</sup> ჰალაბში<sup>84</sup> ზაჯჯაჯელთა მედრესეში<sup>85</sup>, კმაყოფილი მცირედი საზღაურით. და როდესაც მოუმატებდნენ მას რასმე, არ მიიღებდა და იტყოდა ამ მიტანილის შესახებ: ჩემთვის ესეც საკმარისია. მისი რაოდენობა 12 დირჰემს<sup>86</sup> უდრიდა. მე შევხვდი მას, დავრჩი მასთან ერთად მედრესეში და ვნახე დიდ მსახურებაში, მუდამ მღუმარე და ვუთხარი, თუ როგორ გამოაცა მე მისმა მშვენიერმა საქციელმა.

არდაბილი<sup>87</sup>—(პირველი თანხმომიანი)—ჭათჰით, შემდეგი—1, 197 სუქუნი, დალი—ჭათჰით, ბან—ქესრით, ან—უხმომიანი და ლანი.

ახერბაიჯანის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქალაქი. ისლამის გავრცელებამდე<sup>88</sup> იგი ამ მხარის დედაქალაქი იყო.

მისი გრძელი 80 გრადუსია, განედი—36 გრადუსი და 33 მიწუტი. მისი ტალია<sup>89</sup> ას-სიმჰი<sup>90</sup>. მისი ბაჰთ ალ-ჰაჰათი<sup>91</sup> პირველ გრადუსზეა ალ-ჰამალიდან<sup>92</sup>, ას-სარატანიდან<sup>93</sup> 12 გრადუსით ქვემოთ. ასევე: მისი მოპირდაპირე მხარე—ალ-ჯადიდან<sup>94</sup>, მისი ბაჰთ ალ-მულქი<sup>95</sup>—ალ-ჰამალიდან, მისი ნაკიბა<sup>96</sup>—ალ-მინჯანიდან<sup>97</sup>. იგი (არდაბილი) მეოთხე იკლმშია. ამბობს აბუ აენი თავის ზნჯში: მისი გრძელი 73 გრადუსია და ნახევარი, განედი—38 გრადუსი.

იგი ძალიან დიდი ქალაქია. მე ვნახე იგი 617 წელს<sup>98</sup> და ვპოვე ვრცელ, გაშლილ ადგილას, სადაც მის გარეთ და შიგნით

შიედინება რამდენიმე წყალუხვი მდინარე. მიუხედავად ამისა, აქ არ არის არც ერთი ხილის ხე, არც მის გარეთ, არც შიგნით და არც მთელს ამ სივრცეზე, რომელზედაც იგი მდებარეობს. თუ დაითესება ან დაირგვება აქ რაიმე ამის მსგავსი, არ იხარება, მიუხედავად ჯანსაღი ჰავისა, წყლის სიმტკნარისა და მიწის სიკეთისა. ესაა ყველაზე საკვირველი, რაც მე შინახავს. ქეშმარიტად, მიზეზი ამისა დაფარულია. ხილი აქ მხოლოდ მთის გადაღმიდან შემოაქვთ, ყოველი მხრიდან, რომელიც მისგან ერთი დღის ან მეტნაკლების სავალზეა. მასა და ხაზართა ზღვას შორის ორი დღის სავალია. მათ შორის ხშირი, უღრანი ტყეა. როდესაც მათ (მოსახლეობას) შეემთხვევათ რაიმე, თავს აფარებენ მას (ამ ტყეს) და იგი იცავს და იფარავს მათგან, ვისაც სურს მიაყენოს მათ ზიანი. იგია მათი თავშესაფარი. აქ ჭრიან ხე-ტყეს, რომლისგახაც ამზადებენ ხალანჯის<sup>99</sup> ჯამებსა და სინებს. ქალაქში მრავალი ხელოსანია მათ შესაკეთებლად და დასამუშავებლად. რაც ამ ქვეყანაში [ხე-ტყე] მოიპოვება, უფარგისია. ქეშმარიტად, ერთი ნაჭერიც კი არ მოიპოვება დაუზიანებელი და კარგი. მივედი მის ხელოსნებთან და მოვთხოვე დაუზიანებელი ნაჭერი. მათ მითხრეს. რომ ასეთი რამ არ არსებობს. ამაზე უკეთესი მხოლოდ რეიდან შემოაქვთ. მე მივედი მის ხელოსნებთან აგრეთვე და მრავლად ვნახე სალი ხე.

I, 198

იქიდან ჩემი წამოსვლის შემდეგ მას (ქალაქს) თავს დაესხნენ თათრები<sup>100</sup> და გაანადგურეს. მათსა და ქალაქის მოსახლეობას შორის იყო ბრძოლები. ისინი შესანიშნავად იცავდნენ თავს, ისე რომ უკუაგდეს თათრები ორგზის. შემდეგ მოუბრუნდნენ [თათრები] მათ მესამედ, მათ ვერ გაუძლეს, დაამარცხეს [თათრებმა] მოსახლეობა და დაიპყრეს იგი (ქალაქი) ძალით. [თათრები] თავს დაესხნენ მუსლიმებს. ამოხოცეს ისინი და არ დაუტოვებიათ არავინ. ვინც კი თვალში მოხვდათ. გადარჩა მხოლოდ ის, ვინც გადაიშალა. საშინლად ააოხრეს ქალაქი და შემდეგ გასცილდნენ მას. იგი საზარელი სანახავი იყო დანგრევისა და მოსახლეობის სიმცირის გამო. ახლა [თანდათანობით] დაუბრუნდა თავის პირვანდელ მდგომარეობას და უკეთესსაც კი და იგი თათართა ხელშია<sup>101</sup>.

ნათქვამია. რომ პირველი, ვინც დაარსა იგი, იყო მეფე ჭნრუში<sup>102</sup>, რომელმაც უწოდა მას ბაზნან ჭნრუში. ამბობს აბუ სალი<sup>103</sup>: შესაძლოა იგი (ქალაქი) დაკავშირებული იყოს არდაბნლიბნ არმინი იბნ ლანტე იბნ ჟუნანთან<sup>104</sup>.

მისი რიტლი<sup>105</sup> დიდია. მისი წონა 1040 ღირჰემია. მასა და სარწვეს შორის ორი დღის სავალია, მასა და თიბრწხს შორის—7 დღის სავალი, მასა და ხალხწწლს შორის კი—ორი დღის სავალი<sup>105ა</sup>. დაკავშირებულია მასთან მრავალი მეცნიერი ყოველი დარგისა<sup>106</sup>.

არდაშწტი<sup>107</sup>—ჩქითაბ ალ-ჭუთუჭში<sup>108ა</sup> [წერია]: და გაე- I, 199 მართა ჰაბწბ იბწ მასლამა<sup>109</sup> არჯწშიდან და მივიდა არდაშწტს,— ესაა კირმიზის სოფელი,—გადალახა ნაჭრ ალ-აქრადი<sup>110</sup> და დაბანაკდა დაბწლის ველზე.

არზანჯანი<sup>111</sup>—(პირველი თანხმოვანი)—ჭათჭით, შემდეგი— I, 205 სუჭუწით, ზწ—ჭათჭით, ნწწნი—სუჭუწით, ჯწმი, ალი-ჭი და ნწწნი. მისი მცხოვრებლები ამბობენ არზანჯან—ქწჭით.

ესაა მშვენიერი ქალაქი, ცნობილი, ჯანააღი, ყოვეთით მდიდარი და ხალხმრავალი, არმინიჯაში, რუწმის ქვეყანასა<sup>112</sup> და ხილწტს შორის, არზან რუწმის ახლოს. მისი მოსახლეობის უმეტესობა სომხებია. არიან მასში მუსლიმებიც. ისინი მის მცხოვრებთა შორის ყველაზე წარჩინებულნი არიან. ღვინის სმა და უკეთურება იქ საჯაროდაა გავრცელებული. აქედან გამოსულს არავის არ ვიცნობ.

არზანი<sup>113</sup>—(პირველი თანხმოვანი)—ჭათჭით, შემდეგი—სუ- I, 205 ქუწით, ზწ—ჭათჭით და ნწწნი. ამბობს აბუ ალი: რაც შეეხება არზანს და ადრამს; არაბული ენის ნორმის მიხედვით ჰამზა აქ მხოლოდ აფიქსალურია. მათი ფლექსიის დროს დასაშვებია ორი სახეობა: ერთი, როდესაც ზმნას არ ახლავს სუბიექტის ნიშანი, აქვს იწრაბი<sup>113ა</sup>, მაგრამ არ იღებს სარფს, მეორე კი, როდესაც აქვს მას სუბიექტის ნიშანი და უცვლელია.

ცნობილი ქალაქი ხილწტის ახლოს. მას აქვს გამაგრებული ციხე. ყველაზე უფრო დასახლებული ადგილი იყო არმინიის მხარეებს შორის. ამჟამად კი ჩემამდე მოაღწია, რომ ნგრევა მას აშკარად ეტყობა.

მას უკავშირდება ხალხი მეცნიერთაგან. შათგანაა: აბუ ღას- I, 206 სწწ აჯჯშ იბწ იბრწწწმ ალ-არზანწ<sup>114</sup>, რომელიც გადმოსცემდა ალ-ჰაჯსამ იბწ ადწწსა<sup>115</sup> და სხვებისაგან; ააჰა იბწ მუჰამმად ალ-არზანწ<sup>116</sup> ადწწი<sup>117</sup>, მშვენიერი კალიგრაფი, მართლწერისა და კლასიკური პოეზიის მცოდნე. მას ეკუთვნის შესავალი გრამატიკისა. ეს ისაა, რომელსაც იხსენიებს იბწ ჰაჯჯჯაჯი<sup>118</sup> თავის ლექსში და ამბობს: აღბეჭდილია ჩემს დავთარში ააჰა ალ-არზანწს ხელით;

დაპყრობილ იქნა იგი იაჯად იბწ ღანწმის მიერ<sup>119</sup> ალ-ჯაზწრას<sup>120</sup> დაპყრობის დამთავრების შემდეგ<sup>121</sup>, 20 წელს სულჭით, მსგავსად არ-რუჰწწს<sup>122</sup> სულჭისა.

მისი გრძელი 36 გრადუსია, განედი—34 გრადუსი და მეოთხედი.

**არზანარ-რუმი**<sup>123</sup> — მეორე ქალაქია ისევ არმენიაში. მისი მცხოვრებლები სომხები არიან. იგი ახლა უფრო დიდია და ვრცელი, ვიდრე პირველი. მას ჰყავს დამოუკიდებელი სულთანი, რომელიც იქ ცხოვრობს. იგი დიდი ვილაიეთია, ფართო სანახებიანი და მრავალსიკეთიანი. მათი პატრონის მიერ მისი სამწყსოსადმი სამართლიანად მოპყრობა აშკარაა, ოღონდ უკეთუობა, ღვინის სმა და ბოროტმოქმედება მათში გავრცელებულია. არ კრძალავს მას ამკრძალველი და არ ერიდება მას მხედველი.

I, 208 **არშაკი**<sup>124</sup> — (პირველი თანხმომიანი) — **ქათჰით**, შემდეგი — **სუქუნით**, წერტილებიანი **შინი** — **ქათჰით** და **კაქი**.

მთა მუკანის მიწაზე აზერბაიჯანის მხარეში, ბაზუთან, ბნაქ ალ-ხურამის ქალაქთან. იხსენიებს მას აბუ თამში, აღიღებს რა აბუ საწრდ მუჰამმად იბნ აუსუსჰ ას-სადრის.

I, 210 **არკანიჯა**<sup>125</sup> — ხაზართა ზღვის სახელი. გარდა ამისა, მას აქვს სხვა სახელებიც, რომლებიც მოხსენიებულია ხაზართა ზღვასთან. არისტოტელი მას არკანიჯას უწოდებს, ასე ამბობს აბუ-რ-რეჰმანი<sup>126</sup>.

I, 216 **ურმუ**<sup>127</sup> — (პირველი თანხმომიანი) — **დამმით**, შემდეგი — **სუქუნით**.

მხარე აზერბაიჯანში. აქ შეიკრიბა ხალხი არმანთაგან და სხვათაგან საწრდ იბნ ალ-ანსსთან<sup>128</sup> საბრძოლველად, როდესაც იგი თავს დაესხა მას. და გაგზავნა მათ წინააღმდეგ საწრდმა ჯარირ იბნ აბდ ალლჰ ალ-ბაჯალრ<sup>129</sup>, რომელმაც დაამარცხა ისინი და ჯვარს აცვა მათი მეთაური<sup>130</sup>.

I, 218 **ურმიჯა**<sup>131</sup> — (პირველი თანხმომიანი) — **დამმით**, შემდეგი — **სუქუნით**, **ჯა უთეშდრდო** — **ქათჰით** და **ჰა**. ამბობს ალ-ჰარისი<sup>132</sup>: რაც შეეხება მათ აზრს ქალაქ ურმიჯას სახელის შესახებ, არაბული ენის ნორმების მიხედვით დასაშვებია **ჯა უთეშდრდო** და **თეშდრდითაც**. ვინც ხმარობს მას **უთეშდრდოდ**, მისი აზრით ჰამჰა ძირეულია. **ჯა-ს** წესია, რომ იგი ვახდეს ვაწვი **ჯაბრაჯნი** სიტყვისა და მის მსგავსთა მიხედვით. ოღონდ თუ სიტყვა არ იხმარება როგორც მდებრობითი, მაგ., **უნსუვათ**, ვაწვი იცვლება **ჯა-დ**, როგორც **არკუვას** მრავლობითში, როცა ამბობენ — **არკი**. თქვა: **ჰათთა თაკადდ** **არკი** დ-დ ულლ. პოეზიაში დასაშვებია რომ **ჯა იყოს** ნისბისა და იყოს **უთეშდრდო**, როგორც ამბობს იბნ ალ-ხუვარ



აღ-წაღწე აზ-ზაქარი<sup>133</sup>. ხოლო ვინც ხმარობს ან-ს თეშდნდით, ჰამზას ორგვარად განიხილავს. ერთ შემთხვევაში, არაძირეულად თითქოსდა იყოს ნაწარმოები უძე-ულათ ტიპის მიხედვით რამადათუსაგან, და მეორეში კი, როგორც ღი-ლიდაათ I, 219 ფორმას ნაწარმოებს ირამინ და ურუმისაგან — მაშინ ჰამ-ზა იქნება პირველი ძირეული. რაც შეეხება მათ აზრს კაცის სა-ბელის ირმიდას შესახებ, არაბულში არ გვაქვს იძე-ილ-ს ტიპი და არ მოსდის მას ის, რაც მოსდის ურმიდას ვანვისაგან მიღე-ბული ან-ს არსებობით. ვერა ხედავ, რომ სახელი, რომელსაც დაერთვის მდებარეობითი სქესის ალიძე უფლებქსია და არ ჰგავს (ალიძე) ან-ს, რომელიც ხან მდებარეობითია და ხან მამრო-ბითში<sup>134</sup>?

ურმიდა დიდი, ძველი ქალაქის სახელია აზერბაიჯანში. მასა და ტბას შორის დაახლოებით სამი ან ოთხი მილია<sup>135</sup>. ის, რო-გორც ამბობენ, ზარადუშთას<sup>136</sup>, მაჯუსების<sup>137</sup> წინასწარმეტყვე-ლის ქალაქია. ვნახე მე იგი 617 წელს. ლამაზი ქალაქია, მრავალ-სიკეთიანი, მდიდარი ხილითა და ბაღებით, ჯანსაღი ჰავით, უხვ-წყლიანი, ოღონდ არ არიან მომწყვდილი სულთნის მიერ მისი სისუსტის გამო—იგია უხბეკ იბნ ალ-ჰაჰლავან იბნ ილდაქიზი<sup>138</sup>.

მასა და თიბრზს შორის 3 დღის სავალია, მასა და ირბილს შორის—7 დღის სავალი. რაც შეეხება ურმიის ტბას, იგი,—თუ მოისურვებს ალლჰი,—მოხსენიებულ იქნება ურმიის ტბასთან.

ნისბა ურმიისა არის ურმავე. უკავშირდება მას მრავალი, მათგან: აბუ აბდ ალლჰა ალ-ჰუსეინ იბნ აბდ ალლჰა იბნ მუჰამ-მად იბნ აშ-შუვახ ალ-ურმავე<sup>139</sup>, რომელიც ჩავიდა მისრში<sup>140</sup> და აღესრულა იქ 460 წელს<sup>141</sup>; აბუ-ლ-ჰადლ მუჰამმად იბნ რომარ იბნ აჟსუჰ ალ-ურმავე ალ-ბადლანდ<sup>142</sup>, რომელიც უსმენდა აბუ-ლ-ჰუსეინ მუჰამმად იბნ ალ-იბნ ალ-მუჰთადინ ალ-კანდინს, აჰმად იბნ მუჰამმად იბნ აჰმად იბნ ან-ნაჰურ ალ-ბაზზაზს, აბუ-ლ-ლანაჰიმ აბდ ას-სამდ იბნ ალ-იბნ ალ-მაჰმუნს, აბუ-ლ-კასიმ ალ-იბნ აჰმად იბნ მუჰამმად იბნ ალ-აჟსრს, აბუ ბაქრ აჰმად იბნ ალ-იბნ სნბით ალ-ხატინ ალ-ჰაჰინს, აბუ-ლ-კასიმ აჟსუჰ იბნ მუჰამმად ალ-მიჰ-რავენინს და სხვებს მათ გარდა<sup>143</sup> და სწავლობდა ღიკჰს შეიხ აბუ ისჰაკ აშ-შინაზინსთან<sup>144</sup>. დანიშნულ იქნა ქალაქ ნაჟლის<sup>145</sup> ყადიდ<sup>146</sup>. გარდაიცვალა 547 წელს<sup>147</sup> რეჯების<sup>148</sup> თვეში, დაიბადა 459 წელს<sup>149</sup>. იგი შაფიიტი იყო; მუჰაჰმად იბნ აჟსუჰ ალ-ურმავე<sup>150</sup>, მუჰადლი-ბი<sup>150</sup>, რომელიც გადმოსცემდა აბუ-ლ-კასიმის ალ-ჰანინისა და სხვათა-გან; ძე მისი აჟსუსი, რომელიც იყო საუკეთესო ქათიბი<sup>151</sup> დივანის<sup>152</sup>

დახელოვნებულ ქათობთა შორის. დანიშნულ იქნა იგი დივანის მეთვალყურედ ბაღდადში<sup>153</sup> ნასირ ლი-დ-დინ ალლჰის მიერ<sup>154</sup>.

I, 219 არმინია ან ირმინია<sup>155</sup>—(პირველი თანხმომავნი)—ქესრით ანდა ჭათჭით, მეორე—სუქუნით, მემი—ქესრით, ან—სუქუნით, ნუნი ქესრით, ან უთეშდოდო—ჭათჭით.

I, 220 დიდი, ვრცელი მხარის სახელი ჩრდილოეთში. მისი ნისბა არმინი, წესისაგან განსხვავებით—ჰამზა ჭათჭით და მემი—ქესრით. ერთ-ერთ პოეტს წარმოუთქვამს (ასეთი) ლექსი:

რომ დასწრებოდა უმმუ-ლ-კუდადი ჩვენს ბრძოლას მარაშში, ააჭიხენებდა არმინიელის ცხენებს.

ისმარლ იბნ ჰამმადი<sup>156</sup> [ამ ნისბას] გადმოსცემს ორივე თანხმომავანთან ჭათჭით. ამბობს აბუ ალ<sup>157</sup>: [სიტყვა] არმინიაში, თუ მივეყენებთ მას არაბული ენის ნორმებს, ჰამზის წესია, რომ თუ იგი იქნება აფიქსალური, უნდა ჰქონდეს ქესრა, როგორც მაგალითად: იჯჰნლ, იხრნტ, იტრნჰ და მის მსგავს სიტყვებში, შემდეგ მას დაერთვის ნისბის ან და მდედრობითის თან. ნორმის მიხედვით მისი ნისბა იქნება არმინი. ოღონდ, როდესაც რანს შემდეგ გვაქვს ისეთივე [ბგერა], როგორც ჰანს შემდეგ სიტყვა ჰანნჭათში, ან იკარგება, როგორც იკარგება ჰანნჭათიდან ნაწარმოებ ნისბაში, ნისბის ან ისეთივეა, როგორც მდედრობითის თან ჰანნჭათში, ისევე როგორც რჰმნ და რჰმ, სინდრ და სინდ, ანდა შეიძლება იყოს მსგავსი ბადავისა და მისთანათა, რომლებიც იცვლებიან ნისბაში<sup>158</sup>.

მოგზაურები აღნიშნავენ, რომ არმინია ეწოდა [ამ ტერიტორიას] არმინი იბნ ლანტა იბნ აემარ იბნ ანჰეს იბნ ნჰჰის<sup>159</sup>, მშვიდობა მას,— მიხედვით. იგი იყო პირველი, ვინც ჩამოვიდა და დასახლდა იქ.

ამბობენ: არის ორი არმინია—დიდი და მცირე. ორივეს სახელებია ბარზაადან ბაბ ალ-აბუნამდე, ხოლო მეორეს მხრივ—რჰმის ქვეყნამდე, კაბკის მთამდე და სარრის სამფლობელომდე. ამბობენ [აგრეთვე], დიდი არმინიაა ხილტი და მისი სანახები, მცირე კი—თბილისი და მისი სანახები. [იმასაც] ამბობენ, რომ არის სამი არმინია, [ზოგის აზრით]—ოთხიც. პირველია—ბაღდაქანი, კაბალა, შირვანი და ის, რაც მათ ეკვრის, ისიც ითვლება აგრეთვე მის ნაწილად; მეორეა—ჯურზანი, სულდაბნლი, ბაბ ჭნრჰჰ კუბზი და ალ-ლაქზი; მესამეა—ბუსჰჰურჯანი, დაბნლი, სირაჯ ტაარი, ბაღრაყანი და ნაშავა; მეოთხე არმინიაშია საჰენ იბნ მუატიტალის<sup>160</sup>, მოციქულის თანამოღვაწის,— ალლჰიმც აკურთხებს

მას და მიესალმება,—საფლავი, რომელიც მდებარეობს ზიჯდის ციხის მახლობლად, და სადაც ხარობს ხე, რომელიც არავინ იცის თუ რა არის. მას აქვს ნაყოფი, მსგავსი ნუშისა, იჭმება ქერქიანად და ძალიან გემრიელია. მეოთხე [არმინიჯაშია] შიმშატი, კალნკალნ, არჯრში, ბაჯუნაასი. ოლქები არრანისა და სრსაჯანისა, დაბნლისა, ნაშაფანის, სირაჯ ტაარის, ბაღრაევანდის, ხილნტისა და ბაჯუნაასისა, შედის რუშმის სამეფოში. დაიპყრეს იგი რუშმებმა და შეუერთეს შირვანის სამეფოს, რომელშიც მდებარეობს კლდე მუსასი,—შმვილობა მას,— სიცოცხლის წყაროს მახლობლად<sup>161</sup>.

„მალჰამაში“<sup>162</sup>, რომელსაც მიაკუთვნებენ პტოლემეს, ვპოვე, რომ დიდი არმინიის გრძელი 78 გრადუსია, განედი—38 გრადუსი და 20 მინუტი. შედის იგი მეხუთე იკლიშში. მისი ტალინი 19 გრა- I, 221  
დუსზეა ას-სარატანიდან, მოპირდაპირე მხარე კი—15 გრადუსზე ალ-ჯადიდან. მისი ცის ცენტრი 15 გრადუსზეა ალ-ჰამალიდან. მისი ბაათ ალ-ჰამათი—15 გრადუსზე ალ-მინანიდან. ამბობს: მცირე არმინიის დედაქალაქის<sup>163</sup> გრძელი უდრის 75 გრადუსს და 50 მინუტს, განედი—45 გრადუსს. მისი ტალინი 20 გრადუსზეა სარატანიდან. ასევეა: მისი მოპირდაპირე მხარე ალ-ჯადიდან, მისი ბაათ ალ-მულქი—ალ-ჰამალიდან, მისი ბაათ ალ-წაქიბა — ალ-მინანიდან. მას აქვს წილი ალ-წავეაშის<sup>164</sup> და ად-დუბბ ალ-აქბარის<sup>165</sup> თანავარსკვლავედებში, [აგრეთვე] ალ-ჰუზის<sup>166</sup> თანავარსკვლავედში. ეს (ჰუზი) კი ბრძენთა ვარსკვლავია. და არ დაიბადება არასდროს არავინ, რომლის ტალინი ჰუზია ისე, რომ ბრძენი არ იქნეს. მასზე დაიბადა პტოლემე, ბუქრათი და ევკლიდი<sup>167</sup>. ეს ქალაქი მდებარეობს ბრძენთა ქალაქის მოპირდაპირე მხარეს, რომელსაც გარს უვლის ოთხი ნაწილი მთელი ბანათ ნაწის<sup>168</sup> თანავარსკვლავედისა. მასში ჯანსაღი ჰავაა და ყველას, ვინც იქ ცხოვრობს, გაგრძელებული აქვს სიცოცხლე ნებითა ალლაჰისათა, — მაღალიმც არს იგი. ყველა ეს ცნობები პტოლემეს „მალჰამადანა“.

სპარსულ წიგნებში<sup>169</sup> კი [წერია] რომ: ჯურზანი და არრანი ხაზართა ხელთ იყო, არმინიის დანარჩენი ნაწილი კი—რუშმის ხელთ. განაგებდა მას მისი მფლობელი არმინაკოსი<sup>170</sup>. [ამიტომ] უწოდეს მას (ამ ტერიტორიას) არაბებმა არმინაკი.

ხაზარები [ხშირად] გამოდიოდნენ, თავს ესხმოდნენ მეზობელ ქვეყნებს და ზოგჯერ აღწევდნენ დინავარამდე<sup>171</sup> კი. და გაგზავნაკუბაზ იბნ ჭირუშ მეფემ თავისი ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი 12 000 კაცით. მან გადათელა არრანის ქვეყანა და დაიპყრო ის, რაც არის არ-რასსად წოდებულ მდინარესა და შარვანს შორის. შემდეგ მივიდა კუბაზი და აამენა არრანში ქალაქი ბაღლაკანი და

ქალაქი ბარზანა, — ყველა ეს სასახლეგრო ქალაქებია, — და ქალაქი კაბალა. განდევნა ხაზარები, ააგო ზღუდე გამოუმწვარი ავურისაგან შარვანსა და ალ-ლანს შორის და ააშენა ამ ავურის ზღუდესთან 360 ქალაქი<sup>172</sup>, რომლებიც დანგრეულ იქნა ბზბ ალ-აბგვბის დაარსების შემდეგ. კუბანის შემდეგ გამეფდა ძე მისი ანუ შირვანი<sup>172ა</sup>, რომელმაც ააშენა ქალაქი შნაბარანი და ქალაქი მასკატი, შემდეგ ააშენა ბზბ ალ-აბგვბი, რომელსაც აბგვბს (კარებს) მხოლოდ იმიტომ უწოდებენ, რომ აშენებულა მთაზე გადასასვლელ გზებზე. და ყველა ის ადგილი, რაც ააშენა, დაასახლა ხალხით, რომელთაც უწოდა სიმაჯუნები<sup>173</sup> და ააშენა არრანის ქვეყანაში კარნი შაქქისა და კამირანისა<sup>174</sup> და კარები დუღანისა<sup>175</sup>. ესაა ხალხი, რომელთა შესახებ ამბობენ, რომ ისინი დუღან იბნ პასად იბნ ხუზაჰმა იბნ მუდრაქა იბნ ალ-მანს იბნ მუდარ იბნ მაადდ იბნ ლანანის შთამომავალი არიან. და ააშენა [აგრეთვე] დურხუქია<sup>176</sup>. ესაა 12 კარი. ყველა კარზე არის კოშკი I, 222 ქვისაგან. და ააგო ჯურზანის მიწაზე ქალაქი, რომელსაც ეწოდება სულდაბნლი, ჩამოიყვანა მასში ხალხი სოლდელთაგან და სპარსელთაგან და აქცია იგი მასლაჰად<sup>176ა</sup>. და ააშენა ჯურზანში იმ მხარეს, რომელიც ეკვრის რუმს, ციხე წოდებული ბზბ ჭირუხ კუბანად, და ციხე რომელსაც ეწოდება ბზბ ლზიქა<sup>177</sup>, და ციხე რომელსაც ეწოდება ბზბ ბარიქა<sup>178</sup> და რომელიც მდებარეობს ტარაბიზუნდას ზღვაზე. ააშენა [აგრეთვე] ბზბ ალ-ლანი და ბზბ სამსახნი<sup>179</sup> და ციხეები ალ-ჯარდამანი<sup>180</sup> და სამშულდა<sup>181</sup>. დაიპყრო არმინის მთელი ის ნაწილი, რაც იყო რუმის ხელთ და დაასახლა ქალაქი დაბნლი და ქალაქი ნაშავა — ესაა ნაკჯავანი. იგია ქალაქი ბუსტურჯანის ოლქში. და ააშენა ციხე ვაჰსი<sup>182</sup> და ციხეები სისაჯანში, მათ შორის, ციხე ქილანი და შნაბუში<sup>183</sup> და დაასახლა ეს ციხეები და სიმაგრეები გულადებითა და მამაცებით<sup>184</sup>. არმინია განუწყვეტლივ იმყოფებოდა რუმის ხელთ ისლამის გავრცელებამდე. არმინიის დაპყრობის შესახებ კი მოთხრობილია თავთავის ადგილას თითოეულ ქალაქთან დაკავშირებით.

გადმოგვცემს იბნ ვაღიჰ ალ-ისბაჰანი<sup>185</sup>, რომ იგი იყო ამ მხარის მრავალი მეფის ქათიბი, მან დიდხანს დაჰყო არმინიაში და არ უნახავს ქვეყანა უფრო ვრცელი და უფრო დასახლებული. ამბობს: მისი სამეფოების რიცხვი 118-ს უდრის. მათგანაა სარნის პატრონი და მისი სამეფო, ალ-ლანსა და ბზბ ალ-აბგვბს შორის. მისკენ მისასვლელი მხოლოდ ორი გზაა, გზა ხაზართა ქვეყნისაკენ და გზა არმინიისაკენ. მასში 18 000 სოფელია. არრანი მისი პირველი სამფლობელოა არმინიაში. მასში 4 000

სოფელია, რომელთა უმეტესობა სარწრის პატრონს ეკუთვნის. დანარჩენი სამეფოები კი რაც ამათ შორისაა, აღემატება 4 000 და არ ეკუთვნის სარწრის პატრონს. მათგანაა შირვანი, რომლის მეფესაც ეწოდება შირვან შაჰი<sup>186</sup>.

ჰკითხეს ერთ-ერთ სპარსელ მეცნიერს აპრართა<sup>187</sup> შესახებ, რომლებიც არიან არმინიაში, რატომ ეწოდათ მათ ასე. უპასუხა: ისინი არმინიის წარჩინებულები იყვნენ ვიდრე დაიპყრობდნენ მათ სპარსელები. სპარსელებმა იმის შემდეგ, რაც დაეუფლნენ მას, გაათავისუფლეს ისინი და დაამკვიდრეს თავიანთ ვილაიეთებში. ისინი განსხვავდებიან სპარსელ აპრართაგან, რომლებიც არიან ამანსა<sup>188</sup> და ჭარსში<sup>189</sup>. მათზე არასოდეს არავინ არ მბრძანებლობდა ისლამამდე და ეწოდათ მათ აპრარები მათი პატივის გამო.

[არმანი] ამ ნისბით იწოდება ხალხი მეცნიერი, რომელთაგანაცაა აბუ აბდ ალლჰაჰ ისნ იბნ მალიქ იბნ შიმრ ალ-არმანი<sup>190</sup>, მოგზაური მისრსა და მალრიბში<sup>191</sup>.

არვანი<sup>192</sup>—წერტილიანი ხე-თი.

I, 224

ციხე ზავაზანის მხარეში. ეკუთვნის მავსილის მფლობელს.

ისბნჯარუში<sup>193</sup>—თეთრ მდინარეს ნიშნავს. ცნობილი მდინა-

რის სახელია აზერბაიჯანის ერთ-ერთ ოლქში. მისი სათავე ჭარსნთან ახლოსაა. ჩადინება ჯურჯანის ზღვაში.

ამბოზს ისტახრ<sup>194</sup>: ისბნჯარუში არდაბნლსა და ზანჯანს<sup>195</sup> შორისაა. ესაა მდინარე, რომელიც ხომალდებისათვის სანაოსნოდ პატარაა. მისი სათავე დაჟამის ქვეყანაშია. მიედინება ციხის ქვემოთ, რომელიც ცნობილია სალლარის ციხის<sup>196</sup> სახელით,—ესაა სამირანი. ამბოზს მონა ალლჰაჰისა, მისი წყალობის მოხოვნილი<sup>197</sup>, მე ვნახე იგი სხვადასხვა ადგილებში.

ასბნრანი<sup>198</sup> —(პირველი თანხმოვანი) — ჭა თ ჰ ი თ, შემდეგი I, 239 ს უ ქ უ ნ ი თ, ბ ვ — ერთწერტილიანი ქესრი თ, ა ნ — უხმოვნი, რ ნ — ჭა თ ჰ ი თ და ნ უ ნ ი.

ცნობილი ქალაქი არზან რუმის სანახებში, არმინიაში.

უხტანი<sup>199</sup> —(პირველი თანხმოვანი) — და მ მ ი თ, შემდეგი— I, 245 ს უ ქ უ ნ ი თ და ბოლოში ნ უ ნ ი.

ცნობილი ციხე ხილატის სანახებში არმინიაში.

უშნუ<sup>200</sup>—(პირველი თანხმოვანი)— და მ მ ი თ, მეორე— ს უ ქ უ . I, 284 ნ ი თ, ნ უ ნ ი — და მ მ ი თ და ჰ ნ უ წერტილო.

ქალაქი აზერბაიჯანის საზღვარზე ირბილის მხრიდან, რომელიც მე მინახავს. მასა და ურმიას შორის 2 დღის სავალია, მასა და ირბილს<sup>201</sup> შორის—5 დღის. იგი ირბილსა და ურმიას შორისაა,

ბალებიანი [ქალაქია]. იქაა მსხალი, ყველა მის ჯიშზე უკეთესი. იგი გააქეთ ყველა მეზობელ მხარეებში. მაგრამ, დანგრევის კვალი [ქალაქს] აშკარად ემჩნევა. ჩავედი იქ თაბრნის გავლით 617 წელს.

მის ნისბას უკეთებენ მუჰადღისები<sup>201</sup> რავეების<sup>202</sup> კრებულს სამგვარად: უშნანნი—ასე აქვს ნაწარმოები ნისბა აბუ ჯაჰარ მუჰამად იბნ ამრ იბნ ჰაჰს ალ-უშნანის, რომლისგანაც გადმოსცემს აბუ აზდ ალლაჰ ალ-ლუნჯარნი<sup>203</sup>. და იგი იქიდანაა.

ამბობს მუჰამად იბნ ტაჰირ ალ-მუჰადღასნი<sup>204</sup>, თქვა: მინახავს, რომ ნისბას ამ სოფლიდან ასე აწარმოებენ—ალ-უშნუჰნი, მაგრამ ასე აწარმოებს ნისბას აბუ სა'დ ალ-მალნინი<sup>205</sup> ზოგიერთ თავის „თახრინჯში“<sup>205</sup>. თქვა: ზოგჯერ ამბობენ ჰამზას ალიჰის შემდეგ და ამბობენ—უშნაჰნი—წესის გარეშე. მას (ამ ქალაქს) უკავშირდება ჰაკიჰი აზდ ალ-ნაზიზ იბნ ალნი ალ-უშნუჰნი აშ-შაჰანი<sup>206</sup>, რომელიც სწავლობდა ჰიკჰს აბუ ისჰაკ იბრანში იბნ ალნი ალ-ჰირუზაბაზისთან<sup>207</sup> და ისმენდა ჰადისებს აბუ ჯაჰარ იბნ მასლამასგან. მან შეადგინა „მუხთასარ ჰნი ლ-ჰარაიდი“<sup>207</sup>, და გააუქმებდა იგი.

I, 306 ატრნაზუნდა<sup>208</sup> — (პირველი თანხმომიანი) — ჰათჰით, შემდეგი—სუჰჰანი. რა, ალიჰი, ერთწერტილიანი ბა—ჰათ-  
I, 307 ჰით, ზა—დამმით, ნუნი—სუჰჰანი, დალი უწერტილო და ჰა.

ქალაქი რუმის ცნობილ ქალაქთაგან ალ-კუსტანტინიას ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე — იგი ცნობილია ბუნტუსის ზღვის სახელით. ამ ქალაქამდე აღწევს კაბკის მთა, რომელსაც შემდეგ ჰრის ზღვა. იგი (ქალაქი) დაჰყურებს ზღვას და მისი წყალი გარს უვლის მას, ვითარცა ხანდაკი, ამოთხრილი მის ირგვლივ მთლიანად. მას აქვს ხიდი. როდესაც თავს ესხმის მათ მტერი, შლიან მას (ამ ხიდს). მას (ქალაქს) აქვს ვრცელი რუსთავი<sup>208</sup>. მის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს ქალაქი ქარსინდა<sup>209</sup>, ამ ზღვის დასავლეთ სანაპიროზე. მის მცხოვრებთა უმეტესობა ბერებია. იგი ალ-კუსტანტინიას<sup>209</sup> ერთ-ერთი ოლქია. მისი ვილაიეთი მთლიანად დასერილია მთებით.

I, 331 აჰლულუნიჰა<sup>210</sup> — (პირველი თანხმომიანი) — ჰამზითა და ჰათჰით, ზა—სუჰჰანი, ლამი—დამმით, ვავი—სუჰჰანი, ლახნი წერტილიანი, მეორე ვავი უხმოვნო, ნუნი, ჰა და ალიჰი.

დიდი ქალაქი არმანთა ქვეყანაში, არმინის ერთ-ერთ ოლქში. ცნობილი არაა, რომ აქედან ოდესმე ვინმე ღირსეული გამოსუ-

ლიყო. ამ ქალაქს რუსთაყები და გამაგრებული ციხეები აქვს, მათ შორის, ციხე, წოდებული ვარინანად<sup>211</sup>, რომელიც მდებარეობს შუა ზღვაში მთის მწვერვალზე და მიუწვდომელია. იქ არის მდინარე, რომელიც ჩაედინება მიწაში და უწოდებენ მას ნისინდინის<sup>212</sup> მდინარეს. სპილოს ავადმყოფობა მათ ხალხში სწრაფად ვრცელდება, რადგანაც უმეტესი ნაწილი მათი საქმელისა კომბოსტოა<sup>213</sup> და ჯირკვალი მათი თანდაყოლილი თვისებაა. [მათ ჩვეულებად აქვთ] მომსახურება სტუმრისა, გამასპინძლება და კეთილი მორჩილება ბერებისა ისე რომ, როდესაც რომელიმე მათგანს აღსასრული დაუდგება, მოაყვანიან მღვდელს. ჩააბარებს მას ქონებას და ეტყვის აღსარებას. და ითხოვს შენდობას მისთვის მღვდელი, თავს იდებს მის პატიებასა და შენდობას მისი ცოდვებისას. ამბობენ, რომ მღვდელი გადააჟარებს სამოსელს და ყოველთვის, როდესაც ავადმყოფი ასახელებს ცოდვას, გაიშვებს მღვდელი ორსავე ხელს. როდესაც გათავდება აღსარება, მღვდელი დაადებს ერთ ხელს მერჯზე, თითქოს უჭირავსო რაიმე და შემდეგ გადააგდოო მიწაზე. და როდესაც მორჩება მისი ცოდვების აღიარებას, აიკრეფს მღვდელი ქალთას და გარეთ გავა. ესე იგი, ავკრიფეო შენი ცოდვები ამ ტანსაცმელში, წაიღებს და დაბერტყავს ველზე. ესაა უცნაური, უცხო ჩვეულება<sup>213ა</sup>.

აკშუნა<sup>214</sup> — უნი წერტილებიანი და სწ — სამწერტილიანი. I, 343

ციხე-სიმაგრე. მე ვფიქრობ, არმინიანია. იხსენიებს მას აბუთამში აბუ საინდ ას-საღრისადმი მიძღვნილ ქებაში:

ულთა<sup>215</sup> — ჰამზა — დამით, ლამი — სუქუნით და თნ I, 350  
ორი წერტილით ზემოთ.

გამაგრებული ციხე და ქალაქი თბილისის მახლობლად. მასა და არხან რუმს შორის სამი დღის საგალია.

ალ-ლანი<sup>216</sup> — ჭათჰით, ბოლოში — ნუნით. I, 350

ქვეყანა ვრცელი და ხალხი მრავალი. მათი ქვეყანა ესახლვრება დარბანდს კაბკის მთაზე. არ არის იქ დიდი და ცნობილი ქალაქი. მათ შორის არიან მუსლიმები, თუმცა ქარბობენ ქრისტიანები. მათ არ ჰყავთ ერთი მეფე, რომელსაც ისინი დაემორჩილებოდნენ, არამედ ყველა ტომს ჰყავს მეთაური. ისინი სასტიკნი, უხეშნი და მოუფიქრებელნი არიან. გადმომცა თბილისის ყადის ვაჟიშვილი: ავად გახდა ერთი მათი წარჩინებული ბელადთაგანი და ჰკითხა I, 351  
მას ერთ-ერთმა მასთან მყოფმა: რა დაგემართა? მიუგეს: ამ ავადმყოფობას ეწოდება ელენთის ავადმყოფობა. ესაა ძლიერი ქარი, რომელიც დაეუფლება ამ ორგანოს და ასიებს მას. თქვა: მინდა მისი ნახვა. შემდეგ აიღო დანა, გაჰკვეთა ეს ადგილი, ამოიღო

ელენთა თავისი ხელით, ნახა იგი და სურდა ამ ადგილის გაკერვა (ისევ), მაგრამ (ავადმყოფი) მაშინვე გარდაიცვალა.

თქვა ალბინი ალ-ჰუსეინმა<sup>217</sup>: არა, სარირის ბატონის სამეფო ესაა ალ-ლანის სამეფო და მისი მეფე იწოდება ქარქუნდნაჰად. ეს სახელი ყველაზე უფრო გავრცელებულია მათ მეფეთა სახელებში, ისევ, როგორც ჭინღანშაჰი სარირის მეფეთა სახელებში.

ალ-ლანთა სატახტო ქალაქს ეწოდება მალსი და ნიშნავს სარწმუნოებას. მას აქვს კოშკები და სასეირნო ადგილები ქალაქს გარეთ, სადაც გადადის ხოლმე საცხოვრებლად [მათი მეფე].

ალ-ლანის მეფეებმა ისლამის გამოჩენის შემდეგ, აბასიანთ ბატონობის დროს<sup>218</sup> მიიღეს ქრისტიანობა. ამაზე აღრე კი ისინი წარმართები იყვნენ. ხოლო 320<sup>219</sup> წლის შემდეგ, ისინი ქრისტიანობიდან კვლავ დაუბრუნდნენ იმას, რასაც წინათ ადგნენ და განდევნეს ეპისკოპოსები და მღვდლები, რომლებიც გაუგზავნა მათ რუმის მეფემ.

ალ-ლანთა სამეფოსა და კაბკის მთას შორის არის ციხე და ხიდი, [გადებული] დიდ მდინარეზე. ამ ციხეს ბაბ ალ-ლანის ციხე ეწოდება. ააშენა იგი ერთ-ერთმა ძველმა სპარსელმა მეფემ, სინდბად იბნ ბუშთასჰ იბნ ლაჰურასჰმა<sup>220</sup> და განაწესა იქ კაცები, რომლებიც ალ-ლანებს არ უშვებდნენ კაბკის მთასთან. მათ კი არ ჰქონდათ [სხვა] გზა ამ ხიდის გარდა ციხის ქვემოთ. ციხე აგებული იყო საღ კლდეზე და არავითარი საშუალება არ არსებობდა მის ასაღებად. ვერაფერ ვერ მიაღწევდა მას, თუ არ იმის ნებით, ვინც იყო ამ ციხეში. ციხეს აქვს მტკნარი წყლის წყარო, ამომდინარე მის შუაგულში კლდის ზემოთ. ესაა ერთ-ერთი ციხე, რომელიც კი ქვეყანაზე აღწერილი ყოფილა. მას იხსენიებენ სპარსელები თავიანთ ლექსებში<sup>220ა</sup>.

მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქმა<sup>221</sup> მიაღწია ამ ადგილს, დაეუფლა ამ ციხეს და ჩაასახლა იქ ხალხი არაბთაგან ამ საზღვრამდე, ამ ადგილის დასაცავად. საზრდო მათთვის თბილისიდან მოჰქონდათ. მასა და თბილისს შორის რამდენიმე დღის სავალია. თუნდაც რომ ერთი კაცი ყოფილიყო ამ ციხეში მას შემდეგ ხელი შეეშალა მთელი ქვეყნის მეფეებისათვის ამ ადგილის გადალახვაში, რადგან ეს ციხე გადმოკიდებულია ცაში და დაჰყურებს გზას, ხიდსა და ხეცს<sup>221ა</sup>.

ალ-ლანთა მმართველს 30 000 მხედარი ჰყავდა, ასე გადმოსცემს ზოგიერთი ისტორიკოსი. რაც შემეხება მე, საწყალს, ვკითხე მას, 1,352 ვინც მოვლო ეს ქვეყანა და მან შემატყობინა ის, რაც მე დასაწყისში ვახსენე.



**ალკნ<sup>222</sup>** — (პირველი თანხმოვანი) — **ჭ ა თ ჰ ი თ**, შემდეგი — I, 352 ს უ ქ უ ნ ი თ, კ ა ჭ ი — ქ ე ს რ ი თ და ა ნ.

გამაგრებული ციხე ზავაზანის მხარის ციხეებიდან. ეკუთვნის მავსილის მფლობელს.

**უნარი<sup>223</sup>** — **ჭ ა მ ზ ა** — **და მ მ ი თ**, ნ უ ნ ი — უ თ ე შ დ ნ დ ო, ა ლ ი - I, 367 ჭ ი და რ ა.

პატარა ქალაქი, მდიდარი წყლებითა და ბალებით, აზერბაიჯანის ერთ-ერთ ოლქში. მასა და არდაბნლს შორის 7 ფარსახია მთაში [სავალი]. არდაბნლში ხილი უმთავრესად აქედან შეაქვთ. ითვლება ბნშქინის<sup>224</sup>, აპრუსა და ვარაგნის მფლობელის გამგებლობაში. მე მინახავს იგი.

**უნჯუ<sup>225</sup>** — (პირველი თანხმოვანი) — **და მ მ ი თ**, შემდეგი — ს უ - I, 371 ქ უ ნ ი თ და ჯ ო მ ი.

ოლქი ზავაზანის მხარეში, მავსილსა და არმინიას შორის.

**უჯი<sup>226</sup>** — (პირველი თანხმოვანი) — **და მ მ ი თ**, შემდეგი — ს უ ქ უ - I, 399 ნ ი თ და დ ა ლ ი წ ე რ ტ ი ლ ი ა ნ ი.

ქალაქი არაგვის მხარეში სულაჰმან იბნ რაბინას მიერ დაპყრობილი.

**უნეკი<sup>227</sup>** — (პირველი თანხმოვანი) — **და მ მ ი თ**, შემდეგი — ს უ - I, 408 ქ უ ნ ი თ, ნ უ ნ ი — ქ ე ს რ ი თ, ა ნ — უ ხ მ ო ვ ნ ო და კ ა ჭ ი.

გამაგრებული ციხე ბანინის ოლქში, არზან რუმის მიწაზე. მასთან მოხდა ბრძოლა, რომელშიც დამარცხებულ იქნა რუქნ აღდონ იბნ კილიჯ არსლანი<sup>228</sup>.

**აპრუ<sup>229</sup>** — (პირველი თანხმოვანი) — **ჭ ა თ ჰ ი თ**, შემდეგი — ს უ - I, 409 ქ უ ნ ი თ და რ ა.

ქალაქი დასახლებული და მრავალსიკეთიანი, მიუხედავად იმისა რომ დაბლობშია. მდებარეობს აზერბაიჯანის ერთ-ერთ ოლქში არდაბნლსა და თაბრნზს შორის. უწოდებენ მის ემირს იბნ ბნშქინს. გამოვიდა აქედან მრავალი ჭაკნაჰი და შუჰადდისი.

მასა და ვარაგნს, მეორე ქალაქს შორის ორი დღის სავალია.

**ბაბ ალ-აბევზი<sup>230</sup>** — უწოდებენ მას ალ-ბაბს იზაფეთას გარეშე I, 437 და ალ-ბაბ ვა-ლ-აბევზს. ესაა დარბანდი, შარვანის დარბანდი.

ამბობს ისტახრნ: რაც შეეხება ბაბ ალ-აბევზს — ესაა ქალაქი, რომლის კედელსაც ხშირად აღწევს ზღვის წყალი. მის შუაგულში ნავსადგურია ხომალდებისათვის. ეს ნავსადგური ზღვის მიერაა შექმნილი. ზღვის ორსავე ნაპირზე აშენებულია ორი ზღუდე და შესასვლელი გაკეთებულია დაკლაკანილად. შესართავთან ჯაქვია გაბმული და არ არის ხომალდებისათვის არც შესასვლელი და არც

გასასვლელი ნებართვის გარეშე. ეს ორი ზღუდე ქვისა და ტყვიისაგანაა.

ზაბ ალ-აბევაბი მდებარეობს ტაბარისტანის ზღვაზე— იგია ხაზართა ზღვა. ესაა ქალაქი არდაბნლზე უფრო დიდი. უკავია დაახლოებით ორი კვადრატული მილი. მათ აქვთ მრავალი ნათესები, მაგრამ ხილი მცირე, გარდა იმისა, რაც შემოაქვთ მათთან სანახებიდან<sup>231</sup>.

ქალაქს შემოვლებული აქვს ქვის ზღუდე; გაჭიმული მთაზე სიგრძით და არა სიგანით. არ არის ამ მთაზე გზა მუსლიმთა ქვეყნებისაკენ, გზების ჩამოქცევისა და გადასასვლელების სიძნელის გამო ურწმუნოთა ქვეყნიდან მუსლიმთა ქვეყნისაკენ, რასაც ემატება სიგრძეც ამ გალავნისა. გალავნის ერთი ნაწილი ჩადის ზღვაში წაგრძელებული კონცხის მსგავსად, რათა ხელი შეუშალოს ხომალდების მოახლოებას გალავანთან. იგი მკვიდრი ნაშენებია, I, 438 მყარი საფუძვლით, ანჟშირვანის ნაშენთაგანია.

ესაა ერთი დიდი და ვრცელი სასაზღვრო ადგილი, რადგანაც მრავალრიცხოვანია მტერი, რომელაც გარს არტყია მას სხვადასხვა ჯურისა და განსხვავებული ენების ხალხთაგან. ისინი მრავალნი არიან.

მის (ქალაქის) გვერდით დიდი მთაა, ცნობილი ზიზის<sup>232</sup> სახელით. მის წვერზე ყოველწლიურად მრავლად აგროვებენ შემას საქიროების შემთხვევაში ცეცხლის დასანთებად, რათა გაფრთხილებულ იქნან აზერბაიჯანის, არჩანისა და არმინის მცხოვრებლები მტრის შესახებ, თუ იგი დაესხმის მათ თავს.

ამბობენ, რომ მთის ქედზე რომელიც ესაზღვრება ზაბ ალ-აბევაბს 70-ზე მეტი ხალხია. ყოველ ხალხს აქვს თავისი ენა. რომელიც არ ესმის მის მეზობელს. ხოსროები<sup>233</sup> დიდ ყურადღებას იჩენდნენ ამ სასაზღვრო ადგილებისადმი და თვალს არ აშორებდნენ მათ მისი სარგებლიანობის, დიდი საფრთხისა და ძლიერი საშიშროების გამო. დაყენებულ იქნენ ამ ადგილის დასაცავად მეთვალყურეები სხვადასხვა ქვეყნიებიდან გადმოსახლებულთაგან და მათთვის სანდო ხალხთაგან. და განთავისუფლებულ იქნა მათთვის დასახლებული ადგილი, რამდენადაც შესაძლებელი იყო სულთნის წინაშე ვალდებულებისა, მასთან მოთათბირებისა და კონტროლის გარეშე, ძლიერი სურვილის გამო დაეცვათ იგი სხვადასხვა ჯურის თურქების, ურწმუნოებისა და მტრებისაგან. იმათგან. ვინც განწესებულ იქნა აქ მეთვალყურეებად არის ხალხი, რომელსაც ეწოდება ტაბარსარანი და ხალხი მის მეზობლად, ცნობილი ჭილწანად.

აგრეთვე, ხალხი, ცნობილი ლაქზად, — მრავალია რიცხვი მათი, დიდი ძალა მათი, — და ღირსნი<sup>233</sup>, მარგანი და სხვები. ყოველი ჯურისათვის მათგან დადგენილ იქნა ადგილი, რომელიც უნდა დაეცვათ მათ. ისინი არიან მრავალრიცხოვანნი, ძლიერნი, ქვეთნიც და ცხენოსანნიც.

ბზბ ალ-აბეზბი ნავსადგურია ამ ზღვაზე. იკრიბებიან მასში ხაზარები, სარირები, სინდნები<sup>234</sup>, ხაზნები<sup>235</sup>, ქურჯები, რუკლანები<sup>236</sup>, ხარანქარანები<sup>237</sup>, სამეკები<sup>238</sup> — ეს უკანასკნელნი ჩრდილოეთის მხრიდან, იკრიბებიან მასში აგრეთვე. ჯურჯანიდან, ტაბარისთანიდან<sup>239</sup>, დაჰლამიდან და ჯიბალიდან<sup>240</sup>.

აქ ამზადებენ სელის ტანსაცმელს. და არ არის არსად სელი არრანსა, აზერბაიჯანსა და არმინიჟაში თუ არ აქა და მის რუსთაკებში. აქ არის ზაფრანა. გვხვდება აქ აგრეთვე მონები ყოველგვარი ჯურისა<sup>241</sup>.

მის მეზობლად, იმ მხარეს, რომელიც ეკვრის ისლამის ქვეყნებს, არის რუსთაკი წოდებული მასკატად. მოსდევს მას ლაქზების ქვეყანა. ესაა ხალხი მრავალრიცხოვანი, ვაჟაკი და ტანადი, [აქეთ] დამუშავებული დიანები<sup>242</sup> და დასახლებული ოლქები. აქ არიან კეთილშობილები, რომლებიც ცნობილნი არიან ხამშირებად. მათ ზემოთ დგანან მეფეები, ქვემოთ კი — მუშაკები. მასა და ბზბ ალ-აბეზბს შორის ტაბარსარან შაჰის<sup>243</sup> სამეფოა. ისინიც ამგვარადვე გულადები და ძლიერები არიან. აქვე მრავალი დამუშავებული ადგილები, მხოლოდ ლაქზები უფრო მრავალრიცხოვანნი არიან და მათი ქვეყანაც უფრო ვრცელია. მათ ზემოთ ჭიღანია. იგი არ არის დიდი ოლქი.

ამ ზღვის ნაპირას, მასკატს ქვემოთ, მდებარეობს ქალაქი შნ-ბარანი, პატარა, გამაგრებული, მრავალრუსთაკიანი.

რაც შეეხება მანძილებს: ითილიდან, ხაზართა ქალაქიდან, ბზბ ალ-აბეზბამდე 12 დღის სავალია, სამანდარიდან ბზბ ალ-აბეზბამდე — 4, 439 დე — 4 დღის სავალი, სარირის სამეფოდან ბზბ ალ-აბეზბამდე — 3 დღის სავალი.

თქვა აბუ ბაქრ აჰმად იბნ მუჰამმად ალ-ჰამადანნი<sup>244</sup>: ბზბ ალ-აბეზბი შესასვლელია რამდენიმე ხეობაში კაბკის მთაზე. მასში მრავალი სიმაგრეა. მათ შორის: ბზბ ას-სული, ბზბ ალ-ლანი, ბზბ აშ-შნბარანი, ბზბ ლზიკა, ბზბ ბარიკა, ბზბ სამისჯანი<sup>245</sup>, ბზბ სნჰბ ას-სარირი, ბზბ ჭიღან შაჰი. ბზბ ტარჰნანი<sup>246</sup>, ბზბ ტაბარსარან შაჰი, ბზბ ნრან შაჰი<sup>247</sup>.

მიზეზი ბზბ ალ-აბეზბის აშენებისა, როგორც მოუთხრობს აბუ-ლ-ნაბზს ტუსი<sup>248</sup> იყო შემდეგი: ერთხელ, მანსურის<sup>249</sup> დროს,

აჯანყდნენ ხაზარები და გეკითხა ჩვენ: იცით როგორ ააშენა ანუ-  
 შირვანმა კედელი, რომელსაც ეწოდება ალ-ბაზი? ვუპასუხეთ: არა.  
 თქვა: ხაზარები თავს, ესზოდნენ სპარსელთა სულთანს<sup>250</sup> ისე, რომ  
 აღწევდნენ ჰამადანსა<sup>251</sup> და მავსილს. და როდესაც გამეფდა  
 ანუშირვანი, გაუგზავნა [მოციქული] მათ მეფეს, სთხოვა ქალიშვილი,  
 რათა შეერთო ცოლად, და შესთავაზა მას აგრეთვე მისი ასული,  
 რათა შერიგებულიყვნენ და შემდეგ კი ორივე მხარეს მოეცალა  
 თავიანთი ბტრების წინააღმდეგ. როდესაც დათანხმდა ამაზე [ხა-  
 კანი], გამოძებნა ანუშირვანმა ერთ-ერთი მხევალი თავის საუკეთესო  
 მხევალთაგან, გაუგზავნა იგი ხაზართა მეფეს, როგორც თავისი  
 ასული და გაატანა მას ის, რასაც ატანდნენ ხოლმე მეფეთა ასუ-  
 ლებს. ხაკანმაც გამოუგზავნა ანუშირვანს თავისი ასული. როდესაც  
 მოვიდა [ქალი] მასთან, მისწერა ხაზართა მეფეს, რომ შევხედეთო  
 ერთმანეთს და დავაკანონოთო სიყვარული ჩვენს შორის. ამაზე  
 დაეთანხმა იგი [ხაზართა მეფე] და შეპირდა შეხვედრას დასახელე-  
 ბულ ადგილას. შეხვდნენ ერთმანეთს და დარჩნენ იქ რამდენსამე  
 დღეს. შემდეგ ანუშირვანმა უბრძანა ერთ-ერთ ბელადს მის ბელად-  
 თაგან, რომ ამოერჩია 300 კაცი მის ძლიერ მებრძოლთაგან და  
 როდესაც შესუსტდებოდა სიფხიზლე, თავს დასხმოდა ხაზართა  
 ლაშქარს, გადაეწევა იგი, დაერბია და დაბრუნებულყო ლაშქარში  
 უჩუმრად. ასეც მოიქცა. როდესაც გათენდა, შეუთვალა მას  
 ხაკანმა --რა არის ეს? თავს დაესხი წუხელ ჩემს ლაშქარს? ანუ-  
 შირვანმა უპასუხა: ჩვენგან ეს არ მომხდარა, შეისწავლე და გა-  
 მოიძიე. ასეც მოიქცა [ხაკანი], მაგრამ ვერაფერი ვერ გაიგო. შემ-  
 დგე [ანუშირვანმა] გადადო (ეს საქმე) რამდენიმე დღით და კვლავ  
 გაიმეორა იგივე ვიდრე არ გააკეთა სამჯერ. და ყოველთვის თავს  
 იმართლებდა და ითხოვდა გამოძიებას. ისიც (ხაკანი) იძიებდა,  
 მაგრამ ვერაფერს ვერ აღგენდა. და როდესაც ეს აუტანელი გახდა  
 ხაკანისათვის, მოუხმო ერთ-ერთ ბელადს მის ბელადთაგან და  
 უბრძანა იგივე, რაც უბრძანა ანუშირვანმა [თავის ბელადს]. როცა  
 ასე მოიქცა, შეეკითხა ანუშირვანი: რა არის ეს? ჩემი ლაშქარი  
 ამ ღამით გათელილ იქნა? რა მიქნეს და რა გამიკეთეს? შეუთვალა  
 ხაკანმა: რა ჩქარა აღელდი. ეს მოუვიდა ჩემს ლაშქარს სამჯერ,  
 შენსას კი მხოლოდ ერთხელ. ანუშირვანმა უპასუხა: ეს არის იმ  
 ხალხის საქმე, რომლებსაც უნდათ წაახდინონ ჩვენი ურთიერთობა.

I, 446 მე მაქვს ერთი აზრი, თუ შენ მიიღებ მას, ჰპოვებ სასურველს.  
 ჰკითხა (ხაკანმა): რაა იგი? უპასუხა: დამრთე ნება, რომ ავაშენო  
 კედელი ჩემსა და შენს შორის და გავაკეთო მასზე კარი. და ვერ

შემოვა შენს ქვეყანაში ვერავინ, თუ შენ არ ისურვებ და ვერც ჩემს ქვეყანაში შემოვა ვინმე, ვისაც მე არ ვისურვებ. ამაზე დაეთანხმა ხვკანი და დაბრუნდა თავის სამეფოში. მაშინ დაიწყო ანტუშირვანმა კედლის შენება ქვისა და ტყვისაგან და ააგო იგი სივანით 300 წყრთა, სიმაღლით—ვიდრე არ მიაღწია მთის წვერს და შემდეგ შეიყვანა იგი ზღვაში. ამბობენ, რომ გაბერა ტიკები და დაიწყო მასზე შენება. დაიწყეს ტიკებმა ჩაძირვა. შენობა ადიოდა ზემოთ იქამდე, სანამ არ განმტკიცდა ტიკები მიწაზე. შენობა აამაღლა იქამდე, ვიდრე არ გაუსწორდა იმას, რაც იყო მიწის ზედაპირზე სივანითა და სიმაღლით, შეება მას კარი რკინისაგან და ჩააბარა იგი 100 კაცს, რომლებიც დაიცავდნენ მას, მაშინ, როდესაც მანამდე მის დასაცავად საჭირო იყო 100 000 კაცი<sup>252</sup>. მერე მოათავსა მისი ტახტი ბორცვზე, რომელიც გააკეთა ზღვაში და თაყვანისცა სიხარულით მას, რაც მოაწყო ღმერთმა მისი ხელით. შემდეგ დაწვა ზურგზე და თქვა: ახლა კი დროა, რომ დავისვენო. თქვა: ზოგიერთი აგვიწერს ამ ზღუდეს, რომელიც ააშენა ანტუშირვანმა, და ამბობს, რომ გააკეთა მისი ბოლო ზღვაში და გაამაგრა ისე, რომ ადვილი არ იყო მისი გადალახვა. აშენებულია იგი კარგად დამუშავებული, გათლილი, ოთხკუთხედი ქვით, რომელთა შორის ყველაზე პატარა არ არის 5 ნაბიჯზე ნაკლები. დამაგრებულია ლურსმებითა და ტყვიით. და გაკეთებულია ამ შვიდ ფარსახზე შვიდი გადასასვლელი, ყოველ გადასასვლელზე—ქალაქია. და ჩაყენებულ იქნა მასში ხალხი მეომარი სპარსელთაგან, რომელთაც უწოდებენ ანშასთაქინებს. არმინიჯას ევალებოდა შენახვა კაცებისა ამ ზღუდის დასაცავად მანძილზე, რომელზედაც გაივლის 20 კაცი თავიანთი ცხენებით, რათა არ შეევიწროვებინათ ერთმანეთი<sup>253</sup>.

მოხსენებულია, რომ ქალაქ ბაბ ალ-ბაზმაში ჯიჰანდის კარზე, კედლის ზემოთ, არის ორი ქვის სვეტი. თვითეულ სვეტზე ლომის ქანდაკებაა თეთრი ქვისაგან. მათ ზემოთ ორი ქვაა. ყოველ ქვაზე (აგრეთვე) ქანდაკებაა დედალი ლომისა. ამ კარის ახლოს არის ადამიანის გამოსახულება ქვისაგან. მის ფეხებს შორის მელიის გამოსახულებაა, რომელსაც პირში ყურძნის მტევანი უჭირავს. ქალაქის განაპირას წყალსაცავია თალიანი საფეხურებით, რომლითაც ჩადიან ამ წყალსაცავში, როცა იკლებს წყალი. ამ საფეხურების ორსავე მხარეს აგრეთვე, ლომის ორი ქანდაკებაა ქვისაგან. ამბობენ, რომ ეს ზღუდის თილისმაა<sup>254</sup>.

რაც შეეხება ამბავს მისი დაპყრობის შესახებ: სალმან იბნ რაბი'ა ალ-ბაჰილი<sup>255</sup> დაესხა მას რომარ იბნ ალ-ხატტაბის დროს,—

აღლპიმიც კმაყოფილია მისით,— გადალახა მისი ორი სიმაგრე და ბალანჯარი და შეხვდა მას ხაკანი, ხაზართა მეფე, თავისი ლაშქრით მდინარე ბალანჯარს იქით. მოწამებრივად დაეცა სალმან იბნ რაბინა და მისი მხედრები 4 000 კაცი. და თქვა აბდ არ-რაჰმან იბნ ჯუმანა აღ-ბაჰლინი<sup>256</sup>, როდესაც მოიხსენია სალმან იბნ რაბინა და კუთაბა იბნ მუსლიმ აღ-ბაჰლიელები თავი მოჰქონდა რამათით:

ქეშმარიტად ჩვენ გვაქვს ორი საფლავი, საფლავი ბალანჯარში. და საფლავი სინის ისთანში. ო, შენ საფლავო!

ეს, რომელიც სინშია, ცნობილია მისი დაპყრობები.

და ეს არის ის, რომლითაც ირწყევება თავთავნი მიწისა<sup>257</sup>.

ამით იმის თქმა უნდოდა, რომ თურქები და ხაზარები, მას შემდეგ რაც მათ მოკლეს სალმან იბნ რაბინა და მისი მებრძოლები, ყოველ ღამე ხედავდნენ დიდ ცეცხლს მათი ბრძოლის ადგილას. ამბობენ, ჩათლეს ისინი (შეომრები), სალმან იბნ რაბინა კი მოათავსეს კიდობანში და გაგზავნეს სამლოცველოში. გვალვიანობისა და მოუსაველიანობის დროს გამოაქვთ კიდობანი, აღებენ მას და მოდის წვიმა<sup>258</sup>.

ვპოვე სხვა ადგილას, რომ აბუ მუსა აღ-აშარინი<sup>259</sup>, როდესაც მოათავა ისბაჰანის<sup>260</sup> დაპყრობა რომარ იბნ აღ-ხატტაბის დროს, 19 წელს<sup>261</sup>, გაგზავნა სურაჰა იბნ ამრი<sup>261a</sup>, რომელიც იწოდებოდა ზუნუნად აღ-ბაბისაკენ. მის მოწინავე რაზმში დანიშნულ იქნა აბდ არ-რაჰმან იბნ რაბინა, რომელიც აგრეთვე იწოდებოდა ზუნუნად. გაემართა (სურაჰა) ლაშქრით აღ-ბაბისაკენ და დაიპყრო იგი ბრძოლის შემდეგ, რომელიც მოხდა. და თქვა სურაჰა იბნ ამრმა ამის შესახებ ლექსი.

ბაბ აღ-აბუნბს უკავშირდება მრავალი. მათგან: ზუჰაჰარ იბნ ნუჰაჰმ აღ-ბაბინ და იბრაჰიმ იბნ ჯაჰფარ აღ-ბაბინ<sup>262</sup>. თქვა აბდ აღ-ლანინ იბნ საინდმა<sup>263</sup>, რომელიც ასწავლიდა მისრში, რომ მე მას მოვესწარიო. მე ვფიქრობ. რომ ისინი ორივენი, ე. ი. ზუჰაჰარი და იბრაჰიმი წარმოშობილნი არიან ბაბ აღ-აბუნბიდან, რომელიცაა ქალაქი დარბანდი; აღ-პასან იბნ იბრაჰიმ აღ-ბაბინ, რომელიც გადმოსცემს ჰამინდ ატ-ტავნლისაგან, ვნასისაგან, წინასწარმეტყველისაგან. — აღლპიმიც აკურთხებს მას და მიესალმება<sup>264</sup>. გაუკეთეს [მას] ბეჭედი აკრკით<sup>265</sup> და ეს კი აშორებს გაჭირვებას. გადმოცემს მისგან რის იბნ მუჰამმად იბნ მუჰამმად აღ-ბაბდინი; ჰილალ იბნ აღ-ალა აღ-ბაბინ, რომლისგანაც გადმოს-

ცემს აბუ ნუ<sup>ა</sup>ამ ალ-ჰანჭიზი<sup>266</sup>. ალ-ჰაჰსალში<sup>267</sup> [მითითებულია] ზუჰაჰარ იბნ მუჰამმად ალ-ბაბი და მუჰამმად იბნ ჰიშამ იბნ ალ-ვალიდ იბნ <sup>ა</sup>ბდ ალ-ჰამიდ აბუ-ლ-ჰასანი, ცნობილი იბნ აბუ <sup>ნ</sup>იმრან ალ-ბაბი<sup>268</sup>, რომელიც გადმოსცემს აბუ სა<sup>ნ</sup>იდ <sup>ა</sup>ბდ ალლ<sup>ა</sup>ჰ იბნ სა<sup>ნ</sup>იდ ალ-აშაჯჯ ალ-ქინდისაგან. მისგან კი გადმოსცემს მის<sup>ა</sup>რ იბნ <sup>ა</sup>ლ<sup>ი</sup> ალ-ბარზა<sup>ნ</sup>; ჰაბიბ იბნ ჰაჰდ იბნ <sup>ა</sup>ბდ ალ-<sup>ა</sup>ზიზ აბუ-ლ-ჰასან ალ-ბაბი<sup>269</sup>, რომელიც გადმოსცემს მუჰამმად იბნ დუსთისაგან, სულაჰმან ალ-ისბაჰანისაგან, ბახთუვაჰისაგან, <sup>ა</sup>ნსიმ იბნ ისმ<sup>ა</sup>ნისაგან, <sup>ა</sup>ნსიმ ალ-აჰვალისაგან. მისგან კი გადმოსცემს აბუ ბაქ<sup>რ</sup> ალ-ისმ<sup>ა</sup>ნ<sup>ი</sup>. ამბობენ, რომ იგი ცნობილი იყო 270 წლის წინათ მუჰამმად იბნ აბუ <sup>ნ</sup>იმრან ალ-მაჰბირის კარზე<sup>270</sup>; მუჰამმად იბნ აბუ <sup>ნ</sup>იმრან ალ-ბაბი ას-საჰბი<sup>271</sup>, — აბუ <sup>ნ</sup>იმრან ჰიშამის გვარი წარმოშობილია ბაბ ალ-აბუბიდან და დასახლებული ბარზა<sup>ნ</sup>ში. გადმოსცემს იგი იბრაჰიმ იბნ მუსლიმ ალ-ხვარაზმისაგან<sup>272</sup>.

**ბაბირთი<sup>273</sup>**—მეორე ბა—ქესრით.

I, 444

დიდი დაბა და ლამაზი ქალაქი არზან რუმის სანახებში, არმინიჰაში, გადმომცა მის შესახებ კაცმა მის მცხოვრებთაგან, ჰა- I, 445  
კიჰმა.

**ბაბალეში<sup>274</sup>**—ლაჰანი წერტილიანი, აჰ — სუჰჰუნი და I, 446  
შინი წერტილებიანი.

ოლქი ახერბაიჯანსა და არდაბილს შორის, ჩაუდის მას აზ-  
ზაბ ალ-<sup>ა</sup>ლ<sup>ა</sup><sup>275</sup>.

**ბაჯარვანი<sup>276</sup>**—ბოლოში ნუნი.

I, 454

ქალაქი ბაბ ალ-აბუბის ოლქში, შარვანის ახლოს. მასთან მდებარეობს უკვდავების წყარო, რომელიც იპოვა ალ-ხიდრმა<sup>277</sup>,— მშვიდობა მას. ნათქვამია, რომ ესაა სოფელი, სადაც მუჰამად და ხიდრმა,—მშვიდობა მათ,—დააპურეს მოსახლეობა<sup>278</sup>.

**ბაჯუნაჰი<sup>279</sup>**—ნუნი—ჰათჰით, სინი უწერტილო. ამგვარად I, 455  
ენახე მე ის გახმოვნებული იბნ ბარდ ალ-ხაბბაზად წოდებულ აბუ  
ჰადლ <sup>ა</sup>ბბას იბნ <sup>ა</sup>ლ<sup>ი</sup> ას-სულ<sup>ი</sup>ს ხელნაწერში<sup>280</sup>.

ესაა ძველი ქალაქი ხილატის ოლქში, იხენიება არჯანშთან ერთად. იგი მეოთხე არმინიჰაშია. დაიპყრო იგი <sup>ა</sup>იჰად იბნ ლანმა. იგი [მდებარეობს] მეხუთე იკლიში. მისი გრძელია 70 გრადუსი და ნახევარი, განედლი—40 გრადუსი და მეექვსედი. ამბობს მის<sup>ა</sup>რ იბნ მუჰალჰილი<sup>281</sup>: ბაჯუნაჰი ქალაქია. ააშენა იგი სულაჰმმა. მასში მადნებია: ანდარანის მარილის, შავნიუშისა და სპილენძის. აქ არის მცენარე აბზინდა<sup>282</sup>, რომლის საშუალებითაც გა-

მოჰყავთ სიღრმიდან ქიები და გველები, მაგრამ თურქული მასზე უკეთესია. იქ არის აბსანთინი და უსთუხუდუსი<sup>283</sup>.

- I, 459 ბახავხა<sup>284</sup>—ორი ხე-თი.  
ციხე ზავაზანის ოლქში, ეკუთვნის მავსილის მფლობელს.
- I, 461 ბაზან ჭაქარში<sup>285</sup>—ხალი წერტილიანი, ალიქი და ნუნი.  
აზერბაიჯანის ცნობილი ქალაქის, არდაბილის, სახელი. ააშენა იგი ჭირუხმა, სპარსელთა ერთ-ერთმა პირველმა მეფემ.
- I, 466 ბაზუ-ლ-ჭამრანი<sup>286</sup>—ციხე ზავაზანის მხარეში, რომელიც ეკუთვნის ბუხთინას ქურთებს. ზავაზანი არის მხარე, რომელიც მოხსენიებულია.
- I, 468 ბასინი<sup>287</sup>—გადმომცა მე ჭაკრში მუჰამად იბნ სიდღეკ ალ-ბასინიმ ალ-ხანიკაში<sup>288</sup>, თქვა: ბასინი ზედა და ბასინი ქვედა ორი ოლქია, რომელთა დედაქალაქია არზან რუმი.
- I, 477 ბაქუვა<sup>289</sup> — ქაჭი — დამმით, ვაგი — სუქუნით და ხა — ჭათით.

ქალაქი დარბანდის სანახებში, შარვანის მხარეში. მასში არის ნავთის დიდი წყარო, რომლის საიჯარო გადასახადი აღწევს 1000 დირჰემს დღეში. მის გვერდით მეორე საბადოა, რომლიდანაც განუწყვეტლივ, დღე და ღამე, მიედინება თეთრი ნავთი, როგორც ვერცხლისწყლის ზეთი<sup>290</sup>. მისი საიჯარო გადასახადი იმასვე აღწევს რასაც პირველის. გადმომცა მე მან, ვინც სარწმუნოდ მიმაჩნია ვაჭართაგან, რომ ნახა იქ მიწა, რომლისაგანაც მუდამ ამოდის ცეცხლი. მე მგონია, რომ ცეცხლი ჩაავდო მასში ვიღაცამ ხალხთაგან და არ ქრება, რადგანაც ინახავს მას მადანი (ნავთი)<sup>291</sup>.

- I, 480 ბალუ<sup>292</sup> — გამაგრებული ციხე და ქალაქი არმინიაში, არზან რუმისა და ხილტს შორის. (მოიპოვება) იქ რკინის მადანი.
- I, 499 ბუნტუსის ზღვა<sup>293</sup>—ბან-ერთწერტილიანი, შემდეგ ნუნით — სუქუნით, ტა — დამმით და სინი უწერტილო. ასე შემხვდა აბუ-რ-რეჰმანის ხელნაწერში.

- I, 500 ამბობს: დასახლებული ადგილის შუაგულს, საქალბებისა და და რუსების მიწაზე არის ზღვა, რომელიც ბერძნებთან იწოდება ბუნტუსის ზღვად, ჩვენთან კი—ტარაბიზუნდას ზღვად, რადგანაც იგი ნავსადგურია მასზე. გამოდის მისგან სრუტე, რომელიც ჩაუვლის კუსტანტინიას კედელს და თანდათან ვიწროვდება<sup>294</sup>. ვიდრე არ შეუერთდება აშ-შამის ზღვას<sup>295</sup>, რომლის სამხრეთ ნაპირზე მდებარეობს ქვეყანა აშ-შამისა, მისრი, ისქანდარია<sup>296</sup> და იჭირეკია<sup>297</sup>.

- I, 500 ხაზართა ზღვა<sup>298</sup> — ბაპრ ალ-ხაზარი—ასეა განმარტებული, ესაა ტაბარისტანის, ჯურჯანის, აბასქუნის ზღვა—ყველა ეს ერთია. ესაა ვრცელი, დიდი ზღვა, რომელიც სხვას არაფერს არ უკავშირ-



დება. იწოდება აგრეთვე ხურანისა და ჯრლის ზღვად. ზოგიერთი მას ზოგჯერ ხურანისის მორევსაც უწოდებს.

ამბობს ჰამზა<sup>299</sup>: მისი სახელი სპარსულად არის ზარა აქფუ-და, ეძახიან მას აგრეთვე აქფუდა დარაწვს. არისტოტელე მას არკანიას უწოდებს, ზოგიერთი კი ხვარაზმის ზღვასაც, მაგრამ ეს ის არაა რადგან ხვარაზმის ტბა სხვაა და მოიხსენიება თავის ადგილას, თუ მოისურვებს ალლაჰი.

ამაზე [მდებარეობს] ბაბ ალ-აბვაბი, იგივე დარბანდი, როგორც აღვწერთ თავის ადგილას. აღმოსავლეთის მხრიდან მას ეკვრის მუჟანის, ტაბარისტანისა და ჯურჯანის მთები. გრძელდება იგი დიპისთანის<sup>300</sup> პირდაპირ, სადაც მდებარეობს აბასქუნი<sup>301</sup>, შემდეგ უხვევს აღმოსავლეთით თურქთა ქვეყნისკენ და ჩრდილოეთით ხაზართა ქვეყნისაკენ. ერთვის მას მრავალი მდინარე, რომელთაგან უდიდესია ალ-ქურრი, არ-რასსი და ითილი.

თქვა ისტახრემ: რაც შეეხება ხაზართა ზღვას, მის აღმოსავლეთით არის ნაწილი დაალამისა, ტაბარისტანისა, ჯურჯანისა და ნაწილი სტეპისა, რომელიც მდებარეობს ჯურჯანსა და ხვარაზმს შორის; დასავლეთით—ალ-ლანი კაბკის მთაზე სარბრთა საზღვრებამდე, ხაზართა ქვეყანა და ნაწილი ალ-ლუზნას სტეპისა; ჩრდილოეთით—ალ-ლუზნას,—ესენი არიან თურქთა ტომი,—სტეპი სიხაჰ ქუჰის<sup>302</sup> მხარეში; სამხრეთით—ჯრლი და ნაწილი დაალამისა. თქვა: ხაზართა ზღვა არ უკავშირდება რომელიმე სხვა ზღვას დედამიწის ზედაპირზე. მართლაც, თუ ვინმე შემოუვლის ამ ზღვას, დაბრუნდება იმავე ადგილას, საიდანაც დაიწყო (მოგზაურობა) ისე, რომ არ დააბრკოლებს მას არაფერი, გარდა რომელიმე მდინარისა, რომელიც ერთვის მას. ესაა მარილიანი ზღვა. მასში არაა არც მოქცევა და არც უკუქცევა. ესაა მუქი ზღვა, რომლის ფსკერი თიხისაა, განსხვავებით კულუზუმის<sup>303</sup> და სპარსეთის ზღვისაგან, ვინაიდან სპარსეთის ზღვაში ზოგჯერ, ზოგიერთ ადგილას, გამჭვირვალობის გამო ჩნდება თეთრი ქვებიც მის ფსკერზე. არ ამოიღება ამ ზღვიდან არაფერი ძვირფასი ქვებიდან, არც მარგალიტი, I, 501 არც მარჯანი და არც სხვა რამ. ვერ ისარგებლებ ვერაფრით რაც ამოაქვთ აქედან, გარდა თევზისა.

მით მოგზაურობენ ვაქრები მუსლიმთა ქვეყნებიდან ხაზართა ქვეყნისაკენ და იქითკენ, რაც არის არრანს, ჯრლს, ჯურჯანსა და და ტაბარისტანს შორის. ამ ზღვაში არ არის დასახლებული კუნძულები, რომლებზეც იქნება მოსახლება, როგორც სპარსეთისა და რუმის ზღვაში<sup>304</sup> და სხვაგან. მაგრამ მასში არის კუნძულები დაფა-

რული უღრანი ტყით, წყლებითა და ბუჩქნარებით, რომლებზედაც არაა ადამიანი. მათგანაა სიძაპ ქუჭის კუნძული, რომელიც მოხსენებულ იქნა. მდინარე ქუჩრის პირდაპირ კი მეორე კუნძულია<sup>305</sup>, სადაც უღრანი ტყეა, ბუჩქნარი და წყლები. იღებენ იქ ენდროს. მიჰყავთ იქ ხომალდებით ცხოველები და უშვებენ საძოვრად, ვიდრე არ დასუქდებიან. არის აქ აგრეთვე კუნძული, ცნობილი რუსების კუნძულად<sup>306</sup> და სხვა მცირე კუნძულები.

ზბასქუნიდან ხაზარამდე, თუ დავადგებით მარჯვენა მხარეს ზღვის ნაპირზე, არ არის სოფელი და არც ქალაქი, გარდა ერთი ადგილისა ზბასქუნიდან დაახლოებით 50 ფარსახის მანძილზე, რომელსაც ეწოდება დიპისთანი. ნაგებობანი 'მეჭრილია ზღვაში, რომელსაც თავს აფარებენ გემები ზღვის ღელვის დროს. მიისწრაფვის ამ ადგილისაკენ მრავალი ხალხი სწვადასხვა ოლქებიდან და რჩებიან იქ სათევზაოდ. აქ არის წყლები. და არაფერი ვიცი სხვა ამის გარდა.

რაც შეეხება მარცხენა მხარეს ზბასქუნიდან ხაზარისაკენ: იგი მთლიანადაა დასახლებული, რადგანაც, როცა დაადგები ზბასქუნიდან გზას მარცხნივ, ჩაუვლი ჯურჯანის, ტაბარისთანის, დაღამის, ჯრღის, მუქანის, შარვანის, მასკატის, ბაზ ალ-აბუზბის საზღვრებს, შემდეგ სამანდარისაკენ ოთხადღის გზაა. სამანდარიდან მდ. ითილისაკენ 'მვიდი დღის გზაა სტეპით. ამ ზღვას სიძაპ ქუჭის მხრიდან აქვს შლაზიანი ნაპირები, რომელიც საშიშია ხომალდებისათვის, რათა როდესაც დაუბერავს ქარი, არ დაამსხვრიონ. და თუ იქ დაიმსხვრა ხომალდი, არ იქნება ადგილი რაიმეს შეკრება თურქთა გამო, რომლებსაც მიაქვთ იგი და ანაწილებენ თავიანთ პატრონსა და თავიანთ შორის<sup>307</sup>. ამბობენ, რომ ამ ზღვის სანაპირო ირგვლივ 1500 ფარსახია; რადიუსი—100 ფარსახი. და ალლაჰმა უკეთ უწყის<sup>308</sup>.

1, 513 არჯრის ტბა<sup>309</sup>—ესაა ხილნტის ტბა, რომელშიც არის ტირ-რინი<sup>310</sup>.

თქვა იბნ ალ-ქალბნი<sup>311</sup>: არმინის საკვირველებათაგან არის ხილნტის ტბა. ჰეშმარიტად, ათი თვის განმავლობაში არ ჩანს მასში ბაყაყი და არც თევზი. წელიწადში ორი თვის განმავლობაში კი გამოჩნდება მასში [თევზი] ისე, რომ ხელითაც კი დაიჭირება. გააქვთ იგი ყველა ქვეყანაში, ინდოეთშიც კი.

ამბობენ, რომ კუბაზ დიდმა, როდესაც გაგზავნა ბალნინსი, რათა გაეკეთებინა თილისმა მისი ქვეყნისათვის, თილისმა გაუკეთა ამ ტბასაც. და ამჟამადაც ათი თვის განმავლობაში არ ჩნდება თევზი. მე ვამბობ: ესა და ამის მსგავსი არაარაბთა მონაქორია. აქ სხვა საიდუმლოებაა დაფარული.

„ქითაბ ალ-ჟუჟუჰში“ [წერია]: გაემართა ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ჰიჰრან ოსმან იბნ აჰჰმანის მიერ გაგზავნილი, ვიდრე არ მიღწია არჯრშს. და გაგზავნა ხალხი, ვინც დაიპყრო მისი მხარეები, შეკრიბა ჯიზია<sup>312</sup> სულზე მათი მოსახლეობიდან და დაეზავა მათ მიწის ხარაჯაზე. რაც შეეხება ტირორნხის ტბას, იგი არ მისულა მასთან და თავისუფალი დარჩა, ვიდრე არ დაინიშნა მუჰამმად იბნ მარვან ალ-ჰაჰამი<sup>312ა</sup> ალ-ჯაზირასა და არმინის მმართველად, რომელმაც დაისაკუთრა მისი ნანადირევი და დაადო მას ბაჟი<sup>313</sup>.

**ურმიის ტბა<sup>313</sup>**—რაც შეეხება ურმიას, ის უკვე მოვიხსენიეთ. I, 513 მასა და ურმიის ტბას შორის დაახლოებით ორი ფარსახია. ესაა მლაშე ტბა, ცუდი სუნის. არ ცხოვრობს მასში ცხოველი, არც თევზი და არც სხვა რამ. მის შუაგულში მთაა, რომელსაც ქაბჰ-ხანს<sup>315</sup> უწოდებენ და კუნძული, რომელზეც ოთხი სოფელია ან დაახლოებით ამდენი. ცხოვრობენ მასზე ამ ტბის ხომალდთა მეზღვაურები. ზოგჯერ თესვენ ამ კუნძულზე პატარა ყანას

მთაზე ციხეა ცნობილი, გამაგრებული. მისი მცხოვრებლები უმეტეს შემთხვევაში არ ემორჩილებიან აზერბაიჯანის ვლენებს. ზოგჯერ გადიან თავისი ხომალდებით, მეკობრეობენ და ბრუნდებიან თავიანთ ციხეებში. არ არის მათ წინააღმდეგ არავითარი საშუალება და არც არავითარი ხერხი. შე ვნახე ეს ციხე შორიდან, როცა გადავდიოდი ამ ტბას, ხურანისაკენ მიმავალი 617 წელს.

ამბობენ, რომ მისი ნაპირი ირგვლივ 50 ფარსახია. სივანეზე ხომალდით ზოგჯერ ერთ ღამეში გადაიკურება. ამოაქვთ აქედან მარილი, ბრწყინვალეებით მსგავსი თუთიისა. მის ნაპირზე, აღმოსავლეთის მხარეს, წყაროებია გამომდინარე, რომელთა წყალიც ქვად I, 514 იქცევა, როგორც კი ჰაერზე მოხვდება—ამბობს მისარი<sup>316</sup>.

**ბადლნისი<sup>317</sup>**—(პირველი თანხმოდანი)—**ჭ ა თ ჰ ი თ**, შემდეგი— I, 526 ს უ . ქ ლ ნ ი თ, ლ ა მ ი — ქ ე ს რ ი თ, ა ა — უ ხ მ ო ვ ნ ო და ს ნ ი ნ უ წ ე რ - ტ ი ლ ო. არ ვიცი მსგავსი ფორმის სახელი არაბულ ენაში, გარდა ვ ა ჰ ბ ო ლ ი ს ა, რომელიც ზურგის ტეინის შიდა ნაწილის სახელია. რაც შეეხება არაბობთა ენას, იქ არის: თ ა ჭ ო ო ს ი, თ ა ბ ო რ ზ ი. ადგილი არმინის ერთ-ერთ ოლქში ხილანტის ახლოს, მდიდარი ბადებით. მისი ვაშლის ხარისხი, მოსავლიანობა და სიიაფე არაქადაა ქვეული. გააქვთ მრავალ ქვეყანაში.

მისი გრძელი 65 გრადუსია, განედი—33 გრადუსი.

თქვა აჰმად იბნ აჰჰა იბნ ჯაბირმა: როდესაც ნიჰად იბნ ლანმმა დაამთავრა ილ-ჯაზირას [დაპყრობა], შევიდა მთის გასასვლელში და

მიიღწია ბაღლნის. შემდეგ გადაიარა ხილტისაკენ, დაეზავა მის პატრიკიოსს, მიიღწია მთავე წყლის წყაროს, რომელიც აღარ გადაუვლია, დაბრუნდა და დააკისრა ბაღლნისის მმართველს ხილტისა და მისი ქების მსგავსი ხარაჯა. ამის შემდეგ გაემართა რაკ-კასაკენ<sup>317</sup>, მივიდა ჰომისს<sup>318</sup> და გარდაიცვალა იქ ჰიჯრის 26 წელს<sup>318</sup>.

ბაღლნისს იხსენიებს აბუ-რ-რიდჷ ალ-ჰადლ იბნ მანსურ აზ-ზარეჰი<sup>319</sup>.

I, 529 **ბაზზი**<sup>320</sup> — ზ ნ ლ ი წერტილიანი — თ ე შ დ ი თ :

ოლქი აზერბაიჯანსა და არანს შორის. ესაა ბზბაქ ალ ხურ-რამის გამოსვლის ადგილი ალ-მუ<sup>რ</sup>თასიმის<sup>321</sup> დღეებში. იხსენიებენ მას ალ-ჰუსეინ იბნ ად-დაჰჰანჰი,<sup>322</sup> აბუ თამიმში, ალ-ბუჰთურ<sup>323</sup>. ამბობს მის<sup>რ</sup>ი, პოეტი: ბაზზში არის ადგილი დაყოფილი სამ ჯე-რიბად<sup>324</sup>. ამბობენ, რომ მასში სადგომია კაცისა, სადაც ვინც კი მიმართავს ალლჰს თხოვნით, შესმენილ იქნება. აქ აღმართული იქნა ალმები მუჰამმირებისა<sup>325</sup>, რომლებიც ცნობილი არიან ალ-ხურრამიჰას სახელით. აქედან გამოვიდა ბზბაქი და აქ ელოდნენ მაჰდის<sup>326</sup> გამოჩენას. მის ქვემოთ დიდი მდინარეა. თუ განიბანება

I, 530 მასში ვინმე შეპყრობილი ძველი ციებ-ცხელებით, განიკურნება იგი.

მის გვერდით მდინარე არ-რასსია. აქ არის საუცხოო ბროწე-ული, რომლის მსგავსი არაა მთელს ქვეყანაზე. იქ არის აგრეთვე, ლეღვი საუცხოო და ჩირი, რომელსაც ახმობენ თორნეში, რად-განაც არ არის იქ მზე ხშირი ღრუბლების გამო და ცა არ იწმინ-დება მათთან არასოდეს. მათ აქვთ ცოტაოდენი გოგირდი, რომელ-საც პოულობენ წყალში ნაჭრებად და ასუქებს ქალებს, როდესაც სვამენ მას ყლუბებად<sup>327</sup>.

I, 548 **ბურჯანი**<sup>328</sup> — ჯ ნ მ ი თ . ქალაქი ხაზართა მხარეში. ასტრონო-მები ამბობენ, რომ იგი მეექვსე იკლემშია. მისი გრძედი 40 გრადუსია, განედი — 45 გრადუსი. დალაშქრეს იგი მუსლიმებმა <sup>რ</sup>ოსმანის, — ალლჰიმც კმაყოფილია მისით, — დროს. იხსენიებს მას აბუ ნუჯად ათ-თამირ<sup>329</sup>.

I, 551 **ბარხუ**<sup>330</sup> — ჰ ა თ ჰ ი თ . ციხე ზავაზანის ოლქის ციხეებიდან, ეკუთვნის მავსილის მფლობელს.

I, 556 **ბარდჯი**<sup>331</sup> რ ა — ს უ ქ უ ნ ი თ , დ ნ ლ ი — ქ ე ს რ ი თ , ა ნ — უ ბ - მოვნო და ჯ ნ მ ი

ქალაქი აზერბაიჯანის უკიდურეს საზღვარზე. მასა და ბარ-ზანს შორის 14 ფარსახია. წყალი, რომელიც უელის მას გარშემო არის მდინარე, სიდიდით უახლოვდება დიჯლას და ეწოდება ალ-ქურრი.

ამ ქალაქთანაა დაკავშირებული ჰაჭიზი<sup>332</sup> აბუ ბაქრ აჰმად იბნ ჰარუნ იბნ რუჰ ალ-ბარდღჯინ<sup>333</sup>, რომელსაც მოუსმენია ნასრ იბნ ალი ალ-ჯაჰადმინს, ბაქქარ იბნ კუთაბას, სანდ იბნ ადჰუბ ალ-ვსიტინს და სხვებისათვის<sup>334</sup>. მისგან გადმოსცემენ ჯაჩქარ იბნ აჰმად იბნ სინან ალ-კატტანი, სულაჰმან ატ-ტაბარანი, იბნ ადრ და სხვები<sup>335</sup>. თქვა ჰამზა იბნ აჟსუჰ ას-საჰმინ<sup>336</sup>: შეგვეკითხე ად-დარაკუტინის<sup>337</sup> აბუ ბაქრ იბნ ბარდღჯინ შესახებ. მითხრა: სანდოა იგი და დიდი ავტორიტეტი. გარდაიცვალა 301 წლის რამადანის<sup>338</sup> თვეში და იგია ერთ-ერთი სვეტი ჰადისისა.

1, 558 **ბარზანა**<sup>339</sup>—აბუ სადი გადმოსცემს უწერტილო დალით და უწერტილო ახით.

ქალაქი აზერბაიჯანის უკიდურეს ნაწილში. ამბობს ჰამზა: [სიტყვა] ბარზანა არის გაარაბულებული ბარდაჰდარი, რაც სპარსულში ნიშნავს ტყვეთა ადგილს. ეს იმიტომ, რომ სპარსთა ერთ-ერთმა მეფემ დაატყვევა ხალხი არმინიის საზღვრებს იქით და აქ დაასახლა ისინი.

თქვა ჰილალ იბნ ალ-მუჰსინმა<sup>340</sup>: ბარზანა აზერბაიჯანის დედაქალაქია. იბნ ალ-ჰაკინის მიხედვით<sup>341</sup> კი — ბარზანა არანის ქალაქია და მდებარეობს აზერბაიჯანის უკიდურეს საზღვარზე. პირველი, ვინც ააშენა იგი. იყო კუბზ მეფე. ქალაქი გაშლილია ვაკეზე. მისი შენობები აგურისა და თაბაშირისაგანაა.

ამბობს „მალჰამას“ ავტორი: ქალაქ ბარზანას გრძელი 79 გრადუსია და 30 მინუტი, განედი—45 გრადუსი. იგი მდებარეობს მეექვსე იკლმში. მისი ტალინი, ალ-ჰუთი<sup>342</sup>, 13 გრადუსზეა. ქაჭქ ალ-ხადნი<sup>343</sup> იმავე გრადუსზეა, რაზედაც მისი ტალინი. კალბ ალ-აკრაბი<sup>344</sup> მეხუთე იკლმშია, ად ალ-ჯავზანი<sup>345</sup>—მეოთხეში, სურრ ალ-ჯავზანი<sup>346</sup> მეოთხეშია ნამდვილად. ამბობს აბუ ავნი თავის ზიჯში: ბარზანა მდებარეობს მეხუთე იკლმში. მისი გრძელი 73 გრადუსია, განედი—43 გრადუსი.

თქვა ისტახრემ: ბარზანა ძალიან დიდი ქალაქია. [მისი ფართობი] კვადრატულ ფარსახზე მეტია. მასში ჯანსალი ჰავაა. იგი ნაყოფიერია, მდიდარია ნათესებითა და ხილით. ირჰქსა<sup>347</sup> და ხურასანს<sup>348</sup> შორის, რეისა და ისბაჰანის შემდეგ არ არის ქალაქი უფრო დიდი, ნაყოფიერი და ლამაზი ადგილმდებარეობით, ვიდრე ბარზანას მხარეა. მისგან ფარსახზე ნაკლები მანძილითაა დაშორებული ადგილი, რომელსაც ეწოდება ალ-ანდარაბი<sup>349</sup>. იგი ქურრას<sup>350</sup>, ლასუბას<sup>351</sup> და ნაჰტანს<sup>352</sup> შორისაა. მისი ფართობი

ერთი დღის საეალზე მეტია, დაფარულია ბაღჩა-ბაღებით, მდიდარია ხილით. იქ არის საუკეთესო ჯიშის თხილი, რომელიც სამარ-1, 559 ყანდის<sup>353</sup> თხილს სჯობია და აგრეთვე, წაბლი სირიის წაბლზე უკეთესი. (იქ მოდის) ნაყოფი, რომელსაც ჰქვია დავკალი<sup>354</sup>, ზომით ამპურას ოდენია, ტკბილია, როდესაც დაწვით დება, დაწვით მანუე კი სიმწარე აქვს. ბარზა<sup>355</sup>ში ლეღვი ლასუბიდან შემოაქვთ და სჯობია მის ყველა ჯიშს. გააქვთ აქედან მრავალი ნაკეთობა აბრე-შუმისაგან, რომელსაც აგროვებენ თავისუფლად გაშვებულ თუთის ხეზე, რომელსაც არა ჰყავს პატრონი. იქიდან უხვად გააქვთ ფარსსა და ხუხისთანში<sup>356</sup> აბრეშუმის ნაკეთობა.

ბარზა<sup>357</sup>დან სამი ფარსახითაა<sup>358</sup> დაშორებული მდინარე ალ-ქური. მასში არის შურმან<sup>359</sup>—თევზის ერთ-ერთი ჯიში, რომელიც გააქვთ სხვადასხვა მხარეში დამარილებული. მდინარე ქურიდან გააქვთ აგრეთვე თევზები, დავკინი<sup>360</sup> და ყუშბი<sup>361</sup>. ორივე ეს თევზი, ყველა ჯიშის თევზზე უკეთესია ამ მხარეში.

ბარზას აქვს კარი, რომელსაც უწოდებენ ბზ ალ-აქრანდს<sup>362</sup> და სადაც კვირაობით იმართება ბაზარი. მისი სახელია ალ-ქურქ<sup>363</sup>. მისი ფართობი კვადრატული ფარსახია. იქ ყოველ კვირა დღეს იკრიბება ხალხი ყველა ქვეყნიდან, ზირაკიდანაც კი. იგი ქურსარეს<sup>364</sup> ბაზარზე დიდია. ამ დღემ დაიშვიდრა სახელი ალ-ქურქ, რადგანაც კვირა დღეების ჩამოთვლისას ბევრი ამბობდა: პარასკევი, შაბათი, ქურქი, ორშაბათი, სამშაბათი და ასე შემდეგ, ვიდრე არ დაითვლიდნენ კვირის დღეებს.

მათი ბაათ ალ-მალი<sup>365</sup> საკრებულო მეჩეთშია მოთავსებული სირიის წესის მიხედვით. იმიტომ, რომ ბაათ ალ-მალი სირიაში მეჩეთშია. მას სახურავი ტყვიითა აქვს დაფარული. აქვს რკინის კარი და დგას ცხრა სვეტზე. დარ ალ-იმრა<sup>366</sup> მეჩეთის გვერდითაა მადინამი<sup>367</sup>, ბაზრები კი—რაბადში<sup>368</sup>.

ვამბობ: ეს აღწერილობა ძველია. რაც შეეხება ახლანდელ დროს კი, ყოველივე ამისაგან არაფერი არ დარჩა. მე შეგხვდები ბარზას ერთ მცხოვრებს აზერბაიჯანში, რომელსაც შევეკითხე მისი ქვეყნის შესახებ. მიპასუხა: რომ მას ძალიან ეტყობა განადგურების კვალი. ახლა ის მხოლოდ სოფელსა ჰყავს. ხალხი მცირერიცხოვანია და მდგომარეობა ამალელებელი, სიღარიბე და გაჭირვება თვალში საცემია. სახლ-კარი მთლიანად დანგრეულია და გაპარტახებული<sup>369</sup>. დიდება მას ვინც ცვლის და თვით არ იცვლება, ვინც წარბოცს და თვით არ წარიხოცება. იგი განაგებს თავის ქმნილებას და არ გამოუმკლავდება არავის საიდუმლოება მისი განგებისა.

ბარზა<sup>ა</sup>დან ჯანზამდე — ეს იგივე ქანჯაა — 9 თარსახია. იხსენიებს მას მუსლიმ იბნ ალ-ვალრიდი<sup>368</sup> აზნდ იბნ მაზაღისადმი<sup>369</sup> მიძღვნილ ელგვიაში, რომელიც გარდაიცვალა ბარზა<sup>ა</sup>ში 135<sup>370</sup> წელს.

რაც შეეხება მის დაპყრობას, ამის შესახებ ნათქვამია: გაემ- I, 560 გზავრა სალმან იბნ რაბი<sup>ა</sup> ალ-ბაჰილი<sup>ა</sup> ოსმან იბნ აჰმედანის დროს, — კმაყოფილიმცაა ალლაჰი მისით, — ბაჰლაქანის დაპყრობის შემდეგ ბარზა<sup>ა</sup>საკენ. მისი ლაშქარი [დაბანაკდა] სარსურზე. ესაა მდინარე ბარზა<sup>ა</sup>დან თარსახზე ნაკლები მანძილით დაშორებული. მცხოვრებლებმა დაკეტეს კარნი. მაშინ იგი თავს დაესხა მის [მახლობელ] სოფლებს იმ დროს, როდესაც ყანები მოსამკელი იყო და დაეზავენ მას ბაჰლაქანის სულჰის პირობით. იგი შევიდა ბარზა<sup>ა</sup>ში, დადგა იქ და გაგზავნა თავისი ცხენოსანი რაზმი, რომელმაც დაიპყრო სხვა ქალაქები<sup>371</sup>.

ბარზა<sup>ა</sup>სთანაა დაკავშირებული მრავალი იმამი, მათგან: მაქქრ იბნ აჰმად იბნ სა<sup>ა</sup>დაეაჰ ალ-ბარზა<sup>ა</sup><sup>372</sup>, ჰადისის მეცნიერების ერთ-ერთი წარმომადგენელი, მოგზაური და შემკრები (ჰადისებისა) — რომელიც უსმენდა დიმაშქში<sup>372a</sup> აჰმად იბნ ლუმა<sup>ა</sup>რსა და მუჰამმად იბნ აჟსუჰ ალ-ჰარავის, ატრანბულუსში<sup>372b</sup> — აბუ-ლ-კანსიმ აბდ ალლ<sup>ა</sup>ჰ იბნ ალ-ჰასან იბნ აბდ არ-რაჰმან ალ-ბაზზას, ბაღდადში — აბუ-ლ-კანსიმ ალ-ბაღავისა და აბუ მუჰამმად სან<sup>ა</sup>იდს, სხვაგან — აბუ ალ-ლ<sup>ა</sup> მუჰამმად იბნ ალ-ჰადლ იბნ ზუჰა<sup>ა</sup>რს, აბუ არ<sup>ა</sup>შბას, აბუ ჯა<sup>ა</sup>ჰარ ატ-ტაჰ<sup>ა</sup>ვის, აბდ ალ-ჰაქამ იბნ აჰმად ალ-მისრ<sup>ა</sup>ს, მუჰამმად იბნ აჰმად იბნ რაჯა<sup>ა</sup> ალ-ჰანაფის, მუჰამმად იბნ ლუმა<sup>ა</sup>რ ალ-ჰანაფის, მისრ<sup>ა</sup>ში — ირს იბნ ჰაჰდ ალ-მავსილს<sup>373</sup>. მისგან გადმოსცემენ უსთაზი<sup>373a</sup> აბუ-ლ-ვალრიდ ჰასან იბნ მუჰამმად ალ-ჰაქ<sup>ა</sup>ნი, ალ-ჰაქიმ აბუ აბდ ალ-ლ<sup>ა</sup>ჰი და აბუ ჰადლ ნასრ იბნ მუჰამმად იბნ აჰმად იბნ აკ<sup>ა</sup>ჰბ ალ-ატ<sup>ა</sup>ტ<sup>ა</sup>რ არ-რასს<sup>373b</sup>. ჩავიდა იგი ნისნბურში<sup>374</sup> 330 წელს<sup>374a</sup> და დარჩა იქ. შემდეგ გადავიდა მავრანანაჰრში<sup>375</sup> 350 წელს<sup>375a</sup> და დაწერა ხურანანში ბევრი, რაც განაცვიფრებს სიმრავლით ადამიანს. გარდაიცვალა იგი შაშში<sup>376</sup> 354 წელს<sup>377</sup>; სა<sup>ა</sup>ნდ იბნ ამრ იბნ ამმ<sup>ა</sup>რ აბუ ლუ<sup>ა</sup>მან ალ-აზნდ, რომელიც უსმენდა დიმაშქში აბუ ზურ<sup>ა</sup> ად-დიმაშქის, აბუ აკ<sup>ა</sup>ჰბ ალ-ჯუზჯანის, აბუ სა<sup>ა</sup>ნდ ალ-ამაჯჯის, მუსლიმი იბნ ალ-ჰაჯჯაჯ ალ-ჰაჰ<sup>ა</sup>ის, მუჰამმად იბნ აჰა<sup>ა</sup> აზ-ზაჰლს, აბუ ზურ<sup>ა</sup> და აბუ ჰათიმ არ-რ<sup>ა</sup>ზნებს, მუჰამმად იბნ ისჰაკ ას-სალანის და სხვებს<sup>378</sup>. გადმოსცემენ მისგან მუჰამმად იბნ აჟსუჰ იბნ იბრ<sup>ა</sup>ჰნი, I, 661 აბუ აბდ ალლ<sup>ა</sup>ჰ აჰმად იბნ ტ<sup>ა</sup>ჰირ იბნ ან-ნაჯმ ალ-მაჰანაჯ<sup>ა</sup> და სხვები. თქვა ჰაჰს იბნ ლუ<sup>ა</sup>მარ ალ-არდუბნლიმ<sup>379</sup>: დაჯდა სა<sup>ა</sup>ნდ იბნ ამრ ალ-ბარზა<sup>ა</sup><sup>380</sup> თავის ბინაში, დახმა კარნი და თქვა:

არ ვუამბობ ხალხს ჰადისებს, რადგან ხალხმა იგი შეცვალა. თხოვეს დახმარება ჰადისის მცოდნეებმა მუჰამმად იბნ მუსლიმ იბნ ვარა არ-რანს<sup>380</sup>. იგი წარსდგა მის წინაშე და სთხოვა, რომ მოეთხრო მათთვის ჰადისი. უპასუხა: არ ვიზამ ამას. უთხრა: გაფიცებ, რომ მოუყვე ამათ ჰადისს. მიუგო: რა უფლება გაქვს შენ ჩემზე! უთხრა: მე შენ უზანგს დაგიჭერ როდისმე. უპასუხა: შენ შეასრულებ შენს მოვალეობას ალლანის წინაშე. მე კი არა ვარ შენს წინაშე მოვალე. მიუგო: ხალხი გაგაკიცხავს შენ და მეც უკუვიქცევი შენგან. თქვა: ეს არც შენ აგცდება მუსლიმთა ჯამაათის მხრივ. მიუგო: მე მოვედი შენთან ერთხელ შენს მამულში და გამიზიარე შენ შენი საკმელი, მე კი შევიყვანე შენს გულში სიხარული. უთხრა: რაც შეეხება ამას—კი. შემდეგ უპასუხა, რაც მას სურდა; აბდ ალ-აზნბ იბნ ალ-ჰასან ალ-ბარზან ალ-ჰაჭიბ ალ-ნაბიდ აბუ ბაქრი, მოგზაური, რომელიც უსმენდა დიმაშკში მუჰამმად იბნ აბბას იბნ ად-დირაჰსს, მისრში—მუჰამმად იბნ აჰმად ალ-ჰაჭიბს და აბუ ჯაჰუბ ისჰაკ იბნ იბრაჰიმ იბნ აჟნუს ალ-ბაღდადნი ალ-მანჯანტიქს, მაგისოში—აჰმად იბნ რომარ ალ-მავსილნს, ვფიქრობ, აბუ ჯაჰუსსაც, რადგანაც გადმოსცემდა იგი ღასსან იბნ არ-რაბინისაგან. მისგან გადმოსცემენ აბუ ალნ ალ-ჰუსეფნ იბნ ალნ იბნ აზნბ ალ-ჰაჭიბი, აბუ ისჰაკ იბრაჰიმ იბნ მუჰამმად იბნ აჰმად ალ-მუზაქრ და აბუ მუჰამმად აბდ ალლჰ იბნ საინდ ალ-ჰაჭიბი<sup>381</sup>. თქვა ალ-ჰაჭიმ აბუ აბდ ალლჰმა<sup>382</sup> თავის „თარინში“: აბდ ალ-აზნბ იბნ ალ-ჰასან აბუ ბაქრ ალ-ბარზან ალ-ნაბიდი იყო ერთ-ერთი იმ ყარობ მოგზაურთაგანი, რომლებიც მივიდნენ აბუ ბაქრ მუჰამმად იბნ ისჰაკ იბნ ხუზამთან<sup>383</sup>. და ირწმუნა<sup>383</sup> აბუ ბაქრმა მისი ჰადისი მისი განდგომილებისა და ღვთისმოშიშობის გამო. იგი იყო მუჰინდი ნნსაბ-შურში აბუ ბაქრის სიციოცხლეში და მისი სიკვდილის შემდეგაც. შემდეგ გამოვიდნენ 318 წელს<sup>384</sup> ნნსაბურიდან რიბატში<sup>385</sup> ისა და სსვა მთხრობელები და დადგა იქ კარგა ხანს. შემდეგ დასახლდა ნესაში<sup>386</sup> ვარდაცვალებამდე, 323 წლამდე<sup>387</sup>.

I, 562 **ბარზანჯი**<sup>388</sup> — (პირველი თანხმომიანი) — ჭათჰით, შემდეგი—სუქჰნით, ზა—ჭათჰით, ნუნი—სუქჰნით და ჯნში. ქალაქი არრანის ოლქებიდან. მასა და ბარზანს შორის 18 ფარსახია ბზ ალ-აბვზბის გზაზე. ბარზანჯში არის გადასასვლელი მდინარე ალ-ქურრზე, რომლითაც გადადიან შამხნისაკენ შარვანის დედაქალაქისაკენ.

I, 562 **ბარზანდი**<sup>389</sup> — დალი უწერტილო.

ქალაქი თბილისის მხარეში, ჯურზანის ერთ-ერთ ოლქში, პირველ არმინიაში. პირველი ვინც დაასახლა იგი მას შემდეგ



რაც დანგრეული იქნა და აქცია სამხედრო ბანაკად, იყო აქ-  
შინი<sup>390</sup>.

ამბობს ისტახრ: ბარზანდსა და არლუბნლს შორის 15 ფარ-1, 563  
სახია<sup>391</sup>. ამბობს აბუ სა'დი: ბარზანდი აზერბაიჯანის ერთ-ერთი  
მხარეა. ჩვენ კი უკვე მოვიხსენიეთ, რომ იგი თბილისის ერთ-ერთი  
მხარეა და აქშინის მიერაა დასახლებული. მე ვფიქრობ, რომ  
ადგილი, რომელიც დასახლა აქშინმა არის ბარზანჯი ან სხვა  
რომელიმე ადგილი, რომლის სახელიც ემთხვევა ამას და ალლანჰმა  
უკეთ იცის. ამას ნამდვილად ადასტურებს აბუ მანსურ სალიჰ იბნ  
ბუდაფლ იბნ ლონ ალ-ბარზანდ<sup>392</sup>, რომელიც გადმოსცემს აბუ  
ლანამი წაბლ ას-სამდ იბნ ლონ იბნ ალ-მამუნისა და აბუ მანსურ  
ბაქრ იბნ ჰადარისაგან<sup>393</sup>. მისაგან მოუსმენია აბუ-ლ-ქასიმ არ-რუ-  
ვადაშთის<sup>394</sup>. გარდაიცვალა იგი ბაღდადში 493 წლის შაბანის  
თვეში<sup>395</sup>; და ბუდაფლ იბნ ლონ იბნ ბუდაფლ ალ-ბარზანდ აბუ-  
ლ-ქასიმ ალ-ჰაქნჰი<sup>396</sup>, რომელიც გადმოსცემს აბუ ტალიბ ალ-  
რუსა და აბუ ისჰაკ ალ-ბარმაქისაგან<sup>397</sup>. და იყო იგი მართლის-  
მთქმელი—ამბობს შირუფაჰი<sup>398</sup>.

**ბარზათი**<sup>399</sup>— რუსთაქი აზერბაიჯანში. ბალანსურნს წიგნში I, 564  
წერია, რომ ავდინთა ხელში იმყოფებოდა<sup>400</sup>.

**ბარშალნაჰა**<sup>401</sup>—ადგილი არანში. იგი მოხსენიებულია ვად- I, 566  
მოცემებში სპარსთა მეფეების შესახებ.

**ბარანდაკი**<sup>402</sup>—ასეა გახმოვნებული: ნ შ ნ ი — ს უ ქ შ ნ ი თ; I, 595  
დ ნ ლ ი—ჰ ა თ ჰ ი თ და კ ა ჰ ი.

დიდი სოფელი ხევში კაზვნისა<sup>403</sup> და ხალხალს შორის, აზერბაი-  
ჯანის მხარეში.

**ბასტურჯანი**<sup>403</sup>—ჰა—დამით, რა—ს უ ქ შ ნ ი თ, შემდეგ I, 624  
ჯ რ მ ი, ა ლ ი ჰ ი და ნ შ ნ ი.

ოლქი არანის მხარეში. მისი ღვდაქალაქია ნაშავან, იგივე  
ნაქჯავანი. გააშენა იგი მთლიანად ანუშირვანმა, როცა ააგო ბან  
ალ-აბეზი. თელიან მას მესამე არმინიაში.

**ბასვან**<sup>404</sup>—(პირველი თანხმოვანი) — ჰ ა თ ჰ ი თ, შემდეგი — I, 626  
ს უ ქ შ ნ ი თ, ვ ა ვ ი — ჰ ა თ ჰ ი თ და ა ლ ი ჰ მ ა კ ს უ რ ა.

პატარა ქალაქი აზერბაიჯანის დასაწყისში უშნუსა და მარ-  
ლას შორის, ხან ხანაბაქის ახლოს. მე ვნახე იგი. უმეტესობა მისი  
მცხოვრებლებისა ყაჩაღებია.

**ბაშნრი**<sup>405</sup>—ციხე ბაშნრი. ერთ-ერთი ციხეა ბაშნავნაჰას ქურო- I, 635  
თა ციხეებიდან ზავაზანის მხარეში.

I, 671 ბუწლი<sup>408</sup> — (პირველი თანხმომცემი) — დამმით. ამბობს მის შესახებ ალ-ჰაზინი<sup>407</sup>: შემდეგ ვპოვე ნასართან ბუწლი — დამმით.

დიდი მთა არმინიის მხარეში.

I, 694 ბალრავანი<sup>408</sup> — ენეი — ჭათჭით, ნუნე — სუქუნით და დალი. ასე ვპოვე იგი გახმოვებული იბნ ბარდ ალ-ხაჯარის ხელნაწერში.

მხარე, რომელიც ითვლება მესამე არმინიაში.

I, 701 ბუკულლარი<sup>409</sup> — პირველი და მეორე თანხმომცემი — დამმით, ლამი — თემდღით და რა.

ადგილი აზერბაიჯანის სასაზღვრო ოლქში. აბუ თამამი ამბობს: და არ დარჩა ბუკულარის მიწაზე არც ერთი ფრინველი და არც ერთი მტაცებელი ცხოველი, რომელსაც არ გაეტარებინოს ლამე ნადიმში<sup>410</sup>.

I, 708 ბალსქირდი<sup>411</sup> — გადმოიცემა შა-თიც სინის ადგილას. სოფელი ირბილსა და აზერბაიჯანს შორის.

I, 729 ბალანჯარი<sup>412</sup> — (პირველი ორი თანხმომცემი) — ჭათჭით, ნუნე — სუქუნით, ჯემი — ჭათჭით და რა.

ქალაქი ხაზართა ქვეყანაში ბაბ ალ-აბეაბის გადაღმა. ამბობენ, დაიპყრო იგი აბდ არ-რაჰმან იბნ რაბი'ამ. ბალანჯარი კი ამბობს, რომ სალმან იბნ რაბი'ა ალ-ბაჰილი. და როდესაც მან გადაიარა იგი, შეხვდა მას ხაკანი თავისი ლაშქრით ბალანჯარს იქით და მოწამებრივად დაეცა იგი და მისი თანამებრძოლები, რომლებიც შეადგენდნენ 4 000-ს. პირველად შეეშინდათ მათი თურქებს და თქვეს, რომ ესენი არიან ანგლოზები და არ შეიძლებაო მათ წინააღმდეგ მოქმედება იარაღით. მაგრამ, მოხდა ისე, რომ ერთი თურქი დაიშალა ბუქნარში, ესროლა მუსლიმს ისარი, მოკლა იგი და დაუძახა თავის ხალხს: ესენი იხოცებიან ისევე. როგორც იხოცებით თქვენ, და ნუ ვეშინიათ მათი. შემდეგ გააქციეს ისინი და ებრძოდნენ, ვიდრე მოწამებრივად არ დაეცა აბდ არ-რაჰმან იბნ რაბი'ა. დროშა კი აიღო მისმა ძმამ და არ შეუწყვეტია ბრძოლა, ვიდრე არ შეძლო დაემარხა ძმა ბალანჯარის სანახებში, ხოლო დანარჩენი მუსლიმებით დაბრუნდა ჯილანის გზით. და თქვა აბდ არ-რაჰმან იბნ ჯუმანა ალ-ბაჰილი:

ქემარტიტად ჩვენ გვაქვს ორი საფლავეი. საფლავეი ბალანჯარში და საფლავეი სინის ისტანში. ო, შენ საფლავო!

ეს, რომელიც სინშია, ცნობილია მისი დაპყრობები.

და ეს არის ის, რომლითაც ირწყვება თავთავნი მიწისა.

იგულისხმება, რომ თურქები, როდესაც მოკლეს აბდ არ-რაჰმან იბნ რაბრ'ა, [სხვები] კი ამბობენ, სალმან იბნ რაბრ'ა და მისი თანამებრძოლები, ყოველ დამე ხედავდნენ ცეცხლს ბრძოლის ველზე. მაშინ აიღეს სალმან იბნ რაბრ'ა, ჩადეს იგი ყუთში და იწვევდნენ იმით წვიმას, როდესაც გვალვა იყო. რაც შეეხება იმ საფლავს, რომელიც სინ'შია, ისაა კუთააბა იბნ მუსლიმ ალ-ბაჰილის. იხსენიებს [ბალანჯარს] ალ-ბუჰთურნ, აქებს რა ისპაკ იბნ ქუნდუჯიქს<sup>413</sup>.

**ბაჯჯან ქურდი**<sup>414</sup>—ჭ ა თ ჰ ი თ და ნ უ ნ ი თ.

I, 782

ქალაქი და ციხე კარსსა და არზან რუმს შორის, არმინიის მიწაზე.

**ბაჯღა**<sup>415</sup>—ქალაქი ხაზართა ქვეყანაში ბაბ ალ-აბვანის გადაღმა. I, 793  
იხსენიებს მას ალ-ბუჰთურნ, აღიღებს რა იბნ ქუნდუჯიქ ალ-ხაზარის.

**ბაჯლაკანი**<sup>416</sup>—(პირველი თანხმოვანი)—ჭ ა თ ჰ ი თ, შ ე მ დ ე გ ი — I, 797  
ს უ ქ უ ნ ი თ, კ ა ჭ ი —ჭ ა თ ჰ ი თ, ა ლ ი ჭ ი და ნ უ ნ ი.

ქალაქი დარბანდის მახლობლად, რომელსაც ეწოდება ბაბ ალ- I, 798  
აბვანბი. ითვლება დიდ არმინიაში. [მდებარეობს] შარვანის ახლოს. ნათქვამია, რომ პირველი ვინც დაარსა იგი, როდესაც დაეუფლა არმინიას იყო მეფე კუბაზი. ამბობენ [აგრეთვე], რომ პირველი, ვინც შექმნა იგი, არის ბაჯლაკან იბნ არმანრ იბნ ლანტან იბნ აშენანი. თელის მას ხალხი არრანის ერთ-ერთ ოლქად.

ამბობს აჰმად იბნ მაჰა იბნ ჯაბირი<sup>417</sup>: გაემართა სულაიმან იბნ რაბრ'ა წუსმან იბნ აჰმანის ხალიფობის დროს,—არ აზუსტებს თარიღს,—არრანისაკენ, დაიპყრო ბაჯლაკანი სულჰით მათი სისხლის, ქონების, ქალაქების კედლების ხელშეუხებლობისა და ჯიზიასა და ხარაჯას გადახდის პირობით და შემდეგ გაემართა ბარხანასაკენ<sup>418</sup>.

მოვიდნენ იქ თათრები 617 წელს. ამოწყვიტეს უკლებლივ ყველა, ვინც იპოვეს, გაძარცვეს იგი და გადასწვეს. და როდესაც განშორდნენ მას, დაბრუნდა იქ ხალხი, რომლებიც გაქცეული იყვნენ, მათ შეუერთდნენ სხვებიც და აჰმად იქ მტკიცედ ფეხმოკიდებულნი არიან.

მასთანაა დაკავშირებული ხალხი, მათ შორის აბუ-ლ-მა'ალნ აბდ ალ-მალიქ იბნ აჰმად იბნ აბდ ალ-მალიქ იბნ აბდაქან ალ-ბაჯლაკანი<sup>419</sup>, რომელიც გაემგზავრა ჰადისების შესასწავლად ხურანსანსა და ირავში და უსმენდა ბაღდადში აბუ ჯა'ფარ იბნ მასლამასა და სხვებს მის გარდა. აღესრულა ბაჯლაკანში 496 წლის<sup>420</sup> შემდეგ.

**თიბრნისი**<sup>421</sup>—პირველი თანხმოვანი — ქ ე ს რ ი თ, მეორე — ს უ - I, 622  
ქ უ ნ ი თ, რ ა — ქ ე ს რ ი თ, ა ა — უ ხ მო ვ ნ ო და ზ ა. ასე ახმოვნებს მას აბუ სა'დი.

აზერბაიჯანის ყველაზე ცნობილი ქალაქი. ესაა ქალაქი დასახლებული, ლამაზი, მყარი გალავნებით აგურისა და თაბაშირისაგან. მის შუაგულში მრავალი მდინარე მიედინება. ბალები გარს ერტყმის მას და ხილი იქ იაფია. არ შემხვედრია იმ მხარეებში, რაც მე მინახავს, უფრო სასიამოვნო ვიდრე მისი გარგარი, წოდებული მავსილინდ. ვიყიდე იგი იქ 610 წელს<sup>422</sup> და ყოველ 8 ბაღდადურ მანნში<sup>423</sup> ნახევარი ოქროს მარცვალი<sup>424</sup> მივეცი. მისი შენობები აგებულია მოჭიქული წითელი აგურისა და თაბაშირისაგან, ძალიან გამძლეა.

მისი გრძელია—73 გრადუსი და მეექვსედი, განედი—37 გრადუსი და ნახევარი. თაბრნიხი სოფელი იყო, ვიდრე არ ჩავიდა იქ არ-რავანდ ალ-აზნ<sup>425</sup>, აზერბაიჯანის დამპყრობელი ალ-მთუთავაქქილის დროს<sup>426</sup>. შემდეგ ალ-ვაჯნა იბნ არ-რავანდმა და მისმა ძმებმა ააშენეს იქ კოშკები და გაამაგრეს იგი გალავნით. დასახლდა იქ ხალხი მასთან ერთად და აკეთებენ ქსოვილებს მოსახსამებისათვის, სიკლატუნს, ხატაის, ატლასს და სხვა ქსოვილებს<sup>427</sup>, რომლებიც გააქვთ სხვა ქვეყნებში აღმოსავლეთსა და დასავლეთში<sup>428</sup>.

ჩაუარეს მას თათრებმა, როდესაც ანგრევდნენ ქვეყნებს 618 წელს. თიბრნიხის მოსახლეობა დაეზავა მათ ხარკზე, რომელიც I, 823 უნდა გაეღოთ მათ სასარგებლოდ და ამრიგად გადაურჩნენ მათ; დაიფარა ისინი ალლჰამა მათგან.

გამოვიდა აქედან მეცნიერთა დიდი ჯგუფი, მათგან: აღიბთა იმამი აბუ ზაქარია აჰმად იბნ ალნ ალ-ხატინ ალ-თიბრნი<sup>429</sup>, რომელიც სწავლობდა აბუ ალნ ალ-მარინს<sup>430</sup> ხელმძღვანელობით აშ-შამში და ისმენდა ჰადისებს აბუ-ლ-ჰათჰ სულამ იბნ აჯაბ არ-რანისა<sup>431</sup> და სხვათაგან. მისგან გადმოსცემენ აბუ ბაქრ ალ-ხატინი, მუჰამმად იბნ ნასირ ას-სულამნი<sup>432</sup>, რომელმაც თქვა: მომისმენია, რომ ამბობენ თიბრნიხს—თ ა-ს ქესრიოთ, და [აგრეთვე], აბუ მანსურ მავჰუბ იბნ აჰმად იბნ ალ-ხიდრ ალ-ჯავაღრიკნი<sup>433</sup>. მან შეთხზა თხზულებანი დიდად სასარგებლო და აღესრულა ბაღდადში ჯუმად ალ-ახირას<sup>434</sup> თვეში 502 წელს<sup>434</sup>; ყადი აბუ სალიჰ შუაჰბ იბნ სალიჰ იბნ შუაჰბ ათ-თიბრნი<sup>435</sup>, რომელიც გადმოსმოსცემდა ჰადისებს აბუ იმრან შუსა იბნ იმრან იბნ ჰილალისაგან<sup>436</sup>. გადმოსცემენ მისგან ჰადად იბნ ანსიმ იბნ ბაქრან ან-ნაშა ვნი<sup>437</sup> და სხვები.

I, 857 თაჰლნიხი ან თიჰლნიხი<sup>438</sup>—პირველი თანხმოვანია—ჰ ა თ ჰ ი თ ანდა ქესრიოთ.

ქალაქი პირველ არმინიჯაში, ზოგიერთის მიხედვით—არრანში. იგი ჯურჯანის მხარის დედაქალაქია. [მდებარეობს] ბაზ ალ-აბუვანი

მახლობლად. იგი ძველი, უხსოვარი დროიდან არსებული ქალაქია. მისი გრძელია—62 გრადუსი, განედი—42 გრადუსი.

ამბობს მისწარ იბნ მუჰალჰილი, პოეტი, თავის „რისალეში“: წამოვედი შირვანიდან არმინის ქვეყანაში, ვიდრე არ მივალწიე თბილისს. ესაა ქალაქი, რომლის იქითაც აღარ ვრცელდება ისლამი. მის შუაში მიედინება მდინარე, რომელსაც ეწოდება ქურორი და რომელიც ერთვის ზღვას. მასში დოლაბებია საფქვავეად. მას არტყია დიდი ვალავანი. იქ არის ძლიერ ცხელი აბანოები, რომლებიც არ საჭიროებს გაცხელებას და არც წყლის ამოქაჩევას. ამის მიზეზი გამჭირიანი ხალხისათვის ნათელია და ეს მათთვისუფლებს აუცილებლობისაგან რომ განემარტო იგი. ესე იგი, ესაა ცხელი წყარო, რომელიც ამოდის მიწიდან. აშენებულია მასზე აბანო, და არ საჭიროებს წყლის ამოქაჩევას<sup>439</sup>. მე ვამბობ, რომ ეს აბანო, როგორც გადმომცა ამის შესახებ ბევრმა თბილისის მცხოვრებთაგან, მუსლიმებისთვისაა და სხვები მასში არ დადიან<sup>439ა</sup>.

დაიბყრეს მუსლიმებმა [თბილისი] ოსმან იბნ აჰმანის დროს.— I, 858  
აღლწამიც კმაყოფილია მისით. ვაემართა ჰაბიბ იბნ მასლამა არმინისაკენ, დაიბყრო მის ქალაქთა უმრავლესობა და როდესაც მიალწია მის შუაგულს, მივიდა მასთან ჯურზანის პატრიკიოსის მოციქული. ჰაბიბს გადაწყვეტილი ჰქონია ჯურზანისაკენ წასვლა, როდესაც მას შეხვედრია [მოციქული] და უთხოვია, რომ დაეწერა ჰაბიბს მათთვის ზავისა და ამანის წიგნი. თქვა: და დაუწერა მათ: „შემდეგ აი რა. ქეშმარიტად მოციქული თქვენი წარმოგვიდგა მე და ჩემთან მყოფ მორწმუნეებს და მოგვახსენა თქვენი საბელით, რომ თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ ვართ ხალხი, რომელიც განადიდა აღლწამა და აღმატებულჰყო. ამგვარად გვიქნა ჩვენ აღლწამა, დიდება მას მრავალგზის და აღლწამიც აკუროთხებს მუჰამმადს, მოციქულს მისას, საუკეთესოს მის ქმნილებათა შორის. თქვენ ამბობთ, რომ გსურთ ზავი ჩვენთან. მე შევადგასე თქვენი ძღვენი, ჩავითვალეთ იგი ჯიზიაში და დაგიწერეთ ამანი, რომელშიც გიდებთ პირობას. თუ მიიღებთ და შეასრულებთ მას [ხომ კარგი]: და თუ არა, მაშინ გამოგეცხადებათ ომი აღლწამისა და მისი მოციქულის სახელით. მშვიდობა მას, ვინც მისდევს ქეშმარიტ ზავს“. ამასთანავე ერთად დაუწერა მათ ზავისა და შეუვალობის სიგელი. აი ისიც: „სახელითა აღლწამისა, მოწყალისა, მწყალობლისა. ესაა წიგნი ჰაბიბ იბნ მასლამასაგან თბილისის მოსახლეობისადმი მანჯალნის რუსთავიდან<sup>440</sup>, ჰარმაზის ჯურზანიდან<sup>441</sup>, მათი პიროვნების, ეკლესიების,

წინააქების, ლოცვისა და სარწმუნოების შეუვალობის პირობით, დამციროებისა და ჯიზიას აღიარებით—ყოველ კომლზე დინარო. თქვენ არ გაქვთ უფლება, რომ გააერთიანოთ კომლები ჯიზიას შესამცირობლად და არც ჩვენ, რომ დავანაწილოთ ისინი მის გასადიდებლად. ჩვენ გვექნება თქვენი კეთილი რჩევა ალლაჰისა და მისი მოციქულის მტრების წინააღმდეგ, რამდენადაც თქვენ შეგედლებათ; კეთილად გამასპინძლება ლამით მუსლიმისა, რომელიც ამას საჭიროებს ჩვენს შორის ნებადართული წიგნის ხალხთა საქმელებით. და თუ ჩამორჩება კაცი მუსლიმი თქვენთან, მაშინ თქვენზეა მისი მიყვანა მართლმორწმუნეთა უახლოეს რაზმამდე, თუ ეს თქვენთვის შეუძლებელი არ არის. თუ მოიქცევით და დაადგრებით ლოცვას, მაშინ იქნებით ჩვენი თანამოძმენი სარწმუნოებაში. თუ არა, მაშინ ჯიზიაა თქვენზე. და თუ შეემთხვათ მუსლიმებს რაიმე საქმე, ვერ მოიცალეს თქვენთვის და დაგიმორჩილათ მტერმა თქვენმა, ამის გამო არ დაისჯებით და არ იქნება ეს დარღვევა თქვენი პირობისა. ესაა თქვენი უფლებები და ესაა თქვენი მოვალეობები. მოწმია ალლაჰი და მისი ანგელოზნი. საკმარისია ალლაჰი მოწმედ<sup>412</sup>.

შემდგომ ამისა იგი (თბილისი) განუწყვეტლივ იმყოფებოდა მუსლიმთა ხელში და მისმა მცხოვრებლებმა მიიღეს ისლამი. [ასე იყო] ვიდრე არ გამოვიდა 515 წელს, თბილისის მოსახლერე მთებიდან, რომლებსაც ეწოდება აჯხახეთის მთები, ქრისტიანი ტომი, სახელად ქურჯი, მრავალრიცხოვანი ჯარით და თავს არ დაესხა მათ მეზობელ ისლამის ქვეყნებს, რომელთა მმართველებად მანამდე იყვნენ სელჩუკი<sup>413</sup> მეფეები, უკვე დასუსტებულნი ერთმანეთში შუღლითა და ბრძოლით, რადგანაც უნდოდა თვითეულ მათგანს საპეფო თავისთვის. ამ წელს უთანხმოება ჩამოვარდა მაჰმუდსა და მასტუდს<sup>414</sup>, მუჰამმად იბნ მალიქ შაჰის<sup>415</sup> ორ ვაჟიშვილს შორის. გაიხადეს ამირებმა იგი (ქვეყანა) სადაო ბაზრად (სავაჭრო საგნად), რომელსაც აკუთვნებდნენ ხან ერთს, ხან მეორეს, ეს კი ხელს უშლიდა მათ საზღვრების დაცვაში. თავს დაესხნენ ქურჯები არმინიის მმართველებს. რის შედეგადაც გაიმარჯვეს ქურჯებმა, უკუაქციეს მუსლიმები, ჩამოხდნენ თბილისთან და ალყა შემოარტყეს ქალაქს, ვიდრე არ დაეუფლნენ მას ბრძოლით. დახოცეს იქ მუსლიმთაგან მრავალი ხალხი. შემდეგ დაეუფლნენ ქალაქს, განაგრძნენ მასში და მოექცნენ მის მცხოვრებლებს კეთილად, გაიხადეს რა ისინი ქვეშევრდომებად. და ქართველები განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ მუსლიმებს ხან არრანში, ხან აზერბაიჯანში, ხან ხილავტში, ხოლო მათი (მუსლიმთა) მმართველები გართულნი იყვნენ

ღვინის სმითა და აკრძალული საქმეების კეთებით<sup>446</sup>. [ასე გაგრძელდა იმ დრომდე], სანამ არ გაემართა მისკენ (თბილისისაკენ) ჯალალ ად-დინ მანქუბარნი იბნ ხვარაზმშაპი 623 წლის თვეებში. მან დაიმორჩილა თბილისი და ამოწყვიტა ქართველები, მოუხდა მათთან ბრძოლები და ყველა ბრძოლაში სძლია მათ. შემდეგ განაწესა იქ ვალნი და ლაშქარი და წავიდა. უსამართლოდ მოექცა ვალნი (თბილისის) მცხოვრებლებს, რომელთაც მოუწოდეს გადარჩენილ ქართველებს და გადასცეს მათ ქალაქი. მაშინ გამოვიდნენ იქიდან ხვარაზმელები და მიაშურეს მათ პატრონს. ქართველებს შეეშინდათ, რომ არ მობრუნებულყო ხვარაზმშაპი, რომლის წინააღმდეგაც არ შესწევდათ ძალა, გადასწვეს ქალაქი და დატოვეს იგი. ეს მოხდა 624 წელს<sup>447</sup>. ეს არის უქანასკნელი (ამბავი) რაც ვიცი თბილისის შესახებ.

თბილისიდანაა მრავალი მეცნიერი. მათგან: აბუ აჰმად ჰამიდ იბნ აჟსუჰ იბნ აჰმად იბნ ალ-ჰუსეინ ათ-თიჰლენსი<sup>448</sup>, რომელიც სწავლობდა ბაღდადში და სხვაგანაც. უსმენდა იერუსალიმში აბუ აბდ ალლჰ მუჰამმად იბნ ალნი იბნ აჰმად ალ-ბაიჰაკის და მექაში—აბუ-ლ-ჰასან ალნი იბნ იბრჰიმ ალ-ნაკულის. მისგან გადმოსცემს ალნი იბნ მუჰამმად ას-სავნი. თქვა ჰაფიზმა აბუ-ლ-კასიმმა: გადმოგვცა ჩვენ მის შესახებ აბუ-ლ-კასიმ იბნ ას-სუსნი, რომ გავიდა დიმაშკიდან 482 წელს<sup>449</sup>.

**თალლუ კურად**<sup>450</sup>—ცნობილი ციხე-სიმაგრე არმანთა ქვე-1, 869 ყანაში, შაბახთანის მხარეში.

**სურსტური**<sup>451</sup>—ორი მდინარე არრანსა თუ არმენიაში. უწო-1, 921 დებენ ორივეს სურსტურ დიდს და სურსტურ მცირეს. „ქითაბ ალ-ფუთუჰში“ წერია: დაიბანაკა სალმან იბნ რაბრამ, როდესაც მივიდა ბარზააში სურსტურთან. ესაა მდინარე მისგან ფარსახზე ნაკლები მანძილით დაშორებული<sup>452</sup>.

\* \* \*

**ჯაბრავანი**<sup>1</sup>—ქალაქი აზერბაიჯანში თაბრნის ახლოს. II, 2

**ალ-ჯალი**<sup>2</sup>—ლამით. ადგილი აზერბაიჯანში. II, 10

**ჯურახანდი**<sup>3</sup>—ხანს შემდეგ ბა ერთწერტილიანი — ფათ-11, 56

3ით, ნუსნი—სუქუსნი და დალი უწერტილო.

პატარა ქალაქი არმენიასა ან აზერბაიჯანში. იქ აღესრულა უბად ალლჰ იბნ ალნი იბნ ჰამზა, ცნობილი იბნ ალ-მარის-

თანიდას სახელით<sup>4</sup>. იგი გაგზავნილ იქნა ეპისტოლეთი თბილისში ან-ნასირის მიერ<sup>5</sup>. როდესაც დაბრუნდა და შოალწია ამ ადგილს, აღესრულა 529 წლის ზუ-ლ-კადის თვეს<sup>6</sup>. იგი იყო პატივცემული მეცნიერთა და ჰაფიზთა შორის, როგორც გადმოსცემენ მის შესახებ.

11, 57 **ჯურჯანი**<sup>7</sup>—(პირველი თანხმომიანი)—დამმით, შემდეგი—სუქუნით, ზალი წერტილიანი—მათჰით, კაჭი—ქესრით, და დაღამი.

ციხე ზავაზანის ოლქში. იგია ტახტი ბუხთრდას ქურთთა სამეფოსი, სასახლე იმამ აბუ-ლ-ჰასან ლარ იბნ მუჰამად იბნ აბდ-ალ-ქარემ იბნ ალ-ასირ ალ-ჯაზარნას<sup>8</sup>.

11, 58 **ჯურჯანი**<sup>9</sup>—(პირველი თანხმომიანი)—დამმით, შემდეგი—სუქუნით, ზა, ალიჭი და ნუნით.

ერთ-ერთი მხარის კრებითი სახელი არმინიდაში. მისი დედა-ქალაქია თბილისი. ამბობს იბნ ალ-ქალბნ აშ-შარკნ იბნ კუტუმისაგან<sup>10</sup>: ჯურჯანი და არრანი ორივე ესაზღვრება არმინის კარს. არრანი ესაა ბარჯაას ქვეყანა, მოსაზღვრე დაღამისა. ისინი ორივენი ძენი არიან ქასლუხნმ იბნ ლანტა იბნ აჟნან იბნ აჰყეს იბნ ნუჰის, —მშვილობა მას.

ამბობს ლარ იბნ ალ-ჰუსეინი თავის „მურჯუნი“: შემდეგ მოსდევს აბხაზთა სამეფოს ჯურჯიდას სამეფო<sup>11</sup>. მე ვამბობ, ისინი ქურჯები არიან. რამდენადაც მე ვფიქრობ, გაარაბულდა სიტყვა და გამოითქმის ჯურჯ. თქვა: ესაა დიდი ხალხი, ამაჰამად მათ ჰყავთ მეფე, რომელსაც ჰქვია ატ-ტანბალი<sup>12</sup>. მისი რეზიდენცია არის ადგილი, რომელსაც უწოდებენ მასჯიდ ზუ-ლ-კარნაანს<sup>13</sup>. ისინი მისდევენ ქრისტიანულ სარწმუნოებას. ეწოდებათ მათ ჯურჯანი. აბხაზები და ჯურჯიები უხდიან ხარაჯას თბილისის სასაზღვრო ოლქის პატრონს, თბილისის დაპყრობისა და იქ მუსლიმთა დასახლებიდან მუთავაქქილის დღეებამდე<sup>14</sup>. და იყო იქ კაცი, სახელად ისჰაკ იბნ ისმარლი<sup>15</sup>, რომელმაც დაიმორჩილა იგი (თბილისი), გამოიყენა რა მასთან მყოფი მუსლიმების დახმარება მის გარშემო მყოფ ხალხთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი დაემორჩილნენ მის ძალას და უხდიდნენ მას ჯიზიას. ემინოდა მისი ყველას, ვინც იყო იქ ხალხთაგან. სანამ არ გაგზავნა მის წინააღმდეგ მუთავაქქილმა ბულა თურქნ<sup>16</sup> დიდი ჯარით. ჩამოხდა (ბულა) თბილისის საზღვართან და იბრძოდა ერთ ხანს, ვიდრე არ დაიპყრო იგი მახვილით და მოკლა ისჰაკი, რადგანაც მან შეწყვიტა მორჩილება სულთნისა. იმ დროიდან დასუსტდა სულთნის ღირსება ამ სასაზღვრო ადგილებში<sup>16ა</sup>. ისწრაფოდნენ მისკენ დამპყრობლები.



ისინი კი უძლურნი იყვნენ წინააღმდეგობა გაეწიათ მათ გარშემო მყოფ ურწმუნოებისათვის, აღარ ჰქონდათ საშუალება ჯიზიას გადახდისა და ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი წაეღოთ თბილისის მამულებიდან, სანამ არ გაბატონდნენ თბილისზე ქურჯები, რაც მოხდა 515 წელს. მუსლიმების მიერ ამ ადგილის დაპყრობა უკვე იყო მოხსენიებული კარში თბილისის შესახებ. დაიპყრო ეს ადგილები და არანნი მუთადიდი ალ-ლლჰის<sup>17</sup> დროს კაცმა, რომელსაც ერქვა მუჰამმად იბნ აბდ ალ-ვაჰიდ ათ-თამიმმ ალ-ამამიმ<sup>18</sup>. თქვა პოეტმა რომარ იბნ მუჰამმად ალ-ჰანაჰიმ<sup>19</sup> ლექსი, აქებდა რა მას: და მოიპოვა სირიაში მრავალი სახელოვანი დღე, რომელიც მასთან იყო დაკავშირებული ხალხის თვალში და ამით სახელი გაითქვა. მან გათელა ჯურჯანის კეთილშობილნი ისეთი დათრგუნვით, რომ ჩიოდნენ ზიანს მისი დაუსრულებელი გათელვის გამო.

იხსენიებს (ჯურჯანს) აბუ რუზდა ატ-ტან<sup>20</sup> თვის ქებაში II, 59 აბუ სანდ მუჰამმად იბნ აჟსუჟ ას-სალრისადმი.

ჯურჯან<sup>21</sup>—(პირველი თანხმომიანი)—დამმით, შემდეგი—სუ II, 65 ქუნიოთ, ნუნი და ალიჟ მაკსურა.

ქალაქი არმინიის ერთ-ერთ ოლქში. დაბნლის ახლოს, ჰაბნბ იბნ მასლამა ალ-ჰიჰრის მიერ დაპყრობილთაგან.

ჯანჯა<sup>22</sup>—(პირველი თანხმომიანი)—ჰათჰით, შემდეგი—II, 72 სუქუნიოთ, ნუნი—ჰათჰით და კაჰი.

პატარა, აყვავებული ქალაქი აზერბაიჯანში, მარადას ახლოს. აქ არის ძეგლები უძველესი ხოსროებისა<sup>23</sup>, ნაგებობანი და ცეცხლის ტაძრები.

ჯანჯა<sup>24</sup>—ჰათჰით.

II, 132.

ყველაზე დიდი ქალაქის სახელი არანში. მდებარეობს შარენსა და აზერბაიჯანს შორის. ეს ის (ქალაქია), რომელსაც ხალხი უწოდებს ქანჯას. მასა და ბარჯანს შორის 16 ფარსახია.

აქედან მრავალი მეცნიერი გამოვიდა, მათგან: აბუ ჰაჰს რომარ იბნ რომან იბნ შუაჰბ ალ-ჯანზ<sup>25</sup>, ადიბი, განათლებული, რჯულისმეტყველი, რომელიც სწავლობდა ადაბს ადნბ აბუ მუჰაჰჰარ აბნვარდნსთან<sup>26</sup> ბაღდადას და ჰამადანში და ისმენდა ჰადისებს აბუ მუჰამმად ად-დუნისაგან. მისგან მოუსმენია ხალხს ხურანსანსა და სხვაგან. გარდაიცვალა იგი მერვს<sup>27</sup> 550 წელს<sup>28</sup>.

ზოგი ამბობს, რომ მისგან ნისბა არის ჯანჯან. ასე აწარმოებს ნისბას აბუ-ლ-ჰადლ ისმანლ იბნ ალნ იბნ იბრანმ ალ-ჯანჯანე ალ-მუადდალ ად-დიმაჰენ<sup>29</sup>, რომელიც ჩაეიდა ბაღდადში თავის სიჰაბუკეში და მოუსმინა იქ აბუ ბარქათ ჰაბთ ალლჰ

იბნ მუჰამმად იბნ ლონ ალ-ბუხარის, აბუ ნასრ. აჰმად იბნ მუჰამ-  
 მად იბნ აბდ ალ-კაჰირ ატ-ტუსის და სხვებს მათ გარდა<sup>30</sup>. გარ-  
 დაიცვალა 588 წელს<sup>31</sup>; აჰმად იბნ იბრაჰიმ იბნ მუჰამმად იბნ აჰმად  
 იბნ იბრაჰიმ იბნ მუსა იბნ აბდ ალლჰ ალ-ჯანზი აბუ მასტუდი<sup>32</sup>  
 ოსბაჰანის მცხოვრებთაგან, შეიხი სამართლიანი, ჰადისის მეცნიერთა  
 შთამომავალი, რომელიც მიიყვანა მისმა მამამ აბუ ამრ იბნ მანდუ-  
 ვაჰის მეჯლისში და უსმენდა მას და აბუ-ლ-კასიმ ისმაილ იბნ  
 მასადა ალ-ისმანილს. თქვა აბუ სადმა: მე დაეწერე მის შესახებ.  
 თქვა: რაც შეეხება აბნ იბნ ამრ იბნ ჯანზა ალ-ჯანზის<sup>33</sup>, იგი  
 უკავშირდება მის პაპას, რომლის შესახებაც გადმოსცემს აბბას  
 ად-დურ.

- 11,145 **ჯუზიმი**<sup>33</sup>—მნიშობ. აზერბაიჯანის ერთ-ერთი რუსთაჰი მთაში.  
 11,145 **ჯურაბი**<sup>34</sup>—რს, ჰამზიანი ალიჰი და ბნ ერთწერტი-  
 ლიანი.

სოფელი ქურჯების—ჯნიშთ,—მახლობლად მთის მხარეში.

- 11,183 **ჰარისი და ჰუვაჰარისი**<sup>35</sup>—ორი მთა არმინიაში, რომლებ-  
 ზედაც არის საფლავები არმინიის მეფეებისა და მათთან ერთად  
 განძი მათი. ამბობენ, რომ ბრძენმა ბაღნანსმა თილისმა გაუკეთა  
 მას, რათა არავის არ ეგდო იგი ხელთ და არავის კაცთაგან  
 არ შესწლებოდა ასვლა ამ მთაზე.

ამბობს ალ-მადანი: მთები ჰარისი და ჰუვაჰარისი, რომლე-  
 ბიც არიან დაბნლთან, იწოდებიან ჰუვაჰარის იბნ ლუკა და ჰარის  
 იბნ ამრ ალ-ლანავრების მიხედვით, რომლებიც იყვნენ სალმან იბნ  
 II,184 რაბნასთან ერთად არმინიაში. ისინი პირველები არიან, რომლე-  
 ბიც ავიდნენ ამ მთებზე და ეწოდათ მათ მათი სახელი.

გადმოსცემს იბნ ალ-ჰაკიმი: ჰემმარიტად, მდინარე არ-  
 რასსზე არმინიაში ათასი ქალაქი იყო. გაუგზავნა მათ ალლჰმა  
 წინასწარმეტყველი, რომელსაც ერქვა მუსა,—იგი არ იყო მუსა იბნ  
 იმრანი,—რომელმაც მოუწოდა მათ ალლჰისა და რწმენისაგენ.  
 ცრულ გამოაცხადეს იგი, უარჰყვეს და არ დამორჩილდნენ მის  
 ბრძანებას. მაშინ დაწყველა ისინი მან და დასტრა ალლჰმა ჰარისი  
 და ჰუვაჰარისი ადგილიდან და თავს დასცა ისინი მათ. ამბობენ,  
 რომ არ-რასის ხალხი ამ ორი მთის ძირასაა.

- 11,234 **ალ-ჰარბია**<sup>36</sup>—ნისბის ფორმაა.  
 დიდი, ცნობილი უბანი ბაღდადში ჰარბის კართან, ბიშრ  
 ალ-ჰანის<sup>37</sup>, აჰმად იბნ ჰანბალის<sup>38</sup> და სხვათა სასაფლაოსთან. უკავ-  
 შირდება აბუ ჯაჰარ ალ-მანსურის<sup>39</sup> ერთ-ერთი ბელადსა და ბაღ-

დადის შურტას გამგებელს ჰარბ იბნ აბდ ალლჰ ალ-ბალხის<sup>40</sup>. რომელიც ცნობილია რავენდის სახელით. ხოლო მავსილის შურტას<sup>41</sup> გამგებელი ჯაფარ იბნ აბუ ჯაფარ ალ-ჩანსური იყო, რომელიც იმ დროს მავსილში იმყოფებოდა. მოკლეს თურქებმა ჰარბი ალ-მანსურის ხალიფობის დროს 147 წელს<sup>42</sup>. ეს მოხდა ისე, რომ აშთარხან ხორეზმიელი<sup>43</sup> გავიდა თურქ ხაზარებთან ერთად დარბანდიდან, თავს დაესხა არმინის ოლქებს, დახოცა და დაატყვევა ხალხი მუსლიმთაგან, შევიდა თბილისში და მოკლა იქ ჰარბი<sup>44</sup>.

დაინგრა ყველაფერი, რაც ესაზღვრებოდა ამ ჰარბიას უბნებიდან და დარჩა მხოლოდ იგი, როგორც განმარტოვებული ქალაქი შუა უდაბნოში. მოსახლეობამ მას შემოავლო ზღუდე და კეთილმოაწყო იგი. მასში არის ბაზრები ყველაფრისათვის. ქალაქს აქვს მეჩეთი, რომელშიც მიმდინარეოს ხუტბა<sup>45</sup> და ჯუმ<sup>46</sup>. მასა და ბაღდადს შორის დღეს დაახლოებით ორი მილია. თქვა აბუ სადმა: ყადი აბუ ბაქრ მუჰამმად იბნ აბდ ალ-ბაქი ალ-ანსარისაგან გამიგონია, რომ ბაღდადში ამბობენ, როდესაც გადაივლი მანსურის მეჩეთს, მთელს იმ უბანს ეწოდება ალ-ჰარბია, როგორც ალ-ნასრია, ალ-შაქირია, დარ ბატრჰი, ალ-აბბასია და სხვ.

აქედან არის წარმოშობით მეცნიერთა ჯგუფი, რომელთაგანაც არის იბრჰჰიმ იბნ ისჰაკ ალ-ჰარბი<sup>47</sup>, იმამი, ასკეტი, მეცნიერი, გრამატიკოსი, ჭაკჰი, წარმოშობით იყო მერვიდან. მას ეკუთვნის მრავალი ნაწარმოები. მათ შორის „ღარბ ალ-ჰადისი“. გადმოსცემდა იგი აჰმედ იბნ ჰანბალისაგან, აბუ ნუ<sup>48</sup>ამ ალ-ჰადლ იბნ დაქნისაგან<sup>48</sup> და სხვათაგან. გადმოსცემდა მისგან ჯამაათი. დაიბადა იგი 198 წელს<sup>49</sup> და გარდაიცვალა 285 წლის ზუ-ლ-ჰიჯჯას თვეს<sup>50</sup>.

**ჰარნაკი**<sup>51</sup>—(პირველი თანხმოვანი) — ჭათჰით, შემდეგი— 11,246 ს უქჰნით, ნუნი — ჭათჰით და კჰი.

ერთ-ერთი საბადო არმინიაში.

**ჰინუ ზიჰადი**<sup>52</sup>—მდებარეობს არმინიაში. დღეს ცნობილია 11,276 ხართაბირთის სახელით. იგი ნმუდსა<sup>53</sup> და მალატრჰასა<sup>54</sup> შორისაა, უფრო ახლოსაა მალატრჰასთან. მასში, ამბობს ან-ნამ<sup>55</sup>, იქორწინა ნსირ ად-დავლა იბნ ჰამდნმა<sup>56</sup>.

**ჰინუ ქაჰჰა**<sup>57</sup>—ამბობენ ქაბზსაც. ვფიქრობ, რომ იგი არმინიაშია. ესაა ქალაქი და დიდი ციხე, აზიდული დიჯლაზე, ნმუდსა და ჯაზნრა იბნ რომარს<sup>58</sup> შორის დიარბაქრიდან. იგი გაშენებულია ორივე ნაპირზე. დიჯლაზე არის ხიდი, რომელზე დიდიც არ

- მინახავს იმ ქვეყნებში, რომლებიც მოვინახულე. ესაა ერთი თალი რომელსაც გარს ორი პატარა თალი ერტყმის. ეკუთვნის იგი ამუ-დის პატრონს, დაჟდ იბნ სუქმან იბნ ორთუქის<sup>59</sup> ჩამომავალს.
- II,338 **ჰამისი**<sup>60</sup>—(პირველი თანხმომავანი) — **ჰათჰით**, შემდეგი—**ქესრიტ**, შემსუბუქებული და **სადი**—**უწერტილო**.
- II,339 სოფელი ხალხვალს ახლოს აშ-შარის ერთ-ერთ ოლქში, აზერბაიჯანის მხარეში, კაზენინის მხრიდან.
- II,380 **ჰაჯჯანი**<sup>61</sup>—ამბობს ნასრი, რომ ჰაჯჯანი,--**ჰან**—**ჰათჰით**,— არმინის ერთ-ერთი ქალაქია შარჯანის მახლობლად. გრძელი ჰაჯჯანისა 72 გრადუსია და მეოთხედი, განედი—34 გრადუსი. დაპყრობილია სალმან იბნ რაბინას მიერ.  
უკავშირდება მას აბუ-ლ-ჰასან ჰამდუნ იბნ ალ-ალ-ჰაჯჯანი<sup>62</sup>, რომელიც გადმოსცემს სულამ იბნ აჯაბ ალ-ჰაქიბ ალ-შაჰინ-საგან. მისგან კი გადმოსცემს აბუ ბაქრ აშ-შამ ალ-ჰაქიბი.
- II,402 **ხუთთ**<sup>63</sup>—პირველი თანხმომავანი — **დამმიტ**, მეორე—**თეშ-დინდით** და **ალიჰ მაქსურა**.  
ქალაქი დარბანდთან, რომელიცაა ბაბ ალ-ბეჰაბი.
- II,417 **ხართაბირთი**<sup>64</sup>—(პირველი თანხმომავანი)— **ჰათჰით**, შემდეგი—**სუქუნით**, თა ორწერტილიანი—**ჰათჰით**, ბა ერთწერტილიანი—**ქესრიტ**, რა—**სუქუნით** და **თა**—**ხემოთ ორწერტილიანი**.  
არმანიული სახელია. ესაა ციხე, ცნობილი ჰისნუ ზიჰდის სახელით, რომელიც მოტანილია ბანუ ჰამდანის გადმოცემებში. მდებარეობს დიჰარბაქრის უკიდურეს საზღვარზე რუმის ქვეყანაში. მასა და მალატიას შორის 2 დღის სავალია. მათ შორის ალ-ჰურათია იხსენიებს მას უსამა იბნ მუნკიზი<sup>65</sup> თავის ერთ-ერთ ლექსში.
- II,422 **ხირსი**<sup>66</sup>—პირველი თანხმომავანი—**ქესრიტ**, მეორე—**სუქუნით** და **სინი** უწერტილო.  
ციხე-სიმაგრე არმინიაში, ზღვაზე, რომელიც ეკვრის შარჯანს. მერვან იბნ მუჰამმადი დაეხავა მის მოსახლეობას.
- II,474 **ხარაკანი**<sup>67</sup>—(პირველი თანხმომავანი) — **ჰათჰით**, მეორე—**თეშ-დინდით** და **ჰათჰით**, **კაჰი** და **ბოლოში**—**ნუნით**.
- II,425 ქალაქი თაბრნის ახლოს აზერბაიჯანში. იგი წარმოსდგება დეჰ ნახრჯანიდან. ნახრჯანი კი იყო ხოსროს ბაათ ალ-მალის გამგებელი.
- II,427 **ხურამუ**<sup>68</sup> — პირველი თანხმომავანი — **დამმიტ**, მეორე—**თეშ-დინდით**. სპარსულად ნიშნავს მხიარულებას.

რუსთაჲკი არდაბნელში. ამბობს ნასრი: მე ვფიქრობ, რომ ალ-ხურრამნი აარიან ისინი, რომელთაგან იყო ბაბაქ ალ-ხურრამნი, რომელიც ნისბას აქედან აწარმოებს. ამბობენ: ხურრამნი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ვნებათა მიმდევრებს, რომლებიც ვნებებს ეძლევიან<sup>69</sup>.

**ხაზარ<sup>70</sup>**—ასეა გახმოვანებული. ბოლოში—რ.ა. ეს სიტყვა 11,436 ნიშნავს თვალის სიელმეს, რაც წარმოადგენს გარეგნულ სიმახინჯეს.

თურქთა ქვეყანა დარბანდის სახელით ცნობილი ბაბ ალ-აბვიზის უკან, ზუ-ლ-კარნანის კედლის<sup>71</sup> მახლობლად. ამბობენ, რომ იგი იწოდა ხაზარ იბნ ჯაჰეს იბნ ნუჰის<sup>72</sup> მიხედვით,—მშვიდობა მას.

„ქითაბ ალ-აინში<sup>73</sup>“ ნათქვამია, რომ ხაზარი არის ტომი ხაზარ ალ-აუჰენისა. იხსენიებს მას დი<sup>74</sup> იბნ ალი<sup>75</sup> ადიდებს რა ალი<sup>76</sup> ოჯახს,—ალლაჰიმც კმაყოფილია მისით.

ამბობს აჰმად იბნ ჭადლანი, მუჰთადირის ელჩი სლავებთან, თავის „რისალეში“ იმას, რისი თვითმხილველიც იყო ამ ქვეყანაში. თქვა<sup>78</sup>: ხაზარი იკლიმის სახელია, რომლის დედაქალაქსაც ეწოდება ითილი<sup>77</sup>. ითილი [ასევე] მდინარის სახელია, რომელიც მიედინება ხაზარისაკენ რუსთა და ბულღართა [ქვეყნებიდან]. ითილი ქალაქია, ხაზარი კი სამეფოს სახელია და არა ქალაქისა.

ითილს ორი ნაწილი აქვს. ერთი ნაწილი ამ მდინარის დასავლეთით იწოდება ითილად. ესაა უფრო დიდი ამ ორ ნაწილთაგან. მეორე ნაწილი აღმოსავლეთითაა. მეფე დასავლეთ ნაწილში 11,437 ცხოვრობს. მეფეს მათ ენაზე ეწოდება ილექი. იწოდება აგრეთვე ბაქად. ამ დასავლეთ ნაწილის სიგრძე დაახლოებით ერთი ფარსახია. მას შემოვლებული აქვს კედელი, ოლონდ შენობები მასში მიმოზნეულია. მათი საცხოვრებელი ქეჩის კარვებია, გარდა მცირედი შენობებისა, რომლებიც თიხისაგანაა აგებული. მათ აქვთ ბაზრები და აბანოები და იქ მრავალი ხალხია მუსლიმთაგან<sup>78</sup>. ამბობენ, რომ ისინი აღემატებიან ათი ათასს. მათ დაახლოებით 30 მეჩეთი აქვთ. მეფის სასახლე მოშორებითაა მდინარის ნაპირიდან. მისი სასახლე აგურისაგანაა აგებული და არა აქვს არავის შენობა აგურისაგან მის გარდა. მეფე არ აძლევს უფლებას, რომ ვინმემ ააგოს სახლი აგურით მის გარდა. ამ კედელს ოთხი კარი აქვს. ერთი მათგანი მდინარეზე გადის, მეორე კი ველზე, რომელიც ამ ქალაქის უკანაა.

მათი მეფე იუდეველია. ამბობენ, რომ მას ჰყავს ამაღლა და ახლოებით ოთხი ათასი კაცისაგან. ხაზარები მუსლიმები და ქრისტიანები არიან. არიან მათ შორის კერპთაყვანისმცემლებიც<sup>79</sup>. ყველაზე მცირერიცხოვანი ნაწილი იქ იუდეველები არიან. მიუხედავად

ამისა, მეფე მათგანაა. მათი უმეტესობა მუსლიმები და ქრისტიანებია, ოღონდ მეფე და მისი დიდებულები იუდეველები არიან. მათს ჩვეულებებში სჭარბობს კერბთაყვანისმცემელთა ჩვეულებები, ისინი თაყვანს სცემენ ერთმანეთს პატივისცემის დროს. კანონები მათი დედაქალაქისა განსხვავებულია მუსლიმთა, იუდეველთა და ქრისტიანთათვის.

მათი მეფის ლაშქრის სიაში 12 ათასი კაცია<sup>80</sup>. როდესაც გარდაიცვლება მათგან ვინმე, იკავებს მის ადგილს სხვა და ეს რაოდენობა არასოდეს არ მცირდება. მათ არა აქვთ მუდმივი ჯამაგირი გარდა მცირედი რამისა, რომელსაც ისინი იღებენ იმ ხნის განმავლობაში, როცა მათ ბრძოლა აქვთ, ანდა შემთხვევით დიდი საქმე. რის გამოც შეიკრიბებიან.

რაც შეეხება შემოსავლის წყაროებს, იგი [შედგება] ბაჟისაგან, უმრისაგან სავაჭრო საქონელზე<sup>81</sup> მათი წესის მიხედვით, ყოველ გზაზე, ზღვაზე, მდინარეზე. მათ წინაშე ვალდებულება აკისრიათ ქალაქების უბნებისა და სანახების მცხოვრებლებს გადაიხადონ ყოველგვარი საქონელი, რომელიც კი მათ სჭირდებათ საკვების, სასმელისა და სხვათა სახით.

მეფეს ცხრა მსაჯული ჰყავს იუდეველთა, ქრისტიანთა, მუსლიმთა და კერბთაყვანისმცემელთაგან. საჭიროების შემთხვევაში განსჯიან მისი ეს მსაჯულები. მთხოვნელები თვითონ არ მიდიან მეფესთან, არამედ მხოლოდ ამ მსაჯულებს მიმართავენ. ამ მსაჯულებსა და მეფეს შორის მართლმსაჯულების დღეა. ისინი გზავნიან [მეფესთან] შუამავალს, რომლის საშუალებითაც შეატყობინებენ საქმეებს, რაც შემთხვევით მათ და იგი გადასცემს მათ მის ბრძანებას, რომელსაც ისინი ასრულებენ.

ამ ქალაქს არა აქვს სოფლები, მაგრამ მათ აქვთ ნათესები, რომლებიც მიმოფანტულია. გამოდიან ზაფხულში სათესად დაახლოებით ოცი ფარსახის მანძილზე და იღებენ [მოსავალს], როცა დააწიფდება, ერთ ნაწილს მდინარესთან, მეორე ნაწილს კი—ველზე და გადააქვთ ურმებითა და მდინარით. მათი უმთავრესი საზრდო ბრინჯი და თევზია<sup>82</sup>. ამას გარდა რაც მოიპოვება მათთან, შემოტანილია გარედან რუსთა, ბულღართა და ქუჯაბას<sup>83</sup>[ქვეყნებიდან]<sup>84</sup>.

ხაზართა ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში უმთავრესად ვაჭრები, მუსლიმები და სავაჭრო საქონელია<sup>85</sup>.

ხაზართა ენა განსხვავებულია თურქთა და სპარსთა ენისაგან და არ ჰგავს ენას არც ერთი ხალხისას<sup>86</sup>.

ხაზარები არ ჰგვანან თურქებს. მათ შავი თმები აქვთ და ორი ჯიშისანი არიან. ერთ გვარს უწოდებენ ყარახაზარებს. ისინი არიან

მუქნი, სიმუქის მიხედვით ემსგავსებიან შავს, თითქოს ინდოელები არიან. მეორენი თეთრნი არიან, გარეგნულად ლამაზი და კარგი თვისებებით. რაც გვხვდება ხაზართა მონებიდან, ისინი კერპთაყვანისმცემლები არიან, რომლებიც რთავენ ნებას თავიანთი შვილების გაყიდვისა და ერთმანეთის დაზონებისა. რაც შეეხება იუდეველებსა და ქრისტიანებს, მათ შორის აკრძალულია ერთმანეთის დამონება მსგავსად მუსლიმებისა<sup>87</sup>.

ხაზართა ქვეყნიდან სხვა ქვეყნებში არ გააქვთ არაფერი. ყველაფერი, რაც იქ არის, მათთან მხოლოდ შემოტანილია, როგორც ფქვილი, თაფლი, სანთელი, აბრეშუნი და მატყლი<sup>88</sup>.

რაც შეეხება ხაზართა შედგეს, მისი ტიტულია ხაკან<sup>89</sup>. ჭეშმარიტად იგი არ ჩნდება თუ არ [ერთხელ] ყოველ ოთხ თვეში, მოშორებით. უწოდებენ მას დიდ ხაკანს, მის მოადგილეს კი—ხაკან ბეჰს. იგი წინამძღოლობს ლაშქარს და მეთაურობს მას, განაგებს სახელმწიფო საქმეებს და ხელმძღვანელობს მას, ჩნდება [ხალხის წინაშე], აწყობს ლაშქრობებს. მას ემორჩილებიან მეფეები, რომლებიც იმყოფებიან ახლო-მახლო. იგი შედის ყოველდღე დიდ ხაკანთან მოკრძალებით, გამოსატავს დამცირებასა და სიმშვიდეს და არ შედის მასთან თუ არ ფეხშიშველი. უჭირავს რა ხელში შეშა და მისალმებისას, ანთებს მის წინაშე ამ შეშას. როცა დაიწვის იგი, ჯდება მეფესთან ტახტზე მის მარჯვნივ. მისი მოადგილეა კაცი, რომელსაც უწოდებენ ქუნდურ ხაკანს, ამასაც ჰყავს მოადგილე, რომელსაც ასღვე, ჰქვია ჯავზნილირი.

დიდი ხაკანის წესი ისაა, რომ არ იღებს<sup>88a</sup> ხალხს, არ ესაუბრება მათ და მასთან არ შედის არავინ იმათ გარდა, ვინც მოვიხსენიეთ. გამგებლობა საქმეების გადაწყვეტისა, ხელშეკრულების დადებისა, დასჯისა და სახელმწიფოს მართვისა მის მოადგილეზე, ხაკან ბეჰზეა.

დიდი ხაკანის წესია [აგრეთვე], რომ, როცა მოკვდება, იტება მისთვის დიდი ეზო, რომელშიც არის ოცი სახლი. და თითოეულ სახლში ითხრება მისთვის საფლავი. ამტვრევენ ქვებს იქამდე, ვიდრე არ გადაიქცევა მსგავსად სურმისა<sup>89</sup>; რომელსაც მიმოაზნევენ მასში და ზემოდან აყრიან კირს<sup>90</sup>. ამ ეზოს ქვევით არის მდინარე, დიდი მდინარე, რომელიც მიედინება სწრაფად. აკეთებენ ამ საფლავს ამ მდინარის ზემოთ და ამზობენ:— რომ არ მიადლოს II, 439 მასთან არც შაითანმა, არც ადამიანმა, არც ჰიამ და არც მწერმა. და როდესაც დაიმარხება, ჰრიან კისრებს მათ, ვინც მარხავს, რათა არ იყოს ცნობილი, რომელშია ამ სახლებიდან მისი საფ-

ლავი. იწოდება მისი საფლავი სამოთხედ და ამბობენ: — იგი შევიდა სამოთხეში. ყველა ეს სახლები მოფარულია ოქრომკედით ნაქარგი ფარჩით.

ხაზართა მეფის ჩვეულებაა, რომ ჰყავდეს ოცდახუთი ცოლი: ყოველი ცოლი მათგან ასულია რომელიმე მეფისა, რომლებიც ემეზობლებიან მას. იყვანს იგი მათ ნებით ან ძალით. მას ჰყავს სამოცი მხევალი საწოლისათვის, მხოლოდ ისეთები, რომლებიც გამოირჩევიან სილამაზით. ყოველი მათგანი თავისუფალი თუ ხარჭა, ცალკე კოშკში იმყოფება, რომელსაც აქვს გუმბათი დაფარული ტექტონის ხით. ყოველი გუმბათის ირგვლივ არის ადგილი კარვისათვის. თითოეულ მათგანს ჰყავს მსახური, რომელიც მას იცავს. და როცა მოინდომებს რომელიმე მათგანს, [მეფე] უხმობს მის მცველ მსახურს, რომელსაც მოჰყავს იგი თვალის დახამხამებაზე სწრაფად, რათა დააწვინოს იგი მის საწოლში. თითონ კი დადგება მეფის თალის კართან. მეფესთან ყოფნის შემდეგ იგი (მსახური) წააველებს მას ხელს, წავა და არ ტოვებს მას (ქალს) ამის შემდეგ ერთ წამსაც კი მარტო.

როდესაც ეს დიდი ხვანჩი ამხედრდება, ამხედრდება მასთან ერთად მთელი მისი ჯარი. მასა და მის თანმხლებთ შორის ერთი მილია. ვერცერთი მისი ქვეშევრდომი ვერ შეხედავს მას ისე, თუ არ დაემხო პირსა ზედა თვისსა და თაყვანისცა მას. და ვერ ასწევს თავს მანამ, სანამ არ გაივლის იგი.

ხანგრძლივობა მათი მეფობისა ორმოცი წელია. როცა გადასცდება ამას ერთი დღეც კი, ჰკლავენ მას მისი ქვეშევრდომები და დიდებულები და ამბობენ: — ამას გონება შეუმცირდა და მსჯელობა გაუგებარი გაუხდა.

როდესაც იგი გაგზავნის ლაშქარს, იგი ვერ მობრუნდება უკან ვერავითარი საბაზით. და თუ გამოიქცევა, მოკლულ იქნება ყოველი, რომელიც დაბრუნდება მათგან. რაც შეეხება წინამძღოლებს და მოადგილეს მისას, თუ ისინი უკუიქცევიან, ნოიყვანენ მათ და მოიყვანენ მათ ცოლებსა და შვილებს და აჩუქებენ მათ მათი თანდასწრებით სხვებს მაშინ, როდესაც ისინი ამას ხედავენ. ასევე გააჩუქებენ მათ სახედრებს, საოჯახო საქონელს, იარაღს, მათ კარმიდამოს. ზოგჯერ თვითველ მათგანს ჰქრიან ორ ნაწილად და ჯვარს აცვამენ. ზოგჯერ ჩამოკიდებენ კისრით ხეზე, ზოგჯერ კი, თუ გამოიჩენს [მეფე] ლმობიერებას, გადააქცევს მათ მეჯინიბეებად.

ხაზართა მეფეს დიდი ქალაქი აქვს ითილზე. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. ერთ ნაწილში მუსლიმები არიან, მეორეში — მე-



ფე და მისი დაახლოებული პირები. მუსლიმებს [განაგებს] კაცი მეფის ყრმათაგან, რომელსაც ეწოდება ხაზი. იგი მუსლიმია და განსჯა მუსლიმთა, რომლებიც ცხოვრობენ ხაზართა ქვეყანაში და მათი, რომლებიც სავაჭროდ ჩამოდიან აქ, ეხება ამ მუსლიმ ყრმას. არავინ არ ერევა მათ საქმეებში და არ განსჯის მათ არავინ მის გარდა. მუსლიმებს ამ ქალაქში აქვთ საკრებულო მეჩეთი, სადაც ასრულებენ ლოცვას და იკრიბებიან პარასკევს. იქ არის მაღალი მინარეთი და რამდენიმე მუეზინი. II,440

როდესაც ხაზართა მეფემდე მიადგინა ამბავმა 310 წელს<sup>90ა</sup>, რომ მუსლიმებმა დაანგრიეს სალოცავი<sup>90ბ</sup>, რომელიც იყო დარ ალ-ბნბუნაჯში, ბრძანა დაეგრიათ მინარეთი, დახოცა მუეზინები და თქვა: რომ არ მეშინოდეს, რომ არ დარჩება ისლამის ქვეყანაში არც ერთი სალოცავი დაუნგრეველი, აუცილებლად დავანგრევედი მეჩეთსაც. ხაზარები და მათი მეფე ყველანი იუდეველები არიან, სლავები და ყველა, ვინც ემეზობლება მათ, მის მორჩილებაშია. იგი ექცევა მათ, როგორც მონებს და ისინი ემორჩილებიან მას მორჩილად<sup>91</sup>.

ზოგიერთი ამტკიცებს, რომ აჯუჯი და მჯუჯი ხაზარებია.

ხუშში<sup>92</sup>—(პირველი თანხმობანი)—და ამ მით, მეორე — თ ეშ- II,446  
დ ო დ ი თ.

ამბობს ნასრი: ხუშში ერთ-ერთი მხარეა აზერბაიჯანში.

ხილ<sup>93</sup>—(პირველი თანხმობანი)—ქესრით და ბოლოში II,457  
ტ ა უწერტილო.

ცნობილი, აყვავებული ქალაქი, დოვლათიანი და მწიფე ხილიანი. მისი გრძელია 64 გრადუსი, ნახევარი და ერთი მესამედი, განედი—39 გრადუსი და ორი მესამედი. მეხუთე იკლმშია. იგია ერთ-ერთი ადგილი დაპყრობილი იოანდ იბნ ლანმის მიერ, რომელიც გაემართა მისკენ ალ-ჯაზირადან და დაეხავა მის პატრიკიოსს ჯიზიასა და საქონლის გადახდის პირობით. შემდეგ დაბრუნდა იოანდი ალ-ჯაზირას<sup>93ა</sup>. II,458

იგი შუა არმნიის დედაქალაქია. მასში მრავალი ხილია და წყალი უხვი. თავისი სიცივის გამო ზამთარში არაკადაა ქცეული. აქ არის ტბა, რომლის მსგავსი არაა მთელს დუნიაზე. გააქვთ იქედან სხვადასხვა მხარეში თევზი, ცნობილი ტირრინის სახელით. ვნახე იგი ბალხშიც<sup>94</sup>. ჩემამდე მოადგინა, რომ არის იგი ლაზნაშიც<sup>95</sup>. ამ ორ ადგილს შორის კი ოთხი თვის სავალია. ესაა ერთ-ერთი საკვირველებათაგანი დუნიაზე.

ამბობს იბნ ალ-ქალბრ: ქვეყნის საკვირველებათაგან არის ხილ<sup>96</sup>ის ტბა. ათი თვის განმავლობაში არ არის მასში ბაყაყი,

არც კიბო და არც თევზი. შემდეგ კი გამოჩნდება თევზი ორი თვის განმავლობაში ყოველ წელიწადს. ამბობენ, რომ კუბაზ დიდმა, როდესაც გაუკეთა თილისმა თავისი ქვეყნის მხარეებს, გაგზავნა ბალნასი, მეთილისმე, არმინისაკენ. და როდესაც მივიდა ხილტის ტბასთან, გაუკეთა თილისმა. ეს იყო იმ ათ თვეს, რომელიც მოვიხსენიეთ<sup>96</sup>.

II,459 ხალხალი<sup>97</sup>—მხოლობითის ფორმა სიტყვისათვის ხ ა ლ ხ ა ლ, რაც ნიშნავს სამაჯურს ქალებისას.

ქალაქი და ოლქი აზერბაიჯანის მხარეში, ჯრღანის მოსაზღვრედ, მთების შუაგულში. უმეტესობა მისი სოფლებისა და ნათესებისა, ცათაბრჯენილ მთებშია. მასა და კაზენის შორის 7 დღის სავალია, მასა და არდაბნოს შორის—ორი დღის სავალი. ამ ვილაიეთში გამაგრებული ციხეებია. ჩავედი იქ ხურასნიდან თათრების მიერ გამოქცეული 617 წელს.

II,470 ხამრაბირთი<sup>98</sup>—ადგილი ხილტის სანახებში. სხვაა ვიდრე ხართაბირთი.

II,474 ხუნანი<sup>99</sup>—პირველი თანხმოვანი—დ ა მ მ ი თ და ა ლ ი ჭ ი ს შემდეგ—ნ უ ნ ი მეორე.

ქალაქი ჯურჯანის ქვეყანაში ჰაბნზ იზნ მასლამას მიერ დაპყრობილი. ამბობს ალ-ისტახრო: ხუნანი არის ციხე, ცნობილი თურაბის ციხის სახელით, რადგანაც იგი მდებარეობს დიდ ბორცვზე<sup>100</sup>.

II,478 ხუნლნეკი<sup>101</sup>—პირველი თანხმოვანი — დ ა მ მ ი თ, მეორე—ს უ ქ უ ნ ი თ, ლ ა მ ი —ქ ე ს რ ი თ, ა ა ო რ ი წ ე რ ტ ი ლ ი თ ქ ე მ ო თ და ბ ო ლ ო მ ი —კ ა ჭ ი.

ქალაქი ხაზრანის<sup>102</sup> დარბანდთან, ბაზ ალ-აბუვბთან. მას უკავშირდება ჰაქიმ იზნ იბრაჰიმ იზნ ჰაქიმ ალ-ლაქზნ ალ-ხუნლნეკ ად-დარბანდ<sup>103</sup>, ჭაკიმ შაფიითი, დიდი ავტორიტეტი, რომელიც სწავლობდა ჭიკჰს ბაღდადში ალ-ლაზხანისთან<sup>104</sup> და მოუსმენია მრავალი ჰადისი. ცხოვრობდა ბუხარაში<sup>105</sup> გარდაცვალებამდე 538 წლის შაბანის თვემდე<sup>106</sup>.

II,498 ხავშაბი<sup>107</sup>—ერთ-ერთი ციხე ზავაზანის მხარეში.

II,500 ხუნთი<sup>108</sup>—პირველი თანხმოვანი—დ ა მ მ ი თ, მეორე—ს უ ქ უ ნ ი თ, ნ უ ნ ი ასევე—ს უ ქ უ ნ ი თ,—აქ ერთმანეთს ხვდება ორი ს უ ქ უ ნ ი,— და თ ა ო რ წ ე რ ტ ი ლ ი ა ნ ი.

მხარე არზან რუმის მახლობლად, არმინის ოლქში. მასში ცოტა მთებია.

II,501 ხუვაჰ<sup>109</sup>—ხ ა ვ ე ი ს კ ნ ი ნ ო ბ ი თ ს აღ ნ ი შ ნ ა ვ ს.

II,502 ხუვაჰ ცნობილი ქალაქია აზერბაიჯანის ოლქში, სიმაგრე მრავალსიკეთიანი და ნაყოფიანი. აქედანაა ხუვეური ტანსაცმელი.

მასთანაა დაკავშირებული: აბუ მაწად აბდნან ატ-ტაბნბ ალ-ხუვააჲ<sup>110</sup>, რომელიც გადმოსცემს ალ-ჯაჰიზისაგან<sup>111</sup>. მისაგან გადმოსცემს აბუ ალნ ალ-კალნ<sup>112</sup>; აჟსუჟ იბნ ტაჰირ იბნ აჟსუჟ იბნ ალ-ჰასან ალ-ხუვააჲ ალ-ადნბ აბუ ააქუბი<sup>113</sup>, ხუვააჲს მცხოვრებთაგან, ადნბი, განათლებული და ჭაკიჰი, ჩინებული მცოდნე სწრასი<sup>114</sup>, ნაზი ბუნების, მშვენიერი და სასიამოვნო ლექსების ავტორი, რომელმაც უანდერძა აბუ საწდს იჯაზა<sup>115</sup>. დასახლდა ტუსის<sup>116</sup> ნუჟანში და დანიშნულ იქნა იქ ყადის მოადგილედ. ქებულ იქნა ამის გამო მისი ცხოვრება. მას ეკუთვნის მრავალი ნაწარმოები, რომელთა შორისაა— „რისალათ თანზიჰ ალ-კურან აშ-შარიჰ ან ვასმათ ალ-ლაჰნ ვა-თ-თაჰრიჰ“. თქვა აბუ საწდმა: ჩემის აზრით, მოკლული იქნა იგი ტუსზე არაბთა თავდასხმის დროს 549 წელს<sup>117</sup> ან ცოტათი ამაზე ადრე; მას უკავშირდება აგრეთვე, აბუ ბაჰრ მუჰამად იბნ ააჰა იბნ მუსლიმ ალ-ხუვააჲ<sup>118</sup>, რომელიც გადმოსცემს ჯაჰარ იბნ იბრაჰიმ ალ-მუაზზინისაგან. მისგან გადმოსცემენ აბუ-ლ-კასიმ აბდ ალლჰ იბნ მუჰამად იბნ იბრაჰიმ იბნ იდრის აშ-შაჰიწ და სხვები მის გარდა.

**ზაჰზარი**<sup>119</sup> — (პირველი თანხმომიანი) — ჭათჰით, შემდეგი II,507 სუჟუჟნით, ზა და ბოლოში რა.

არმინიის ერთ-ერთი მხარე. მოხსენიებულია „ალ-ჰუთუჰში“.

**დაბნლი**<sup>120</sup> — პირველი თანხმომიანი — ჭათჰით, მეორე — ქეს- II,548 რით. ზაბნლი<sup>121</sup> ტიბისაა.

ქალაქი არმინიაში მოსახლერე არრანისა. სასახლერო ოლქია. II,549 დაიპყრო იგი ჰაბნბ იბნ მასლამამ წოსმან იბნ ააჰჰანის, — ალლჰიმც კმაყოფილია მისით, — ხალიფობის დროს, სირიაში მუწვიდას<sup>122</sup> ამირობისას<sup>123</sup>. დაიპყრო რასაც ჩაუარა გზად, ვიდრე არ მიაღწია დაბნლს. დაიმორჩილა იგი და მისი სოფლები, დაეზავა მის მოსახლეობას და დაუწერა მათ სიგელი. მისი ნუსხაა: „ესაა წიგნი ჰაბნბ იბნ მასლამა ალ-ჰიჰრისაგან ქალაქ დაბნლის მოსახლეობისათვის, ქრისტიანების, მაჯჟსებისა და იუდეველებისათვის, დამსწრეთა და არ დამსწრეთათვის იმაზედ, რომ მე გააღვეთ თქვენ თქვენი პიროვნების, ქონების, ეკლესიების, ტაძრების და თქვენი ქალაქის კედლების ხელშეუხებლობის ამანს. თქვენ ხართ უშიშროებაში. ჩვენზეა მოცემული პირობის შესრულება, თუკი თქვენ დაიცავთ თქვენს პირობას — გადაიხდით ჯიზიას და ხარაჯას. მოწმეა ალლჰი. საქმარისია ალლჰი მოწმედ“. და დაბეჭდა ჰაბნბ იბნ მასლამამ (სიგელი)<sup>124</sup>.

მასთანაა დაკავშირებული აბდ არ-რაჰმან იბნ ააჰა ად-დაბნლი,<sup>125</sup> რომელიც გადმოსცემს ას-საბბჰ იბნ მუჰარობისაგან;

ჯადნარ იბნ ბაქრ ად-დაბნლნი, რომელიც გადმოსცემს მისი პაპი-საგან. გადმოსცემს მისგან აბუ ბაქრ მუჰამმად იბნ ჯაჰარ ალქა-ნანნი ალ-ბალდნდნი. იხსენიებს მას (დაბნლს) აბუ ჯაჰარ ალ-ჰურაჰმნი<sup>126</sup>.  
 დიჯლა<sup>127</sup> — მდინარე ბალდნდში. არა აქვს მას ალ იფი და  
 ლ ნ მ ი<sup>128</sup>.

ამბობს ჰამზა: დიჯლა არის გაარაბულებული დილნდი. მას აქვს ორი სხვა სახელიც, ესენია: არნაქრუზი და ქუდაქ დარჰ ე. ი. პატარა ზღვა. გადმოგვცა ჩვენ შეიხმა მუსმარ იბნ ლუბარ იბნ მუჰამ-მად აბუ ბაქრ ალ-მაჰარნ ალ-ბალდნდნი მავსილში, გადმოგვცა ჩვენ შეიხმა ალ-ჰაჰიზ აბუ-ლ-ჰადლ მუჰამმად იბნ ნასირ იბნ მუჰამ-მად იბნ ლარნ ას-სულლანნი<sup>129</sup>, გადმოგვცა ჩვენ შეიხმა სწავლულმა აბუ მუჰამმად ჯაჰარ იბნ აბუ ტალიბ აჰმად იბნ ალ-ჰუსეინ ას-სარნუჯ ალ-კარნი<sup>130</sup>, გადმოგვცა ჩვენ ალ-კადნი აბუ-ლ-ჰუსეინ აჰმად იბნ ლარნ იბნ ალ-ჰუსეინ ათ-თავეაზნი<sup>131</sup>: 440 წლის რაბი<sup>ა</sup> ალ-ახი-რის თვეს<sup>132</sup>, თქვა: აბუ ლუბაიდ ალლჰ მუჰამმად იბნ იმრან იბნ მუსა ალ-მარზუბანი<sup>133</sup> თქვა: გადმოცა მე აბუ-ლ-ჰასან ლარნ იბნ ჰარუნმა ფურცელი და მოიხსენია, რომ იგი იყო ლარნ იბნ მაჰ-დნი ალ-ქასრავენი<sup>134</sup> ხელით ნაწერი. და ვბოვე მასში, რომ დიჯლას თავდაპირველი სათავე არის ადგილი, რომელსაც ლან დიჯლა<sup>135</sup> ჰქვია და ორი დღისა და ნახევრის სავალზეა ვმდინიდან, ადგილი-დან, რომელიც იწოდება ჰალურასად, ერთი ჩაბნელებული გამო-ქვაბულიდან.

პირველი მდინარე. რომელიც ჩაედინება დიჯლაში, გამოდის შიმშატის ზევიდან რუმის მიწაზე და იწოდება იგი ნაჰრ ალ-ქილნბად<sup>136</sup>. შემდეგ პირველი მდინარე, რომელიც ჩაედინება მასში, გარდა ას-სავეკნისა, არ-რავნდი<sup>ა</sup>ისა და სხვა პატარა მდინარეებისა, არის ვადნი სალბი<sup>137</sup>. ესაა ვადნი მახჰაჰაროკინისა<sup>138</sup> და ამიდს შორის. ამბობენ, რომ იგი გამოდის ჰალურასიდან — ჰალურასი  
 II,552 არის ადგილი, სადაც წამებულ იქნა ლარნ ალ-არმანი<sup>139</sup>. შემდეგ ჩაერთვის მას ვადნი სნთინდამ<sup>140</sup> რომელიც გამოდის დარბ ალ-ქილნბიდან<sup>141</sup>, მას შემდეგ, რაც ჩაერთვის ვადნი სნთინდამს ვადნი ზ-ზურ<sup>142</sup>, რომელიც სათავეს იღებს ქალქთან. ესაა ადგილი იბნ ბუკრატ ალ-ბატრკისა<sup>143</sup> არმინიის გარეთ. ჩაედინება აგრეთვე ვადნი სნთინდამიდან მდინარე მახჰაჰაროკინი, შემდეგ ჩაედინება მასში ვადნი სარბატუ<sup>144</sup>, რომელიც სათავეს იღებს არზანის გარეთ. იგი გამოდის ხუვინთიდან<sup>145</sup> და მისი მთებიდან არმინიის ქვეყანაში.  
 შემდეგ თანდათან დიჯლა იკრებება იმ ადგილას, რომელსაც ქვია თალლ ჰეჰანი<sup>146</sup> და ჩაედინება მასში ვადნი რ-რუზმი—

ისაა ვადნ, რომელშიაც მრავლადაა დიჯლას წყალი. ამ ვადნს სათავე არმინის მიწაზეა მხარეში, რომელსაც განაგებს მუშაშლქ ალ-ბატრქი<sup>147</sup> იმასთან ერთად, რაც ეკვრის ამ ოლქს. ვადნ რ-რაზმში ჩაედინება მდინარე, წარმოქმნილი ბადლსთან, რომელიც გამოდის ხილტის მხრიდან. შემდეგ მოედინება დიჯლა, როგორც იგი არის, ვიდრე არ შეიკრიბება მთებთან, რომლებიც ცნობილია ალ-ჯაზირას მთების<sup>148</sup> სახელით. და ჩაედინება მასში დიდი მდინარე, ცნობილი ხარნას სახელით, რომელიც გამოდის არმინის ახლოს, მის საზღვარზე. შემდეგ ჩაედინება მასში აგრეთვე, დიდი მდინარე, ცნობილი მდინარე ბაჰანსას<sup>149</sup> სახელით. შემდეგ თანდათანობით იკრიბება ალ-ჯაზირას მხარეებში, რომელიც ცნობილია ჯაზირა იზნ ჴომარის სახელით და ჩაედინება მასში ვადნ, რომლის სათავე მდებარეობს არმინის გარეთ და რომელიც ცნობილია ალ-ბჰაჰარის<sup>150</sup> სახელით. შემდეგ თანდათანობით უერთდება მას ის, რაც არის ბანსურინსა<sup>151</sup> და ალ-ჯაზირას შორის და ჩაედინება მასში ვადნ, ცნობილი დჰუმანს<sup>152</sup> სახელით. დჰუმან გამოდის ზავაზანიდან, იქიდან, რაც არის არმინიასა და აზერბაიჯანს შორის. შემდეგ ჩაედინება მასში ვადნ ხანბური<sup>153</sup>. იგი აგრეთვე გამოდის ადგილიდან, რომელიც ცნობილია ზავაზანად. ესაა ადგილი, რომელშიც იყო პატრიკიოსი, ცნობილი ჯარჯინის სახელით. შემდეგ რჩება [[მდინარე] ამ მდგომარეობაში, ვიდრე არ მიადწევს ბალადსა<sup>154</sup> და მავსილს. ჩაედინება მასში ბალადთან მისი დასავლეთი მხრიდან მდინარე, რომელიც ქვეითს უბრკოლებს ფონს გასვლას. შემდეგ არ ჩადის მასში წვეთიც კი, ვიდრე არ შეუერთდება დიდ ზანბს<sup>155</sup>, რომელიც გამოედინება აზერბაიჯანის მთებიდან, მიემართება ზარქუნისა<sup>156</sup> და ბაბალნშისაკენ და შეერთვის მას ალ-ჰადნსას<sup>157</sup> ზემოთ ერთ ფარსახზე. შემდეგ აღწევს ას-სინნს<sup>158</sup> და უღობავს მას გზას ქვემო ზანბი, რომელიც გამოედინება შაჰრზურის მიწიდან. შემდეგ აღწევს სურრა მან რაჰას<sup>159</sup>. აქამდე [მონათბრობი] ქასრავენს მიხედვითაა.

ამბობენ, რომ მისი ძირითადი სათავე არის მთაში, ამიდის ახლოს ციხესთან, რომელიც ცნობილია ზუ-ლ-კარნაჰის<sup>160</sup> ციხედ. მის ქვემოთ გამოდის ჴან დიჯლა და იგი იქ მიედინება. შემდეგ ყოველთვის, როდესაც იზრდება, უერთდება მას წყლები დიჰარ ბაქრის მთებისა<sup>161</sup>, ვიდრე არ მიუახლოვდება ზღვას ბას-11,553 რას<sup>162</sup> ახლოს.

ვნახე მე იგი ამილთან, სადაც გადადიან მას სახედრით. შემდეგ მიემართება ღაჰაფზარიკინისაკენ, შემდეგ ჰინს ქაჰფასაკენ,

შემდეგ ჯაზირა იზნ ჴომარისაკენ, რომელსაც გარს უღლის, შემდეგ ბალადისა და მავსილისაკენ, შემდეგ თაქრნთისაკენ<sup>163</sup>. ამბობენ: თაქრნთთან უერთდება მას ორი ზნბი: ზემო ზნბი იმ ადგილას, რომელსაც ეწოდება თაღლ ჭნჭანი და პატარა ზნბი—ას-სინნთან და იქიდან კი დიდდება. შემდეგ მიედინება ბაღდნდთან, ვსიტი-თან<sup>164</sup>, ბასრასთან, აბბნდნთან<sup>165</sup> და შემდეგ ჩაედინება ინდოეთის ზღვაში<sup>166</sup>.

როცა იგი ჩაუღლის ვსიტი, იყოფა ხუთ დიდ მდინარედ, რომლებზეც დაატარებენ გემებს<sup>167</sup>. მათგანაა მდინარეები: სნსნ, ალ-ღარნჭი, დაკლა, ჯანჭარი და მახსანი. შემდეგ კვლავ ერთდებთან ეს მდინარეები და ისიც რაც ერთვის მას მთელი ალ-ჭურნთიდან<sup>168</sup>, სოფელ მატრას<sup>169</sup> ახლოს. მასა და ბასრას შორის ერთი დღის გზაა.

გადმოცემულია იზნ აბბსისაგან<sup>170</sup>, — ალღნჭიმც კმაყოფილია მისით, — რომ თქვა: ჩაუღერგა ალღნჭმა, — მაღალიმც არს იგი, — დანიღალს<sup>171</sup>, — მწვიდობა მას, — იგია დანიღალ დიდი, რომ, გათხარე ჩემი მონებისათვის ორი მდინარე და ჰქმენ მათ ორივეს გასასვლელად ზღვა. მე უკვე ვუბრძანე მიწას, რომ დაგმორჩილებოდა შენ. მან (დანიღალმა) აიღო ხე და გააკეთა მიწაზე კალაპოტი, რომელსაც მისდევდა წყალი და ყოველთვის, როდესაც ჩაუღლიდა ობლის, ქვრივისა ან ღრმა მოხუცის მიწას, აჭიცებდნენ მას ალღნჭს და იგი მოაცილებდა მათ. და კლავნილობა დიჯლასი და ალ-ჭურნთისა ამისაგანაა. ამ გადმოცემაში ნათქვამია, რომ დიჯლას სათავე არმნიღაშია.

11,564 **ღარბანდი**<sup>172</sup> — ესაა ბნბ ალ-აბვნბი, რომელიც უკვე მოხსენიებული იქნა.

უკავშირდება მას ალ-ჰასან იზნ მუჰამმად იზნ ჴალნ იზნ მუჰამმად ას-სუჭნ ალ-ბალხნ აბუ-ლ-ვალნდი<sup>173</sup>, ცნობილი ად-ღარბანდნდ. წინათ მისი ქუნდა იყო აბუ კათნდა. იგი იყო იმათგან, ვინც გაემგზავრა ჰადისების საძებნელად და მოაგროვა ძალზე ბევრი. მისი მოგზაურობა დაიწყო მავერანანჰრიდან ვიდრე ისქანდარნამდე. ბევრს ლაჰარაკობს მის შესახებ აბუ ბაქრ აჰმად იზნ ჴალნ ალ-ხატრბი „თარნში“<sup>174</sup>, ზოგჯერ სწორს ამბობს, ზოგჯერ კი მცდარ ცნობებს იძლევა. ამბობენ, გადმოგვცა ჩვენ ალ-ჰასან იზნ აბუ ბაქრ ალ-აშკარიმ, რომ სწავლობდა იგი ისტორიას აბუ ჴბდ ალღნჭ ღანჯართან და რომ იგი ჰადისის, დიდი მცოდნე არ ყოფილა, გარდა იმისა. რომ ბევრი უმოგზაურია. არ იხსენიებს ამას ალ-ხატრბი თავის „თარნში“. იხსენიებს მას აბუ სადი, რომ იგი

უსმენდა ბუხარაში აბუ აბდ ალლჰ მუჰამმად იბნ აჰმად იბნ მუჰამ-  
მად ალ-ჰაფიზ ლანჯარს და იმათ ვინც იყო მის წრეში სხვა ქალა-  
ქებში. თქვა აბუ სადმა; გადმოსცემენ მისგან აბუ აბდ ალლჰ  
მუჰამმად იბნ ალ-ჰადლ ალ-ჰარავი<sup>175</sup> და აბუ-ლ-კასიმ ზაჰირ იბნ  
ტაჰირ აშ-შაჰჰანი<sup>176</sup>. ამბობს აბუ სადი: იხსენიებს ზოგიერთი,  
რომ აბუ-ლ-ვალიდ დარბანდი აღესრულა 456 წლის რამადანის  
თვეში<sup>177</sup>.

**დიზჰამარი**<sup>178</sup> — პირველი თანხმომიანი — ქესრით, მეორე — II, 573  
თეშედით.

გამაგრებული ციხე აზერბაიჯანის მხარეში, თიბრნის ახლოს.

**ად-დაუთი**<sup>179</sup> — პირველი თანხმომიანი — ქათაჰით, მეორე — II, 575  
სუქუნით, ბოლოში თაორი წერტილით ზემოთ.

პატარა ქალაქი მთების შუაში ირბილსა და თიბრნის შუა. II, 576  
ვნახე იგი აყვავებული, მრავალსიკეთიანი. მისი მოსახლეობა მთლიან-  
ნად ქურთებია.

**დუმანიხი**<sup>180</sup> — ქალაქი თბილისის მხარეში, არმენიაში. გა- II, 585  
აქვთ იქედან აბრეშუმი. ამბობს აბუ-ლ-კასიმი: ამის შესახებ მითხ-  
რა ერთმა მის მცხოვრებთაგან<sup>181</sup>.

**დუმნი**<sup>182</sup> — მხარე არრანში, ბარხასა და დაბილს შორის. II, 629

**დავნი**<sup>183</sup> — პირველი თანხმომიანი — ქათაჰით, მეორე — ქეს- II, 632  
რით, და ქვემოთ ორწერტილიანი — სუქუნით და ბოლოში —  
ნუნით.

ქალაქი არრანის მხარეში აზერბაიჯანის უკიდურეს საზღვარ-  
ზე თბილისის ახლოს. აქედან არიან აშ-შამის მეფეები — ააჰუბიდები<sup>184</sup>.  
მას უკავშირდება აბუ-ლ-ჰუთუჰ ნასრ ალლჰ იბნ მანსურ იბნ  
საჰლ ად-დავნი ალ-ჯანზი<sup>185</sup>, რომელიც იყო ჰაქიმი შაფიიტი.  
სწავლობდა ჰიკჰს ბაღდადში აბუ ჰანიფ ალ-ლაზხანისთან. გაემგ-  
ზავრა ხურასანში და გაჩერდა ნისაბურში რამდენსამე ხანს.  
შემდეგ გადავიდა ბალხში და ისმენდა ჰადისებს აბუ სად აბდ  
ალ-ვაჰიდ იბნ აბდ ალ-ჰარემ ალ-კასრისა<sup>186</sup>, აბდ არ-რაზზჰ იბნ  
ჰასსან ალ-მანინისა<sup>187</sup> და სხვათაგან. მოიხსენია იგი აბუ სადმა  
თავის მასწავლებელთა შორის და აღნიშნა, რომ გარდაიცვალა  
იგი ბალხში 546 წელს<sup>188</sup>.

**დიჰანრჯანი**<sup>189</sup> — დიდი ქალაქი აზერბაიჯანში. მასა და II, 636  
თიბრნის შორის ორი დღის სავალია, მასა და მარაღას შორის —  
ორი დღის. ზოგიერთი უწოდებს მას ჰარაჰანს. როგორც თარგ-  
მნიან აქ, მისი მნიშვნელობაა სოფელი ნახრჯანისა, ნახრჯანი  
ქი იყო ხაზინადარი ხოსროსი და ეს ქალაქი მას უკავშირდება.

II,739 არ-რანნი<sup>190</sup>—ქალაქი მარნღლასა და ზანჯანს შორის. ამბობენ, რომ მასში არის მადანი ოქროსი და მადანი ტყვიისა. თქვა მისწარმა: მოვამზადე მისგან ტყვიის ჟანგი<sup>191</sup> და ყოველი მანნიდან მივიღე დანიქნახევიარი<sup>192</sup> ვერცხლი. ვპოვე იქ მრავალი მანდრაგორი<sup>193</sup> დიდი ზომისა. თვითეული მათგანი იყო ათი წყურთა და ამაზე მეტი. ამ ქალაქში მდინარეა. ვინც დაღევს მის წყალს, იგი უვნებელჰყოფს სამუდამოდ თავს ქვეებისაგან<sup>194</sup>.

II,740 აქ არის ჰაშიში, რომელიც აცინებს მას, ვისთანაც იმყოფება. იქამდე, რომ სიცილს კაცი სიგიჟემდე მიჰყავს. და ვისაც გადაუვარდება იგი ნაწილობრივ ან მთლიანად, ეწევა მას შწუხარება და ტირილი.

იქ თეთრი, გაუმჟვირვალე ქვებია, რომლებიც აღადგენენ ტყვიას. ღრუბლებიდან ცვივიან მწერები, რომლებიც უხდება მე-ლიის ავადმყოფობას<sup>195</sup> თავისი გამონაყოფით—ასე ამბობს მისწარბნ მუჰალჰილი<sup>196</sup>.

და რაც მე ვიცი ეს ისაა, რომ არ-რანნი და არ-რანნი ერთი და იგივეა. ესაა ვრცელი ვილაიეთი არმინიის სანახებში. თხენიებს მას რომარ იბნ მუჰამმად ალ-ჰანაფი, აღიღებს რა მუჰამმად იბნ აბდ ალ-ვაჰიდ ალ-ჰამამის.

II,758 არ-რაჰაბი<sup>197</sup> — აზერბაიჯანისა და დარბანდის მხარე. დიდ ნაწილს მთელი არმინიისას მოიცავს ეს სახელი.

II,776 არ-რაზმი<sup>198</sup> — პირველი თანხმოვანი — ჭ ა თ ჰ ი თ, მეორე — ს უ ქ ჭ ნ ი თ.

ვადრ რ-რაზმი არმინიის მიწაზეა. მასში ბევრი წყალია. ერთვის დიჯლას თალლ ჭაჭანთან. ზოგჯერ ეს ვადრ ივსება დიჯლას წყლით ისე, რომ შესაძლებელია გემების მოძრაობა. გამოდის იგი არმინიის მიწიდან, იმ მხარიდან, რომელსაც განაგებს პატრიკიოსი მუშულნიკი იმასთან ერთად, რაც ეკვრის ამ მიდამოს. ვადრ რ-რაზმიში ჩაედინება მდინარე, რომელიც იწყება ბადლანთან და გამოდის ხილანტის მხრიდან.

II,778 არ-რასსი<sup>199</sup> — პირველი თანხმოვანი — ჭ ა თ ჰ ი თ, შემდეგი — თ ე მ დ რ დ ი თ.

II,779 მდინარე აზერბაიჯანში. აზერბაიჯანის საზღვარი არ-რასსის გადაღმაა. ამბობენ, რომ არ-რანში არ-რასსზე ათასი ქალაქი იყო. გაუგზავნა ალლჰამა მათ წინასწარმეტყველი, სახელად მუსა, მაგრამ არა მუსა იბნ იმრანი, რომელმაც მოუწოდა მათ ალლჰისა და მისი რწმენისაკენ. მათ ცრულ გამოაცხადეს იგი, უარჰყვეს და არ და-მორჩილდნენ მის ბრძანებას. მაშინ დასწყევლა მან ისინი და



დასძრა ალლჰჰმა კჰრისი და ჰუეჰარისი ადგილიდან და დასცა მათ.

ამბობენ, რომ არ-რასის ხალხი ამ ორი მთის ძირას მოსახლეობს. არ-რასს სათავე კალნკალში აქვს. ჩაუვლის არრანს, შემდეგ ვარსანს, შემდეგ შეერთების ადგილს და ერთდებიან ისა და ალ-ქურრი. მათ შორის ქალაქი ბაღლაკანია. მიედინებიან ალ-ქურრი და არ-რასსი ერთად და ჩადიან ჯურჯანის ზღვაში.

ეს არ-რასსი საკვირველი მდინარეა. მასში მრავალი ჯიშის თევზია. ამბობენ, რომ ყოველ თვე შემოდის მასში ერთი ჯიშის თევზი, რომელიც მანამდე არ ყოფილა. მასში არის თევზი, რომელსაც ეწოდება შურმჰჰი და არ გვხვდება არსად მის გარდა. და შემოდის მასში ყოველ წელს, გარკვეულ დროს ერთ-ერთი მისი ჯიში.

თქვა მისნარ იბნ მუჰალჰილიმა, როდესაც მოიხსენია ბაზხი ბზბაქისა: ჩამოუღის მას მდინარე არ-რასსი. მის ნაპირებზე იზრდება საუცხოო ბროწეული, რომლის მსგავსი არ მინახავს არსად ქვეყანაზე. იქ არის საუცხოო ლეღვი და მის ჩილს ახმობენ თორნეში, რადგანაც არ არის მზე მათთან ხშირი ღრუბლიანობის გამო, და იქ ცა არ იწმინდება არასდროს<sup>200</sup>.

მდინარე არ-რასსი გადის ბალსაჯანის ველისაკენ, რომელიც მდებარეობს ზღვის ნაპირზე სიგრძით ბარზანდიდან ბარზანამდე. აქაა ვარსანი და ბაღლაკანი. ამ ველზე 5000 სოფელია, რომელთა უმრავლესობა გაპარტახებულია. მხოლოდ მათი კედლები და თაღებიღა დარჩენილა, არ შეცვლილა ნიადაგის სიკეთისა და სიმტკიცის გამო. ამბობენ, რომ ეს სოფლები არ-რასსის პატრონებისა იყო, რომლებიც მოიხსენია ალლჰჰმა ყურანში, დიდებულში<sup>201</sup>. ამბობენ, რომ ესაა რაზმი ჯალჰთისა რომლებიც დახოცეს დავითმა და სულაიმანმა<sup>202</sup>, — შვიდობა მათ, — რადგანაც ხელი შეუშალეს მათ გავლას. და მოკლულ იქნა ჯალჰთი<sup>202</sup> ურმიჯაში.

**რუჰანდიზი**<sup>203</sup> — გამაგრებული ციხე აზერბაიჯანის ოლქში II,875 თიბრანის ახლოს.

**ზარავანდი**<sup>204</sup> — პირველი თანხმოდანი — ჭ ა თ ჰ ი თ, შემდეგ II,922 ვ ე ვ ი — ჭ ა თ ჰ ი თ, ნ შ ნ ი — ს უ ქ შ ნ ი თ და ბოლოში დ ა ლ ი უწერტილო.

ამბობს მისნარ იბნ მუჰალჰილი. რომელმაც მოიხსენია მლაშე ტბა ურმიჯასთან. თქვა: ამ ტბასთან არის გამაგრებული ციხეები. ამ ტბის ნაპირი მიდის ადგილამდე, რომელსაც ეწოდება ვადრ-ლ-ქურდი და მასში იშვიათი ქვებია. მასზე სალაიმანის მხარეს, მდებარეობს შესანიშნავი, დიდებული, დიდმნიშვნელოვანი და ძალიან

სასარგებლო ცხელი წყალი. საერთო აზრითა და თანხმობით, იგი ითვლება საუკეთესოდ მათ შორის, რაც გამოდის მადნეულ-თაგან მიწიდან. მას უწოდებენ ხარანენდს<sup>205</sup>. მას უკავშირდება ხარანენდული ბორაქი. საქმე იმაშია, რომ, როცა ადამიანი ან ცხოველი დაფარული და დანაწიბურებული წყალულებით, რომლის ქვემოთაც იმყოფება დასუსტებული ძვლები, დაფარული შუშის ნამტვრევები და ღრმად ჩაფლული ხიწვები, ჩააყურყუმალავენ მასში, ღრმულები იღება და გამოიყოფა იქიდან ბალღამი და სხვა. კრილობები იწმინდება, ხორცდება და ადამიანი რჩება ამ უბედურებისაგან. მე ვიცნობდი კაცს, რომელიც მე წავიყვანე ამ წყაროსთან. მისი ავადმყოფობა იყო ფუფხი, სურავანდი, ქვალი, მკრეჭელი სირსველი, ტკივილი წვივში და მოდუნება სახსრებში, რაც მუდმივად აწუხებდა მას და იწვევდა სიცხეს. კიდევ, მას სხეულში ჰქონდა ისარი, რომელიც ღრმად იყო ჩასული მის სხეულში და ხორცი იყო დაფარული. ჩვენ ყველას გვეშინოდა, რომ ყოველ დილას ან საღამოს მას შეეძლო გაეხვრიტა მისთვის გული. მან დაპყო იქ სამი დღე და ისარი გამოუვიდა გვერდიდან, რადგანაც გვერდი არის ყველაზე თხელი ადგილი, სადაც მან ნახა გამოსავალი.

1,923

თქვა: და არ მინახავს ამის მსგავსი წყალი თუ არ მხოლოდ ათ-თიზისა<sup>206</sup> და მუქრანის<sup>207</sup> ქვეყანაში. თქვა: ამ ცხელი წყლის ღირსებებს განეკუთვნება ისიც, რომ მის გვერდით მიედინება მტკნარი, გამჭვირვალე, ცივი წყალი. თუ ადამიანი დაღვეს მას, იგი უშიშარსკყოფს თავს ხუნაგისაგან, ელენთას წვრილი ძარღვების გაფართოებისაგან და იოლად შეიმსუბუქებს შავ ნალველს<sup>208</sup>. მოიხსენია მან ამას გარდა სხვადასხვა დამახასიათებელი თვისებები ამ წყაროსი და აღლჰჰმა უკეთ იცის მისი სიმართლე<sup>209</sup>.

11,957

**ზავაზანი**<sup>210</sup>—პირველი და მეორე თანხმოვანი—**ჰ ა თ ჰ ი თ**, შემდეგ მეორე **ზ ა** და ბოლოში—**ნ ლ ნ ი**.

მშვენიერი ოლქი არმინიის მთებსა და ხილნტს, აზერბაიჯანსა, დიჯარ ბაქრსა და მავსილს შორის. მისი მოსახლეობა არმანებია. არიან მასში ქურთთა ტომებიც. ამბობს „ჭუთუჰის“ ავტორი<sup>211</sup>: როდესაც დაიპყრო იმად იბნ ღანმმა ალ-ჯაზირა და მიალწია კარდნსა და ბაზაბდნს<sup>212</sup>, ეახლა მას ზავაზანის პატრიკოსი და დაეზავა მის მიწაზე იმ პირობით, რომ გადაიხდიდა გადასახადს. ეს მოხდა ჰიჯრის 19 წელს<sup>213</sup>.

თქვა იბნ ალ-ასნრმა<sup>214</sup>: ზავაზანი არის ვრცელი ოლქი ტაროსის აღმოსავლეთით იბნ რომარის კუნძულიდან. მისი საზღვრები

იწყება დაახლოებით ორი დღის სავალზე მავსილიდან ხილტის-საზღვრების დასაწყისამდე და აღწევს მისი საზღვრები აზერბაიჯანამდე, სალამსის ოლქის დასაწყისამდე. მასში მრავალი გამაგრებული ციხეა. ყველა ისინი ეკუთვნის ბაშნავერასა და ბუხთინას ტომის ქურთებს. ბაშნავერას ციხეებიდანაა: ციხე ბარეკა და ციხე ბაშნორი. ბუხთინას კი ეკუთვნის ციხე ჯურზაკნლი, — ისაა მათი ყველაზე საუკეთესო ციხე და ისაა ტახტი მათი მეფისა, — ათილი, ალლუსი, ბანა ალ-ჰარაი, — რომლებიც ეკუთვნის მავსილის მფლობელს, — ალკი, არვახი, ბანახვა, ბარხუ, ქინქივარი, ნირუ და ხავშაბი.

\* \* \*

**საბალანი<sup>1</sup>** — პირველი და მეორე თანხმოვანი — **ქათა** მით და III, 34 ბოლოში ნუნო.

დიდი მთა, რომელიც გადაჭყურებს ქალაქ არდაბნლს, აზერბაიჯანის მიწაზე. ამ მთაზე რამდენიმე სოფელი და წმინდანთა ბევრი საფლავია. თოვლი მის მწვერვალზე ზამთარ-ზაფხულსაა. მათ III, 35-სწამთ, რომ ეს არის ნიშანი წმინდანთა და კურთხეული მაზარის<sup>2</sup> ადგილებისა.

**სირაჯ ტაჯრი<sup>3</sup>** — ასე ახმოვანებს მას იბნ ბარდ ალ-ხაბბუნი<sup>4</sup>. III, 63-ოლქი მესამე არმინიჯაში, ზოგი ამბობს — მეორეში.

**სარავი<sup>5</sup>** — პირველი თანხმოვანი — **ქათა** მით და ბოლოში III, 64 ვ ვ ი.

ქალაქი აზერბაიჯანში. მასა და არდაბნლს შორის 3 დღის სავალია. მდებარეობს არდაბნლსა და თიბრისს შორის. დაანგრის იგი თათრებმა, — ალლპიმც დასწყევლის მათ, — 617 წელს და მოკლეს ყოველი, ვინც იქ იპოვეს.

ამბობს მუჰამმად იბნ ტაჰირ ალ-მუკადდასი: ას-სარავი უკავშირდება სარიას<sup>6</sup>, რომელიც უკვე მოხსენიებული იქნა. და ას-სარავი უკავშირდება ერთ ქალაქს, რომელიცაა არდაბნლთან და იწოდება სარვად<sup>7</sup>. ასე იხსენიებენ მას ალ იბნის გარეშე. თქვა: აქედანაა ნასრ ას-სარავი ალ-არდაბნლი, ნაფი იბნ ალ იბნ ბაჰრ იბნ აზრ იბნ ჰაზმ აბუ აბდ ალლჰ ას-სარავი<sup>8</sup> ალ-ჰაკნი აზერბაიჯანიდან, რომელიც გადმოსცემს აბუ აჯაჰ ალ-არდაბილისაგან<sup>9</sup>, ალ იბნ მუჰამმად იბნ მაჰრავაჰ და აბუ-ლ-ჰასან ალ იბნ იბრანჰიმ ალ-კატტან ყაზვინელებისაგან<sup>10</sup>.

ამბობს აბუ სადი: ას-სარავი, სუქუნით, არის ნისბა სარვ არდაბნლისა აზერბაიჯანიდან. და იხსენიებს, იმას, რაც მოვიხსენიეთ

ჩვენ აღრე. და რასაც მე ვფიქრობ, ეს ისაა, რომ ნისბა ამ ქალაქისა არის სარწვენ ძირის მიხედვით და სარავენ ჭათჭით ჩამოკვეციოთ. რაც შეეხება სუქუნს, იგი სრულიად მიუღებელია და ალღაჰმა უკეთ იცის სისწორე.

III,68 **სარბატუ**<sup>11</sup>—პირველი თანხმომავანი—**ჭათჭით**, შემდეგი—**სუქუნით**, ერთწერტილიანი **ბა**—**ჭათჭით** და **ტა** უწერტილო. ადგილი არმნიის ქვეყანაში. ჩაუდის მას მდინარე, რომელიც ცნობილია მისი სახელით და რომელიც ჩაედინება დიჯლაში. მისი სათავე არზანის გარეუბნებშია. იგი გამოდის ხუენთიდან და მისი მთებიდან არმნიის მიწაზე.

III,82 **სურმარა**<sup>12</sup>—პირველი თანხმომავანი—**ჭათჭით**, მეორე—**სუქუნით**, შემდეგ **ალიქი** და **რა**. დიდი ციხე და ვრცელი ვილაიეთი თბილისსა და ხილბტს შორის, სახელგანთქმული, ცნობილი.

III,88 **სარრის**<sup>13</sup>—**ტახტს** ნიშნავს, რომელზედაც იძინებენ ანდა სხდებიან. **სარრის** სამფლობელო ვრცელი სამეფოა ალ-ლანსა და ბაბ ალ-აბვანს შორის. მისკენ არ არის ორი გზის მეტი. გზა ხაზართა ქვეყნებისა და გზა არმნიის ქვეყნებისაკენ. ესაა თვრამეტი ათასი სოფელი მთებში.

ამბობს ისტახრბ: **სარრის** სამეფოს სახელია და არა ქალაქისა. **სარრის** მოსახლეობა ქრისტიანებია. ამბობენ, რომ ეს **ტახტი** სპარსთა რომელიდაც შეფეებს ეკუთვნოდა,— იგი იყო ოქროს **ტახტი**, როდესაც შეწყდა მათი მეფობა, სპარსთა რომელიდაც შეფემ წაიღო ეს **ტახტი**. ჩემამდე მოაღწია, რომ იგი ბაჰრამ ჯუროს ერთ-ერთი ჩამომავალი იყო და ეს სამეფო ახლა მათ ეკუთვნით. ამბობენ, რომ ეს **ტახტი** კეთდებოდა სპარსთა მეფეებისათვის მრავალი წლის განმავლობაში<sup>14</sup>. **სარრის** ქვეყანასა და ქალაქ სამანდარს შორის, რომელიც მოვიხსენიე თავის ადგილას, დაახლოებით ორი ფარსახია. მათ შორის კეთილგანწყობილება სუფევს. ასეთივე კეთილგანწყობილებაა **სარრისა** და მუსლიმებს შორის, თუმცა თითოეული მათგანი ფრთხილადაა მეორის მიმართ.

III,120 **სალამსი**<sup>15</sup>—პირველი და მეორე თანხმომავანი—**ჭათჭით**, ბოლოში მეორე **სინი**.

ცნობილი ქალაქი აზერბაიჯანში. მასა და ურმიას შორის ორი დღის სავალია. მასა და თიბრნუს შორის—3 დღის სავალი. იგი ამ ორს შორისაა. ახლა იგი და ისიც, რაც ეკვრის მას, დანგრეულია. **სალამსისა** და ხუვაჰის შორის ერთი გადასარბენია. **სალამსის** გრძელი 73 გრადუსია და მეექვსედი, განედი—33 გრადუსი და ნახევარი.

სალამნის უკავშირდება: მუსა იბნ იმრან იბნ მუსა იბნ ჰილალ აბუ იმრანი<sup>16</sup>, რომელსაც მოუსმენია აბანისათვის, დი-  
მაშკში—აბუ-ლ-ჰასან იბნ ჯავსას<sup>17</sup>, აბუ ტაჰბ აჰმად იბნ იბრაჰიმ  
იბნ იბნარას, მაქჰულა ალ-ბაჰრუთისა<sup>18</sup> და სხვებისათვის, ჰალაბ-  
ში—აბუ ბაქრ მუჰამმად იბნ ბარაქა იბნ დნისისათვის<sup>19</sup>. და უსმენ-  
და რეიში, ქუჰასა და ბალდღში—მუჰამმად იბნ მუხალლად ალ-ნატ-  
ტარსა და ჯაჰარ იბნ მუჰამმად ალ-ხულდის<sup>20</sup>, და ისმენდა რაკ-  
კაში, ნისინისა, რამლასა<sup>21</sup> და ჰამში<sup>22</sup>. გადმოსცემენ მისგან ძე  
მისი დისა აბუ მუჰაჰმად ალ-მუჰანნად იბნ ალ-მუჰაჰმად იბნ  
ალ-ჰასან ას-სალამნის, აშ-შარჩე აბუ-ლ-კასიმ ახ-ზადრე ალ-ჰამმინ<sup>23</sup>  
და სხვები მათ გარდა. გარდაიცვალა უშნუში 380 წლის რაბი  
ალ-ახირის თვეს<sup>24</sup> და წაღებულ იქნა სალამნში.

III,121

სამანდარი<sup>25</sup>—პირველი და მეორე თანხმომავანი—ქათაჰით, III,143  
შემდეგ ნუნით—უქუნით, დალით—უწერტილო და ბოლოში რა.

ქალაქი ბაბ ალ-აბგაბის იქით რვა დღის სავალზე, ხაზართა  
ქვეყანაში. ააშენა იგი ანუშირვან იბნ კუბაჰ ქისრამ.

ამბობს ალ-აზჰარე<sup>26</sup>: სამანდარი ადგილია. სამანდარი ხაზარ-  
თა სატახტო ქალაქი იყო. მას შემდეგ, რაც დაიპყრო იგი სალმან  
იბნ რაბინამ, [სატახტო ქალაქი] ითილში იქნა გადატანილი.  
მათ შორის შვიდი დღის სავალია.

ამბობს ისტახრე: სამანდარი ქალაქია, ითილს, ხაზართა მბრძა-  
ნებლის ქალაქსა და ბაბ ალ-აბგაბს შორის, ბაღებით მდიდარი.  
ამბობენ, რომ მოიცავს დაახლოებით ოთხი ათას ვენახს. მდებარეობს  
სარირის სამეფოს საზღვარზე. მის ნაყოფთა შორის სქარ-  
ზობს ყურძენი. იქ არის ხალხი მუსლიმთაგან, რომლებსაც იქ აქვთ  
მეჩეთები და მათი სახლები ხისაგანაა, ფართო, ოღრო-ჩოღრო  
სახურავებით<sup>27</sup>.

მათი მეფე იუდეველია, ნათესავია ხაზართა მეფისა. მათსა და  
სარირის საზღვარს შორის 2 ფარსახია. მათსა და სპიბ ას-სარირს  
შორის მშვიდობა სუფევს. სამანდარიდან ითილამდე, ხაზართა  
დედაქალაქამდე—8 დღის სავალია, სამანდარიდან ბაბ ალ-აბგაბამდე—  
4 დღის სავალი.

სუმახსტი<sup>28</sup>—პირველი თანხმომავანი—დამით, მეორე—ქათაჰით, III,151  
ჰით, შემდეგ და ორი წერტილით ქვემოთ—სუქუნით, მეორე  
სინი და ალიჰის შემდეგ—ტა უწერტილო.

ქალაქი ალ-ჰურანის ნაპირას, რუმის ქვეყნის მხარეს, ალ-ჰურანის  
დასავლეთ ნაპირზე. მას აქვს ციხე მის შუაგულში. ცხოვრობენ III,152  
იქ არმანები. ამჟამად მისი მფლობელი არის მეფე უწარჩინებულესი

წალწ იბწ ალ-მალაქე აწ-წწსირ აწსუჭე იბწ ააწბ სალწ ად-დწწწ<sup>29</sup>.  
იბწწწწწწ მას (სუმაასწტს) ალ-მუთაწწბბწ<sup>30</sup> თავეის ერთ-ერთ ლექსში.

სუმაასწტსის გრწდი 54 გრადუსი და ორი მესამეღია, გაწე-  
ღი—36 გრადუსი და მესამეღი. აბუ წაწწწს ზწწწს მიბწეღწწ სუ-  
მაასწტი მეოთხე იკლწწწწწ. მისი გრწღღია 32 გრადუსი და ორი  
მესამეღი, გაწეღი—36 გრადუსი და მესამეღი.

მას უკავეწირღება აბუ-ლ-კასიმ წალწ იბწ მუჰამმად ას-სუმა-  
სწტი ას-სულამწ, ცწობიღი ალ-ჯამწწწსის სახელით<sup>31</sup>, რომელიც  
გარღაიცივალა დიმაშკში 453 წლის რაბწწ ალ-წბირის<sup>32</sup> თვეს და  
დაკრღალულია თავეის ადგილსამყოფელში წწწაწწწწწის კართაწ,  
რომელიც მან ვაკწად<sup>33</sup> შესწწირა მუსლიმი ღარიბ-ღატაკებისა და  
სუფიებისათვის. მისი უღიღეისი წაწწიღი ვაკწად შესწწირა ჯამესა-  
თვის და უმეწტესი მისი სიმღიღრისა საკველმოკმეღოდ. იბწ-  
წიებს მას იბწ წასწკირი<sup>34</sup> აბღ ალ-წაზწ იბწ მეღწწწწს<sup>35</sup> ბიოგრა-  
ფიაში და ამბობს: მისი სახლი დიმაშკში ეკვროღა ჯამეს, რომე-  
ლიც სუფიების<sup>36</sup> ადგილსამყოფელი იყო. მის შემღეგ კი ეკუთწწწოღა  
მის ძეს წომარ იბწ წაბღ ალ-წაზწწ<sup>37</sup>. უსწწავღია მას წაბღ ალ-  
ვაჰწწ იბწ ალ-ჰასაწ ალ-ქალწბწსაგაწ<sup>38</sup> ჰაღწსი იბწ ხურაღწისა,  
ჰიშაწწსაგაწ, მწლიქისაგაწ და სხვა. უსწწავღია მუვატწაწი<sup>39</sup> იბწ  
ვაჰბისა<sup>40</sup> და იბწ ალ-კასიმისა, ასევე. ზოგეერთი ჰაღწსი ალ-  
აეზწწწსა<sup>41</sup>, რომლებიც შეკრობა იბწ ჯაგსამ და გაღმოსცემღა შემღ-  
გომად ამისა. ამბობეწ, რომ ღაბღაღა იგი 377 წლის რამაღწის  
თვეში<sup>42</sup>. ყვეღაფერი ეს იბწ ალ-აქწწწსის „ქიბბ ალ-წარღწთიღა-  
წაა“<sup>43</sup>. აბუ-ლ-კასიმ ად-ღიმაშკწს წიგწში კი [მოხსწეწებულია] წალწ  
იბწ მუჰამმად იბწ ააჰა იბწ მუჰამმად იბწ წაბღ ალლწა იბწ ზაქა-  
რღა აბუ-ლ-კასიმ ას-სულამწ ალ-ჰაბწში, ცწობიღი სუმაასწ-  
ტის სახელით. იგი ასე ამბობს—ალ-ჰაბწში, იბწ ალ-აქწწწწ კი—  
ალ-ჯამწში.

III,160 **საწწწწწ**<sup>44</sup>—პირვეღი თაწწმოვაწი—ქესტი, მეორე—სუ-  
ქწწწწწ, ჯწმი და ბოლოში ლწმი.

სოფელი არმწწწაში, ამბობეწ—აზერბაიჯაწში. იბწწწიებს მას  
აწ-შამწწწ.

III,160 **საწწწწწ**<sup>45</sup>—პირვეღი თაწწმოვაწი—ქათპით მეორე—სუ-  
ქწწწწწ, შემღეგ ჯწმი და ბოლოში წწწწ.

ადგიღი ბწბ ალ-აბგვბთან.

III,166 **სიწღაბწაწ**<sup>46</sup>—პირვეღი თაწწმოვაწი—ქესტი, მეორე—  
სუქწწწწწ, შემღეგ—ღწლი უწწერტილო, ერთწწერტიღიაწი ბწ-  
ქათპით და შემღეგ უკაწასკწეღი თაწწმოვაწი—აწ.

ადგილი აწერდა იჯანში ბაზუთან, ბაბაქალ-ხურრანის ერთ-ერთი ოლქთაგანი. იხსენიებს მას აბუ თანინში ადიდებს რა აბუ საჰიდ მუჰამმად იბნ აჟუსუქს.

**სანქ ასჭინდი**<sup>47</sup> — დიდი მთა არმინიანში. ვეიქრობ, რომ ხი-III, 168 ლატსა და მანაზჯირდთანაა ახლოს.

**სიჰვარდი**<sup>48</sup> — პირველი თანხმეოვანი — ქესრით, მეორე — III, 208 შემსუბუქებული, ვავი — ჭათჰით, რა — სუქუნით და დალი უწერტილო.

ადგილი აწერბაიჯანში.

**საჰახანნი**<sup>49</sup> — პირველი თანხმეოვანი — ჭათჰით, მეორე — სუ-III, 2.5 ქუნით, მეორე სინი — ჭათჰით, ბა ერთწერტილიანი, ბოლოში — ნუნი. არაბებზე ამბობენ საჰავანს, ბა-ს ნაცვლად ვავი.

ქალაქი არანის ერთ-ერთ ოლქში. მასა და ბაჰლავანს შორის III, 216 4 დღის სავალია აწერბაიჯანის მხრიდან, როგორც გადმოცა ამის შესახებ კაცმა მის მცხოვრებთაგან.

**საჰაჯანი ან სნაჯანი**<sup>50</sup> — პირველი თანხმეოვანი — ქესრით III, 2.6 და ჭათჰით, მეორე თანხმეოვნის შემდეგ მეორე სინი, შემდეგ ჯიმი და ბოლიში ნუნი.

მესუთე იკლმეზია. მისი გრძელია 71 გრადუსი, განედი — 41 გრადუსი და 25 მინუტი.

ქვეყანა არანის შემდეგ. დაიპყრო იგი ბაბუ იბნ მასლამ და უწოდეს მას დამპყრობლებმა პირველი არმინიანა. დაეზავა [ჰაბიბი] მის მცხოვრებლებს ხარაჯის გადახდის პირობით. ეს მოხდა როსმან იბნ ნაჭჰანის, — ალლჰიმეც კმაყოფილია მისით, — ხალიფობის დროს<sup>51</sup>.

საჰაჯანსა და დაბნლს შორის 16 ფარსახია.

**ნაბარანი**<sup>52</sup> — ალი ჭის შემდეგ ერთწერტილიანი ბა — ჭათ-III, 225 ჰით, ბოლოში — ნუნი.

ქალაქი არანის ერთ-ერთ ოლქში. დაახრსა იგი ანუშირვანმა. ნათქვამია [აგრეთვე], რომ იგი არის დარბანდის, იგივე ბაბ ალ-აბეჰის მხარეში. მასა და ქალაქ შარვანს შორის დაახლოებით 20 ფარსახია.

**შათარი**<sup>53</sup> — გახმოენებული. თა — ორწერტილიანი, ბოლო-III, 259 ში — რა.

ციხე არანის ერთ-ერთ ოლქში, ბარზასა და ქანჯას შორის. აქედანაა წარმოშობით ას-სულჰი აჟუსუქ ას-საჰრჰი<sup>54</sup>, რომელმაც დასწერა მის შესახებ და თქვა: იგი ავკის ახლოსაა არანში.

**შარვანი**<sup>55</sup> — ქალაქი ბაბ ალ-აბეჰის, — რომელსაც სპარსელები III, 282 უწოდებენ დარბანდს, — მხარეში. გაამენა იგი ანუშირვანმა და

უწოდა მას თავისი სახელი. შემდეგ შეიკვეცა იგი მისი სახელის ნაწილის ჩამოცილების გამო. შარვანსა და ბზბ ალ-აბგვზს შორის 100 ფარსახია. გამოვიდა იქიდან მთელი რიგი მეცნიერი.

ამბობენ, რომ მის მახლობლად არის კლდე მუსასი,—მშვიდობა მას,—რომელზედაც დაავიწყდა თევზი მისი სიტყვის მიხედვით, მაღალიმც არს იგი. თქვა: იცით, როდესაც შევაფარეთ თავი კლდეს, მაშინ დამავიწყდა თევზი<sup>56</sup>.

ამბობენ: ეს კლდე შარვანის კლდეა, ეს ზღვა—ჯრღანის ზღვაა და ეს სოფელი ბჯარვანია, სადაც შეხვდა მას ყრმა და მოკლა იგი<sup>57</sup>. ამბობენ: [ეს მოხდა] სოფელ ჯრზანში. და ყველაფერი ეს არის არმინის მხარეები დარბანდის ახლოს.

ამბობენ: შარვანი ვილაიეთია, რომლის დედაქალაქია შამანბ. იგი ხაზართა ზღვის ახლოსაა.

ჰადისების მომთხრობნი უკავშირებენ მას რიგ რაიეებს. მათგანაა: აბუ ბაქრ მუჰამმად იბნ უშაარ იბნ მარუჰე ამ-შარვან<sup>58</sup>, რომელიც იყო ჭაკიპი, ღვთისმოსაეი, ცხოვრობდა ნიზამიჯაში<sup>59</sup> და სწავლობდა ჭიკპს ალ-ქიჰა ალ-ჰარანსისთან<sup>60</sup>. იგი გადმოსცემს ზოგიერთ რამეს აბუ ჰუსეინ მუბარაქ იბნ ალ-ჰუსეინ ალ-ლასსლისაგან. იხსენიებს მას აბუ სადი თავის მასწავლებელთა შორის.

III,310 შაკჰ<sup>61</sup>—ადგილი არმინიჯაში. ალ-ასმა<sup>62</sup> წარმოთქვამდა შაკქას გარკვევებული ქანჭით, მაგრამ ამბობენ აქ ქანჭს.

III,311 შაკქ<sup>63</sup>—პირველი თანხმოვანი—ქათჰით, მეორე—თეშდრით. ასე წარმოთქვამს ალ-ასმა<sup>64</sup>. სხვები კი ამბობენ ქანჭით.

ვილაიეთი არმინიჯაში. უკავშირებენ მას ცნობილ შაკქურ ტყავს<sup>65</sup>. მდებარეობს მდინარე ალ-ქურრზე თბილისის მახლობლად.

III,317 შამანბ<sup>65</sup>—პირველი თანხმოვანი—ქათჰით, მეორე შემსუბუქებული, წერტილიანი ხან—ქესრით და ანორი წერტილით ქვემოთ.

ქალაქი აყვავებული. იგი შარვანის ქვეყნის დედაქალაქია არანის მხარეში. ითვლება ბზბ ალ-აბგვზის ერთ-ერთ ოლქად. მისი პატრონი შარვანშაჰი არის ძმა დარბანდის მმართველისა. აღნიშნავს ისტახრ იმას, რაც მიუთითებს, რომ შამანბ ახლახან დასახლდა. ამბობს: ბარზანადან ბარზანჯამდე 18 ფარსახია. შემდეგ გადახვალ ალ-ქურრს შამანბსაკენ და არ არის მასში მინბარი 14 ფარსახის მანძილზე. შამანბდან შამბარანსაკენ სამი დღის სავალზე პატარა ქალაქია, რომელშიც არის მინბარი<sup>66</sup>.



შიმშატი<sup>67</sup>—პირველი თანხმობანი—ქესრით, მეორე—სუ-III,319  
ქუნით, შინი მსგავსი პირველისა და ბოლოში ტა უწერტილო.

ქალაქი რუმში, ჭურათის ნაპირზე. მის აღმოსავლეთით [მდებარეობს] ბალუვიძა, დასავლეთით—ხართაბირთი. იგი დღეს ითვლება ხართაბირთის ოლქად. III,320

ამბობს პტოლემე: ქალაქ შიმშატის გრძედი 71 გრადუსი და 30 მინუტია, განედი—37 გრადუსი და 50 მინუტი. მისი ტალინია ალ-ნაწიმი<sup>68</sup>, მისი ბაჰთ ალ-ჰაჰთი ალ-ჯადი მდებარეობს 13 გრადუსით ქვემოთ სარატანიდან. მისი მოპირდაპირე მხარე მის მსგავსადაა ალ-ჯადიდან. მისი ბაჰთ ალ-მულქი მის მსგავსადგეა ალ-ჰამალიდან, მისი წყიბა კი—ალ-მინანიდან. მდებარეობს იგი მეხუთე იკლემში. ამბობს ზნჯის ავტორი: შიმშატის გრძედი 62 გრადუსია და ორი მესამედი, განედი—38 გრადუსი, ნახევარი და მეოთხედი.

შიმშატი ახლა დანგრეულია და მოსახლეობა იქ მცირეა. იგი სხვაა ვიდრე სუმასატი. ეს არის ორი უწერტილო სნით, ის კი—წერტილებიანით (შინით) და ორივე ალ-ჭურათზე მდებარეობს. ოღონდ, უწერტილო (სნიანი) სირიის ერთ-ერთი ოლქია, ეს კი—არმნიის მხარეშია. ამბობენ, ეწოდა მას შიმშატი იბნ ალ-ჰაჰეს იბნ სამ იბნ ნუჰის<sup>69</sup>,—მშვიდობა მას,— მიხედვით, რადგანაც იგი იყო პირველი, ვინც დაარსა იგი.

აქედანაა წარმოშობილი ხალხი მეცნიერთაგან, მათგან: აბულ-ჰასან ალ იბნ მუჰამმად აშ-შიმშატი<sup>70</sup>, რომელიც იყო პოეტი და რომელსაც აქვს თხზულებანი ადაბის დარგში. იგი იყო საიჭად-დავლა იბნ ჰამდნის<sup>71</sup> დროს და მას ალ იბნ მუჰამმად აშ-შიმშატის შესახებ აქვს ლექსი.

შამქური<sup>72</sup>—პირველი თანხმობანი—ჰათჰით, მეორე—სუ-III,322  
ქუნით, ქაჰი, ვავი—სუქუნით და რა.

ციხე არანის მხარეში. მასა და ქანჯას შორის ერთი დღის სავალია—10 ფარსახი. შამქური ქველი ქალაქია. გაგზავნა მისკენ სალმან იბნ რაბრა ალ-ბაჰილიმ ბარზაას დაპყრობის შემდეგ, წამან იბნ აჰჰანის, —ალლაჰიმც კმაყოფილია მისით,— ხალიფობის დროს, ის ვინც დაიპყრობდა მას. იგი ყოველთვის დასახლებული და აყვავებული იყო ვიდრე არ დაანგრეეს სანავარდიელებმა<sup>73</sup>. ესაა ხალხი, რომლებიც შეიკრიბნენ არმნიიდან ახზნდ იბნ უსაადის წასვლის დღეებში<sup>74</sup>. ბოროტი იყო მათი საქმე და გამრავლდა მათი უბედურება. შემდეგ ბულამ, მუჰთასიმის მეკლამ, განაახლა იგი 240 წელს<sup>75</sup>, მაშინ, როდესაც იგი იყო არმნიისა, აზერბაიჯანისა და შიმშატის ვალნი და უწოდა მას ალ-მუთავაქქილნა.

III,324 შამირანი<sup>76</sup>— ციხე-სიმაგრე არმინიაში, ნასრის მიხედვით.

III,324 შამირანი<sup>77</sup>—(პირველი თანხმოვანი)—ჟ ა თ ჰ ი თ, შემდეგი—  
ქ ე ს რ ი თ, ა ნ ო რ ი წ ე რ ტ ი ლ ი თ ქ ე ვ მ ო თ—ს უ ქ შ ნ ი თ, რ ა და ბ ო -  
ლოში ნ შ ნ ი.

ქალაქი არმინიაში.

III,328 შანანი<sup>78</sup>—(პირველი თანხმოვანი)—ჟ ა თ ჰ ი თ, შემდეგი—ს უ-  
ქ შ ნ ი თ, ზ ა ლ ი წ ე რ ტ ი ლ ი ა ნ ი და ბ ო ლ ო შ ი ნ შ ნ ი.

მხარე, მოსახლურე ხაზართა ქვეყნისა. იქ მრავალი გვარისა  
ხალხისა, რომლებიც [მოსახლეობენ] კაბკის მთაზე. ნასრის მიხედ-  
ვით, მათმა გეფემ მიიღო ისლამი ალ-მუჰთადირის დროს<sup>79</sup>.

III,353 შინი<sup>80</sup>—(პირველი თანხმოვანი)—ქ ე ს რ ი თ, შემდეგი—ს უ ქ შ-  
ნ ი თ და ზ ა.

III,354 მხარე აზერბაიჯანში, დაპყრობილი მუღღრა იბნ შუზბას მიერ  
სულჰით. თქვა: იგია გაარაბულებული ჯრისი. ამბობენ, ზარადუშთა,  
მაჯუსთა წინასწარმეტყველი აქედანაა.

ამ მხარის დედაქალაქია ურმიჯა. ალ-მუთავაქქილმა მის გამ-  
გებლად დანიშნა ჰამდუნ იბნ ისმაილ ან-ნადიმი<sup>81</sup>, რომელმაც არ  
ინდომა.

ამბობს მისწარ იბნ ალ-მუჰალჰილი: როდესაც მე დავიწყე  
შესწავლა კეთილშობილი ხელოვნებისა და სარფიანი ვაჭრობისა<sup>82</sup>  
მისი სუბლიმიაციით<sup>83</sup>, დისტილაციით<sup>84</sup>, დნობითა და კალცინაცი-  
ით<sup>85</sup>, ჩემს გულში შეიჭრა იქვი ძვირფასი ქვების მიმართ და გა-  
მიჩნდა გაურკვევლობა სამკურნალწამლო ელემენტების თაობაზე.  
და მაშინ გადავწყვიტე გამომეკვლია მალაროები და საბადოები.  
გადმოცემებისა და აღწერილობების საშუალებით მივალწიე შინამდე.  
ესაა ქალაქი მარაღას, ზანჯანს, შაჰრაზურსა და დინავარს წმორის  
მთებს შუა, რომლებიც აერთიანებენ მადნებს ოქროსი, ვერცხლის-  
წყლის, ტყვიის<sup>86</sup>, ვერცხლის, ყვითელი დარიშხანის<sup>87</sup> და ქვისა, რო-  
მელიც ცნობილია ჯამასტის<sup>88</sup> სახელით.

რაც შეეხება მის ოქროს, იგი სამი სახისაა: ერთი სახეობა  
მისი ცნობილია ალ-კუმისინდ<sup>89</sup>. ესაა მიწა, რომელსაც ასხამენ წყალს.  
მას (მიწას) ჩარეცხავენ წყალი და რჩება თიბრი<sup>90</sup>, წვეთარცა წვრილი  
მარცვალი, რომელიც იკრიბება ვერცხლისწყლის საშუალებით. იგი  
წითელია, ხალუკის ფერისა<sup>91</sup>, მძიმეა, სუფთა, ხასხასა, ცეცხლგამძ-  
ლე, რბილი და ჭედადი.

მეორე სახე იწოდება ას-საჰრაქინდ<sup>92</sup>. პოულობენ მას ნაჭრე-  
ბად ერთი ჰაბბიდან<sup>93</sup> ათ მისკალამდე<sup>94</sup> წონით. იგი ხასხასა, მკვ-  
რივი და მძიმეა, მაგრამ არის მასში ცოტა სიმშრალე<sup>95</sup>.

სხვა სახეობა იწოდება ას-საჰანადიდ<sup>96</sup>. იგი თეთრია, რბილი, მძიმეა, წითელია სინჯვისას და იღებება აჯასპით.

მისი ღარიშხანი ფირფიტოვანია, მიწის მცირეოდენი რაოდენობით. გამოიყენება თაზნკისთვის<sup>96ა</sup>. კერძოდ, მისგან ისბაჰანის მცხოვრებლები აკეთებენ თვლებს, მაგრამ მასში არაა წითელი.

მისი ვერცხლისწყალი უკეთესია ხურანისაზე, უფრო მძიმეა და სუფთა. ჩვენ გავსინჯეთ იგი და შეფარდება [მისი შემცველობისა] მადნურ ვერცხლში აღმოჩნდა ერთი ოცდაათთან. ჩვენ მსგავსი არ გვინახავს აღმოსავლეთში. რაც შეეხება მის ვერცხლს, იგი ძვირია მათთან ნახშირის სიძვირის გამო.

ამ ქალაქს შემოვლებული აქვს კედელი და იქ, მის შუაგულში არის ტბა<sup>97</sup>. მისი ფსკერის მიღწევა შეუძლებელია. მე ჩავაგდე მასში საძირავი თოთხმეტ ათასზე მეტი წყრთის [სიგრძის], რომელიც დაიმსხვრა ათას [ნაწილად], ვერ ჩააღწია სიძიმემ [ფსკერს] და ვერ დამკვიდრდა მშვიდად. მისი ფართობი დაახლოებით ჰამიმიტური ჯერონის ტოლია. როცა მისი წყლით სველდება მიწა, იმ წამსვე იქცევა მკვრივ ქვად. გამოდის მისგან შვიდი მდინარე. თვითეული მათგანი ეშვება წისქვილთან და შემდეგ გამოდის კედლის<sup>11,355</sup> ქვემოდან [ქალაქს გარეთ].

იქ არის ცეცხლის ტაძარი<sup>98</sup>, დიდად თაყვანსაცემი მათთან. მისგან ინთება ცეცხლი მაჯუნებისა აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე. მისი გუმბათის თავზე ვერცხლის ნახევარმთვარეა<sup>99</sup>. იგი თილისმაა. ზოგიერთი ხალხი ამირათაგან ცდილობდა მის ჩამოხსნას, მაგრამ ვერ შეძლეს.

ამ ტაძრის საკვირველებათაგან არის ის, რომ ანთია ცეცხლი შვიდასი წლის განმავლობაში და მასში სრულებით არ არის ნაცარი, თუმცა წვა არ შეწყვეტილა არც ერთ ხანს იმ დროიდან.

ეს ქალაქი ააშენა ჰურმუზ იბნ ხუსრუშირ იბნ ბაჰრამში<sup>100</sup> კირისა და ქვისაგან. ამ ტაძართან უზარმაზარი სასახლეები და დიდი, ვეებერთელა შენობებია. როცა მტერი გაემართება ამ ქალაქისაკენ და დადგამს მანჯანრეს<sup>101</sup> კედლის პირდაპირ, მისი ქვეები ვარდება ამ ტბაში, რომელიც მოვიხსენიეთ. და თუ გადასწევს მანჯანრეს თუნდაც ერთი წყრთით, ეცემა ქვეები კედლის გარეთ.

თქვა: ამბავი ამ ქალაქის აშენებისა ასეთია: ჰურმუზამდე, სპარსთა მეფემდე, მიაღწია [ამბავმა], რომ იერუსალიმში, სოფელში. რომელსაც უწოდებენ ბაათ აღ-ლაჰმს<sup>102</sup>, დაიბადება კურთხეული ყრმა და შესაწირავი მისი იქნება მირონი<sup>103</sup>, ზეთუნის ზეთი და

საკმეველი. და გაგზავნა მან ერთ-ერთი მისი სანდო პირთაგანი დიდი თანხით, რომელსაც თან მიჰქონდა დიდძალი საკმეველი და უბრძანა მას, წასულიყო იერუსალიმს, გამოეკითხა ამ ყრმის შესახებ და როცა გაიგებდა მის ამბავს, მიეცა ეს ძღვენი მისი დედისათვის, ეუწყებინა მისთვის იმ პატივის, სახელისა და კეთილი საკმეების შესახებ, რომლებიც ელოდა მის შვილს და ეთხოვა მისთვის, რომ დაელოცა იგი (მეფე) და მცხოვრებნი მისი სამეფოსი.

ამ კაცმა გააკეთა ყველაფერი რაც ებრძანა და გაემგზავრა მარიამისაკენ,—მშვიდობა მას,— გადასცა რაც გაატანეს მას და აუწყა კურთხევა მისი შვილისა; როდესაც მოისურვა დაბრუნება, მისცა მას [მარიამმა] ერთი ტომარა მიწა და უთხრა:—გადაეცი შენს პატრონს, რომ იქნება ამ მიწაზე შენობა. მან აიღო იგი და წავიდა. და როდესაც მივიდა ადგილს აშ-შინისა,—და იგი მაშინ იყო უდაბნო,—აქედ გახდა და იგრძნო [მოახლოება] სიკვდილისა. მაშინ დაფლა ეს ტომარა იქ და გარდაიცვალა. ამ ამბავმა მიაღწია მეფემდე და როგორც ამბობენ სპარსელები, გაგზავნა ერთი სანდო კაცი და უბრძანა მისულიყო იმ ადგილას, სადაც მოკვდა იგი და აეშენებია იქ ცეცხლის ტაძარი. ჰკითხა: საიდან გავიგებ ამ ადგილს? უპასუხა: წადი, და შენგან იგი არ დაიფარება. და როდესაც მიაღწია ამ ადგილს, დაიბნა, არ იცოდა რა მოემოქმედა. და როდესაც მოიცვა იგი ღამემ, დაინახა დიდი ცეცხლი, აღმართული საფლავის ადგილზე და მიხვდა, რომ ეს არის ადგილი, რომელსაც ეძიებდა. გაემართა მისკენ, შემოხაზა ცეცხლის ირგვლივ ხაზი და გაათია ღამე. როდესაც გათენდა, ბრძანა აშენება შენობისა ამ ხაზზე და ეს ის ცეცხლის ტაძარია, რომელიც არის აშ-შინში<sup>104</sup>.

III,356

ამბობს მონა ალლჰისა, გლახაკი წინაშე მისსა, ავტორი ამ წიგნისა: ეს ყველაფერი აბუ დულაჰა მისწარ ბნ მუჰალჰილის, პოეტისაგან, შოდის და მე თავისუფალი ვარ პასუხისმგებლობისაგან მის სიმართლეზე, რადგანაც მისი სიტყვებისაგან გადმოსცემენ ბევრს არაჩვეულებრივსა და ტყუილს. მე კი მოვიყვანე ეს ისე, როგორც ვპოვე და ალლჰამა უკეთ იცის<sup>105</sup>.

სხვები ამბობენ, რომ აშ-შინში არის ცეცხლი აზარახშისა. ესაა დიდი ტაძარი მაჯჰსთა შორის. როცა გამეფდა მათი მეფე, მონახულა იგი ფეხით. მარჯლასა და ამ მხარეების მცხოვრებლები უწოდებენ ამ ადგილს ქაზნას და ალლჰამა უკეთ იცის<sup>106</sup>.

III,396

სულდუბნლი<sup>107</sup>—მისი პირველი ნაწილი იგივეა, რაც წინ იყო. შემდეგ ბნ ერთწერტილიანი, ან ორი წერტილით ქვემოთ და ლნ მი.

ქალაქი არმნიის მიწაზე, მდინარე ქურრის აღმოსავლეთ ნაპირზე, თბილისის პირდაპირ. ააშენა იგი ქისრა ანუშირვან სამართლიანმა, მაშინ, როცა ააშენა ბაბ ალ-აბგვანი და დაასახლა იქ ხალხი სოლდელთაგან, სპარსთა მოდემის ხალხთაგან და გადა-  
აქცია იგი მასლაჰად. და გაგზავნა მუთავაჰქილმა ბულან თბილი-  
სისაკენ. იქ მის წინააღმდეგ გამოვიდა ისჰაკ იბნ ისმაწილი.  
[ბულანმა] გადასწვა თბილისი მთლიანად და წაიღო მისი თავი სურრა  
მან რაააში. სურრა მან რააადან მისი გამოსვლის შემდეგ, ვიდრე არ  
შევიდა იგი მასში [ისჰაკის] თავით, განვლო ოცდაათმა დღემ.  
თქვა პოეტმა:

კეთილი იყოს შენი მობრძანება, ვითარცა მოციქულისა.  
მოიტანე ის, რაც განკურნავს უძღურებისაგან.  
საერთოდ შენ არ საჭიროებ განმარტებას  
ისჰაკ იბნ ისმაწილის თავით  
და თბილისისა და სულდუბნლის დაპყრობით.

ისჰაკ იბნ ისმაწილს გაემეგრებინა სულდუბნლი, გაეხადა იგი  
თავშესაფარად და მიენდო მისთვის თავისი ქონება და ცოლი, სა-  
რწრის პატრონის ასული<sup>108</sup>.

**ხაკლაბი<sup>109</sup>**—(პირველი თანხმომგანი)—**ჭათჰით**. შემდეგი—III, 405  
სუჰქუნიით, ლამი—**ჭათჰით** და ბოლოში ბაერთფერტი-  
ლიანი.

ამბობს იბნ ალ-არაბი<sup>110</sup>: სიკლანი არის თეთრი კაცი. აბუ  
ამრი<sup>111</sup> კი ამბობს, რომ სიკლანი წითური კაცია. თქვა აბუ მან-  
სური<sup>112</sup>: ას-საკალიბა ტომია წითური ფერის, ქერა თმებით.  
ემეზობლებიან ხაზართა ქვეყანას, [მოსახლეობენ] რუმის მთების  
მწვერვალებზე. წითურ კაცს სიკლანს უწოდებენ საკალიბას ფერ-  
თან მსგავსების გამო. სხვები კი ამბობენ: საკალიბა ქვეყანაა ბულ-  
ლარსა და კუსტანტინიძას შორის. მისგან წარმოდგება მრავლობი-  
თი—საკალიბა, მხოლობითი—საკლაბი.

ამბობს იბნ ალ-ქალბი: ააქეს იბნ ნუჰის,—მშვიდობა მას,—  
შთამომავალთაგან არიან აუნანი, საკლაბი, აბდარი, ბურჯანი,  
ჯურჯანი, ჭარისი და არ-რუმი, [როგორც ისინი, ვინც არიან]  
ამათ შორის და დასავლეთით. თქვა იბნ ალ-ქალბი სხვა ადგი-  
ლას: მიაგზო მამაჩემმა, რომელმაც თქვა, რომ რუმი, საკლაბი, არმინი,  
აქრანჯი ძმებია. ისინი ლანტი იბნ ქასლუხნი იბნ აუნანი იბნ ააქე-  
სის შთამომავალი არიან. მოსახლეობს თითოეული მათგანი გარ-  
კვეთულ ადგილას მიწაზე, რომელიც იწოდება მისი სახელით<sup>113</sup>.

საკლავი აგრეთვე არის ალ-ანდალუსში<sup>114</sup> შანთარინის ოლქში. მისი მიწა არის სუფთა მიწა. ამბობენ, რომ როდესაც მის მიწაზე დაითესება ერთი მაქქუქი<sup>115</sup>, მიიღება მისგან ასი კაფრი<sup>116</sup> ან მეტი.

სიკილნდიაში<sup>117</sup> ასევე არის ერთი ადგილი, რომელსაც უწოდებენ საკლავს. ამბობენ, რომ უწოდებენ მას ასევე საკალიბების უბანს. იქ არის მიმდინარე წყაროები, რომლებიც მოხსენიებულია სიკილნდიაში.

ამბობს მას-უდნ: საკალიბა სხვადასხვა ტომებია. მათი საცხოვრებელია ჰარბინდან შალშმდე<sup>118</sup> დასავლეთში. მათ შორის ბრძოლებია. მათ ჰყავთ მეფეები. მათ შორის არიან ისეთები, ვინც მისდევს ქრისტიანული სარწმონეების იაკობიტურ მოძღვრებას და ისეთებიც, ვისაც არა აქვთ წიგნი და რელიგიური კანონები. ისინი წარმართები არიან. ყველაზე გულადი მათ შორის არის ტომი, რომელსაც უწოდებენ ას-სარის<sup>118a</sup>. ისინი წვავენ თავიანთ თავს ცეცხლში. როდესაც მოუკვდებათ მეფე ან ბელადი, წვავენ თავიანთ ცხენებს. მათ აქვთ ჩვეულებანი ინდოელთა ჩვეულებების მსგავსი. ხაზართა ქვეყანაში მათი მრავალი ტომია.

პირველი საკალიბთა მეფეებიდან არის ად-დაჰრის<sup>119</sup> მეფე. მას აქვს მრავალი ნათესები და მუსლიმ ვაჭრებს მიაქვთ მის სამეფოში სხვადასხვა სახის საქონელი. შემდეგ მოსდევს ამ სამეფოს საკალიბთა მეფეთაგან ჭარანჯის<sup>120</sup> მეფე. მას აქვს ოქროს საბადოები, ქალაქები, მრავალი ნათესები, დიდძალი ლაშქარი და რუმის სავაჭრო საქონელი. ემეზობლება საკალიბას ამ სამეფოს თურქთა მეფე<sup>120a</sup>. ეს არის ერთ-ერთი სამეფო საკალიბას ქვეყანაში და ეს ტომი მათგან არის ყველაზე უკეთესი საკალიბათაგან გარეგნობით, ყველაზე მრავალრიცხოვანი და ყველაზე გულადნი არიან. წინათ ისინი ერთ მეფეს ემორჩილებოდნენ, შემდეგ განსხვავებული გახდა მათი ენა და გახდა თითოეული მეფე დამოუკიდებელი<sup>121</sup>.

III, 435 **სული**<sup>122</sup>—(პირველი თანხმოდანი)—და მ მ ი თ, შემდეგი—ს უ-ქ უ ნ ი თ, ბოლოში—ნ უ ნ ი. უცხო სიტყვაა, მისი ძირი არ ვიცი არაბულში.

ქალაქი ხაზართა ქვეყანაში ბზბ ალ-აბენბის, დარბანდის, მხარეში. არ არის [არავინ] ვინც უკავშირდება მას [გარდა] ას-სულნსა და მისი ბიძის ძის იბრანჰიმ იბნ აბბან ას-სულნსა<sup>123</sup>. იგი იწოდება სახელით ერთი კაცისა, რომელიც ტაბარისტანის მეფე იყო, მიიღო ისლამი აზნუნდ იბნ მუჰალაბის<sup>124</sup> საშუალებით და აკუთვნებდა თავის გვარს [ამ] ვილაიეთს. და ეს არის ქალაქი, როგორც გითხარი შენ. იხსენიებს მას ჰუნდუჯ ალ-მურრან<sup>125</sup>.

**ტაბარსათარანი**<sup>126</sup> — არმნიის ერთ-ერთი ოლქი. იგი მისი ერთ-ერთი უმნიშვნელო ვილაიეთია. მოხსენიებულია „ალ-ქუთუბში“ და აგრეთვე, სხვაგანაც მის გარდა. დაიპყრო იგი სალმან იბნ რაბიანამ 25 წელს<sup>127</sup>.

**ტარუნი**<sup>128</sup> — ადგილი არმნიიაში, რომელსაც იხსენიებს ალ-III, 534 ბუჰთურნ თავის სიტყვაში.

**ტალ**<sup>129</sup> — ქ ა თ შ ი თ. ციხე აზერბაიჯანში. უცხო სიტყვაა. III, 541 მისი წირია თალ.

**ტუღათი**<sup>130</sup> — ქალაქი და ციხე არმნიის მხარეში, არზან რუ-III, 562 მის ოლქში.

**ატ-ტაჯტუნა**<sup>131</sup> — ტ ა გამეორებული და ვ ა ვ ი, შემდეგ ა ლ ი-III, 570 ჭი და შემდეგ ნ უ ნ ი.

ქალაქი არმნიის ოლქში.

**აზუჟ**<sup>132</sup> — პირველი თანხმოვანი — ქ ე ს რ ი თ. საწინააღმდეგოა II, 668 სიტყვისა ზულუჟ, რაც თავმდაბლობას ნიშნავს.

ციხე ბარზანას რუსთაქში, არრანის მხარეში.

**აკანათუ**<sup>133</sup> — (ერთნაირი ხმოვნებით) გახმოვნებული და ნ უ ნ ი. III, 699 უცხო სიტყვაა. მისი ძირი არ არის არაბულ ენაში.

ციხე არრანში ჯანზას მხარეში.

**ალლუსი**<sup>134</sup> — ლ ა მ ი — თ ე შ დ ი დ ი თ.

III, 714

ერთ-ერთი ციხე ბუხთინას ქურთებისა არზანის მხარეში, იბნ ალ-არაბნს მიხედვით.

**ჰარი**<sup>135</sup> — მხოლოდითის ფორმაა ჰ ი რ ა ნ ი ს ა.

III, 834

ქალაქი არმნიის ოლქში. აქედანაა წარმოშობილი ზოგიერთი გვიანდელი თაობა.

**ჰირუჰაბაზი**<sup>136</sup> — (პირველი თანხმოვანი) — ქ ე ს რ ი თ, შემ-III, 928 დეგ ზ ა, ა ლ ი ჭ ი და ბ ა ერთწერტილიანი, ბოლოში — ზ ა ლ ი წერტილიანი.

გამაგრებული ციხე აზერბაიჯანის ოლქში. მასა და ხალხალს შორის ერთი ფარსახია.

**ჰირუჰკუბაზი**<sup>137</sup> — კუბაზი არის მამა მეფე ანუშირვან სამართ-III, 929 ლიანისა სპსანის სახლიდან<sup>138</sup>.

ჰირუჰკუბაზი ქალაქია, დარბანდად ცნობილ ბაბ ალ-აბვაბ-თან ახლოს. ანუშირვანმა ააშენა იქ ციხე და უწოდა მას ბაბ III, 930 ჰირუჰკუბაზი.

**ჰირანი**<sup>139</sup> — (პირველი თანხმოვანი) — ქ ე ს რ ი თ, ბოლოში — III, 933 ნ უ ნ ი.

ქვეყანა და ვილაიეთი; ბაბ ალ-აბეშის ახლოს, ხაზართა მხარეში. უწოდებენ მის მეფეს ჭილანშაჰს. ისინი ქრისტიანები არიან. მათ აქვთ ენა და დიალექტები. ამბობს მასკუდნი: ჭილანშაჰი არის სახელი საკუთრივ სარნორის მეფისათვის. და იგი მართავს სარნორის ვილაიეთს, რომელსაც უწოდებენ ჭილანს<sup>140</sup>. ამბობენ რომ მასშია სარნორის ოლქი.

\* \* \*

IV,13 კარლუგანი<sup>1</sup>—ქალაქი და ციხე ხილანტსა და კარსს შორის. არმინიის მიწაზე.

IV,19 კალნკალ<sup>2</sup>— დიდ არმინიაშია ხილანტისა და მანანჯორდის მიდამოებში, მეოთხე არმინიის ერთ-ერთი მხარეთაგანია.

ამბობს აჰმად იბნ ჯაჰა: არმინია მუდმივად იმყოფებოდა სპარსელთა ხელში ანუ შირვანის დროიდან ისლამის გავრცელებამდე. ერთხანს ქვეყნის მმართველობა დანაწილებული იყო და გახდნენ ისინი ვითარცა მულჟქ ატ-ტავა<sup>3</sup> იფები<sup>3</sup>, ვიდრე არ გამეფდა არმინიაჟუსი. ეს იყო კაცი არმინიის ხალხთაგან, რომელმაც გააერთიანა მათი სამეფო. მერმე გარდაიცვალა და გამეფდა მის შემდეგ მისი ცოლი, რომელსაც ერქვა კალნი. მან დაარსა ქალაქი და უწოდა მას კალნი კალა, რაც ნიშნავს კალნის სიკეთეს. იგი გამოხატულია მის ერთ-ერთ კარზე. არაბებმა გააარაბულეს კალნი კალა და ამბობენ კალნიკალს<sup>4</sup>. ამბობენ გრამატიკოსები: კალნიკალს ემორჩილება იმავე წესს, რასაც მადნი ქარიბა, ოღონდ კალნიკალს არასოდეს არა აქვს ნუნნი, მაგრამ რადგანაც კალნი შეერთებულია კალსთან და კალს [გაგებულია] როგორც ადგილის სახელი მამრობითი სქესისა, ამიტომ იღებს თენგენს. და შენ იტყვი: ჰაზა კალნიკალნი (ეს კალნიკალა). და იცოდე, უმეტესობა უარყოფს თენგენს<sup>4ა</sup>.

თქვა პტოლემემ: ქალაქ კალნიკალსს გრძედი 60 გრადუსია, განედი—38 გრადუსი, ას-სარატნიდან 14 გრადუსით ქვემოთ. მისი მოპირდაპირე მხარე მის მსგავსადაა ალ-ჯადიდიდან, მისი ბაათ ალ-მულქი ასევეა ალ-ჰამალიდან და მისი ბაათ ალ-წაკიბა—ალ-მინანიდან. ჩანს, რომ იგი მეხუთე იკლნიშია. ამბობს აბუ აენი თავის ზნჯში: კალნიკალს მეოთხე იკლნიშია მისი გრძედი 63 გრადუსი და 25 მინუტი, განედი—38 გრადუსი.

კეთდება კალნიკალსში ეს ნოხები, ცნობილი კალნს სახელით—ნისბაში იკვეცება ნაწილი მისი სახელისა [გამოთქმის] სიძნელის გამო.



მას უკავშირდება ადიბი, სწავლული აბუ ლილ ისმაილ იბნ ალ-კასიმ ალ-კალბი<sup>6</sup>, რომელიც ჩავიდა ბაღდადში და მიიღო [განათლება] გამოჩენილი პიროვნებებისაგან, როგორც არიან იბნ დურაადი<sup>6</sup>, აბუ ბაქრ იბნ ალ-ანბარ<sup>7</sup>, ნიქტავაჯი<sup>8</sup> და მათი მსგავსნი. შემდეგ გაემგზავრა ანდალუსში და გაჩერდა კურტუბაში<sup>9</sup>, სადაც გამომჟღავნდა მისი ცოდნა. გარდაიცვალა იგი იქ 356 წელს<sup>10</sup>.

არმინიის საკვირველბათავანა სახლი, რომელიც არის კალნკალაში. ამბობს იბნ ალ-ჰაკიმი: მიაბო მე აბუ-ალ-ჰაჯჯ ალ-ამინში<sup>11</sup>, რომელიც იყო ელჩი სხვადასხვა ქვეყნებისა და სანდოა რასაც იგი ამბობს, რომ კალნკალაში არის ეკლესია ქრისტიანებისათვის. იქ მათთვის არის დიდი სახლი, სადაც მათი წიგნები და ჯვრებია. როდესაც დადგება ბზობის ღამე, გაიხსნება ერთი ადგილი ამ სახლში და გამოაქვთ იქიდან თეთრი მიწა, რომელიც არ ისპობა მთელი იმ ღამის განმავლობაში დღამდე. მაშინ წყდება. და ერთდება ეს ადგილი ამ დღის [ბზობის] დადგომამდე. იღებენ მას ბერები და აძლევენ ხალხს. მისი დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ მოაქვს სარგებელი შხამისა და მორიელისა და გველის ნაკბენის წინააღმდეგ. ამზადებენ მისგან წამალს ერთი დანიკის წონისას წყლით, რომელსაც სვამს დაკბენილი და უჩერდება მაშინვე [ტკივილი]. მას [ახასიათებს] ასევე მეორე საკვირველება. ეს ისაა, რომ თუ გაიყიდება მისგან რაიმე, ვერ გამოიყენებს მას მყიდველი და ბათილდება მისი შრომა<sup>12</sup>. იხსენიებს მას [კალნკალას] ისჰაკ იბნ ჰასსან ალ-ხურამი<sup>13</sup>, რომელიც წარმოშობით სოლდიდან იყო და ამაყობდა სპარსელობით.

კანი<sup>14</sup>—ბოლოში—უნ ი.

IV,21

ადგილი არმინიის სასაზღვრო ოლქში.

კაბზანი<sup>15</sup> — (პირველი თანხმოვანი) — ჭათჰით, (მეორე) — IV,26 თეშდრით და ბოლოში ნუნ ი. კაბზანის მნიშვნელობით, რომლითაც წონიან.

ქალაქი და ვილაიეთი აზერბაიჯანში, თაბრზის ახლოს. მასა და ბაღლაქანს შორის, როგორც გადმოძვრა ამის შესახებ ერთ-ერთმა მის მცხოვრებთაგან.

კაბკი<sup>16</sup>—პირველი თანხმოვანი—ჭათჰით, მეორე—სუქს- IV,31 ნით და ბოლოში ისევე კაჭი. უცხო სიტყვაა.

მთა, რომელიც ეკვრის ბაბ ალ-აბეზსა და ალ-ლანთა ქვეყანას. იგი არმინიის უკიდურესი საზღვარია. ამბობს იბნ ალ-ჰაკიმი. კაბკის მთაზე 72 ენაა. ყველა ადამიანი ვერ იგებს მეორის ენას

მთარგმნელის გარეშე. ამბობენ, რომ მისი სიგრძე 500 ფარსახია. ეკერის იგი რუმის ქვეყანას ხაზართა და ალ-ლანთა საზღვრამდე<sup>16a</sup>. ამბობენ, რომ ეს მთა არის წარჯის მთა, რომელიც მდებარეობს მექასა და მედინას<sup>16b</sup> შორის. იგი მიემართება აშ-შამისაკენ, ვიღრე არ მიიღწევს ლუბნანს<sup>17</sup>, ჰომისის მხარიდან და სანირას<sup>17a</sup> დიმაშკიდან. შემდეგ მიემართება და უერთდება ანტიოქიისა და სუმაქსატის-მთებს და იწოდება იგი ამ ადგილას ალ-ლუქქამად. შემდეგ მიემართება მალატრეასა, შიმშატისა და კალნკალნსაკენ ხაზართა ზღვამდე, სადაც მდებარეობს ბაზ ალ-აბვანი. აქ მას ეწოდება კაბკი. იხსენიებს მას ალ-ბუჰთურნი.

ზოგიერთ ლექსში გვხვდება კაბჯი—ჯნიმით. ასეა სურაჲკა იბნ წამრის ლექსში, რომელიც იხსენიებს მას ბაზ ალ-აბვანთან.

IV,32 კაბალა<sup>18</sup> — გახმოვებული. ძველი ქალაქი დარბანდის, —რომელიცაა ბაზ ალ-აბვანი,—მახლობლად, არმინიის ოლქში. დააარსა იგი კუბაზ მეფემ, ანუშირვანის მამამ.

მას უკავშირდება, როგორც მე ვფიქრობ, აბუ ბაქრ მუჰამად იბნ წამარ იბნ ჰაჰს ალ-ჰაქამ ას-სალრნ<sup>18a</sup>, ცნობილი ალ-კაბალანს სახელით, რომელიც სწავლობდა ჰადისებს ბაღდადში მუჰამად იბნ წაბდ ალ-აზნზ იბნ ალ-მუბარაქსა და სხვებთან. იგი იყო სუსტი ჰადისის მეცნიერებაში. გადმოსცემენ მისი სიტყვებიდან აბუ ბაქრ აშ-შაჰან<sup>19</sup> და აბუ-ლ-ჰათჰ ალ-აზდნი ალ-მავსილინ<sup>20</sup>.

IV, 51 კურანნი<sup>21</sup>. (პირველი თანხმოვანი) — დამმით.

ალ-ბაზნანინს დედაქალაქი აზერბაიჯანში, სადაც დასახლდა ბაბაქ ალ-ხურრამი—ნასრის მიხედვით.

IV,57 კარსი<sup>22</sup>—კაჰი—ჰათჰით, რა—სუქუნით და სადი.

ქალაქი არმინიასში, თბილისის მხარეში. გააქვეთ იქედან აბრეშუმი. მიამბო ამის შესახებ ერთმა მის მცხოვრებთაგან. მასა და თბილისს შორის ორი დღის სავალია.

IV,163 ალ-ლანთა ციხე<sup>23</sup>—მოვიხსენიე იგი ალ-ლანებთან. იგი არის სამყაროს საკვირველებთაგანი, როგორც ამბობენ მის შესახებ.

IV,164 რუმის ციხე<sup>24</sup>—გამაგრებული ციხე ალ-ჰურანთის დასავლეთით ალ-ბნრას პირდაპირ, მასა და სუმაქსატს შორის. იქ არის სადგომი არმანთა პატრიარქისა, მესიის ნაცვლისა მათთან. უწოდებენ მას არმინიასში კათალიკოსს.

ეს ციხე მუსლიმთა ქვეყნის შუაგულშია. მე მგონია, რომ იგი არმანთა ხელში დარჩა მაშინ, როდესაც მის გარშემო მდებარე ყველა ქვეყნები დაპყრობილი იქნა, მხოლოდ მისი მცირედი სარგებლიანობის გამო, რადგანაც არა აქვს მას არავითარი შემოსა-

ვალი და მეორეც იმიტომ, რომ იგი მათი რელიგიის მღვდელმთავრის სადგომია. თითქოსდა დატოვეს იგი, როგორც დატოვეს ტაძრები და ეკლესიები ისლამის ქვეყანაში.

კათალიკოსი, რომელიც ჰქონდა პატრიარქის წოდება, უძველესი დროიდან მუდმივად იყო დავითის შთამომავალთაგან, — მშვიდობა მას. მისი ნიშანი მათთან არის გრძელი ხელები იმდენად, რომ ეშვებოდეს მუხლს ქვემოთ, როდესაც ადგება და დაუშვებს მათ. გადაიციემა ეს მემკვიდრეობით მის შთამომავლობაზე.

როცა იყო დაახლოებით 610 წელი<sup>25</sup>, ლეონ იბნ ლეონმა<sup>26</sup>, არმანთა მეფემ, რომელიც იყო აშ-შამის ქვეყანაში მასსისის, ტარასუსისა და აზნანს მხარეს<sup>27</sup>, დააწესა ის, რაც არ მოსწონდათ არმანებს. და ეს ისაა, რომ როდესაც ჩავიდოდა სოფელში ან ქალაქში, მოუხმობდა ერთ-ერთს არმანთა ასულთაგან, ნამუსს ახდიდა იმ ლამით და შემდეგ გაუშვებდა თავის სახლში. როცა IV, 165 მოინდომებდა წასვლას მათგან.

შესჩივლეს არმანებმა ამის შესახებ კათალიკოსს, რომელმაც გაუგზავნა მას [კაცი] და შეუთვალა: იმის ნებას, რასაც შენ ჩაძინხარ, არ რთავს ქრისტეს რჯული. თუ გინდა დარჩე ქრისტიანად, თავი დაანებე ამას, და თუ არ გინდა დარჩე ქრისტიანად, ქმენ რაც გსურს. უპასუხა: მე მინდა დავრჩე ქრისტიანად და თავს შევიკავებ იმისაგან, რაც არ მოსწონს პატრიარქს. შემდეგ თავისი ზნე არ მოიშალა და უარესად იქცეოდა. გაიმეორეს საჩივარი [არმანებმა]. გაუგზავნა მას [კათალიკოსმა კაცი] მეორედ და შეუთვალა: თუ შეიკავებ თავს იმისგან რასაც აკეთებდი [ხომ კარგი], თუ არა და შეგარისხავ. მაინც არ მიაქცია ყურადღება ამას და კიდევ ერთხელ იჩივლეს [არმანებმა]. მაშინ შერისხა იგი კათალიკოსმა. შეიტყო ეს [ლეონმა], გაიშიშვლა თავი, მაგრამ არ გამოავლინა სინანული იმის გამო, რასაც ჩაძიოდა.

და შეიკავა თავი მისმა ლაშქარმა და სამწყსომ მისმა მისი საჰმლის ჭამისა და მის საკრებულოში ყოფნისაგან და მიატოვა იგი მისმა ცოლმა. თქვეს: ეს ის რელიგიაა რომლის ვალდებულებების შესრულება ყოველთვის აუცილებელია. ჩვენ შენთან ვართ თუ დაგესხმება მტერი ანდა შეგემთხვევა რამე. რაც შეეხება ჩვენს ყოფნას შენთან და ასევე ჭამის შენი საჰმლისას — არა. და დარჩა იგი მარტო და როცა ამხედრდებოდა, ამხედრდებოდა მცირე რაზმით.

მაშინ შეწუხდა, გამოამჟღავნა სინანული. გაუგზავნა კათალიკოსს [კაცი] და თხოვდა რათა დასწრებოდა მის მონანიებას და ხალხის თანდასწრებით აეხსნა რისხვა. მოტყუვდა კათალიკოსი,

წარსდგა მასთახ და თითონ ახსნა რისხვა, რასაც დაესწრო მრავალი.

როდესაც დასრულდა საკრებულო, შეიპყრო ლეონმა [ვათალიკოსი] თავისი ხელით და ავიდა ციხეში, სადაც იყო იგი ბოლო ხანს. შემდეგ მოიყვანა ერთი კაცი მისი ოჯახიდან, მე ვფიქრობ, რომ მისი დეიდის შვილი ან ვინმე ამის მსგავსი, რომელსაც მიეღო ბერობა, გაუგზავნა იგი ციხეში და აკურთხებინა კათალიკოსად — და იგი ამ ხანამდე იქაა.

და შეწყდა კათალიკოსობა დავითის ოჯახის წევრებისა. ჩემამდე მოაღწია, რომ არ დარჩენილა მათგან ამ მხარეში ერთიც კი, რომელიც იქნებოდა ამ ადგილზე. და თუ არის ხილნატის მიდამოებში მათგან რაიმე ნაწილი, ალღაპმა უკეთ იცის<sup>28</sup>.

IV,178 **კამნზი**<sup>29</sup> — (პირველი თანხმომავანი) — **ჰათჰით**, შემდეგი — **ქესროით**, **აწ** — სუქუნით და **ზწ**.

დიდი სოფელი თბილისის სოფლებიდან, მისგან ნახევარი დღის სავალზე.

IV,218 **კამურტი**<sup>30</sup> — **კჰტი** — **ჰათჰით**, **აწ** — სუქუნით, **მწმი** — დამმით და **რწ**.

ციხე მთებში მავსილსა და ხილნატს შორის. უკავშირდება მას მრავალი გამოჩენილი მბრძანებელი მავსილსა და ხილნატში. ისინი ქურთები არიან. მათ ბატრონს აბუ-ლ-ჰაფარისს<sup>31</sup> ეძახიან.

IV,245 **კაზაჯი**<sup>32</sup> — გახმონებული, ბოლოში — **ჯწმი**.

სახელი ციხისა და მხარისა აზერბაიჯანში, ბზაქ ალ-ხურამის ერთ-ერთი სადგომთაგანი. იგი გაარაბულებული უცხო სიტყვაა. მისი ძირის მნიშვნელობაა თავ შეესაფარი. იხსენიებს მას აბუ თამშამი, ხმარობს რა მრავლობით რიცხვში.

IV,251 **ქურჯი**<sup>33</sup> — (პირველი თანხმომავანი) — **დამმით**, შემდეგი — **სუქუნით** და **ბოლოში** — **ჯწმი**.

ტომი ქრისტიან ხალხთაგან. მოსახლეობენ კაბკის მთებში და სარნის მხარეში. ისინი იმდენად ძლიერი იყვნენ, რომ დაეუფლენ თბილისს. მათ აქვთ ქვეყანა, რომლის სახელწოდებაც დაკავშირებულია მათთან, ჰყავთ მეფე, აქვთ თავისი ენა, არიან გულადნი, ძლიერნი, მრავალრიცხოვანნი და ბევრნი.

ამბობს მასწუდო, როცა აღწერს მცხოვრებთ კავკასიის მთისა და მისი მიდამოებისა: მოსდევს ჯრდნისს<sup>34</sup> სამეფოს კაბკის კარების მხრიდან მეფე, რომელსაც ეწოდება ბარზნანი<sup>35</sup> და ცნობილია მისი ეს ქვეყანა ქურჯის სახელით. ისინი კვერთხის მფლობელებნი არიან. ყველა მეფე, რომელიც ემეზობლება ამ ქვეყანას,

იწოდება ბარზინანად<sup>36</sup>. ის არაფერს არ უმატებს ამათ შესახებ, რაიმე განსხვავებულს მიუხედავად იმისა, რომ სხვებზე ბევრს ლაპარაკობს და ეს მიუთითებს მათ სიმცირეზე. დიდება მას, ვინც IV, 252 ცვლის მდგომარეობას.

ისინი ამ ჩვენს დროში წარმოადგენენ მეფეებს, რომლებსაც აქვთ ძალა და სიმრავლე, რითაც ისინი დაეფუძნენ ამ ქვეყანას, სანამ არ განდევნა ისინი ხვარაზმშაჰ ჯალალ ად-დინმა<sup>37</sup>.

ქურდი<sup>38</sup>—(პირველი თანხმომავანი)—და მ მ მ ი თ, შემდეგი—ს უ-IV, 257 ქუნი თ და დ ა ლ ი უწერტილო—აქრადის მხოლოდითის მნიშვნელობით.

ტომის სახელი. ამბობს იბნ ტაჰირ ალ-მუჟაღდასი: სახელია ალ-ბადა<sup>39</sup>ის ერთ-ერთი სოფლისა. იქიდანაა ჩვენი შეიხი აბუ-ლ-ჰასან ალ-იბნ ალ-ჰუსეინ იბნ აბდ ალლჰა ალ-ქურდი<sup>39</sup>. გადმოგვცემს ჩვენ აბუ-ლ-ჰუსეინ აჰმად იბნ მუჰამმად იბნ ალ-ჰუსეინ იბნ ფადიშაჰ ალ-ისბაჰანნი აბუ-ლ-კასიმ ატ-ტაბარანისაგან<sup>40</sup>, რომ „ქითაბ ალ-ადნიათი“ მისი ერთ-ერთი თხზულებაა. შევეკითხე მას ამ ნისბის შესახებ. თქვა: ჩვენ ვართ პოფელ ბადა<sup>40</sup>ის მცხოვრებნი, რომელსაც ეწოდება ქურდი.

ამბობს ისტაბრნი: ქურდი ადგილია უფრო დიდი, ვიდრე აბარკუჰი<sup>41</sup> და უფრო იაფფასიანი. მათ აქვთ მრავალი ციხე<sup>42</sup>.

ქურდი<sup>42</sup>—(პირველი თანხმომავანი)—და მ მ მ ი თ, მეორე—თ ე V, 259 დ რ დ ი თ.

ცნობილია, რომ ალ-ქურდი მდინარეა არმინიასა და არარნს შორის, ჰყოფს შუაზე ქალაქ თბილისს. მასა და ბარზანას შორის კარი ფარსახია. შემდეგ ერთდებიან ისა და მდინარე არ-რასის ერთად და შემდეგ ჩაედინებიან ხაზართა ზღვაში—იგია ტაბარისტანის ზღვა.

თქვა ისტაბრნი: ალ-ქურდი მდინარეა მტკნარი, სასიამოვნო. მსუბუქი, მიედინება მდორედ. მისი სათავე ხაზრანთა ქვეყანაშია. შემდეგ მიედინება აბხაზთა ქვეყანაში ალ-ლანთა მხრიდან, მთებიდან, ჩაუვლის თბილისს, შემდეგ ხუნანის ციხეს, შემდეგ [მიემართება] შაქისაკენ. მის ნაპირებზეა ჯანა და შამქური. მიედინება ბარზანას კარიდან ბარზანჯისაკენ და ტაბარისის ზღვისაკენ არაქსთან შეერთების შემდეგ—იგი უფრო პატარა მდინარეა, ვიდრე ალ-ქურდი<sup>44</sup>.

ქარქარი<sup>45</sup>—(პირველი თანხმომავანი)—ჭ ა თ ჰ ი თ, შემდეგი—IV, 262 ჯ უ ქ უ ნ ი თ, ბოლოში ქ ა ჭ ი მეორე და რ ა.

ქალაქი არრანში ბაალაკანის მახლობლად, ააშენა იგი ანუ-  
შირვანმა. მითხრა მე იბნ ალ-ასირმა<sup>46</sup>, რომ ქარქარი ციხეა ღალა-  
ტნეას ახლოს, მასა და ნმიდს შორის. მისგან ახლოს არის არ-  
რანის ციხე, რომელსაც იხსენიებს მუთანაბბი თავის ლექსში. და  
აღლჰმა უკეთ იცის. ქარქარი ასევე, არის ციხე სუმაასატსა და  
ზიჰადის ციხეს შორის. იგი ციხე იყო და დაინგრა.

IV,272 ქანან<sup>47</sup>—(პირველი თანხმოვანი)—**ჭ ა თ ჰ ი თ**, შემდეგი—სუ-  
ქუნით და ნუნით.

პატარა ქალაქი. მასა და მარნლას შორის დაახლოებით  
6 ფარსახია. იქ მასში არის მადჟუსების თაყვანისცემის ადგილი. იქ  
უძველესი ცეცხლის ტაძარია და უზარმაზარი სასახლე, ძალიან მა-  
ღალი. ააშენა იგი ქაახუსრუ მეფემ.

IV,297 ქალნარუჴი<sup>48</sup>—ნიშნავს დიდ მდინარეს. იგი აზერბაიჯანშია  
ბაზის, ბაბაქის ქალაქის ახლოს. აქ დაბანაკდა აქშინი, როდესაც  
ებრძოდა ბაბაქს.

IV,300 ქალქი<sup>49</sup>—**ო რ ი ქ ა ჭ ი თ**, მათ შორის **ლ ნ მ ე**—სუქუნით.  
ადგილი მაჰადურაიკინსა და არმინიას შორის. ეს არის ად-  
გილი, რომელშიც იყო პატრიკიოსი იბნ ბუქრატის. აქედან გამო-  
დის მდინარე, რომელიც ჩაედინება დიჯლამში.

IV,300 ქალქავ<sup>50</sup>—არრანის ერთ-ერთი ოლქი. მასა და სინაჯანს შო-  
რის 16 ფარსახია.

IV,308 ქანჯა<sup>51</sup>—(პირველი თანხმოვანი)—**ჭ ა თ ჰ ი თ**, შემდეგი—სუ-  
ქუნით და ჯნით.

დიდი ქალაქი. იგი არრანის ქვეყნის დედაქალაქია. სწავლულთ  
ხალხი მას ჯანხას უწოდებს—**ჯ რ მ ი თ**, **ნ უ ნ ი თ** და **ზ ა თ ი**.

IV,310 ქუნდავანი<sup>52</sup>—(პირველი თანხმოვანი)—**დ ა მ მ ი თ**, და **დ ა**-  
**ლ ი ს** შემდეგ **ვ ა ვ ი**.

მარნლას ერთ-ერთი მხარე. იხსენიება ქარმთან<sup>53</sup> ერთად. აშ-  
ბობენ ქარმი და ქუნდავანი.

IV,312 ქინქიგარი<sup>54</sup>—**ო რ ი ე ვ ე ქ ა ჭ ი თ**—**ქ ე ს რ ი თ**, **ნ უ ნ ი**—სუქუნით  
და **ვ ა ვ ი**—**ჭ ა თ ჰ ი თ**.

ციხე გამაგრებული და აყვავებული ჯაზირა იბნ რომარის ახ-  
ლოს. ითვლება ზავაზანის მხარის ციხეებში. ეკუთვნის მავსილის  
მფლობელს.

IV,320 ქუნქუნანი<sup>55</sup>—(პირველი თანხმოვანი)—**დ ა მ მ ი თ**, შემდეგი—  
სუქუნით, **ზ ა ს** შემდეგ **ქ ა ჭ ი**—**დ ა მ მ ი თ**, **ნ უ ნ ი** და ბოლოში  
**ნ უ ნ ი**.

დიდი სოფელი თიბრნის მიდამოებში. მასა, ურდიასა და  
თიბრნის შორის ორი სავალია. ნიშნავს იგი ქუნანის<sup>56</sup> მკეთებლებს.

წინ წახვალ თუ უკან დაიხევე, ჩანს მისგან ურმიის ტბა, რომელიც მე ვნახე.

ქრანი<sup>57</sup> — ქალაქი აზერბაიჯანში, თაბრნხსა და ბაჰლაკანს IV,33 შორის. მიამბო მის შესახებ ერთ-ერთმა მის მცხოვრებთაგან.

ალ-ლანი<sup>58</sup> — ბოლოში ნუნ ი. IV,343

ვრცელი ქვეყანა არმინიის მხარეში ბზ ალ-აბენბის ახლოს, ხაზართა. მეზობლად. ხალხი აუხეშებს მას და წარმოთქვამს ალ-ლანს. ისინი ქრისტიანები არიან. მოჰყავთ მათგან ტყავის დამამუშავებელი მონები.

IV,344

ალ-ლუჯუმი<sup>59</sup> — ლიჯუმის<sup>60</sup> მრავლობითია. ზნთ ალ-ლუჯუმი ცნო-IV,351 ბილი ადგილია ჯურზანში, თბილისის სანახებში. თქვა ბალზორნმ: ჰაბნზ იბნ მასლამა ალ-ჰიპარნ, გაგზავნილი ჟუსმანის მიერ, გაემართა არმინიისაკენ და ჩავიდა სრსაჯანში. შეებრძოლენ მას მცხოვრებლები, რომლებიც მან დაამარცხა, დაიპყრო ვაესი და დაეზავა სრსაჯანის ციხეების მცხოვრებლებს ხარაჯას გადახდის პირობით. შემდეგ გაემართა ჯურზანისაკენ და როდესაც მიაღწია ზნთ ალ-ლუჯუმს, გაუშვეს მუსლიმებმა საბალახოდ ნაწილი თავიანთი ცხენებისა და შეკრიბეს მათი ლაგმები. გამოვიდნენ მათ წინააღმდეგ ადგილობრივი მკვიდრნი, არ მისცეს მათ საშუალება რომ შეეკაზმათ ცხენები და ებრძოდნენ ვიდრე არ წაართვეს ეს ლაგმები. შემდეგ მუსლიმები მეორედ დაესხნენ მათ თავს და დაიბრუნეს ისინი. ამის შემდეგ ეწოდა ამ ადგილს ზნთ ალ-ლუჯუმი<sup>61</sup>.

ლახუბი<sup>62</sup> — ქალაქი ბარზანს ახლოს, არრანის მიწაზე. IV,357

ლაქზი<sup>63</sup> — (პირველი თანხმომავანი) — ჰათჰით, შემდეგი — ს-უ-IV,364

ქუნით და ზა.

პატარა ქვეყანა დარბანდის უკან, ხაზარანის<sup>64</sup> მოსახლერედ. იწოდა მისი დამაარსებლის სახელით. ამბობენ: ლაქზი, ალ-ლაქზი, ხაზარი, საკლაბი და ბალანჯარი არიან ძენი ანჰეს იბნ ნუჰისა, — მშვიდობა მას. დაასახლა თითოეულმა მათგანმა ადგილი, რომელიც იწოდება მისი [სახელით].

მისი მცხოვრებლები მუსლიმები არიან, რომელთაც სწამთ ერთი ღმერთი. მათ აქვთ დამოუკიდებელი ენა. აქვთ ძალა და სიმამაცე. მათში არიან აგრეთვე ქრისტიანებიც.

უკავშირდება მას მუსნ იბნ აუსუჰე იბნ ალ-ჰუსეინ ალ-ლაქზნ აბუ აზდ ალლჰი, ცნობილი ჰასან ად-დარბანდნს სახელით<sup>65</sup>. ამბობს შირავაჰი: მოვიდა იგი ჩვენთან 502 წლის თვეებში<sup>66</sup>. გადმოსცემდა აშ-შარნჰ აბუ ნასრ მუჰამმად იბნ მუჰამმად იბნ ალნ ალ-ჰშიმნსაგან აბუ ბაქრ იბნ აბუ დაჰუდის „ჩითაბ ან-ნა'ათს“,

რომელიც წაუკითხა მას მამაჩემმა შაჰრიდარ აბუ მანსურმა. იგი იყო სანდო, მართალი, ფაქიზი, განათლებული, კარგი ქცევის და ჩუმი.

IV, 412 მოთრისი<sup>67</sup>—პატარა ქალაქი არარანში. მასა და ბარზანს შორის ოცი ფარსახია.

IV, 476 მარალა<sup>68</sup>—(პირველი თანხმოვანი)—ფათჰით და ლაჰნი წერტილიანი.

დიდი, ცნობილი ქალაქი. აზერბაიჯანის ყველაზე დიდი და ყველაზე ცნობილი ქალაქი. მისი გრძელი 73 გრადუსია და მესამედი, განედი—37 გრადუსი და მესამედი.

ამბობენ: მარალა იწოდებოდა აქრანაჰარა<sup>69</sup>. მერვან იბნ მუჰამმად იბნ მერვან იბნ ალ-ჰაჰამი<sup>70</sup>, აზერბაიჯანისა და არმინიის ვალ, მუჰანისა და ჯილანის დაპყრობის შემდეგ დაბანაკდა მის მახლობლად. იქ იყო დიდძალი ნაკელი, რომელშიც გორაობდნენ მისი და მისი თანამებრძოლების ცხენები. და დაიწყეს ლაპარაკი—წადით სოფელ მარალაში<sup>71</sup>, ეს არის სოფელი მარალა. შემდეგ ხალხმა ჩამოაცილა სოფელი და ამბობენ—მარალა. მისმა ხალხმა გადასცა იგი მერვანს, რომელმაც გააშენა იგი. მისმა წარმომადგენლებმა შეკრიბეს მისი მოსახლეობა, რომლებიც მრავლად იყვნენ იქ, მის გასამაგრებლად<sup>72</sup> და გააშენეს იგი. შემდეგ ჩამოერთვა [მერვანს] ომიელთა სხვა დიანებთან ერთად და გახდა იგი არ-რა-შინდის ერთ-ერთი ქალიშვილის საკუთრება<sup>73</sup>.

როდესაც ალ-ვაჯან იბნ რაჟან ალ-აზდინი აიკლო იქაურობა და გაანადგურა იგი, და როდესაც ჰარუნ არ-რაშინდის ხალიფობის დროს<sup>74</sup> არმინიისა და აზერბაიჯანის ვალედ დანიშნულ იქნა ხუზაჰმა იბნ ხაზიმი<sup>75</sup>, მან აავო კედელი, გაამაგრა იგი, დაასახლა [ქალაქი] და ჩაასახლა მასში დიდძალი ლაშქარი.

შემდეგ, როდესაც გამოჩნდა ბაბაქ ალ-ხურანე, მიაშურა ხალხმა მას (მარალას). ისინი ჩამოხდნენ იქ. დასახლდნენ და გამაგრდნენ მასში. შეაკეთა მისი კედელი ალ-მაშუნის დროს მისმა რამდენიმე მმართველმა. მათგანაა აჰმად იბნ მუჰამმად იბნ ალ-ჯუნედ დარზუნდი და ლი იბნ ჰიშამი. ამის შემდეგ დასახლდა ხალხი მის რაბადში<sup>76</sup>.

მარალას უკავშირდება მრავალი, მათგან: ჯანფარ იბნ მუჰამმად ალ-ჰარანს აბუ მუჰამმად ალ-მარალი<sup>77</sup>, ერთ-ერთი მოგზაური ჰადისების საძებრად, რომელიც გულმოდგინედ ჰკრებდა. ცხოვრობდა ნნსაბურში. უსმენდა დიმაშქში და სხვაგან ჯამაჰირ იბნ მუჰამმად ალ-ხამლაქანის, იბნ კუთაბა მუჰამმად იბნ ალ-ჰასან



წასკალანის, აბუ ჯაფარ ალ-მაესილის, ჯაფარ იბნ მუჰამმად ალ-კაბ-  
რუენის. აბდ ალლჰ იბნ მუჰამმად იბნ ნჯის, მუჰამმად იბნ  
აჰმად ალ-მარვანის, აბუ ხალიფა ალ-ჰადლ იბნ ალ-ჰაბბის, ზაჰ-  
არიჰ ას-საჯის, აბდუნ ალ-ჯაფარი, აჰმად იბნ აჰმად იბნ ზუ-  
ჰაბის, მანსურ იბნ ისმარ ალ-ჰაქი, აბუ-ლ-აბბას ად-დალჰ-  
ლის, ალ იბნ აბდუნს და სხვებს. გადმოსცემენ მისგან აბუ  
ალ-აბბას ალ-ჰაფიზი, აბუ აბდ ალლჰ ალ-ჰაქიმი, აბდ არ-რაჰმან  
იბნ მუჰამმად ას-სარრადჯი, აბუ აბდ არ-რაჰმან ას-სულამი და  
აბუ ბაქრ ალ-მაკარ.

თქვა აბუ აბდ ალლჰ ალ-ჰაფიზმა: ჯაფარ იბნ მუჰამმად  
ალ-ჰარრას აბუ მუჰამმად ალ-მარანლი მურნდი იყო ნისაბურში,  
ჰადისების მძებნელ მოგზაურთა შვილი, მათ შორის ყველაზე IV, 477  
დიდი მეცადინი და შემკრები ჰადისების წიგნებისა სამოც წელზე  
მეტე ხნის განმავლობაში. და არ შეუწყვეტია წერა, ვიდრე არ  
მიიბარა ალლჰმა. იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე მართალი ხალხთა-  
გან და ყველაზე სარწმუნო. მოუსმენია ბაღდადში ალ-ჰურბანისათ-  
ვის, იბნ ნჯისა, მუჰამმად იბნ აჰმად ალ-მარვანისა და მათი  
თანამედროვეებისათვის. იხსენიებს მას მრავალი სხვადასხვა ქვე-  
ყანაში. ამბობს: გარდაიცვალა იგი ორშაბათს, ოცდაექვსს რაჯაბის  
თვისა, 356 წელს<sup>78</sup> ნისაბურში და იყო იგი ოთხმოცზე მეტი ხნისა.

მარანა აქამდე რჩება მის (ახერბაიჯანის) დედაქალაქად. იქ  
არის ძეგლები, ნაგებობები, მედრესეები, ჩინებული ხანაქები.  
არიან იქ ადიბები, პოეტები, ჰადისის მეცნიერნი და ჰაქიკნი.

მარანა<sup>79</sup> — მხარე ხილათის მახლობლად. „ქითაბ ალ-ჰუთუბ-IV, 482  
ში“ მოხსენიებულია, რომ ჰაბიბ იბნ მასლამა ჩამოხდა აქ და მოუ-  
ტანა მას ხილათის პატრიკიოსმა, რად იბნ ლანმის წიგნი, იმა-  
ზედ, რომ იგი აძლევდა ამანს მათი პიროვნებისა და ქვეყნისა გადა-  
სახადის პირობით. და ჰაბიბმა დაუმტკიცა იგი<sup>80</sup>.

მართ<sup>81</sup> — მ ნ მ ი — ჰ ა თ ჰ ი თ, რ ა და თ ა ზემოთ ორწერ-IV, 486  
ტილიანი.

სოფელი. მასა და ურმიას შორის ერთი სადგურია თაბრნის  
გზაზე. იგი დიდია, ბაღებიანი. მის მოსახლეობას სიმამაცე და  
ერთიანობა [ახასიათებს].

მარანდი<sup>82</sup> — პირველი და მეორე თანხმომანი — ჰ ა თ ჰ ი თ, IV, 503  
შემდეგ ნ უ ნ ი — ს უ ქ უ ნ ი თ და დ ა ლ ი.

ახერბაიჯანის ერთ-ერთი ცნობილი ქალაქი. მასა და თაბრნის  
შორის ორი დღის გზაა. ახლა უწყსრივობაშია. დაიწყო მისი  
განადგურება მას შემდეგ, რაც გაძარცვეს იგი ქურჯებმა და წაი-  
ყვანეს დიდძალი მისი მცხოვრები<sup>83</sup>.

ამბობს ჰტოლემე: მისი გრძელი 73 გრადუსია და მეექვსედი, განელი—37 გრადუსი და მეოთხედი.

ამბობს ბალაზორი: მარანილი პატარა სოფელი იყო, სადაც ჩამოხდა ჯალის იბნ ალ-ბაწისი<sup>85</sup>. შემდეგ გაამაგრა იგი ალ-ბაწისმა, შემდეგ მისმა ძემ მუჰამმად იბნ ალ-ბაწისმა და ააგო იქ მუჰამმადმა ციხე. მან ურჩობა დაიწყო მუთავაჰქილის ხალიფობის დროს და შეებრძოლა მას ბუღდ მცირე ისე, რომ სძლია იგი, გაგზავნა სურრა მან რაში და დაანგრია მარანდის კედელი და ეს ციხე. ეს ალ-ბაწისი ჩამომავალია ათობ იბნ ამრ იბნ ჰინბ იბნ აქსა იბნ დუწმ იბნ ჯადილასი. ამბობენ—ათობ იბნ ისლამ იბნ ჯუზამისა, ამბობენ აგრეთვე—ათობ იბნ ავჰ იბნ სინანისა. ასე ამბობენ ათობიტები<sup>86</sup>.

მას უკავშირდება მრავალი მეციხიერი, მათგან: მუჰამმად იბნ აბდ ალლჰ იბნ ბანდარ იბნ აბდ ალლჰ იბნ მუჰამმად იბნ ქაქა აბუ აბდ ალლჰ ალ-მარანდრ<sup>86</sup>, რომელიც სწავლობდა ჰადისებს დიმაშკში 433 წელს<sup>87</sup> აღ-დნარაკუტნისთან, იბნ შაჰინთან, აბუ ჰაჰს ალ-ქანანისთან და სხვებთან. გადმოსცემენ მისგან აბდ ალ-აზნზ ალ-ქანანნი, აბუ-ლ-კასიმ იბნ აბუ-ლ-ალა, აბუ-ლ-ჰასან ალნი იბნ ალ-ჰასან იბნ ჰარური და სხვები; აბუ ლ-ვაჰა ხალილ იბნ აჰმად ალ-მარანდრ, რომელიც სწავლობდა ჰადისებს აბუ ბუსაარ მუჰამმად იბნ მუჰამმად აზ-ზაჰანაბნისთან, რომლისაგანაც გაუგონია აბუ ბაქრს. თქვა, აღესრულა 612 წელს<sup>88</sup>; აბუ აბდ ალლჰ მუჰამმად იბნ მუსა ალ-მარანდრ ვარაჯ აბუ ნუჰამ ალ-ჯურჯანნი<sup>84</sup>, რომელსაც მოუსმენია იბრჰჰნი იბნ ალ-ჰუსეჰან ალ-ჰამადანისათვის. მოუსმენიათ მისთვის ყაზენის შეიხებს, რომლებიც ადიდებენ მას. მათგანაა მუჰამმად იბნ აბუ-ლ-ხალილ აბდ არ-რაჰმან იბნ აბუ ჰათიმი. თქვა: დავუწერე მას ხუთას ნაწილზე მეტი.

IV,529 მასკატი<sup>89</sup>—(პირველი თანხმოვანი)—ჰათჰით, სინი—სუჰჰინით და ქაჰი—ჰათჰით.

რუსთაჰი ხაზართა ზღვის ნაპირზე, ბზ ალ-აბეზბის ქვემოთ. მისი ხალხი მუსლიმები არიან, ძლიერი და მამაცი. [მდებარეობს] ბზ ალ-აბეზბსა და ალ-ლაქს შორის. პირველი, ვინც დააარსა იგი, მას შემდეგ, რაც გააშენა ბზ ალ-აბეზბი, იყო ქისრა ანუშირვან იბნ კუბაზი.

IV,614 მუქსი<sup>91</sup>—ადგილი არმენიაში ბუსტურჯანის ერთ-ერთ ოლქში, კალნკალს მახლობლად. იხსენიებს მას ალ-ბუჰთურნი.

IV,615 „ჰუთუჰში“ [ნათქვამია], რომ ჰაბნ იბნ მასლამა გაემართა სინანასაკენ და შემოხვდა მას მუქსის—იგი ბუსტურჯანის ერთ-

ერთი მხარეა — მფლობელი და ზავი დაუდო იმ პირობით, რომ ის (ყოველწლიურად) გადაუხდიდა მას (გამოსალგებს) მისი მხარისას<sup>92</sup>.

მანაზჯირდი<sup>93</sup> — ალიქის შემდეგ ზნ, შემდეგ ჯნ მი — ქეს-IV,688 რით, რა — სუქუნით და დალი. მისი მცხოვრებლები ამბობენ მანაქირდს — ქაქით.

ცნობილი ქალაქი ხილატსა და რუმის ქვეყანას შორის. ითვლება არმენიაში. მისი მცხოვრებლები არმანები და რუმელები არიან.

მას უკავშირდება ვეზირი აბუ ნასრ ალ-მანაზნი<sup>94</sup>. ასე უკავშირდება მისი ქალაქის სახელის ნაწილს. იგი იყო კეთილშობილი, აღნბი, საუცხოო ლექსების [ავტორი] და იყო ვეზირი ზოგიერთი მერვანიდებისა<sup>95</sup>, დიჰარ ბაქრის მეფეებისა. გარდაიცვალა 437 წელს<sup>96</sup>. იგი იყო მთქმელი, რომელმაც აღწერა ხევი და არ მსმენია ამაზე უკეთესი არც აზრით და არც მჭერმეტყველებით.

მუში<sup>97</sup> — ასე ვპოვე, მიმი — დამით. არაბულში არ არის IV,682 მისი ძირი. თუ ჭათჰა ექნება, მაშინ იგი მასდარია. მაგ., მშა არ-რაჯულუ ქარიმაჰუ ამუშუ მავმან — როდესაც კაცი დარჩენილ მტევნებს ძებნის და იღებს.

ორი ადგილია. ერთი უცხოურია, ქალაქია ხილატის სანახებში არმენიაში.

მუშელი<sup>98</sup> — წერტილებიანი შნით, ბოლოში — ლნ მი. IV,682 სოფელი აზერბაიჯანში.

მუკანი<sup>99</sup> — (პირველი თანხმომავანი) — დამით, შემდეგი — სუ-IV,686 ქუნნი, კაქი და ბოლოში — ნუნნი.

ამბობს იბნ ალ-ქალბი: მუკანი და ჯილანი ორივე ტაბარის-თანის ხალხია, ძენი არიან ქამშიჰ იბნ ანაქეს იბნ ნუჰისა, — მშვიდობა მას. ხალხი უწოდებს მას მულანს — წერტილიანი და მით. არაარაბული სიტყვაა. შესაძლებელია, რომ არის მრავლობითი მუკ სიტყვისა, რაც ნიშნავს უფიცობას.

ვილაიეთია. მასში მრავალი სოფლებია და ველები. უჭირავთ იგი თურქმანებს საძოვრად და მისი მოსახლეობის უმეტესობა მათგან შედგება. იგი აზერბაიჯანშია. მგზავრი არდაბნლიდან თიბრისისკენ მიმავალი გაივლის ამ მთებზე. იხსენიებს მას არაბიელი ბეითებში, რომელიც მე ვახსენე კინესრინთან. იხსენიებს მას აშ-შამშახ იბნ დარარ ას-სალაბნ ალ-ლატაფანნი.

მიანე<sup>100</sup> — პირველი თანხმომავანი — ქეს რით, მეორე — ჭათ-IV,710 ჰით და ალიქის შემდეგ ნუნნი. მისი ნისბაა მაანეჯნი, როგორც ამის წინაა<sup>101</sup>.

ქალაქი აზერბაიჯანში. სპარსულად ნიშნავს შუა ნაწილს. ასე მხოლოდ იმიტომ ეწოდება, რომ მდებარეობს შუა გზაზე მარალასა და თიბრნზს შორის. მე ვნახე იგი. იგი მასთან ისეა, როგორც ერთი კუთხე სამკუთხედისა.

უკავშირდება მას ყადი აბუ-ლ-ჰასან ალ-იბნ ალ-ჰასან ალ-მაჰანიჯი, ჰამადანის ყადი, რომელიც მოწამებრივი სიკვდილით მოკვდა იქ, — ალ-ლამიმე შეიწყალეს მას; ძე მისი აბუ ბაქრ მუჰამადი და ძე მისი, საუკეთესო ყადი აბდ ალლამ იბნ მუჰამადი<sup>102</sup>, რომელსაც ჰქონდა ღირსება და ჭიკჭის ცოდნა, იყო მჭერმეტყველი, პოეტი, მუთაქალლიმი<sup>103</sup>, რომლის მიმართ კეთილად იყვნენ განწყობილი მისი მტრებიც. მოკლულ იქნა ხელ-ფეხშეკრული, როგორც მოვიხსენიეთ ჩვენს წიგნში „ახბარ ალ-უდაბა“-ში<sup>104</sup>.

IV,717 მნმაჰი<sup>105</sup> — (პირველი თანხმოდანი) — ქეს რით, მეორე — ს უ ქ უ ნით, მეორე მნ მი — ჭათ ჰით და ხალი წერტილიანი.

მთის სახელია — ამბობს ალ-ადნბი<sup>106</sup>. „ჭუთუჰში“ [წერია]; რომ მნმაჰი ქალაქია აზერბაიჯანში ან არანში. ჰიშამმა<sup>107</sup> დანიშნა

IV,718 არმინის ვაზლდ მისი ძმა მასლამა<sup>108</sup> და გაუგზავნა ლაშქარი, რომელიც წააწყდა მნმახთან მტერს, რომელსაც არ შეებძოლეზია არავინ. და როდესაც წავიდა [მტერი] და გადაიარა ბაბ ალ-აბევაბი, მაშინ დაედევნენ მას. და მისწერა მას (მასლამას) ამის შესახებ ჰიშამ იბნ აბდ ალ-მალექმა<sup>109</sup>.

უკავშირდება მას აბუ ბაქრ მუჰამად იბნ მანსურ ალ-მნმაჰი<sup>110</sup>, რომლისაგანაც გადმოსცემს აბუ ნასრ აჰმად იბნ ბაჰადი, ცნობილი იბნ ალ-ჰადდად. იხსენიებს მას (მნმახს) აბუ თამამი აბუ საწიდ ას-სალრნსადმი მიძღვილ ქებაში.

უკავშირდება მნმახს აგრეთვე აბუ ისჰაკ იბრანში იბნ აჰმად იბნ მუჰამად იბნ აბდ ალლამ ალ-ანსარნ ალ-მნმაჰი<sup>111</sup>, რომელსაც მოუსმენია დიმაშვი იმაჰა იბნ ტალიბ ალ-აქჰანისათვის, ბასრაში — აბუ-ლ-აბბას მუჰამად იბნ ჰაჰან ალ-მანანის, აბუ მუჰამად აბდ ალლამ იბნ მუჰამად იბნ ჰარნა ალ-აბდნისა, აბუ ხალიჰა ალ-ჯუმაჰისა, აბუ ჯაჰარ მუჰამად იბნ მუჰამად იბნ ჰაჰან ალ-ანსარნა და ზაქარიჰა ას-საჯრისათვის, ქუჰაში — აბუ ბაქრ რომარ იბნ ჯაჰარ იბნ იბრანში ალ-მუხანისა და მისი დედის ჰაჰის მუსა იბნ ისჰაკ ალ-ანსარისათვის, მექაში — აბუ ბაქრ იბნ ალ-მუნზირისათვის, ალ-ჯაზირაში — აბუ ალ-ალ-მავსილნისა და ალ-ჰუსეინ იბნ აბდ ალლამ იბნ ახნდ ალ-კატრანისათვის, კარუენში — აბუ ბაქრ მუჰამად იბნ აბდ ას-სალამ იბნ ალ-ჰარის ალ-ანსარისათვის, ისქანდარნაში — მუჰამად იბნ აჰმად

იბნ ჰამმად ალ-ისქანდარნიესათვის, რამლაში — აბუ-ლ-აბბას იბნ ალ-ვალიდ იბნ ჰამმად არ-რამლნიესათვის, ბაღდადში—მუჰამ-მად იბნ ჯარრრ ატ-ტაბარნიესათვის<sup>112</sup>, აჰვანში—აბდუნ ალ-ჯავა-ლნიესათვის, რეიში—აჰმად იბნ მუჰამმად იბნ წსიმ არ-რანნიესათ-ვის, არდუბილში — საჰლ იბნ დაჰლ იბნ დრზუაჰ არ-რანნიესა-და სხვებისათვის ამათ გარდა. გადმოსცემენ მისგან აგრეთვე სხვები. მათგანაა აბუ-ლ-კანსიმ ჰაბთ ალლჰ იბნ სულამან იბნ დაჰლ იბნ აბდ არ-რანნიესათვის იბნ ზაჰაღლი. ამბობს ალ-ხატინი, რომ იბრანნი იბნ აჰმად იბნ მუჰამმად ალ-მინაზ არაა სანდო.

**ნახჯუენი**<sup>113</sup> — (პირველი თანხმევანი) — ჭ ა თ ჰ ი თ, შემდეგი — 1V, 767  
ს უ ქ უ ნ ი თ, ჯ რ ი მ ი — დ ა მ შ ი თ და ბოლოში ნ უ ნ ი. ზოგი ამბობს  
ნაჯუენს. მისი ნისბაა ნაშევ, განსხვავებული მისი ძირისაგან.  
ქალაქი აზერბაიჯანის უკიდურეს ნაწილში. მოხსენიებულია  
სხვა ადგილას.

**ნარნი**<sup>114</sup> — პირველი თანხმევანი — ჭ ა თ ჰ ი თ, მეორე — ქ ე ს — 1V, 775  
რ ი თ, შემდეგ ან — ს უ ქ უ ნ ი თ, შემდეგ — ზ ა.

პატარა ქალაქი აზერბაიჯანში, არდაბილის მხარეში. უკავშირ-  
დება მას აჰმად იბნ უსმან ან-ნარნი<sup>115</sup>, რომელიც სწავლობდა  
ჰადისებს აჰმად იბნ ალ-ჰასამ აშ-შარანიესა და აჰმად იბნ ამრ  
იბნ ჰადუნ ათ-თანუნიესთან. მასთან სწავლობდა აბუ-ლ-ჰადლ  
აშ-შაჰანი. თქვა: იგი იყო ჰანფიზი. იხსენიებს მას (ნარნი) ბუჰ-  
თურნი თავის ერთ-ერთ ლექსში;

უკავშირდება მას აგრეთვე აბუ თურაბ აბდ ალ-ბაკრ იბნ  
აჰსუჰ ან-ნარნი ალ-მარანი<sup>116</sup>, რომელიც იყო გამოჩენილი იმამი,  
თავშეკავებული და ღვთისმოსავი. გადასახლდა ნინაბუოში, ხელმძ-  
ღვანელობდა სწავლებას და იყო იმამად უკაჰლის მეჩეთში. გად-  
მოსცემდა აბუ აბდ ალლჰ ალ-მაჰმალესა, აბუ-ლ-კანსიმ იბნ  
შაბრანისა და სხვათაგან. გადმოსცემენ მისგან აბუ-ლ-ბარაქათ  
ალ-ბაღდადნი, აბუ მანსურ აშ-შაჰანი და სხვები. გარდაიცვალა  
იგი 491 წელს<sup>117</sup>.

**ნაშავ**<sup>118</sup> — პირველი თანხმევანი, მეორეა და მესამე — IV, 784  
ჭ ა თ ჰ ი თ. მისი ნისბაა ნაშევ.

ქალაქი აზერბაიჯანში. ამბობენ, რომ იგი [მდებარეობს] არ-  
რანიში. ეკერის არმონიას. ხალხში ცნობილია ნახჯუენის სახელით.  
ამბობენ [აგრეთვე] ნაჯუენს.

ამბობს ალ-ბალზურნი: ან-ნაშავ ბასჰურჯანის ოლქის დედა-  
ქალაქია. დაიპყრო იგი ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ჰიჰრნი უსმან იბნ  
აჰჰანის, — ალლჰიმც კმაყოფილია მისით, — დროს და დაეზავა

IV,785გის ხალხს ჯიზიასა და ხარაჯას გადახდის პირობით; დაბრლის ხალხთან [დადებული] სულჰის მსგავსად<sup>119</sup>.

მას უკავშირდება მრავალი, მათგან: ჰადდუნ იბნ ანსიმ იბნ ბაქრან აბუ-ლ-ჰადლ ან-ნაშავე<sup>120</sup>, ბიბლიოთეკის მეთვალყურე ჯან-ზაში. გადმოსცემდა იგი აბუ ნასრ აბდ ალ-ვაჰიდ იბნ მასრა ალ-კაზენინსა და შუაბდ იბნ სალიჰ ათ-თიბრინისაგან. უსმენდა მას იბნ მაქლუნ; ალ-მუჰარრაჯ იბნ აბუ აბდ ალლჰა ან-ნაშავე<sup>121</sup>. გადმოსცემდა ას-სულჰი მისი მამის, აბუ აბდ ალლჰა ალ-ჰაჰიბ ან-ნაშავესაგან, რომელიც ცნობილი იყო ალ-მუშჰანდ. და იყო აბუ აბდ ალლჰა აბუ-ლ-მუჰარრაჯი ჰადისეგის ზეპირად-მცოდნეთაგან და გამოჩენილი ჰაკირი, რომელიც გადმოსცემდა აბუ-ლ-აბბინ ან-ნაბჰან ან-ნაშავესა და მის მსგავსთაგან, მისი ქალაქის შეიხებიდან; აჰმად იბნ ალ-ჰაჯჰა აბუ ბაქრ ალ-აზრ ან-ნაშავე<sup>122</sup>, რომელსაც მოუსმენია დიმაშჰი და სხვაგან აბუ-დ-დაჰ-დჰისათვის, აბუ-ს-სარინ მუჰამმად იბნ დჰუნდ იბნ ნაბჰისათვის—ბალაბაქში<sup>123</sup>, აბუ ჯაფარ მუჰამმად იბნ ჰუსაან იბნ აზინდისა და აბუ ჟუბად ალლჰა მუჰამმად იბნ ალრ. იბნ აზინდ იბნ ჰარუნისათვის—ქაჰართჰისაში<sup>124</sup>, აბუ-ლ-ჰასან მუჰამმად იბნ აჰმად იბნ აბუ შეჰ ალ-ვაჰაჰისათვის—ჰარანში, აბუ-ლ-აბბინს იბნ ვაშნათვის—თინინში<sup>125</sup> და სხვებისათვის მათ ვარდა. გადმოსცემენ მისგან აბუ აბბინს აჰმად იბნ ალ-ჰუსეინ იბნ ნაბჰან ან-ნაშავე ას-საჰჰარი, ალრ და მუჰამმადი, ძენი ალ-ჰაჯ ალ-მარინდინისა, აბუ-ლ-ჰასან აბდ ალლჰაჰი და აბუ სალიჰ შუაბდი ძენი სალიჰისა, მუჰამმად იბნ აჰმად იბნ ქარდანი, აბუ-ლ-ჰათჰ სალიჰ იბნ აჰმად ალ-მაჰარინ და აბუ აბდ ალლჰა მუჰამმად იბნ მუსა ალ-მაჰარინ აზარიელები.

IV,802 ნუჰანი ან ნიჰანი<sup>126</sup>—პირველი თანხმომიანი—და მ მ ი თ ა ნ ქ ე ს რ ი თ და ბოლოში—ნუნი.

მთის სახელი არმინის ქვეყანაში. ზოგჯერ ამბობენ ლამითაც პირველ თანხმომიანს, რაც მოხსენიებულია თავის ადგილას. და ალლჰაჰა უკეთ იცის.

IV,803 ნაკჯუვანი<sup>127</sup>—(პირველი თანხმომიანი)—ჰ ა თ ჰ ი თ, შემდეგი—ს უ ქ ლ ნ ი თ, ჯ რ მ ი და ბოლოში—ნუნი. მისი ნისბაა ნაშავე—ნუნის შემდეგ შინი წერტილებიანი, ვავი და შემდეგ ნისბის ან. არ ვიცი რატომ აწარმოებენ ასე. ვიკითხე ამის შესახებ აზერბაიჯანში, მაგრამ ვერ მითხრეს მიზეზი.

ქალაქი არანის მხარეში. იგია ნახჯუვანი.

IV,822 ნავდინი<sup>128</sup>—(პირველი თანხმომიანი)—ჰ ა თ ჰ ი თ, შემდეგი—ს უ ქ ლ ნ ი თ, დალი უწერტილო—ქესრით და ზ. ნიშნავს დიდ ციხეს.

ციხე აპრსა და ვარანის შორის, გამაგრებული, იქ ხეობაში. ამ ხეობის შუაგულში მწვერვალია და იგი მის წვერზეა. მას აქვს რაბადი. მე ვნახე იგი. იგი არის აზერბაიჯანის ერთ-ერთი ოლქი თიბრანისა და არდაბნლს შორის.

ნერქ<sup>129</sup>—ერთ-ერთი ციხე ზავაზანის მხარეში. ეკუთვნის მავსი-IV, 856 ლის პატრონს.

ვარანი<sup>130</sup>—ალიქის შემდეგ, რა, ბოლოში—ნქნი. IV, 881

თიბრანის ერთ-ერთი სოფელი, მისგან ფარსახის მანძილზე.

უკავშირდება მას ჭაქიში ალ-მუზაჰქარ იბნ აბუ-ლ-ხაარ იბნ ისმანლ ალ-ვარანი<sup>131</sup>, რომელიც სწავლობდა ჭიკჰს. მავსილში აბუ-ლ-მუზაჰქარ მუჰამმად იბნ ულფან იბნ მუჰაჯირთან და ბალდუნდში—იბნ ჭადლანთან. იგი იყო მუწინდი მედრესეში ბალდუნდში და წერდა წიგნებს.

ვალბათი<sup>132</sup>—წერტილიანი ბა-თი. ადგილი აზერბაიჯანში. IV, 894

ვანი<sup>133</sup>—ნქნი თ. ციხე ხილანტსა და თბილისის მხარეს შო-IV, 895 რის, კანლიკალას ოლქში. ამჟამად მასში ნახებებს.

ვაჯრა<sup>134</sup>—ჭათჰით. საქარანს ტიპისაა. მდებარეობით IV, 906 ფორმაა ვაჯრანისა.

ქალაქი არმინის მახლობლად, ძალიან ცივი.

ვარავი<sup>135</sup>—პირველი თანხმომავნი — ჭათჰით, ალიქის IV, 918 შემდეგ ვავი—ქესრით და ახ თავისუფალი.

პატარა ქალაქი, სასიამოვნო, მრავალსიკეთიანი. და წყლებიანი აზერბაიჯანის მთებში, არდაბნლსა და თაბრანს შორის. იგი იბნ ბიშქინის, ამ მხარის ერთ-ერთი ამირას ვილაიეთია. მე ვნახე იგი. მისი რიტლი 16 ერაყული რიტლია და უდრის 1080 ღირჰემს. IV, 919 მასა და აპრს შორის ერთი სავალია.

ვარსანი<sup>136</sup>—(პირველი თანხმომავნი)—ჭათჰით, შემდეგი—IV, 919 სუქქით, ბოლოში—ნქნი. ას-სულქნ ახმომენებს რა-ს.

ქალაქი აზერბაიჯანის უკიდურეს საზღვარზე. მასა და მდინარე არ-რასს შორის ორი ფარსახია. ვარსანსა და ბაჰლაქანს შორის 7 ფარსახია.

„ქითაზ ალ-ჭუთუქში“ [წერია]: ვარსანი აზერბაიჯანის ქვეყანაში სათვალთვალო პუნქტი იყო, როგორც ორი სათვალთვალო პუნქტი ვაპში და არშაქი, რომლებიც გადაქეუულ იქნენ [სათვალთვალოდ] ახლახან, ბაბაქის დღეებში. ააშენა იგი მეგრენ იბნ მუჰამმად იბნ მეგრენ იბნ ალ-ჰაქამმა, გააცოცხლა მისი მიწები, გაამაგრა იგი და გადააქცია მის დიაფებად. შემდეგ გახდა იგი ზუბეადანს, ჯაფარის დედისა და ჯაფარ იბნ ალ-მანსურის ასულის

საკუთრება. მისმა მმართველებმა ააგეს მისი კედელი, რომელიც შემდეგ, ახლახან შეკეთებულ და განახლებულ იქნა. ალ-ვარსანნი მისი (ზუბეიდას) ერთ-ერთი მავლან იყო<sup>137</sup>. ამბობს იბნ ალ-ქალბნი: ვარსანნი ესაა აზერბაიჯანი.

IV, 920 უკავშირდება მას აბუ-ლ-ჰარაჯი აბდ ალ-ვამიდი იბნ ბაქრ ალ-ვარსანნი ას-სუჰეი<sup>138</sup>, რომელიც გაემგზავრა ჰადისების საძებნელად და ისმენდა მას. გადმოსცემს იგი ალ-ჰამიზ აბუ ბაქრ ალ-ისმინილისგან და სხვებისაგან. გარდაიცვალა 372 წელს<sup>139</sup>; ალ-ნაფი იბნ ას-სარნი იბნ ას-სიკრი იბნ ჰამმად ალ-ვარსანნი აბუ-ლ-ჰასანი, რომელიც გადმოსცემს აბუ-ლ-ჰასიმ აბდ ალ-ლამი იბნ მუჰამმად ალ-ბალაღინსა, აბუ ბაქრ მუჰამმად იბნ ალ-ჰასიმ ალ-ისბაჰინსა, ჯანფარი იბნ რისა ალ-ჰულეინსა და აბუ ბაქრ მუჰამმად იბნ ალ-ჰასანი იბნ დურაჰდისაგან. გადმოსცემენ მისგან იბნ ბილალნი და იბნ ბარქანი—ამბობს შირაფაჰი.

IV, 979 ჰალჰრასი<sup>140</sup>—ადგილი დიჯლას სათავესთან. მასა და ნიდილს შორის ორი დღის გზაა და ნახევარი. ჰალჰრასი ის ადგილია, სადაც ეწამა ალ-არმანი.

IV, 1017 ჰარანი<sup>141</sup>—პირველი თანხმომავანი—ჰათათი, მეორე—სუჰეინით, ნუნი—ქესრით და აბ.

მდინარის სახელი. გამოდის არმინის ქვემო ნაწილიდან და ჩაერთვის დიჯლას ალ-ჯაზირას მთებში.

IV, 1018 ალ-ჰაზინდი<sup>142</sup>—შარჰანის ვილაიეთის ერთ-ერთი ქალაქის სახელი. იგი ცნობილია აგრეთვე შამანიად ას-სულჰენის მიხედვით.

